


Handwritten signature in Georgian script.

საქართველოს  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო



საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო  
საგარეო



კულტურა

# შელოქი

ბოგო გეხუთე  
გოთხროგები,  
პიესა, წერილები

გუსტავ ფლობერის თხზულებათა მეხუთე ტომში შედის სამი მოთხრობა: „გულმართალი“, „პეროდია“ და „ლეგენდა მწირთა შემთარებელ წმიდა ეიულიენზე“, პიესა „კანდიდატი“ და წერილები.


„გულმართალსა“ და „ლეგენდაში“ ფლობერი ავითარებს თავის მრწამსს, რომ ადამიანის დანიშნულება ამკვეყნად სხვა ადამიანებზე ზრუნვა და მათთვის სამსახურია. „კანდიდატი“ ამათრახებს ბურჟუაზიულ წყობას და დეპუტატთა არჩევნებს, ხოლო წერილებში ავტორი გამოთქვამს აზრს ყველა საკიბორცო საკითხზე, მისი სამშობლოს ბედობაზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

მოთხრობა „გულმართალი“, პიესა „კანდიდატი“ და წერილები პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე.

თარგმანი ფრანგულიდან

მანანა გიგინეიშვილისა და არისტო ქუმბაძისა

გივი მელაძის საერთო რედაქციით  
(პირველი გამოცემა)



የጠወኔው ጠቅላይ

---

### ჰ ე რ ო ლ ი ა

მაკდარი ზღვის აღმოსავლეთით, კონუსივით წამახულ ფიქალზე, აღმართულიყო მაქერუზის ციხე-დარბაზი. მას ოთხივე მხრიდან თვალუწვდენელი მინდვრები ერტყა. შიდაციხის ძირას ახირხლულ სახლებს გასდევდა ზღუდე. რომელიც ოკრობოკრო მიწას მიჰყვებოდა და ხან აღმა იწევდა, ხან დაღმა. კლდეში გაქრილი ბილიკი ქალაქისკენ მიიკლაკნებოდა. ციხე-დარბაზის ასოცწყურთიანი დაკურთხული გალავანი ქონგურებით იყო დაკბილული. აქა-იქ დატანებული ბურჯები უფსკრულს გადამხობილ ქვის გვირგვინში ჩაწნულ ყვავილებს ჰგვანდნენ.

გალავნის შიგნით სვეტებიან სასახლეს ნეკერჩხლის მოაჯირით შემოკავებული ტერასა ამშვენებდა. ირგვლივ დასობილ სარებზე ჩარდახს ჭიმავდნენ.

ერთხელ, განთიადისას, ტეტრარქი ჰეროდე-ანტიპა ტერასაზე გავიდა, ხარხიებს გადაეყრდნო და შორეულ სივრცეს გახედა.

მის წინ ნელ-ნელა გამოიკვეთა მთათა თხემები, ქედი ხევებიანად ჯერ კიდევ ბნელს მოეცვა. ჩამოწოლილი ნისლი დაიძრა, დაიქსაქსა და შორს მკვდარი ზღვა გამოჩნდა. მაქერუზს იქით წითლად ინათა. მცირე ხანს შემდეგ ზღვისპირა ქვიშნარი, ბორცვები

და უდაბნო ვაანათა მზემ, ჰურიასტანის მთების ოღროჩოღრო  
რუხ კალთებს გადმოაღვარა შუქი. შუაში შავ ზოლად დაჩნდა ენ-  
გადი, სიღრმეში გუმბათივით შემორკალულიყო ჰებრონი, ეს-  
ქოლს ბროწეულები ფარავდა. სორეკს ვენახები შემოტმასნოდა,  
კარმელს სესამის ნათესები შემორტყმოდა, იერუსალიმს კი თავს  
წამომართოდა ანტონიუსის უშველებელი ოთხკუთხა კოშკი. ტეტ-  
რარქმა მარჯნივ ჩარიგებული იერიჟონის პალმებს მიაპყრო მზე-  
რა. გალილეის სხვა ქალაქები მოაგონდა — კათარნაუმი, ენდორი,  
ნაზარეთი თუ ტიბერიადა. ვინ იცის, ეგებ აღარც ელირსოს მა-  
თი ნახვა:.. იორდანე მდორედ მიედინებოდა უნაყოფო ველებში.  
თეთრი მდინარე თოვლის საბურველივით თვალისმოშკრელად ელაგ-  
და. ტბა ლაევარდს ჰგავდა. მის სამხრეთ ნაპირთან, იემენის  
მხარეს, ანტიპამ გაარჩია ის, რისი ხილვისაც ასე ეშინოდა: ტბის  
პირას თალხი კარვები გაეშალათ, ჰოროლებით აღჭურვილი ხალ-  
ხი ცხენებს შორის დაიარებოდა. ჩაღველფილი კოცონები მიწაზე  
მიმოფანტულ ნაპერწკლებს ჰგვანდნენ.

ეს იყო სპა არაბთა მეფისა. მეფის ასულს განშორდა ანტიპა.  
რათა ჰეროდია, თავისი ერთ-ერთი ძმის ცოლი შეერთო. ძმა იტა-  
ლიაში ცხოვრობდა და ძალა-უფლებაში არ ეცილებოდა მას.

ტეტრარქი რომაელთაგან ელოდა შველას. ვიტელიუსი, ასუ-  
რეთის განმგებელი, ფეხს ითრევედა და ანტიპას საშველს არ აძ-  
ლევდა, გულს უღრღნიდა დარდი.

უეჭველია, აგრიპამ გათქვა იმპერატორთან! მისი მესამე ცმა,  
ბატანეს მმართველი ფილიპე, მალულად შეიარაღებულა. იუ-  
დეველნი ველარ ეგუებოდნენ ტეტრარქის წარმართულ ადათებს,  
სხვა ერებსაც ველარ აეტანათ მისი ბატონობა. ანტიპა მერყეობ-  
და. ვერ გაერკვია, არაბთა დამწყალობება ჯობდა თუ პართელებ-  
თან პირის შეკვრა. ამიტომ დიდი ღრეობა გამართა, საბაბად თავისი  
დაბადების დღე გამოიყენა და მოუხმო სარდლებს, ეზოსმოძლ-  
ვართ. გალილეის დიდებულთ.

გულდასმით შეათვალიერა გზები. ყველა შარა ცარიელი იყო,  
ზემოთ, ცაში, არწივები დანავარდობდნენ; სანგრების გასწვრივ  
გალავანთან მიუყუთულ მეომრებს ეძინათ, არც სასახლის მყუდრო-  
ებას არღვევდა რაიმე.

უეცრად შორეული, მიწის წიალიდან ამომავალი ხმა მოესმა..

ტეტრარქი გადაფითრდა, წელში მოიკაცვა და დააყურა. ხმა მიწყ-  
და, შემდეგ ისევ გაისმა. ჰეროდემ ხელი ხელს შემოჰკრა და შეს-  
ძახა:

— მანაე! მანაე!

მექისესავით წელზევით შიშველი ახმახი ბერიკაცი შემოვიდა. ბრინჯაოსქარქაშიანი მახვილი ეკიდა. სავარცხლით აქაჩული თმე-  
ბი შუბლს უდიდებდა. თვალებზე ბინდი გადაკვროდა, კბილები  
უელავდა და მსუბუქად მოაბიჯებდა ფილებით მოგებულ იატაკზე.  
ტანი მაიმუნივით მოქნილი ჰქონდა, სახე — მუმიასავით უგრძნო-  
ბელი.

— სად არის? — იკითხა ტეტრარქმა.

— ისევ იქ, — უპასუხა მანაემ და ცერით მიუთითა უკან.

— მისი ხმა მომესმა.

ანტიპამ ღრმად ამოიხვნეშა და იოქანანის ამბავი იკითხა, მი-  
სი, ვისაც ლათინელნი წმინდა იოანე ნათლისმცემელს უხმობენ.  
კიდევ ხომ არ გამოჩენილა ის ორი კაცი, წინა თვეში რომ შეიწყ-  
ნარეს და იოქანანის დილეგში შეუშვეს? ხომ არ შეუტყვიათ.  
რისთვის მოვიდნენ?

მანაემ მოახსენა:

— რალაც დაფარული გაანდეს ერთმანეთს, შებინდებისას გზა-  
ჯვარედინზე თავმოყრილი ქურდებივით მალულად ირჩებოდნენ.  
შემდეგ ზემო გალილეისკენ გასწიეს. თან თქვეს — დიად ამბავს  
მოვიტანთო.

ტეტრარქმა თავი დახარა და ძრწოლით წამოიძახა:

— უღარაჯე, ფხიზლად უღარაჯე! არავინ შეუშვა მასთან. კა-  
რი ჩახურე, ორმო დაფარე, არავინ დაეკვდეს, რომ ცოცხალია!

მანაე უსიტყვოდ ასრულებდა ტეტრარქის ნაბრძანებს. იოქა-  
ნანი იუდეველი იყო და მას, როგორც ყველა სამარტელს, ეჯავ-  
რებოდა იუდეველნი.

გარიზიმის ტაძარი, მოსე წინასწარმეტყველმა რომ ისრაელის  
შესაკრებელად იგულვა, ჰირკან მეფის დროიდან გაპარტახდა.  
ამიტომ იერუსალიმის ტაძარს მარადიული უსამართლობის სიმ-  
ბოლოდ თვლიდნენ სამარტელნი და შეურაცხყოფილნი ცოფს  
ყრიდნენ. ერთხელ მანაემ კიდევ შეაღწია საყდარში, მიცვალე-  
ბულთა ძვლებით საკურთხევლის შებღალვა სურდა. მანაეს

თანამზრახველებმა მასავით ვერ იმარჯვეს და ყველას თავები დააყრვენიეს.

ორ გორაკს შორის სწორედ ეს ტაძარი შეამჩნია მანაემ. მზეზე თვალისმომკრელად ბზინავდა მარმარილოს კედლები და ოქროთი მოპირკეთებული გუმბათი. სწივმოსილ მთასავით იდგა ტაძარი, იდგა ზეკაცივით და თავისი სიღიადით ირგვლივ ყოველივეს თრგუნავდა.

მანაემ სიონისკენ აღაპყრო ხელები, გასწორდა, თავი უკან გადაადგო, მკილები შეკრა და კრულვით შეაჩვენა ტაძარი. ღრმად აჭეროდა, რომ მისი წყევლა უწევდა იუდეველთა საყდარს.

— დროდადრო შფოთავს, გაქცევა სურს, განთავისუფლებას მოელის, — დაატანა სამარიტელმა, — ხან კი დავრდომილი ნადირივით თვინიერია. ადვილად გაარჩევ როგორ დაიარება სიბნელეში და იმეორებს: „მისა ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა — მოკლებად“.

მოსაუბრეებმა ერთმანეთს გადახედეს. ტეტრარქი მოღალა ფიქრმა.

ირგვლივ შემოჯარული მთები, გაქვევებულ ვეება ტალღებს რომ ჰგვანან, ქარაფებს შორის პირდაბჩენილი შავი ღრანტეები. დაუსაბამო ცის სილურჯე, დღის კაშკაშა ნათელი და მზერამიუწვდომელი უფსკრულები აღელვებდა ტეტრარქს; ტაძრებისა და ამფითეატრების ნანგრევებით ჩახერგილი და მიწისძვრებით დათხრილ-დახეთქილი უდაბნოს ხილვამ კმუნვა მოჰგვარა; ხორშაკი ქარით მონაბერი გოგირდის სუნი შერისხული და ზღვათა სიღრმეში ჩამარხული ქალაქების ამონასუნთქ ოხშივრად ეჩვენებოდა. მარადიული რისხვის ყოველგვარი გამოხატულება ძრწოლას ჰგვრიდა ტეტრარქს. თვალგაშტერებული იდგა უძრავად, იდაყვებით ხარხებს დაყრდნობოდა და საფეთქლებზე წაეჭირა ხელები. ვილაც შეეხო. შემობრუნდა. მის წინ ჰეროდია იყო.

წმიდად ნაქსოვი მეწამული მოსასხამი სანდლებამდე სწვდებოდა. თავისი პალატიდან ისე გამოშურებულოყო, რომ ფარულთა და საყურეებით მორთვა ვერ მოესწრო. გიშრისფერი ნაწნავი მხარზე გადმოშვებოდა და ძუძუებს შორის ნაპრალში ჩაჰკარგოდა. დაბერილი ნესტოები უთრთოდა. სახე სიხარულით გაბადროდა. ტეტრარქი შეანჯღრია და რიხით შესძახა:



— კეისარი გვწყალობს! აგრიპა დილეგშია გამომწყვდეული!

— ვინ მოგახსენა?

— ვიცი, — თან დაატანა, — გიუსს ძალა-უფლება უსურვა თურმე და მიტომ დაუტუსაღებიათ.

აგრიპა მათი საბოძვრებით ცხოვრობდა, თან გამეფებას ცდილობდა. თავის მხრივ ესენიც იღვწოდნენ ამ პატივის მოსახვეჭად. იმიერიდან აღარაფერია საშიში!

— ადვილად როდი იხსნება ტიბერიალის საპატიმროთა კარიბჭეები, ზოგჯერ საეგებოცაა იქიდან ცოცხლად გამოღწევა!

ანტიპა მიუხვდა გულისნადებს. მართალია, აგრიპას და იყო ჰეროდია, მაგრამ ტეტრარქი მაინც ამართლებდა ქალის სასტიკ ზრახვებს. სამეფო გვარეულობაში მკვლელობანი ბედისწერით გარდუევალ უბრალო საქმედ მიიჩნდათ. ჰეროდეს კარზე ხომ ვინ მოთვლიდა ამგვარ ბოროტებათ.

მერმე ჰეროდიამ ჩამოუთვალა თავისი შავბნელი საქმეები: ხელქვეითთა მოსყიდვა, უსტართა ხელში ჩაგდება; გაუმხილა, ყოველ კართან როგორ დააყენა მეთვალყურე, როგორ გადაიბირა ევტიქე მსტოვარი.

— არაფერი დამიზოგავს! განა შეუძლებელიც არ შევიძელ შენთვის? ასული დავთმე!

განქორწინების შემდეგ ჰეროდიამ რომში დატოვა ბავშვი. იმედი ჰქონდა, ტეტრარქისაგან შეეძინებოდა შვილი. ამის შესახებ არასოდეს არ დაუძრავს კრინტი. გაცეცხული ანტიპა თავის თავს ჰკითხავდა—ეს მოქარბებული სინაზე რას უნდა ნიშნავდესო.

ჩარდახი გადაქიმეს და უშველებელი ბალიშები მოიტანეს მსახურებმა. ჰეროდია დორს მიესვენა, ზურგი შეაქცია ტეტრარქს და ცრემლი მოერიო. მერმე ქუთუთოები მოისრისა და თქვა, რომ აღარ სურს ფიქრი, რომ ბედნიერია. შემდეგ მეუღლეს მოაგონა ატრიუმში მათი საუბრები, აბანობთან შეხვედრები; წმიდა შარაზე გასეირნება და რომის მახლობლად, სევანებში, ყვავილებიან თაღებქვეშ, ჩანჩქერთა ჩხრიალში გატარებული საღამოები. ქალი უწინდებურად თვალებში შესცივინებდა და ლიქნით ეკვროდა მკერდზე. ჰეროდემ ხელი ჰკრა და მოიცილა. სიყვარული მოეშორა მას, ქალი კი აღრინდელი ტრფობის დაბრუნებას ამოოდ ლამობდა. ამ ტრფობამ მისცა დასაბამი ჰეროდეს უბედურებას. აგერ თორმეტი წელიწადია გრძელდება ომი. მან მოტეხა ტეტრარქი.

იისფერკობიან თალხ ტოგაში მოკაყული მხრები გამოჰკვეთოდა. წვერში თეთრი გარეოდა. მზის სხივები მოჩარდახულში ატანდა და ნათელს ჰფენდა მის შექმუხვნილ შუბლს. პეროდიასაც დაღაროდა სახე. ცოლ-ქმარი მწყურალად შეჰყურებდა ერთურთს.

მთის ბილიკებზე ხალხმა იწყო დენა. ხარებს მოლაღვდნენ მეხრეები, ბაღლები სახედრებს მოაჩქაჩებდნენ, ჩალვადრებოცხენებს მოერეებოდნენ. მაქერუხს გადაღმა მთებიდან ჩამოსულები ციხის იქით უჩინარდებოდნენ. სხვები ღრანტეებზე მიიკვლევდნენ გზას და, ქალაქს რომ მიღწევდნენ, ეზოებში ტვირთავდნენ თავ-თავის საპალნეს. ესენი იყვნენ ტეტრარქის ქვეშევრდომები და წვეულთა მიერ ნაადრევად წარმოგზავნილი ფარეშები.

ტერასის სიღრმეში, მარცხნივ, ესეველი გამოჩნდა, ფეხშიშველს თეთრი ემოსა, სახე ვნებათაღელვისაგან დამცხრალი ჰქონდა. მანამ მახვილი ამოიწვავდა და მარჯვნივ გაემართა.

— მოკალ! — მიადახა პეროდიამ.

— შეჩერდი! — გაისმა ტეტრარქის ხმა.

მანამ გაშეშდა, შედგა შემხედურიც.

მერმე ორივემ უკუსვლით დაიხია ორი სხვადასხვა კიბისაკენ და, ვიდრე ერთმანეთს გაეცლებოდნენ, თვალი თვალში ჰქონდათ გაყრილი.

— ვიცნობ, ფანუელს უხმობენ, იოქანანის ნახვას ცდილობს, რაკი ასე უგუნურად ელოლიავენ და იფარავ.

ანტიპამ თავი იმართლა.

— ოდესმე გამოგვადგება იოქანანანი! იერუსალიმს რომ თავგამოდებით უტევს, ამით დანარჩენ იუდეველთ გადავიბირებთ.

— არა! — გაცხარდა ქალი, — იუდეველნი ყველას ქედს უხრანან. ეს ის ერია, სამშობლო რომ არ აქვს! იოქანანანი მათში აღვივებს იმედს, ჯერ კიდევ ნეემიას დროიდან ჩასახულს. ამიტომ ჯობს თავიდან მოვიცილოთ.

ტეტრარქი არ ჩქარობდა. კაცს იოქანანის ეშინოდეს?! რა სათქმელია! მოსაჩვენებლად გადაიხარხარა კიდევ.

— დადუმდი! — და ქალმა ხელახლა მოუთხრო, როგორი დამცირება აიტანა ერთხელ ინის მოსაკრეფად გალაადისკენ მიმავალმა. — მდინარის პირას ხალხი სამოსელს იცვამდა. იქვე, ამაღლებულზე, კაცი იღგა და ქადაგებდა. წელზე აქლემის სტევი ერტყა. თავი ლომს მიუგავდა. დამინახა და წინასწარმეტყველთა შეჩვენე-

მა თავზე გადმომათრქვია. თვალბში ელვა უკრთოდა, მისი ხმა გრვეინავდა. ზეაღპრობილი ხელებით ზეციდან თითქოს ქექა-ქუხილს უხმობდა. გაქცევა შეუძლებელი იყო. ჩემი ეტლის თვალი ღერძამდე ქვიშაში ეფლობოდა. ძლივს გავეცალე იქაურობას, მოსასხამში ჩავრგე თავი, ტანში მზრინავდა. წყევლა-კრულვას კი კოკისპირულ წვიმასავით არ უჩანდა ბოლო.

იოქანანაი სიცოცხლეს უმწარებდა მას. როცა შეიპყრეს და გაბაწრეს, მებრძოლთ უბრძანეს — თუ გავიძლიანდეთ, მახვილით აკუწეთო, მაგრამ იოქანანაი მორჩილად დაჰყვა მათ ნებას. დილეგში უნასები მიუსიეს, გველები დაიხოცნენ მის სიახლოვეს.

ამოდ ჩავლილი მზაკერობა კიდევ უფრო აღიზიანებდა ჰეროდისას. არა, მაინც რას ერჩის მას იოქანანაი? ერის დასამოძღვრად თქმული მისი ქადაგება მთელ ქვეყანას მოედო. სადაც არ წავიდა, ყველგან მის ნათქვამს წააწყდა ჰეროდია. ჰაერი გაუღენთილია მისი სიტყვებით. მთელი სპა წარბს ვერ შეახრევიანებს ტეტრარქის შეუღლეს, მაგრამ ეს ძალა, რაღაც, იღუმალი და დამღუპველი ძალა, ბასრი მახვილის უძლიერესი, აოცებდა ქალს. რისწევით გადაფითრებული დადიოდა ტერასაზე, ხმა ერთმოდა და სიტყვებს ვერ პოულობდა ყელში მობჯენილი ბოლმის გადმოსანთხევად.

ჰეროდია შიშმა შეიპყრო. ტეტრარქი რომ აჰყვეს სხვათა აზრს და მასთან განქორწინება გადაწყვიტოს?! მაშინ ხომ დაიღუპება ყველაფერი. ბავშვობიდანვე ოცნებობდა უდიდესსა და უძლიერეს სამეფოზე. ამისთვის განშორდა პირველ მეუღლეს და გაჰყვა მეორეს, მაგრამ იმედი გაუცრუვდა.

— სწორედ მშვენიერი საყრდენი ვიშოვე შენს ოჯახში შემოსვლით!

— შენს ოჯახს მაინც სჯობს ჩემი! — მოკლედ მოუქრა ტეტრარქმა.

წინაპართა, მეფეთა და მღვდელმთავართა, სისხლი აუჩქროლდა ძარღვებში ჰეროდისას:

— პაპაშენი ასკალონის ტაძარს გვიდა! სხვა შენიანები ფარას მწყემსავდნენ, ავაზაკობდნენ ან ქარავენებს მიუძლოდნენ. შენს წინაპართა მაწანწალა ბრბო დავით მეფის დროიდან ხარკს უხდიდა ჰურიასტანს. ჩემი მამა-პაპანი მუდამ სჯაბნიდნენ შენსას! პირველ-მავე მაკაბელთაგანმა ჰებრონიდან გამოგაძევათ! ჰირკან მეფემ ძალით შემოგაღებინათ წინადაცვთა!

მდაბიოსადმი დიდებულის ზიზლს, ედომისადმი იაკობის სიძულვილს აფრქვევდა ჰეროდია. ტეტრარქს ამტყუნებდა, ლანძღვა-გინებას გულგრილად ეკიდები, შენი გამცემი ფარისევლების მოწყალე ხარ, ლაჩრულად ქედს იხრი შენი მოძულე ერის წინაშეო.

— გამოტყდი, ხომ არაფრით სჯობხარ შენს მორჩილთ! გული გწყდება იმ არაბ გოგოზე, ლოდების ირგვლივ რომ ცეკვავდა. დაუბრუნდი მას! გასწი და იცხოვრე მასთან ხამის კარავში! ლოდნე ნაცარში ჩაკრული კვერი! სვი ცხვრის აჭრილი რძე! ლოშნე მისი ჩალურჯებული ლოყები! მე კი დამივიწყე!

ჰეროდე აღარ უსმენდა. ერთ-ერთი სახლის ბანზე ქალწულს მოჰკრა თვალი. ბებერ მსახურს მეთევზეთა მარცახივით გრძელი, ლერწმისტარიანი საჩრდილობელი ეჭირა. გახსნილი ბოხჩიდან სარტყლები, რიდებები და ოქროთი ნაჭედი სამკაულები გადმოცვინილიყო ხალიჩაზე. ქალწული იხრებოდა, რაღაცას იღებდა ბოხჩიდან და ბერტყავდა. რომაულ ყაიდაზე იყო ჩაცმული. დატალღულ ტუნიკაზე ზურმუხტისთვლებიანი მოსასხამი ებურა. თმები ლურჯი ყაითნით ჰქონდა აკრეფილი. ნაწნავთა სიმძიმე აწუხებდა ქალწულს და დროდადრო ხელს ივლებდა გრუზა თმაზე. სამზეურის ჩრდილი ეფინებოდა და ნახევრად ფარავდა ასულს. ჰეროდემ რამდენჯერმე მოჰკრა თვალი მის ბროლის ყელს, თვალის უპესა და ტუჩის კუთხეს. ქალწულის თეძოები და ზურგი მოჩანდა. იდრიკებოდა და კვლავ იმართებოდა მისი ჩამოქნილი ტანი, ტეტრარქი დაშტერებით უმზერდა, ქალწულის სხეულის შერხევას ელოდა, მძიმედ სუნთქავდა, თვალებში ცეცხლი უელავდა. ჰეროდის არაფერი გამოჰპარვია.

— ვინაა? — იკითხა ტეტრარქმა.

ქალმა მიუგო, არ ვიციო, და სწრაფად განშორდა იჭაურობას.

ტეტრარქს სტოასთან ელოდნენ გალილეველნი, მწიგნობართუხუცესი, სამწყსოს მეთაური, მარილსახდელის განმგებელი და მხედართმთავარი — ბაბილონელი ურია. შეძახილებით შეეგებნენ. შემდეგ ჰეროდემ შიგა პალატებისკენ გასწია.

მის წინ ფანუელი გაჩნდა.

— ოჰო, ისევ შენა ხარ? ეჭვი არაა, იოქანანის გამო მოხვედი.

— შენს გამოც. ერთი მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გავანდო.

ფანუელი უკან გაედევნა ანტიპას და ბნელ პალატში შეჰყვა.

სარკმლის ხარიხიდან სვეტად ეშვებოდა დღის ნათელი და ლავ-

გარდანს შუქს ჰვენდა. კედლები ძოწისფრად, თითქმის შავად, იყო მოხატული. დარბაზის სიღრმეში ხარის ღვედგბით ეკიდა ეკალმუზის სარეცელი. საწოლს ზემოთ მზესავით ელვარებდა ოქროს ფარი.

ანტიპამ დარბაზი გაიარა და სარეცელში ჩაესვენა.

ფანუელი იქვე შედგა, ხელები ალაპყრო და ზემოთ-გონებით წარმოთქვა:

— უზეშთაესი დროდადრო თავის ძეთ უვლენს ქვეყანას. იოქანანაი ღეთის წულია. მამაზეციერის რისხვა არ აგცდება. მის ღვე-ნას თუ განაგრძობ!

— მე არას ვერჩი, ის მღვენის და მერჩის! — წამოიძახა ანტიპამ, — შეუძლებელს მთხოვეს, მას აქეთ ჩემი ძვირის ხსენებაშია. თავდაპირველად არ ვყოფილვარ სასტიკი! იოქანანამა მაქერუზი-დან ხალხი წარგზავნა ჩემს სამფლობელოთა ასაფორიქებლად, წყეულმც იოს! რაკი მიტევს — ვიგერიებ!

— იცოდე, დიდია მისი რისხვა! რას გააწყობ, სხვა გზა არაა, უნდა გაათავისუფლო.

— სად გავონილა მძვინვარე ნადირის ნებაზე მიშვება!

ესეველი არწმუნებდა:

— რა გაჯავრებს! იოქანანაი არაბებს, გალებს და სკვითებს დამოდვრავს. მისი ნამოდვარევი ქვეყნის კიდეს უნდა მისწედეს ანტიპა გაირინდა და ფიქრებში ჩაიკარგა.

— ყოვლისშემძლეა მისი ძალა. ჩემდა უნებურად მიყვარს კიდე.

— აბა, გაათავისუფლებ?

ტეტრარქმა თავი გააქნია. ეშინოდა ჰეროდისი, ერიდებოდა მანაესი, ძრწოლას ჰგვრიდა რაღაც იღუმალი და გამოუტნობი.

ფანუელი მის დაყოლიებას შეეცადა, თავმდებად ესეველების მეფისადმი ერთგულება მოიხმო. მათ ხომ პატივს უზღავდნენ, როგორც ღარიბ-ღატაკ, მაგრამ მარტვილობის წინაშე წარბ-შეუხრელ, უბრალო სელის ტანსაცმლით დამოსილ ხალხს, რომელიც ცთომილთა მიხედვით კითხულობს ბედს.

ანტიპას ფანუელის დანაპირები გაახსენდა:

— რისი თქმა გინდოდა, საგულისხმო ამბავი უნდა გაგიმხილოო, რომ მითხარი?

ზანგი შემოვარდა. სხელი მტერით ჰქონდა გადათეთრებული. ქშინავდა, სულს ძლივს ითქვამდა და ამის თქმაღა შეძლო:

— ვიტელიუსი!

— როგორ? მოვიდა?

— დავინახე, სამ საათში აქ იქნება.

თითქოს ქარს დაებეროს, ტალანში ატყდა ფარდაგთა ფრიალი. მთელი სასახლე აწრიალდა, ხალხი აფუსფუსდა, გაისმოდა ფეხების ბაკუნი. დაახრიგინებდნენ ავეჯს, წკრიალებდა ვერცხლებული.

მალა, ბურჯზე, ბუკსა ჰკრეს გაბნეულ ფარეშთა შემოსაყრებად.

ყორე ხალხით იყო დაფარული, ვიტელიუსი რომ გალავანს მოადგა. თარჯიმანს დაყრდნობოდა. ჭიღებითა და სარკეებით მორთული ტახტრევანი მოჰქონდათ უკან. ხელარგნოსნებით იყო გარშემორტყმული, პროკონსულის ლატიკლავიანი ტოგა ესხა და ხამლი ეცვა.

ციხის ბჭესთან დაასვეს ღვედებით გაკრულ კვერთხთა თორმეტი კონა, რომელთაც შუაში ჩუგლუგი ჰქონდათ დატანებული. ყველა აცანცახდა რომაელი ერის სიდიადის წინაშე.

რვა მეტახტრევნე შედგა და ტახტრევნიდან ღიპიანმა ყმაწვილმა გადმოაბიჯა. სახე მუწუკებით ჰქონდა დაფარული, თითები — მარგალიტებით დახუნძლული. ღვინისა და სურნელებათა ნაზავით სავსე ბარძიმი გაუწოდეს. შესვა და კვლავ მოითხოვა.

ტეტრარქი პროკონსულის ფერხთით განერთხა. ამბობდა, დიდად ვნაღვლობ, ნაადრევად რომ ვერ შევიტყვე თქვენი სტუმრობა; რა ვიცოდი, ამოდენა პატივს თუ დამდებდი, თორემ გზად შემოგაგებებდი ყველაფერს, რაც ვიტელიუსთათვის საჭირო და საკადრისი იქნებოდაო. ქალღმერთ ვიტელიას ნაშიერებად ითვლებით, იანიკულიდან ზღვისკენ მიმავალი გზა ჭერაც თქვენს სახელს ატარებს. ვიტელიუსთა გვარეულობაში მეჭურჭლეთუხუცესებსა და კონსულებს სათვალავი არ ჰქონდა. რაც შეეხება ლუციუსს, ღდეს რომ სტუმრად მეწვია, მის წინ მადლობით თავის დადრეკალა გვმართებს, რადგან მან დათრგუნა კლიტელნი. ამასთანავე იგი მამაა ჭაბუკი ავლუსისა, რომელიც თავის მამულში

დაბრუნდა, აღმოსავლეთი ხომ ღმერთების სამშობლოდაა ცნობილი.

ეს მოქარბებული ქება ტეტრარქმა ლათინურად წარმოთქვა. ვიტელიუსი გულგრილად უსმენდა.

შემდეგ უპასუხა, რომ დიდი ჰეროდე ერის სიამაყეა. ათენელებმა მას ოლიმპიურ თამაშობათა ზედამხედველობა დააკისრეს. ჰეროდემ საყდარი აღმართა ავეუსტუსის სახელზე. იგი ჭირთა დამთმენია, გამკრიახია, მრისხანეა და მარად ერთგული კეისარისა.

ბრინჯაოს ბულაურიან სვეტებს შუა ჰეროდია გამოჩნდა. სეფექალებითა და საჭურისებით გარშემორტყმული ზვიადად მოაბიჯებდა დედოფლის იერიით. საჭურისებს ოქროცურვილი ვერცხლის მუჯამრები მოჰქონდათ. მუჯამრებზე საკმეველი იბოლქვებოდა.

პროკონსულმა სამი ნაბიჯი წარდგა მისაგებებლად. ქალი მდაბლად ეთაყვანა და წამოიძახა:

— რა ბედნიერებაა, ამიერიდან ტიბერიუსს ვერაფერს ავნებს მისი მოსისხლე მტერი აგრიპა!

ვიტელიუსს არ სცოდნოდა აგრიპას დატყვევება. ჰეროდია მას საკმაოდ საშიშ პიროვნებად ეჩვენა, მაგრამ ანტიპამ ფიცით არწმუნა, იმპერატორისთვის თავს არ დავზოგავო.

— სხვებისთვის საზიანო რომ შეიქმნეს შენი საქციელი, მაინც? ვიტელიუსს მოაგონდა, პართიის მეფეს როგორ გამოსტყუა მძევალი, მაგრამ იმპერატორს არც შეუტყვია მისი სამსახური. მოლაპარაკებას ანტიპაც ესწრებოდა და ეს ამბავი პირველმა შეატყობინა კეისარს, რათა თავისთვის მიეთვალა დამსახურება. მას აქუთ შეიძულა ვიტელიუსმა ანტიპა და აღარც ჩქარობდა მის შველას.

ტეტრარქმა რალაც წაიბუტბუტა. ავლუსმა გამოიყვანა უხერხული მდგომარეობიდან, სიცილით უთხრა:

— დამშვიდდი, მე დაგიფარავ!

პროკონსულმა წაიყრუა მისი ნათქვამი. მამის ბედნიერება ეაჭიშვილის ავებდობაზე ეკიდა. ავლუსი, ჩამყაყებულ კაპრში ამოსული ყვავილი, დიდ მოგებას აძლევდა მამას. ამიტომ იგი ყურადღებას არ აკლებდა ვაჟს, თუმცა არაფერში არ ენდობოდა. რადგან ეს ყვავილი შხამიანი იყო.

კარიბჭესთან ჩოჩქოლი ატყდა. ქურუმთა სამოსელში გამოწყობილი და მწკრივად ჩარიგებულ თეთრ ჭორებზე ამხედრებულნი ხალხი მოაწყდა გალაყანს, ესენი იყვნენ საღუჭეველნი და ფარისე-

ველნი. განდიდების სურვილმა უბიძგა მათ მაქერუზისკენ. პირველთ მსხვერპლის შეწირვის უფლება ეწადათ მოეპოვებინათ, უკანასკნელთ კი ამ პატივის შენარჩუნება სურდათ. მოღუშულიყვნენ, რომისა და ტეტრარქის მტრებს—ფარისეველებს განსაკუთრებით ჩამოსტიროდათ სახე. ტუნიკის კალთები ფეხებში ებლანდებოდათ. თავს დარქმული ვარშამაგები მოირწოდა საღვთო ტექსტებით აკრელებულ ეტრატის შუბლსაკრავებს ზემოთ.

მეწინავეთა რაზმიც გამოჩნდა. ფარებისთვის ხალთა ჩამოეცვათ, რათა არ დამტვეროდათ. მათ უკან კონსულის ნაცვალი მარკელუსი მოდიოდა, მეზვერეები თან ახლდნენ, ილღიებში ხის დაფები ამოეჩარათ.

ანტიპამ თავისი ამაღა წარუდგინა ვიტელიუსს: ტოლმაი, კანთერა, სეპონი, ამონიოს ალექსანდრიელი — კუპრით მომმარაგებელი, ქვეითი სპის სარდალი ნამანი და იასიმ ბაბილონელი.

ვიტელიუსმა მანვე გამოარჩია:

— ეს ვინღა?

ტეტრარქმა უთქმელად ანიშნა — ჯალათიო.

მერმე სადუკეველნი წარუდგინა.

იონათანმა, ტანმორჩილმა და თამამმა კაცმა, სტუმარს ბერძნულ ენაზე სთხოვა — თუ იერუსალიმს გაემგზავრებით, პატივოდაგვდეთ და გვეწვიეთო.

ცხვირმოკალულმა, გრძელწვერა ელეაზარმა ანტონიუსის კოშკში საერო ხელისუფალთაგან დაცული მღვდელთმთავრის ლაბადა მოითხოვა ფარისეველთათვის.

შემდეგ გალილეველებმა ვიტელიუსის წინაშე შეასმინეს პილატე პონტოელი. ვილაც გამოჩერჩეტებული დავითის ოქროს ლარნაკებს ეძებდა. თურმე სამარიის მახლობელ პარესში და ამის გამო მცხოვრებნი მთლად ამოუყლეთია პილატეს. ერთად აყაყანდნენ, მანვე ყველაზე მეტს ქაქანებდა. ვიტელიუსმა განაცხადა — დამნაშავეთ სასჯელი არ ასცდებათო.

ერთ-ერთ სტოასთან ღრიანცელი ატყდა. მებრძოლთ მალლა ჩამოეკიდათ ხალთაშემოხსნილი ფარები, რომლებზედაც კეისრის სახე იყო ამოჭდეული. ეს ამბავი იუდეველებმა კერპთაყვანისმცემლობად მიიჩნიეს. ანტიპა მათ დაშოშმინებას შეეცადა. სვეტებს შუა, მალლა აზიდულ საკარცულში გაწოლილი ვიტელიუსი გააოცა ბრბოს გააგებამ. ახი ყოფილა მათზე, ტიბერიუსმა ოთხა-



სი ურია რომ გადასახლა სარდინიაში. საკუთარ მამულში უფრო შეუბოვარნი არიან, — გაიფიქრა და ფარების ჩამოღება ბრძანა.

შემდეგ პროკუნსულს შემოერთყა ბრბო. ევედრებოდნენ, სამართალი დაგვიწესეო, ზოგი დაწინაურებას ითხოვდა, ზოგიც — მოწყალებას. სამოსელი შემოიძარცვეს, ჩოჩქოლებდნენ. მათ გასათანტავად ფარეშები თავგამოდებით იქნევდნენ კომბლებს. კარიბჭესთან მდგომნი უკან იხევდნენ, დანარჩენები მალლა მიიწევდნენ და ხალხის ორი შემხედური ნაკადი ეხლებოდა ერთმანეთს. ზღუდეებში გამომწყვდეული ბრბო ბობოქრობდა.

ვიტელიუსმა გაიკვირვა ერის სიმრავლე. ანტიპამ განუმარტა, რომ ეს ხალხი მის დღეობაზე მოსალხენადაა მოსული, და გაახედა ქონგურებზე გადმოკიდებული მსახურებისაკენ, რომელთაც ზემოთ აჰქონდათ ხორცი, ხილითა და ბოსტნეულით სავსე გოდრები. ეზიდებოდნენ არჩევებსა და ყარყატებს, ლაყვარდისფერ უზარმაზარ თევზებს და ყურძნის აკიდოებს. საზამთრო და ბროწეული მთებად იდგა, ავლუსი სამზარეულოებისაკენ გაეჟანა და დააცხრა საკმელს. ტყუილად როდი იყო მისი ღორმუცელობა საქვეყნოდ ცნობილი.

სარდაფთან ჩავლისას ვიტელიუსმა საომარი აღჭურვილობის მსგავსი ვეებერთელა კარდლები შენიშნა, მათი დათვალიერება მოიწადინა და ციხე-სიმაგრის მიწისქვეშა სენაკების ბჭეთა დახსნა მოითხოვა.

კლდეში შეჭრილ სენაკებს აქა-იქ ბიჭები ჰქონდა შეყენებული და ზემოდან მაღალი თალი წამომხობოდა. პირველ სენაკში ძველებური თორნაბჯარი ეყარა, მეორე სავსე იყო ჰოროლებით, რომელთა ბუნები ფრთების კონაში გამოჩრილიყო; მესამეში იმდენი მომცრო ისარი იყო ერთმანეთის მიყოლებით დასობილი, რომ სენაკი ლერწმის ჰილობით მოფარდაგულს ჰგავდა. მახვილის პირებს დაეფარა მეოთხის ტიხრები, მეხუთე სენაკის შუაგულში შეგრაგნილი გველებივით დაეხვავებინათ წვეტიანი ჩაჩქნები. მეექვსეში კაპარჭებს გარდა არაფერი გაირჩეოდა. საწვივეებს აევსო მემვიდე; მერვეში სამკლავეები ეყარა. დანარჩენებში მრავლად იყო ჩქიფები, კაუჭები, კიბეები, ბაგირი, ფილაკენის ღერძები და ღურკან აქლემთათვის კისრის ღვედზე ჩამოსაკონწიალებელი ზანზალაკებიც კი. მთის ძირი ფართოვდებოდა და ფიქსასავით იყო და-

ღარული. ამ საკნებს ქვეშ უამრავი მღვიმე იყო კიდევ უფრო ღრმად ჩაქარგული მიწის წიაღში.

სამი საქურისი კელაპტრებით აშუქებდა მიწისქვეშეთს. ვიტელიუსი, მისი თარჯიმანი ფინეზი და მეზვერეთუხუცესი სიზენა გულმოდგინედ ათვალიერებდნენ იქაურობას.

ბარბაროსთაგან შემოდებული საზარელი იარაღი გამოირჩეოდა მრუშეში. სამკვალჩასობილი კვერთხებისა და კრილობათა მოსაწამლად დაშხამული ლახვრების გვერდით, ნიანგის დაბჩენილი ყბის მსგავსი მარწუხები ეყარა. მაქერუზის ციხე-დარბაზში ტეტრარქი ორმოცი ათასი კაცის საომარ აღკუთრელობას ინახავდა.

შავი დღისთვის მოუყარა თავი ჯაქვე-ჯავშანს. მტრები თუ პირს შეკრავდნენ, დახვედრა ხომ იყო საპირო! მაგრამ პროკონსულს შეეძლო ეფიქრა ან ეთქვა, რომ ჰეროდე რომაელებთან შებმას აპირებდა და დაბნეული ტეტრარქი თავის მართლებას ცდილობდა.

ეს ყველაფერი ჩემი როდია, ზოგი აბრაგთა მოსაგერიებლად მჭირდება, ზოგიც — არაბთა დასათრგუნადად; ეს იარაღი მამაჩემს ეკუთვნოდაო. უკან გადევნების მაგიერ წინ უსწრებდა პროკონსულს. ერთგან კედელს მიუახლოვდა, მხრები გაშალა და ტოვით დაფარა კარი. მაგრამ თავს ზევით ჩანდა წირთხლები. ვიტელიუსმა შენიშნა და კარს უკან დაფარულით დაინტერესდა.

მხოლოდ ბაბილონელს შეეძლო გაღება.

— მომგვარეთ ბაბილონელი! — დაიქუხა მან.

იასიმის მოსვლამდე შეიცადეს.

იასიმის მამა ხუთასი მხედრით გადმოხვეწილიყო ეფფრატის ნაპირებიდან და დიდი ჰეროდესთვის შეეთავაზებინა აღმოსავლეთის საზღვართა დაცვა. სამეფოს დაქუცმაცების შემდეგ მისი ვაჟიშვილი ფილაპეს შერჩენოდა და ამჟამად ანტიპას ემსახურებოდა.

ბაბილონელი გამოცხადდა. მშვილდი მხარილივ გადაეგდო, ხელში მათრახს ატრიალებდა. კრელი ზონრები მჭიდროდ შემოტმასნოდა მოგრეხილ წვივებზე, უსახელო ტუნიკა ეცვა და ვეებერთელა ხელები უშნოდ გაეფარჩხა. ქათიბის წოწოლა ქუდი ჩრდილს ფენდა მის სახესა და კოწოლად დაყრილ წვერს. თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერ გაეგო თარჯიმნის ნათქვამი. ვიტელიუსმა მწყურალად გახედა ანტიპას. მაშინ ანტიპამ ბრძანება გაუმეორა ბაბილონელს. იასიმმა ორივე ხელი მიაბჯინა კარს და იგი კედელში შესრიალდა.

თბილი ჰაერის ქავლები დაიძრა სიბნელიდან. დაკლაკნილ ტა-

ლანს ჩაპყენენ და პარეხის ზღურბლს მიადგნენ. იგი მიწისქვეშეთის სხვა სენაკებზე უკრცესი იყო.

ციხის კიდეს კბოდე იცავდა. უფსკრულის პირას თალი გამოჩნდა. უსურვაზის ლერწები შემოხვეოდა კამარას, აქა-იქ სინათლებზე უელყელობდნენ ყვაილები. დაბლა წყარო მოჩუხჩუხებდა.

ასამდე თეთრი ულაცი ყბის დონეზე დამაგრებული ტაბლებიდან ჰამდა ქერს. ლურჯად შეფერილი ფაფარი აცქვეტილ ყურებსშუა ჩამოშლოდათ პარიკივით. ქაჩაჩი მოწნული კოქსაკრავებით ჰქონდათ გაკრული. გრძელ კუდს იცემდნენ ფლოქეებზე. პროკონსულს ალტაცებისაგან სიტყვა გაუშრა.

საოცარი ცხენები იყვნენ! უნასებზე მოქნილნი და ჩიტის უმარდესნი, მხედრის გასროლილ ისარს მიჰყვებოდნენ კვალდაკვალ; მუცელზე კბენით თავქვე აგდებდნენ მოსისხლე მხედართ, გზას მიიკვლევდნენ კლდეებში, უფსკრულებს გადაეცლებოდნენ თავს და სისხამ დილიდან დაღამებამდე დაჭირითობდნენ მინდვრად. ერთი შეძახება კმაროდა მათ დასაურვებლად. ცხვრის ფარა რომ მწყემსს მიაშურებს, ასე გაექანნენ იასიმისკენ, კისრები წაიგრძელეს და დანალელიანებულეებმა უმწეო თვალეი მიაპყრეს პატრონს. იასიმმა, ჩვეულებისამებრ, ხრინწიანი ხმით შეჰყვილა, მაშინ კი გამოცოცხლდნენ, ყალყზე დგებოდნენ და ქენებას ითხოვდნენ სივრცეს მონატრებული რაშები.

ანტიპას შეშინებოდა, ვიტელიუსმა რემა არ წაასხასო და ალყის დროს გამოსაყენებელ განსაკუთრებულ ქარვასლაში გამოემწყვდია ცხენები.

— თავლა არ გივარგა! — ჩაულაპარაკა პროკონსულმა, — ასე ხომ დაღუპავ პირუტყვს! სიზენა, აბა, აღწერე!

მეზვერემ ქამარში გაჩრილი ფირფიტა ამოიღო, ცხენები გადათვალა და ჩაინიშნა.

გარეუბნები რომ უკეთ ეყვლიფათ, ხაზინადრებს მოსყიდული ჰყავდათ მმართველები. სიზენას არაფერი გამოეპარებოდა, ყველგან ყოფდა მელიის ცხვირს და ყველაფერს ამჩნევდა მისი მოხამხამე თვალეი.

ბოლოს ეზოში გავიდნენ.

აქა-იქ იატაკის ფილებს შორის ჩანდა ბრინჯაოს სარქველები, რომლებითაც წყლის მოსაკავებელი ქვევრები იყო დაგმანული. ყველაზე დიდი ხუფი მოსინჯა სიზენამ. ფეხის დაბაკუნებისას იგი სხვებ-

ზე ყრუდ ჟღერდა. ყველას სათითაოდ დაუბრაახუნა და დაიღრიალა:

— მივაკვლიე, ჰეროდეს საგანძურს მივაკვლიე!

ტეტრარქის საუნჯეთა ძიებაზე შეშლილნი იყვნენ რომაელები. ამად ირწმუნებოდა ჰეროდე — არავითარი განძი და თვალმარგალიტი არ გამაჩნიაო.

აბა რა უნდა ჰქონდეს აქ დაფარული?

— არაფერი, კაცია დატყვევებული.

— მიჩვენე! — შესძახა ვიტელიუსმა.

იუდეველნი შეიტყობდნენ მის საიდუმლოს, ამიტომ ტეტრარქმა არ გაუგონა პროკონსულს. ანტიპას სიჯიუტემ მოთმინება დაუკარგა სტუმარს.

— ამოტეხეთ, სასწრაფოდ, ამოამტერიეთ! — შეჰყვირა მანდატურთ.

ჩუგლუგის დანახვაზე მანამ იფიქრა, იოქანანისთვის თავის მოკვეთას თუ აპირებენო და პირველი დარტყმისთანავე შეაჩერა კარისკაცები. სარქველსა და ფილებს შუა კაუჭი ამოსდო, შემდეგ მოჰაჩა გრძელი და გაძვალტყავებული ხელებით. ხუფი ნელა აიწია და ამოვარდა. მოხუცის ძალ-ღონემ ყველა გააოცა. ძელის ორმაგ სარქველს ამოკრული იმავე ზომის ფირფიტა მუშტის დარტყმით ორად გაიპო და უშველებლი ხარო გადაიხსნა მათ წინ. შიგ უმოაჯირო კიბე იყო ჩაშვებული. ვინც გადაიხარა, რალაც ბუნდოვანი და შიშისმომგვრელი იხილა ფსკერზე.

ადამიანის მსგავსი არსება განრთხმულიყო მიწაზე. მოშვებული თმა ზურგზე წამოსხმულ ბეწვში შეთელოდა. წამოდგა, შუბლით შეეხო მღვიმეში განდაგან ჩაჭედილ ცხაურს. დროგამოშვებით უჩინარდებოდა ორმოხ სიღრმეში.

მზის სხივებმა ააციმციმა ვარშამაგები და ხმლის ვადები, გაჯარვარა ფილაქანი. სამერხულებიდან მოფრინავდნენ მტრედებში და ეზოს დაჰფარფატებდნენ. მანაე ამ დროს ზორბლით აპურებდა ხოლმე მათ. ახლა კი იგი ვიტელიუსის გვერდით მდგარ ტეტრარქთან ჩაცუცქულიყო: გალილეველნი, მღვდელთმოდვარნი და მეომრები რკალად შემორტყმოდნენ, იდგნენ უჩუმრად და რალაცას შემაზრზენს ელოდნენ.

სამარიდან მოღწეული ხმის მსგავსი ღრმა ამოხვენეშა მოისმა.

ჰეროდემ სასახლის მეორე კიდეში გაიგო ეს საოცარი ხმა, მო-

ნუსხულივით გამოემართა, ბრბო გააპო, მხარზე ჩამოეყრდნო მანაეს და წელში მოკაკულმა დააყურა.

ხმა კვლავ გაისმა:

— ვაი თქვენდა, ფარისეველნო და საღუკეველნო! ნაშობნო ჩქედნეთანო! თხიერნო დაცლილნო, ავად მელერნო წინწილანო! იცნეს იოქანანანი. ყველას მისი სახელი ეკერა პირზე. ხალხი მოიწევდა მღვიმისაკენ.

— ვაი შენდა, ერო! ვაი თქვენდა, ჰურიასტანის გამცემელნო, ეფრაიმიტელნო მემთვრალენო! ვაი თქვენდა, ნაყოფიერი ველების მკვიდრნო, ღვინით გაბრუებულნი რომ დაბანდალებთ!

აღიგავოს ერი პირისაგან მიწისა, ვითარცა წყალი დაშრეტილი, ვითარცა ქვემძრომი ლოფორთქინა, ვითარცა უღღეური ნაყოფი, ქალის საშოდან მზის სინათლეზე გამოღწევა რომ არ უწერია!

მოაბ! საროს რტოებში ბელურასავით მოგიწევს მალვა, ვირთხასავით შეეფარები გამოქვაბულებს! თხილის ნაჭუჭივით მოისრვის შენს სიმაგრეთა კარიბჭეები, ზღუდეები გაცამტვერდება, ცეცხლს მიეცემა ქალაქები! მარადიულობის მსახვრალი ხელი არ შეჩერდება! სამღებროს კარდალში მოტივტივე თივთიკის ქსოვილივით ამოავლებს ასო-ასო აქნილ თქვენს სხეულს თქვენსავე სისხლში, ალესილი ცელით მოგცელავთ და მთებზე მიმოფანტავს თქვენი ხორცის ნაფლეთებს!

რომელ დამპყრობელს გულისხმობს? ვიტელიუსს ხომ არა? მხოლოდ რომაელთ თუ შეუძლიათ ქვეყნის ასე გაპარტახება.

ჩივილი გაისმა:

— გვაკმაროს, გვაკმაროს, დადუმდეს!

ხმას აუწია:

— დედათა გვამებთან იფორთხებენ ძეძუთა ბალები! შუალამით ნამუსრევში ლუკმაპურის საძიებლად იძრწოლებს ხმალამოწვილილი ხალხი. მოედნებზე, სადაც უხუცესნი ბჭობენ საღამოჟამს, ტურები მოსტაცებენ ერთმანეთს დახრულ ძვლებს. ცრემლმორეული შენი ქალწულები ღრეობებზე კითარაზე დაკვრით მოალხენენ უცხო თესლთ. შენი უმამაცესი ვაჟაკები ქელს დაიდრეკენ მძიმე უღლის ქვეშ!

ერი კვლავ იხილავს სამშობლოდან ლტოლვას, ცხოვრების ჩარხის უკუღმა ტრიალს!

ძვილ წინასწარმეტყველთა შეჩვენებებს ერთიმეორის მიყო-  
ლებით ისროლა იოქანაანი.

უეცრად მისი ხმა დატკბა, ასიმღერდა. ხალხს ხსნა აღუთქვა.

— ზეცა გასხივოსნდება, ახალშობილი ხელში გამოიმწყვდევს  
ურჩხულის ბუნაგს. თიხას ოქრო შეცვლის, გადახრუკული უდაბნო  
ვარდნარივით იყვავილებს. ის, რაც სამოც კიკარად ფასობს, ერ-  
თი ობოლიც არ ელირება. რძის შადრევნები ამოხეთქავს კლდე-  
ებიდან. გამაძლარ ხალხს მარნებში მიეძინება. როდის მოველი-  
ნები ქვეყანას შენ, რომელს მე გელი! ყოველი ერი მუხლს  
მოიდრეკს შენს წინაშე, მარადისი იქნება სუფევა შენი, ძეო დავი-  
თისო!

ტეტრარქმა უკან დაიხია. დავითის ძის არსებობა მუქარასავით  
აღიზიანებდა და შეუარცხოფდა მას.

იოქანაანი ანტიპას მეფურ ღირსებას შეეხო:

— არა არს მეუფე, თვინიერ საუკუნოისა!

ურჯულო აქაბივით შეაჩვენა ჰეროდე, მიწასთან გაასწორა  
მისი წალკოტები, ქანდაკებები, სპილოს ძვლის ავეჯი.

ჰეროდემ ჩამოიგლიჯა მკერდზე ზონრით ჩამოკიდებული ბე-  
ქედი, ორმოში ისროლა და დადუმება უბრძანა ტუსაღს.

მღვიმიდან ხმამ უპასუხა:

— დათვივით ვიღრიალებ, ვიზახებ კანჯარივით, მშობიარობის  
ტკივილებით განაწამებ ქალსავით ვიკივლებ!

სისხლის აღრევისათვის სასჯელი უკვე მოგეზლო, ჯორის სი-  
ბერწე გარგუნა ღმერთმა!

ბობოქარი ტალღების ზათქივით გაისმა ხარხარი.

ვიტელიუსი ფეხმოუცვლელად იდგა. თარჯიმანი რომაელთა  
ენაზე მშვიდად იმეორებდა იოქანაანის მიერ რისხვით აღმონათქვამ  
შეჩვენებას. ცოლ-ქმარი იძულებული იყო ორჯერ მოესმინა იგი.  
ტეტრარქს სუნთქვა ეკვროდა, ჰეროდია თვალს არ აშორებდა  
ორმოს ფსკერს.

მიშისმგვრელმა კაცმა თავი უკან გადააგდო, ხარიხა ჩაბლუჯა და  
სახე მიაბჯინა. ჩირგვნარივით გაბანჯგვლულ სახეზე ორი ნალეერ-  
დალი უელავდა.

— ოჰო, ეს შენ ხარ, იეზაბელ?!

შენი ქოშების ბაკუნით დაატყვევე ჰეროდეს გული. ფაშატივით

კიზინებლი, მთის თხემზე დგამდი საკარცხულს და გამოსაჩინად სწირავდი მსხვერპლს!

უფალი შემოგაძარცვავს ძოწეულ სამოსს, სელის რიდეებს, საყურეებს, მკლავზე ახირხლულ სამაჯურებს და ფეხებზე წამოცმულ სალტეებს. ოხრად დაგრჩება ოქროს ნახევარმთვარეები, ახლა რომ შუბლზე გითრთიან; ხელში ჩაგელევა სირაქლემას ფრთებით შეკრული მარაო, ვერცხლის სარკეები და სადაფის ქოშები. ტანწერწეტას რომ გაჩენენ. მამაზეციერი დათრგუნავს შენს აღმასებს, განქარდება შენი თმის სურნელი, შეფერილი ფრჩხილები! ლხენა მოგეშორება! ქვა დაილევა შენს ჩასაქოლად, ორგულო!

ჰეროდია თვალებს აცეცებდა, შემწეობას სთხოვდა ირგვლივ მყოფთ. პირმოთნე ფარისევლებმა ლიქნით მოარიდეს თვალი. სადუქვევლები ძრწოლამ აიტანა — პროკონსული არ შეურაცხვეოთო — და განზე გაიხედეს. ანტიპა მიცვალებულს ჰგავდა.

ხმა ხაფლებოდა და მეხივით ჰქექდა. მთიდან მოძახილი იმეორებდა და წყევლა-კრულვა ქუხილივით თავს ატყდებოდა მაქერუხს.

— იხოხე მტვერში, ასულო ბაბილონისავ! ღერღე ხორბალი, შეიხსენი სარტყელი, წაიძვრე წულები, სამოსი აიკვალთე და გადასერე მდინარეთა ფონი! თავი მოგექრება, შენს შერცხვენას ყველა შეიტყობს! კბილთა ღრქენით იგოდებ! უზუნაესი გმობს შენს სიბილწეს! წყეულო! შეჩვენებულო! ძუკნა, ძალღივით ჩაკვდები!

ხუფი ჩაიხურა, საჩქველი ჩაიკეტა. მანავს იოქანანის მოხრჩობა სურდა.

ჰეროდია გაქრა. ფარისევლნი დაობდნენ. ანტიპა მათ შორის იდგა და თავს იმართლებდა.

— რა თქმა უნდა, შეიძლება ძმის ცოლის შერთვა, — დაიწყო ელვაზარმა, — მაგრამ უბედურება ისაა, რომ ჰეროდიას ბავშვი ჰყავდა და თანაც ქერივი არ ყოფილა.

— ცდებით, ცდებით, — განაცხადა სადუქვეველმა იონათანმა, — კანონი ბრალს სდებს ასეთ შეუღლებას, მაგრამ სასტიკად არ კრძალავს.

— მით უმეტეს! უსამართლოდ განმსაჯეს! — ჩაერია ანტიპა, — აბესალომი მამამისის ცოლების სარეცელს იზიარებდა, იუ-

და — რძლისას; ამონს თავისი და, ლოტს კი საკუთარი ახულე-  
ბი ესვა ხარკვბად!

ამასობაში ავლუსმაც გაიღვიძა. როცა შეიტყო დავის მიზეზი,  
ტეტრარქი გაამართლა — განა შეიძლება ასეთი სისულელით  
თავის შეწუხებაო. ბევრი იცინა მღვდელთმოდღვართა კილვისა  
და იოქანანის რისხვის გამო.

ზღურბლზე შემდგარი ჰეროდია ავლუსს მიუბრუნდა:

— ცუდად შეგიტყვია, ბატონო! იოქანანის ხალხში შფოთს  
აღვივებს, ხარკის გადაებაზე სურს უარი ათქმევინოს!

— ნუთუ მართლა? — იკითხა მეზვერემ.

ყველამ კვერი დაუკრა. ტეტრარქმაც დაუდასტურა.

ვიტელიუსს შეეშინდა — ტუსალი არ გაიქცესო, ანტიპას საქ-  
ციელიც საეკვოდ ეჩვენა. ამიტომ მცველები დააყენა ციხის ბქეს-  
თან, გალავნის გაყოლებით და ეზოში.

შემდეგ მისთვის განკუთვნილი პალატებისკენ გასწია,  
მღვდელთმოდღვართა წარგზავნილები გაედევნენ.

მსხვერპლის შეწირვაზე კრინტიც არ დაუძრავთ, ყველა თავის  
საჩივარზე აწუწუნდა.

თავი შეაწყინეს და ვიტელიუსმა დაითხოვა ისინი.

უკან გამობრუნებულმა იონათანმა სამერხულიდან თვალი მოჰ-  
კრა თმამოშვებულ, თეთრსამოსიან ესეველთა მოსაუბრე ანტი-  
პას და ინანა, მას რომ მიემხრო.

ერთი აზრი ნუგეშს სცემდა ტეტრარქს: იოქანანის ბედი მას-  
ზე აღარ იყო დამოკიდებული, ამიერიდან რომაელები იზრუნებდ-  
ნენ ტუსალზე. შვებით ამოისუნთქა. სარკმელთან ფანუელმა  
ჩაიარა.

ანტიპამ უხმო და მცველებზე მიუთითა:

— ძალა მათ მხარესაა, მე აღარ მეხება მისი გამოშვება. აბა,  
რა ჩემი ბრალია!

გალავანი დაცარიელდა. მონები ისვენებდნენ. სისხლისფრად  
ანთებულ ცის კიდეზე მცირე საგნებიც შავად ინაკვთებოდა.  
შკვდარი ზღვის გაღმა ნაპირზე მარილსახდელი გაზრჩია ანტი-  
პამ. არაბთა კარგები აღარ ჩანდა. ეკვი არ იყო, ალყა მოეხსნათ  
და წასულიყვნენ. მთვარე ამოცურდა. ჰეროდეს სულში სიმ-  
შვიდემ დაისადგურა.



დამწუხრებულ ფანუელს თავი მხრებში ჩაერგო. მერმე თავისი სათქმელი გაუმხილა ტეტრარქს:

თურმე თვის პირველი დღეებიდანვე გათენებისას კვრეტდა ცარგვალს. პერსეს ვარსკვლავთა დასი შუბის ტარზე მდგარა, ავალაპი ოდნავ ამოწვერილიყო, ალგოლს შუქი მიჰკლებოდა, ვეშაპის მირა მთლად გამჭრალიყო. ამაღამდელ ღამეს მაქერუზში დიდი კაცის გარდაცვალება აუწყა ზეცამ ვარსკვლავთმრიცხველს.

ვინ უნდა იყოს ნეტავ? ვიტელიუსს მცველი არ აკლია, იოქანანის დასჯას არ აპირებენ. ნამდვილად მე კვკვდები — გაიფიქრა ტეტრარქმა.

ეგებ არაბთა სპა მობრუნდეს? პროკონსულმა რომ გაამხილოს პართელებთან მისი კავშირი? იერუსალიმელი მოსყიდული ჯალათები თან ახლავან მღვდელთმოდვართ, სამოსელში ხანჭლები აქვთ დამალული. არა და, ფანუელის სიბრძნეში ექვის შეტანა არ შეეძლო.

პეროდისთან მისვლა არჩია. მართალია, სძულდა იგი, მაგრამ ქალი გაამხნევებდა, შეაგულიანებდა. ჯერ კიდევ მთლად არ წაშლილა მასთან განცილილი სიამტკილობის მოგონება.

პეროდისთან რომ შევიდა, პორფირის ლარნაკში დარიჩინი ეკვამლებოდა. ფერუმარული, ნელსაცხებლები, ღრუბლის ფთილების მსგავსი ქსოვილი და ბუმბულის უმსუბუქესი მაქმანი იყო ოთახში მიმოფანტული.

სიტყვა არ დაუძრავს ფანუელის წინასწარმეტყველებაზე, არც იუდეველთა და არაბთა წინაშე ძრწოლა გაუმხელია, — ლაჩრობას დასწამებდა პეროდია. მხოლოდ რომაელები ახსენა. ვიტელიუსს თავისი საბრძოლო გეგმები არ გაუნდვია მისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, შეხმატკილებული უნდა იყოს გაიუსთან, რომლის ხშირი სტუმარია აგრიპა. ისინი უთუოდ გააძევებენ ტეტრარქს. ვინ იცის, ეგებ ყელიც გამოიღადრონ.

პეროდია ცალკებად შეეცადა მის დამშვიდებას. მერმე პატარა ზარდახშიდან ამოიღო უცხოური მედალი, რომელზედაც ტიბერიუსის პროფილი იყო ამოტვიფრული. ეს კმაროდა მანდატურთა, ფერგასაკრთომად, მედლის ხილვით წყალში ჩაუტყვივოდათ ჯველა ბრალდება.

გული აუჩუყდა ტეტრარქსა და ჰკითხა, სად იშოვეო.

— მიძღვნეს! — მოკლედ მოუჭრა პეროდია.

ანტიპას წინ კრეტსაბმელმა გადაიწია და ვილაცამ შიშველი მკლავი გამოყო. ნატიფი და მომხიბვლელი იყო ნორჩი ასულის მკლავი, სპილოს ძელიდან პოლიკლეტეს გამოჰკრეთილს ჰგავდა. უხერხულად, მაგრამ ნაზად გაიქნია ხელი ასულმა, კედლის სი-ახლოვეს სკამზე დარჩენილი ტუნიკის გადმოთრევა სურდა.

მოხუცმა მხევალმა ფარდაგი გადასწია და მიაწოდა.

ტეტრარქს რალაც შოაგონდა, მაგრამ ვერ გაუკვია.

— შენი ფარეშია?

— რა შენი საქმეა! — მიუგო ქალმა.

წვეულთ აევსოთ ღრეობისათვის განკუთვნილი დარბაზი.

იგი ძელის ბოძებით ბაზილიკასავით სამ ნავად იყო გაკვეთილი. ქანდაკებებით დამშვენებული ბრინჯაოს ბულაურები ედგა სვეტებს, რომელთაც ხარისხებით დაცხრილული ორი ტალანი ეყრდნობოდა. დარბაზის ბოლოს უშველებელი თალი იყო. ოქროთი მოპირკეთებული მესამე ტალანი ამ თალამდე აღწევდა.

ნავის მთელ სიგრძეზე სუფრები გაეშალათ. აღმოდებულ ბუჩქებს ჰგვანდნენ ქაშანურ თასებსა, სპილენძის ლანგრებსა, თოვლით სავსე კოთხოებსა და ყურძნის მტევნებს შუა აბრიალებული ქორკანდელები. კელაბტართა მოწითალო ალი თალის სიღრმეში ინთქმებოდა. ხის რტოებში მოციმციმე ვარსკვლავებით კრთებოდნენ ნაპერწკლები. სააკმლის ვეებერთელა ღიობიდან ჩანდა ტერასებზე ანთებული ჩირაღდნები. ანტიპა უმასპინძლდებოდა მოყვასთ, ერს, ყველა წვეულს.

თექის სანდლებით ფეხდამოსილი, მწვეარივით ცქვიტი მონები არიგებდნენ კერძებს.

პროკონსულის მაგიდა ნეკერჩხლის ფიცრებით მოგებულ შოქრულ კვარცხლბეკზე იდგა. ბაბილონური ნოხები თანამეინახეთაგან მიჯნავდა მის სამყოფელს.

სპილოს ძელის სამი ტახტი განკუთვნილი იყო ვიტელიუსისათვის, მისი შვილისა და ანტიპასთვის. ერთი შუაში იდგა. ორი — აქეთ-იქით. პროკონსულს მარცხენა მხარეს, კართან მოეკალათა; ავლუსი მარჯვნივ, საკარცხულში ჩასვენებულიყო; ტეტრარქი მათ შორის იჯდა, მძიმე მოსასხამი ებურა. შავადგილიანი ქსოვილი ფერადსახიან ნაქარგში მიჩქმალულიყო. ყბები შეეფერა,

წვერი მარაოსავით გაეშალა. ლაევარდისფერი ფხენილით შეფრქვეული თმები ძვირფასი თვლებით მოკეცილი ჯილით ჰქონდა აჭიმული. ვიტელიუსს წითელი ყაბიწი ირიბად ჩამოშვებოდა სელის ტოგაზე. ავლუსს ზურგზე გაეკრა ვერცხლით მოსირმული იისფერი აბრეშუმის სამოსის ყურთმაჯები. თმა კულულებად დაჰყროდა. ქალივით სავსე თეთრ მკერდზე საფირონის შიბი უციმციმებდა. გვერდით ეჯდა ფეხმორთხმული ლამაზი ბიჭი, პირზე ღიმილი არ სცილდებოდა. ავლუსს სამზარეულოში მოეკრა მისთვის თვალი, წამოეყვანა და უმისობა აღარ შეეძლო. ბიჭის ქალღეური სახელის დამახსოვრება უჭირდა და მარტივად „აზიელი“ შეარქვა. დროდადრო ავლუსი გაწვებოდა ხოლმე სუფრასთან საკარცხულზე და მისი შიშველი კანკები მეინახეებს თავს ზემოთ დაქანაობდა.

ავლუსის მხარეს ჩარიგებულ იყვნენ მღვდელთმთავარნი, ანტიპას სპის სარდლები, იერუსალიმის მკვიდრნი და წარჩინებულნი ბერძენთა ქალაქებისა. პროკონსულის იქით იჯდა მარკელუსი თავისი მეზვერეებით. აქვე იყვნენ ტეტრარქის მოკეთეები, კანელი, პტოლემიდელი და იერიქონელი დიდებულები. ერთმანეთში არეულიყვნენ ლიბანის მთიელნი და პეროდეს ძველი მეომრები: თორმეტი თრაკიელი, ერთი მებრძოლი გერმანთა ტომიდან, ქურციკზე მონადირენი, იდუმელი მწყემსები, პალმირის ხონთქარი და ეზიონგაბერის მეზღვაურები. ყოველ მათგანს ასორსლილი პურის გული ელო წინ გათხუპნილი თითების შესახოცად. ქორივით დააცხრნენ საკმელს, მუქებს ივსებდნენ ზეთისხილით, ფსტითა თუ ნუშით. ყვავილწნულებით მორთული სახეები გაბადროდათ.

ფარისეველებმა არ ისურვეს გვირგვინებით შემკობა. იუკადრისეს ეს რომაული ჩვეულება. როცა აშიფისა და ტადარში სახმარი საკმეველის ნაზავი მოაპკურეს, ისინი მთლად აცახცახდნენ.

ავლუსმა იღლიები დაიზილა ნელსაცხებლით. ანტიპა საჩუქრად დაჰპირდა ერთ ჰვირთ გუნდრუქს და სამ კალათ ნამდვილ ინას. სწორედ ინამ მოასურვა კლეოპატრას პალესტინა.

ტიბერიადის სპის სარდალი შემოვიდა და ანტიპას უკან დადგა. რაღაც მნიშვნელოვანი ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ტეტრარქს პროკონსულისა და მეზობელ სუფრებზე მოლაპარაკეთათვის მიეპყრო გულისყური.

ისინი საუბრობდნენ იოქანანასა და მისი ყაიდის ხალხზე. სვიმეონ გიტოელი ბოროტებათაგან ცეცხლით განწმედს ცოდვილთ-ვილაც იესო...

— ეგ სხვებზე უარესია, სამარცხვინო თვალთმაქცია! — წამოიძახა ელეაზარმა.

ტეტრარქის უკან კაცი წამოიმართა, თავისი ქლამინდის ქობასავით იყო გადაფითრებული. ამალღებული ჩამოიარა და ფარისეველთ მიმართა:

— ცრუობთ! იესო სასწაულთმოქმედია!

ანტიპამ მისი ხილვა მოინდომა:

— მოგეყვანა ნეტა! რაიმე მოგვითხარ მასზე!

მოჰყვა, რომ მას იაკობს უხმობენ, ერთი სნეული ასული ჰყოლია; კაფარნაუმს წასულა, თურმე სურდა მოძღვარს შევედრებოდა ქალიშვილის განკურნვას. მას მიუგია: „წარვედ სახილ შენდა, აღდგენილ არს ასული შენი“. შინ რომ მობრუნებულა, ზღურბლზე შემოჰგებებია ასული. მზის საათი სამს უჩვენებდა, როცა წამომდგარა. სწორედ ამ დროს უთხოვია მას იესოსთვის წყალობა.

რა თქმა უნდა, სიტყვა შეუბრუნეს ფარისეველებმა. არსებობს გამოცდილება, სამკურნალო ბალახები. რამდენჯერმე მაქერუზის მიდამოებშიც კი უპოვიათ ბააარასი — ოქროს ბალახი, რომელიც საღმობათაგან იცავს კაცს. მაგრამ უხილველად და შეუხებლად განკურნვა წარმოუდგენლად მიიჩნის. ეშმაკის დახმარებით თუ კურნავს, მაშინ სხვა საქმეაო, — ამბობდნენ.

ანტიპას მეგობარი გალილეველი აზნაურები თავის კანტურიტო იმეორებდნენ:

— ცხადია, ეშმაკის ძალით განასხამს ეშმაკთ!

იაკობი ზვიადად იდგა ფარისეველთა და მღვდელთმოძღვართა სუფრებს შორის და მდაბლად ღუმდა.

— დაგვიმტკიცე მისი ძლიერება, დაგვიდასტურე მისი ყოვლისშემძლეობა! — ფთხოვდნენ მისგან.

მხრებში მოიხარა და დაბალი ხმით ნელა თქვა, თითქოს საკუთარ თავს ეკრძაღვოდა:

— განა არ იცით, რომ ივია მესია!

მღვდელთმოძღვრებმა ერთმანეთს გადახედეს. ვიტელიუსმა

აზრი ვერ გაიგო ნათქვამისა და ახსნა მოითხოვა. თარჯიმანმა დააყოვნა პასუხი.

ასე უხმობენ იუდეველნი მხსნელს, რომელიც სიკეთეს მოუტანს მათ, ყოველი ერის მეუფებას მისცემს იუდეველთ. ზოგი ამტკიცებდა, ორ განმათავისუფლებელს უნდა მოველოდეთ, პირველს დასცემს ჩრდილოეთის ავი სულები გოგი და მაგოგი, ხოლო მეორე დათრგუნავს ბოროტების მთავარსო. მაცხოვარს ელიან საუკუნეთა მანძილზე, ყოველ წამს, ყოველ წუთს.

მღვდელთმოდკვრებმა მოითათბირეს და მათი სახელით სიტყვა თქვა ელეაზარმა:

— უპირველეს ყოვლისა, მესია უნდა იყოს ძე დავითისი და არა ვილაც ხუროსი. ნათქვამია, იგი კანონს განამტკიცებსო, ნაზარეველი კი მხოლოდ არღვევს მას. — ყველაზე სარწმუნო საბუთად ის მოიხმო, რომ, როგორც წინასწარმეტყველები გვაუწყებენ, ელიას მოსვლა წინ უნდა უსწრებდეს მაცხოვარს.

იაკობი ჩაერია:

— კი მაგრამ, ელია წინასწარმეტყველი მოსულია უკვე!

— ელია, ელია! — კიდით კიდემდე მოედო დარბაზს.

ყველას თვალწინ წარმოუდგა ყორანთა გუნდით გარშემორტყმული მოხუცი, მეხით აღმოდებული სამსხვერპლო და წარღვნით წალეკილი წარმართი ქურუმთუხუცესები. ქანდაკაზე წამოსკუბებულ ქალებს სარეფთელი ქვრივი გაახსენდათ.

იაკობი სულმოუთქმელად იმეორებდა, რომ იცნობს მას, უნახავს, ხალხსაც უხილავს იგი!

— მისი სახელი?

მთელი ძალით ამოიძახა:

— იოქანაანი!

ანტიბა უკუიქცა, მკერდში მახვილი გაუყარესო თითქოს. სადუქველნი იაკობს მიესივნენ, ელეაზარი აქაქანდა, ეგებ მსმენელი ვიშოვოო.

შემდეგ, როცა ყველა ჩაჩუმდა, ლაბადა მოისხა და მსაჯულივით იწყობ გამოკითხვა:

— რა ხანია, რაც წინასწარმეტყველი გარდაცვლილია...

ჩურჩულმა შეაწყვეტინა. ფიქრობდნენ, რომ ელია გაუჩინარდა მხოლოდ.

ბრბოს შეუღრინა და დაკითხვა განაგრძო. |

— ეგებ ფიქრობ, რომ აღსდგა?

— თუნდაც! — მიუგო იაკობმა.

სადუკეველებმა მხრები აიჩიჩეს. იონათანი თავის წვრილ თვალებს აცეცებდა და ნაძალადევად იცინოდა მასხარასავით. რა უნდა იყოს მარადიული ცხოვრებისკენ გვამის მისწრაფებაზე უფრო სულელური! მერმე პროკონსულის გასაგონად წაიკითხა თანამედროვე პოეტის ლექსი:

*Nec crescit nec post mortem durare videtur!*<sup>1</sup>

ავლუსი ტრიკლინიუმიდან გადახრილიყო და მუცელზე წაეკირა ხელები. შუბლზე ოფლი დასხმოდა, სახეზე მიწის ფერი დასდებოდა.

სადუკეველებმა ავლუსის ცუდად ყოფნა ისე შეიცხადეს, თითქოს დიდად შეწუხებულიყვნენ. მეორე დღესვე მსხვერპლის შეწირვის უფლება დაიმკვიდრეს მათ. ანტიპა სასოწარკვეთილი ჩანდა. ვიტელიუსი გარეგნულად გულგრილად შეხვდა ამ ამბავს, თუმცა შეშფოთებული იყო, — ვაჟიშვილზე ეკიდა მისი ბედი.

ავლუსმა ის-ის იყო ძალით აირია გული, რომ ხელანლა მოუნდა ჭამა.

— მომართვან მარმარილოს ნაფხვენი, ნაქსოსური ფიქალი ზღვის წყალი მომირბენინონ, რაიმე მომიტანონ სასწრაფოდ! ეგებ აბაზანა წამდგომოდა?

თოვლის გუნდებს ყლაპავდა, ერთ ხანს კოჭმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, კომაგენური კერძი გადმოეღო თუ ვარდისფრად შებრაწული შაშვები. შემდეგ თაფლში ჩახარშულ გოგრაზე შეჩერდა. გაოგნებული აზიელი თვალს არ აცილებდა. ეს საოცარი არსება იმდენ საკმელს თქვლევდა უთავბოლოდ, რომ ბიჭის წარმოდგენაში ზეკაცად იქცა.

ჩამოატარეს ხარის თირკმლები, თრითინები, ბულბულები და ვაზის ფოთლებში გახვეული გუფთა. მღვდელთმომძღვარნი აღდგომის გამო დაობდნენ. ამონიუსმა, პლატონელი ფილონის მოწაფემ, უგუნურებად ჩათვალა ისინი და თავისი აზრი გააცნო ბერძნებს, რომელნიც წინასწარმეტყველებას დასცინოდ-

<sup>1</sup> ან ძალუძთ არც ზრდა, არც სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ. (ლუკრეციუსი, „საგანთა ბუნებისათვის“).

ნენ. მარკელუსსა და იაკობს საერთო ენა გამოენახათ. პირველი მოუთხრობდა, როგორი ნეტარება ვანეცადა მითრას ნათლობაზე, იაკობი შეაგონებდა — შეუდეგ იესოსო. პალმისგან და ტირიფისგან გამონახადი სასმელები, საფეტური და ბიბლოსური ღვინოები იცლებოდა ამფორებიდან საწდეებში, საწდეებიდან — თასებში, თასებიდან — მეინახეთა ხახაში. ყბედობდნენ, გულს უხსნიდნენ ერთმანეთს. იასიმი იუდეველი იყო, მაგრამ მაინც ირ ფარავდა, რომ მნათობთ ეთაყვანებოდა. აფაკელმა მოვკარემ ჰიერაპოლისის ტაძრის სასწაულების აღნუსხვით გააოცა მომთაბარენი; კითხულობდნენ — რა დაგვიჯდება ამ ადგილის მოლოცვაო. სხვანი მამაპაპათა რჯულის ერთგულნი იყვნენ. ბრმა გერმანელი სადიდებელ ჰიმნს უგალობდა სკანდინავიის კონცხს, სადაც ღმერთები ნიმიზიანი ხატით ევლინებიან მოსაეთ. სიქემის მკვიდრებმა გვრიტებს პირი არ დააკარეს ღვთიური მტრედის — აზი-მას რიდით.

სხვები შუა დარბაზში ბაასობდნენ. კელაპტრების კვამლში შერეული ამონასუნთქი ნისლივით დარიალებდა ჰაერში. ფანულმა გალავანს ჩაუარა, კვლავ ცარგვალს უქვერტდა. ტეტრარქს აღარ მიახლოვებია, მოერიდა ზეთით სამოსის დალაქიანებას, რაც სათაკილოდ ითვლებოდა ესეველებში.

ციხის კარიბჭესთან ჩოჩქოლი ატყდა.

იოქანანის ტყვეობის ამბავი გახმაურებულიყო, ჩირადღნებიანი ხალხი ბილიკებზე მოიკლევდა გზას. ორწონებში შავად ფუთფუთებდა ბრბო. ხანგამოშვებით ღრიალებდნენ: „იოქანან! იოქანან!“

— ყველაფერი ააწიოკა! — აბუზლუნდა იონათანი.

— ასე თუ განაგრძო, გავდატაკდებით და ისაა! — დაურთეს ფარისეველებმა.

აქა-იქ ყვედრება გაისმა:

— დაგვიფარე!

— ბოლო მოუღე!

— რჯულს ნუ გმობ, ჰეროდე!

— უღვთო ხარ ყველა ჰეროდესავით!

— თავად ხართ ურჯულონი! — ხმა აიმაღლა ანტიპამ, — მა-მაჩემმა აღმართა თქვენი ტაძარი!

შემდეგ ფარისეველებმა, ლტოლვილთ ნაშიერებმა და მატა-

თიას მომხრეებმა ტეტრარქს გადააბრალეს მის საგვარეულოში ჩადენილი ყველა დანაშაული.

ამ ხალხს წაგრძელებული, უშნოდ გამოჩორკნილი თავები, გაჭაგრული წვერები და სუსტი, მაგრამ ავის მქნელი ხელები ჰქონდა. ზოგი მათგანი აპრეხილი ცხვირითა და დიდი მრგვალი თვალებით ნაგაზს წააგავდა. თორმეტიოდე მწიგნობარი და მღვდელთმოდვართა მსახური, რომელნიც სამსხვერპლოს ნარჩენებზე ითბობდნენ ხელს, მიცვივდნენ კვარცხლბეკთან და გაშმაგებულნი დანებს უღირებდნენ ტეტრარქს. ჰეროდე მათ შეგონებას შეეცადა, საღუკეველნი ცალყბად იცავდნენ მას. უეცრად მანაეს მოჰკრა თვალი და წასვლა ანიშნა. ვიტელიუსს თავი ისე ექირა, თითქოს მას არაფერი ეხებოდა.

ფარისეველები ბოროტმა ზრახვებმა აიტანა. ფეხმოუცვლელად ისხდნენ სუფრასთან. თეფშები დაფშენეს, მეცენატის საყვარელი საკმელი — კანჯრის ხორცის მსუყუ ყაურმა რომ მოიტანეს სუფრაზე. ეს კერძი უწმინდურად ითვლებოდა.

ავლუსს გაეგონა, დიდყურა ვირის თავს სცემენ თაყვანსო და აბუჩად ივდებდა ფარისეველთ. ღორის ხორცის სიძულვილის გამოც ბევრი იცინა. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ამ ჩაკურატებულმა პირუტყვმა მოახრჩო მათი ბახუსი. სამაგიეროდ შეშლილნი არიან ღვინოზე. ოქროთი ნაჭედი ვაზის ლერწებიც კი უპოვნიათ მათ ტაძარში.

მღვდელთმოდვრებმა ვერ გაიგეს მისი ნათქვამი. წარმოშობით გალილეველმა ფინეზმა უარი თქვა თარჯიმნობაზე. აზიელი ძრწოლას შეეპყრო და გაპარულიყო. ამან კიდევ უფრო განარისხა ავლუსი. არც სუფრა მოსწონდა, კერძები არ იყო რიგიანად შეკაზმული. ოდნავ დაშოშმინდა, ასურული ცხვრის ღუმის შელაბული ნაქრები რომ მოართვეს.

იუდეველთა ზნე-ჩვეულება არაფრად ეკაშნიკა ვიტელიუსს. მათ ღმერთად ისევ მოლოქი თუ გამოდგება. მის საყურთხევლებს გზად წააწყდა აქ მომავალი. მოაგონდა ბალების მსხვერპლად შეწირვა, იმ კაცის ამბავიც გაახსენდა, ებრაელები რომ ფარულად ინახავდნენ. ლათინელის სული აღამფოთა იუდეველთა შეუწყნარებლობაშ, კერპთაყვანისცემამ და უტეხმა სიჭიუტემ. პროკონსულმა წასვლა დააპირა, მაგრამ ავლუსმა არ ისურვა წაყოლა.



იგი ნაირ-ნაირ კერძებთან გაწოლილიყო, კვართი თეძომდე ჩამოსჩაჩოდა, ქამა აღარ შეეძლო, არა და, არც მისატოვებლად ემეტებოდა სუფრა.

ხალხის თავაშვებულობამ იმატა. თავისუფლებაზე ოცნებობდნენ, ისრაელის გარდასულ დროთა დიდება მოაგონდათ. ყველა დამპყრობელს სასჯელი მიეზღო — ანტიგონეს, კრასუსს, ვარუსს...

— უკეთურნო! — წამოიძახა პროკონსულმა. მას მშვენივრად ესმოდა ასურული, თარჯიმანი პასუხისათვის დროის მოსაგებად ჰყავდა მხოლოდ.

ანტიპამ სასწრაფოდ ამოიღო იმპერატორის მედალი, აცახცახებულმა შეათვალიერა და გამოსახულება დაანახა ხალხს.

ოქროთი მოპირკეთებულ ქანდარის ტიხრები გადაიხსნა უეცრად და კელაპტართა შუქზე ჰეროდიას გამოჩნდა. ფარეშებით გარშემორტყმულს ფრინტას ყვავილწუნულები ამშვენებდა. ასურული მიტრა შუბლზე თასმით ჰქონდა დამაგრებული. ხვეული თმა დალაღებად დაჰყროდა ცინცხალ წითელ მოსასხამზე. სახელოები მთელ სიგრძეზე ჰქონდა ჩაქრილი. კარის ორივე მხარეს ქვის ორი საზარელი ურჩხული აღმართულიყო, ისეთი, ატრიდთა საუნჯეს რომ დარაჯობს. ქალი ლომებში ჩაძღვარ კიბელას ჰგავდა. ანტიპას თავს ზემოთ, მოაჯირთან მდგომმა ჰეროდიამ სასმისი აიღო და რიხით შესძახა:

— დღეგრძელი იყოს კეისარი!

ვიტელიუსმა, ანტიპამ და მღვდელთმომძღვრებმა ჩამოართვეს სადღეგრძელო.

დარბაზის კიდეში აღტაცებული შეძახილები გაისმა. ქალწული შემოვიდა.

მკერდსა და სახეზე ჩამობურთულ მოლურჯო რიდეში ატანდა მომშვილდული წარბები, ქალცედონის საყურეები და კანის სითეთრე. მტრედისფერი დარაიას ოთხკუთხა ხილაბანდი მხრებს, უმაღავდა და ოქროთი მოქედილ სარტყელში ჰქონდა ჩატანებული. შავი წვივსაცმელი მანდრაგორის ყვავილებით იყო მორთული. ზანტად მოაბაკუნებდა კოლიბრის ქუნქლით გაწყობილ პაწია ქოშებს.

ამაღლებულზე შედგა ფეხი. რიდე ჩამოიძრო. წვეთი წყა-

ლივით ჰგავდა ჰეროდისას, მის ყმაწვილქალობას. მერმე ცეკვა-  
დაიწყო.

ნესტვისა და ჯიმჯიმების რიტმზე ერთიმეორის მიყოლებით და-  
აცურებდა ფეხებს, შემორკალული მკლავებით ვიდაცას უხმობ-  
და. მისდევდა თავის სასურველს, ფარვანასავით დაფარფატებ-  
და, ცნობისწადილით აღძრულ ფსიქესავით დაქროდა, რიალებ-  
და მოხეტიალე სულივით, გეგონებოდათ, ეს-ესაა აფრინდება  
და გაუჩინარდებო.

ჯიმჯიმთა უღრიალი ჩაღანას გულსაკლავმა კენესამ შეცვალა.  
იმედს უიმედობა მოჰყვა. მისი ტანის მიმოტანაში ოხვრა ისმო-  
და. ქალწულის მთელი არსება ისეთ მოთენთილობას შეეპყრო,  
რომ ვერ გაიგებდით, თავის ღმერთებზე ვაებდა, თუ მისივე  
აღერსით ელოდა გული. თვალმოხუჭული ასული წელში წყდე-  
ბოდა და ფეხებს შეუსვენებლივ დაასრიალებდა. მუცელი ტალ-  
ლასავით უთამაშებდა, მკერდი უთრთოდა, სახე გაჰქვავებოდა.

ვიტელიუსმა მნესტერს შეუდარა მისი მეტყველი მიხვრა-მოხვ-  
რა. ავლუსს კვლავ ასაქმებდა. ტეტრარქი ოცნებებში ჩაიკაჭრა  
და აღარც გახსენებია ჰეროდია. მოეჩვენა, თითქოს სადუქე-  
ველებთან მივიდა იგი და მერმე თვალს მიეფარა.

ეს კი აღარ იყო მოჩვენება. ჰეროდია მამქერუზიდან მოშო-  
რებით აღზარდა თავისი ასული. იმედი ჰქონდა, ტეტრარქი გაუ-  
მიჯნურდებოდა სალომეს. ახლა დარწმუნდა, რომ გვარიანი  
აზრი გასჩენია.

შემდეგ გახელება დაეტყო ქალს. მიჯნურთა სურვილმა აიტა-  
ნა, საწადელის მიღწევას ლამობდა. ინდოელ ქურუმ ქალივით  
იკლაკნებოდა, ტრიალებდა ჩანჩქერების ზათქის ხმაზე მროკავი  
ნუბიელივით, ბახუსის მოსავი ლიდიელი ასულივით იღხენდა,  
ქარიშხლით დარწმუნული ყვავილივით ყოველმხრივ იდრიკებოდა.  
საყურეთა პატიოსანი თვლები ხტოდნენ და ელვარებდნენ. მხარ-  
ზე ლეჩაქი ეტალდებოდა. ქალწულის სამოსლიდან, მკლავთაგან  
თუ წვივთაგან გადმოცვენილმა უხილაემა ნაპერწკლებმა ცეცხლი შე-  
უნთო მამაკაცებს. ჩანგი აფლერდა, თანამეინახეებმა შეძახი-  
ლები შეაგებეს ასულს. მან წვივები დააშორიშორა, მუხლმო-  
უხრელად გადაიხნიქა და ნიკაპი შეახო იატაკს. დათმენას შეჩ-  
ვეულ მომთაბარეებს, სიძვაში გაწაფულ რომელ მებრძოლებს,  
კუწუნწრახ მეზვერეთ და კამათით გაღიზიანებულ ბებერ

მღვდელთმომღვართ ნესტოები დაჰბეროდათ და სურვილით იწვოდნენ.

ენებამორეულ ტეტრარქს ქვითინი ახრჩობდა, სულთქმით ამბობდა:

— მომიახლოვდი! მომიახლოვდი!

როკავდა შეუჩერებელივ. ბარბითთა ქლერა აყრუებდა იქაურობას. ბრბო ღრიალებდა. ტეტრარქმა ხმას აუმაღლა:

— მომიახლოვდი! მომიახლოვდი! კათარნაუმს გიძღვნი! ტიბერიადის ველს, ციხე-სიმაგრეებს გიბოძებ! ფეხქვეშ გაგიგებ ჩემი სამეფოს ნახევარს!

ქალწული ხელებზე დაეცა, ტერფები ჰაერში მოირწეოდა. უშველებელ ზოქოსავით შემოუარა კვარცხლბეკს და უეცრად გაშეშდა.

თავი უკან გადააგდო. ჰრელი წვივსაცმელი მხრებზე გადმოშვებოდა და იატაკამდე ერთი წყრთის სიგრძეზე ცისარტყელასავით ეხვეოდა მის სახეს. ბაგე შეფერილი ჰქონდა. შავ წარბებს ქვემოთ შიშისმგვრელი თვალები უელავდა. ოფლიანი შუბლი დაცვარულ თეთრ მარმარილოს უგავდა.

ღუმდა. ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

ქანდარიდან თითების ტკაცუნი მოისმა. ქალწული იქით გაემართა. მობრუნდა და ბალღივით ენამოჩლექით თქვა:

— მიბოძე ფეშხემით თავი... — სახელი დაავიწყდა, მაგრამ ღიმილით დაატანა: — თავი იოქანანანისა!

შეჰირვებულმა ტეტრარქმა თავი ჩაქინდრა.

სიტყვა მისცა. ხალხი იცდიდა. ნაწინასწარმეტყველები სიკვდილი ეგებ სხვაზე ახდეს და მას ასცდეს? იოქანანანი თუ ნამდვილად ელიაა, თავს უშველის, თუ არა და, დიდი ცოდვა არ იქნება მკვლელობა.

გვერდით მღვდომი მანაე ფიქრს მიუხვდა.

ვიტელიუსმა მოუწოდა ჯალათს და საიდუმლო ნიშანი გაუმხილა, რადგან ორმოსთან მცველები ფხიზლობდნენ.

ყველამ შვებით ამოისუნთქა. ყველაფერი მოთავდება ერთ წამში!

მანაე არ ჩქარობდა მხოლოდ.

აფორიაქებული მობრუნდა უკან.

აგერ ორმოცი წელია ჯალათობს. მან დაახრჩო არისტობულე,

მოაშთო ალექსანდრე, ცოცხლად დაწვა მატათია, თავი მოჰკვეთა ზოსიმეს. პაპუსს, იოსებს და ანტიპატრეს, მაგრამ იოქანანის ხელყოფა ვერ გაბედა. კბილებს აკაწკაწებდა და მთელი ტანით ცახცახებდა.

ორმოს წინ სამარიტელთა მფარველი ანგელოზი უხილავს. ათასი თვალი ჰქონია, ცეცხლის ენებივით დაკბილული უზარმაზარი წითელი მახვილი მოუღერებია მისთვის. მანაეს ორი მცველი წამოეყვანა ნათქვამის დასადასტურებლად.

მაგრამ მეკრეებს არავინ ენახათ ერთი იუდეველი სარდლის გარდა, რომელსაც მათთვის შემოეცია და ახლა აღარც იყო ცოცხალთა შორის.

სისხლს მოწყურებულმა ჰეროდიათ ლანძღვა-გინებაში გადმონათხია რისხვის ნიაღვარი, ფრჩხილები მიიმტვრია ხარისებზე. ქვის ლომები თითქოს მხრებს უჯიჯნიდნენ ქალს და მასავით ბრღვენიავდნენ.

ანტიპამ ცოლს მიბაძა. მღვდელთმოდვარნი, მეომარნი და ფარისეველნი შურისგებას ითხოვდნენ. დანარჩენები წუხდნენ, თავის შესაქცევი სანახაობა რომ უგვიანდებოდათ.

მანაემ სახეზე აიფარა ხელები და გავიდა.

წვეულთ მოეჩვენათ, რომ ნელა მიზოზინობდა დრო და მოიწყინეს.

უეცრად ფეხის ხმა გაისმა ტალანში. შფოთმა იმატა.

გამოჩნდა თავი. ტაშისკვრით შეგულიანებულ მანაეს თმები ჩაებლუჯა თითებით.

ფეშხუმზე დადო და სალომეს მიართვა.

ასული ქანდარისაკენ გაექანა, მცირე ხანს შემდეგ თავი უკან ჩამოიტანა ბებერმა მხევალმა, სწორედ იმან, ერთ-ერთი სახლის ბანზე და მერმე ჰეროდიასთან სადღეაოში რომ მოჰკრა თვალი ტეტრარქმა.

ჰეროდემ თვალი მოარიდა, ვიტელიუსმა აღმაკერად გახედდა თავს.

მანაემ ამალღებული ჩამოიარა. რომაელ სარდლებს და მათ მხარეს მოკალათებულ სტუმრებს გაუწოდა თავი.

გულდასმით უქვრეტდნენ.

პირბასრ მახვილს ყბა გადაესერა. ტუჩის, უბეები მოკრუნჩხოდა. შედედებულ სისხლს მოეწინწკლა წვერი. მოხუჭული

ქუთუთოები კვერცხის ნაქუქივით გათეთრებოდა. ირგვლივ აბრიალებულ კელაპტართა შუქი ნიმიბად ადგა თავს.

შემდეგ მღვდელთმოძღვართა ტაბლებზე გაჩნდა თავი. ერთმა ფარისეველთაგანმა ცნობისმოყვარეობით გადაატრიალა იგი. მანამ მარჯვედ გადმოაბრუნა და ავლუსს დაუდვა წინ. ავლუსმა გაიღვიძა. მისმა ჩამქრალმა თვალებმა და თავმოკვეთილის გადაქაჩულმა გუგებმა თითქოს რაღაც გადაულაპარაკეს ერთურთს. მერმე მანამ ანტიპას მიართვა თავი. ცრემლები გადმოსცივიდა ტეტრარქს.

ჩირაღდნები ჩაიწვა. სტუმრები გაიკრიფნენ. მხოლოდ პეროდე დარჩენილიყო დარბაზში, საფეთქლებზე წაეჭირა ხელები და თვალს არ აცილებდა მოკვეთილ თავს. შუა პალატში ხელაღპყრობილი ფანუელი ლოცვას იტყოდა.

მზის ამოსვლის უამს იოქანანის წარგზავნილი ორი კაცი დაბრუნდა დიდი ხნის ნანატრი პასუხით.

ფანუელს გაანდეს საიდუმლო და მან დიდად განიხარა.

მერმე უჩვენა ღრეობის ნამუსრვეს შორის ფეშხუმზე სავალალო რამ. ერთმა მოსულთაგანმა თქვა:

— დამშვიდდით! მიიკვალა, რათა ქრისტე ახაროს გარდაცვლილთ!

ესეველი მხოლოდ ახლა მიხვდა იოქანანის ნათქვამს: „მისა ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა — მოკლებად“.

აიღეს თავი იოქანანისა და გალილეის მხარეს გაემართნენ.

ტვირთი უმძიმდათ და დროდადრო ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

## ლეგენდა მწირთა შემფარებელ ჯმიდა ჟიულიენზე

ჟიულიენის დედ-მამა ცხოვრობდა ციხე-დარბაზში, ტყით გარშემორტყმულ ფერდობზე.

სასახლის კუთხეებში დატანებულ ოთხივე კოშკს ტყვიის ფირფიტებით გადახურული წვეტიანი გუმბათები ედგა. საძირკველი დაშენებული იყო ციცაბო კლდეზე.

ფილებით მოგებული ეზო ეკლესიის მოფიქლული იატაკივით სუფთა იყო. გველეშაპის მსგავს საწვიმარ ლარებს პირი დაებჩინათ და წყალსატევისაკენ ისროდნენ წვიმის წყალს. ყოველ სართულზე სარკმლის რაფებზე შემოდგმულ მოჭიქული თიხის ქოთნებში შაშპრა ან მზესუმზირა ყვაოდა.

გალავნის შიგნით მეორე ზღუდე იყო: მესერი ერთყა ხეხილის ბაღს და ყვავილნარს, სადაც ყვავილთა შეხამება ვენზელებს ქმნიდა. შემდეგ ვაზის ტალავერი გადაჭიმულიყო საჩრდილობლებითურთ. აქვე იყო მსახურთა თავშესაქცევი, ბირთვის სატყორცნი ადგილიც. მეორე მხარეს გახლდათ მწვევარ-მეძებართა სადგომი, საჭინბოები, სახაბაზო, მარანი და საცეხველი, ირველიც გადაჭიმულიყო ჭაგებით შემოზღუდული მწვანე იალაღები.

იმდენ ხანს ეცხოვრათ უშფოთველად, რომ ოშიანობის დროს გამოსადეგი ტიხარი დაბლა აღარ ეშვებოდა, ხანდაკში წყალი ჩამდგარიყო, ქონგურებში მერცხლებს დაებუდათ. მშვილდოსანი მეციხოვნე მთელი ღღე ბოლთას სცემდა ერდოზე. მზე დააცხუნებდა თუ არა, სათვალთვალო გოდოლს მიაშურებდა და განდგილივით მიეცემოდა ძილს.

პალატებში ჭედური ნაკეთობები ბზინავდა. სიცივისაგან დასაცავად ოთახები ხალიჩებით მოეფინათ. წალოები სავსე იყო თეთრეულით, სარდაფები — ღვინიანი კასრებით; ვერცხლით დატენილი ტომრების სიმძიმისაგან ჭრიალებდნენ მუხის სკივრები.

ზარადხანაში ალმებისა და ნადირის დრუნჩების გვერდით ეყარა ყველა დროისა და ყველა მოდგმის ხალხთა იარაღები ამაღეკთა შურდულეებიდან და გარამელთა ლახვრებიდან მოკიდებული, ვიდრე სარკინოზთა ბრტყელპირიან სატევრებამდე და ნორმანდიელთა აბჯრამდე.

სამზარეულოში დიდ შამფურზე მთელი ხარი წამოეგებოდა. სამლოცველო ხელმწიფის კარის ეკლესიასავით დიდებული იყო. განაპირას რომაული აბანოც კი იდგა, მაგრამ კეთილი ბატონი ვერ ეწყობოდა, წარმართულ ადათად თვლიდა მას.

ბატონს მუდამ მელიის ბეწვის ქურჭი ეცვა. მამულს შემოიღლიდა, სამართალს განუწესებდა ყმებს, მეზობლებში ატეხილ შფოთს დააწყნარებდა; ზამთრობით თოვლის ფანტელთა ცვენას აკვირდებოდა ან თავშესაქცევ ამბებს აკითხვინებდა მსახურთ. გაზაფხულის პირას ჯორზე შემჯდარი გაუყვებოდა ამწვანებულ ჭეჯილის კიდეში გაკვალულ ბილიკებს, უბირ ხალხს ესაუბრებოდა, რჩევას აძლევდა. მრავალი სააშვიკო თავგადასავლის შემდეგ ცოლად შეირთო დიდგვაროვანი ასული.

ქალი სახემწყაზარი იყო, ღინჯი და ოდნავ ამაყიც. მისი მაღალი თავსაბურველი თითქმის ეხებოდა კარის ზედა წირთხლს. მაულის კაბის ჩაქი სამ ნაბიჯზე მისთრევდა უკან. ოჯახის საქმეები მონასტრის განჩინებასავით ჰქონდა აწყობილი. დილდილობით საქმეს უნაწილებდა მსახურთ, თვალყურს ადევნებდა მურაბებსა და ნელსაცხებლებს, ჯარაზე ართავდა ან საკურთხევლის დაფარნას აკვირისტებდა. დიდი ლოცვა-ვედრების შემდეგ უფალმა ვაჟიშვილი უბოძა მათ.

იქმნა ლხინმრავლობა და ნადიმგრძელობა. ღრეობამ საძღვსა და ოთხ ღამეს გასტანა. ჩირაღდნები ბრიალებდნენ, ქნარები ჟღერდნენ, ყველაფერი რტოებით იყო მოფენილი. იშვიათ კერძებს მიირთმევდნენ, ბატკნისოდენა დედლები ეწყო სუფრაზე; ნამცხვრიდან ქონდრისკაცი გამოხტა წვეულთა გასამხიარულებლად. მეინახეთა რიცხვი განუწყვეტლივ მატულობდა, ფიალები აღარ გასწვდათ, ნალარებითა და ჩაჩქნებით სვამდნენ ღვინოს.

მელოგინე ძეობას არ დასწრებია, მშვიდად იწვა სარეცელზე. ერთ საღამოს გაედვიძა და სარკმლიდან შემოჰკრილ მთვარის შუქზე მოძრავი ლანდი გაარჩია. მოხუცი იყო, ჯვალოს ანაფორა ეცვა, კრიალოსანი ეკიდა, მხარზე ბოხჩა მოეგდო. განდეგილს ჰგავდა. ქალს სასთუმალთან მიუჩოჩდა და ბაგის გაუხსნელად უთხრა:

— გიხაროდეს, დედაო! წმიდანი იქნება ძე შენი!

დედამ ყვირილი დააპირა, მაგრამ მწირი მთვარის შუქს აპყვა, ნელა აიშრათა ჰაერში და გაქრა. სალხინო სიმღერამ დაიქეჟა. ქალს ანგელოზთა გალობა მოესმა და თავი გადაუვარდა ბალიშზე. მის თავთან დაბახშით მოოქვილ ჩარჩოში ჩასმული რომელიღაც მოწამის ძვალი ეკიდა.

მეორე ღღეს ყველა მსახურს დაჰკითხეს, მაგრამ მათ თვალითაც არ ენახათ განდეგილი. ასე იყო თუ ისე, სიზმარი იყო თუ ცხადი, ზეციური გამოცხადება უნდა ყოფილყო ეს შემთხვევა. დედას არავისთვის არ გაუხდვია თავს გარდამხდარი ამბავი, იფიქრა, ქედმაღლობად ჩამომართმევენო.

გათენებისას წვეულნი გაიკრიფნენ. უიულიენის მამა ის იყო გვირაბის კარებში გავიდა და უკანასკნელი სტუმარი გააცილა, რომ მის წინ ბურუსში გლახა აღიმართა. ბოშა იყო. წვერი დაწული ჰქონდა, ორივე ხელზე ვერცხლის ბეჭდები აეხიზნლა; თვალები უელავდა და ზეშთაგონებული იერით რალაცას უთავბოლოდ ბუტბუტებდა:

— ჰე, ჰე! შენი ვაჟი! ბევრი სისხლი! დიდი დიდება! მარად ბედნიერი! ხელმწიფეს დაემოყვრება!

ბოშა დაიხარა გასაკითხის ასაღებად და ბალახებში ჩაიკარგა, გაუჩინარდა.

კეთილმა ბატონმა ხან მარჯვნივ მიიხედა, ხან მარცხნივ, რაც



ძალი და ღონე ჰქონდა იყვობა, უხმო. არავინ გაეპასუხა. ქარი წიოდა. ღამეული ნისლი იქსაქსებოდა. გარიყრაყის ბინდ-ბუნდა შკრთალდებოდა.

ბატონი ღამენათევი იყო. ეს ამბავი დადლილობას მიაწერა. რომ გავამხილო, დამცინებენო — გაიფიქრა. არა და, ვაჟიშვილის ბრწყინვალე-მომავალმა აიტაცა, თუმცა აღთქმული მეტად ბუნდოვანი იყო და ხეირიანად არც კი იცოდა, ყოველივე ეს ცხადი იყო თუ ეზმანა.

ცოლ-ქმარი ერთმანეთს უფარავდა საიდუმლოს. ორივეს ერთნაირად უყვარდა ბავშვი. ისე ელოლიავებოდნენ, როგორც ღვთის რჩეულს და აზიზად ზრდიდნენ. ჩვილის ქვეშაგები გერმით იყო დატენილი. საწოლს ზემოთ დღედაღამ ენთო მტრედის მოყვანილობის ლამპარი. სამი ძიძა თავს დასტრიალებდა. არტახებში მაგრად გაკრული ცისფერთვალემა, ვარდისფერი ბიჭუნა ფარჩის მოსასხამში იყო გახვეული, მომარგალიტებული ჩაჩი ეხურა და ჩვილ იესოს ჰგავდა. კბილები ისე გაეჭრა, ერთხელაც არ წამოუტირია.

შვიდი წლისას დედამ გალობა ასწავლა. მამამ დიდ ცხენზე შესვა — ვაჟკაცი გამოვიაო. განხარებული ბიჭი იცინოდა. მალე კარგად გაიწათა ცხენოსნობაში.

დიდად განსწავლულმა მოხუცმა ბერმა საღვთო წერილი, არაბული ციფრები და ლათინური ანბანი ასწავლა, ეტრატზე მინიატურების ხატვაში დაახელოვნა. ისინი განმარტოვდებოდნენ კოშკში, ხმაურს გაერიდებოდნენ და მუშაობდნენ.

გაკვეთილის შემდეგ წალკოტს მიაშურებდნენ, დასეირნობდნენ და ყვავილებს აკვირდებოდნენ.

ზოგჯერ მინდვრის ბოლოში გამოჩნდებოდა საპალნეაკიდებულ პირუტყვთა წყება, რომელსაც აღმოსავლურ ყაიდაზე გამოწყობილი ქვეითი მოუძლოდა. ბატონი ხედებოდა, რომ მექარავენე ვაჭარი უნდა ყოფილიყო და მსახურს შეაგებებდა. მგზავრი ნდობით ეკიდებოდა მიწვევას, გზიდან გადაუხვევდა. მას სასტუმროში შეუძღვებოდნენ და სოვდაგარი იწყებდა თავისი ბოხჩებიდან ხავერდისა და აბრეშუმის, ოქრო-ვერცხლისა და სანელებლების ამოლაგებას. ისეთი იშვიათი ნივთები ჰქონდა, რომ კაციშვილმა არ იცოდა მათი მოხმარება. ბოლოს, დიდად მოგებული მოვაჭრე უვნებლად გაუდგებოდა გზას.

ზოგჯერ მლოცველთა მთელი ჯგუფი მოადგებოდით კარს. მათ სველ სამოსს ორთქლი ასდიოდა შუაღმოსავლეთთან. დაპურდებოდნენ და იწყებდნენ მოგზაურობის ამბების თხრობას. იგონებდნენ მშფოთვარე ზღვაში გზაბნეულ ხომალდებს, გავარვარებულ ქვიშნარებზე ქვეითად გადასვლას, წარმართთა სისასტიკეს, საუბრობდნენ ასურეთის პარეხების, მაცხოვრის ბაგისა და საფლავის შესახებ. მერმე პატარა ბატონიშვილს თავიანთი მოსახამებიდან ართმეულ ნიჟარებს აძლევდნენ.

ციხე-დარბაზის პატრონი ხშირად იწვევდა ხოლმე ძველ თანამებრძოლთ. ისინი ღვინოს ეწაფებოდნენ და იგონებდნენ გადახდილ ბრძოლებს, სააღმოსავლეთო მანქანებით ციხე-სიმაგრეთა აღებას. საზარელ კრილობებს. ბიჭი უსმენდა მათ, ხანდახან წამოიყვირებდა კიდეც. მაშინ კი მამას ეკვიც არ ეპარებოდა, რომ მისი ვაჟი დიდი დამპყრობელი გახდებოდა. საღამოებში წირვიდან გამოსული ყიულიენი ისეთი კეთილშობილური იერით და თან კრძალვით ურიგებდა გასაკითხს წელში გადრეკილ მათხოვრებს, რომ დედას ეგონა ერთ მშვენიერ დღეს მთავარეპისკოპოსად იხილავდა შვილს.

საყდარში მშობლების გვერდით ჰქონდა მიჩენილი ადგილი. რაც უნდა გავრძელებულიყო წირვა, მერხზე დაჩოქილი ყიულიენი ფეხს არ იცვლიდა, ხელები შეეტყველა, ქუდი იატაკზე დაეგდო.

ერთხელ, წირვის დროს, ყიულიენმა თავი ასწია და დაინახა თეთრი წრუწუნა. იგი კედლის ხერელიდან ამოძვრა, საკურთხევლის ქვედა საფეხურამდე მიცუნცულდა, ერთი-ორჯერ გაირბინ-გამოირბინა და სოროსაკენ გაექანა. შემდგომ კვირადღეს ბიჭმა გაიჭიქრა, წრუწუნას ისევ დავინახავო, და შეკრთა. თავი მართლაც გამოჩნდა. გაღიზიანებული ყიულიენი ყოველ უქმე დღეს ელოდა მას, თან ეზიზღებოდა და ბოლოს გადაწყვიტა თავიდან მოეცილებინა იგი.

ბიჭმა კარი მიხურა, საფეხურებზე ნამცხვრის ნამცეცები მოაბნია, სოროსთან დადგა და ჯოხი მოიმარჯვა.

კარგა ხნის შემდეგ გამოჩნდა ვარდისფერი ლაშპირი და ბოლოს მთლიანად წრუწუნაც. ყიულიენმა მოუქნია ჯოხი და გაშეშდა პატარა უძრავი სხეულის დანახვაზე. სისხლის წვეთი და-

აჩნდა ფილაქანს. ბიჭმა ლაქა სწრაფად მოწმინდა სახელოთი, თავი გადააგლო და არავისთვის გაუმხელია ეს ამბავი.

ათასნაირი ჩიტები კენკავდნენ ბაღში ნაყოფს. ყიულიენი ლერწმის ღარში მარცვალს დებდა, ეღურტულს რომ გაიგებდა, ფეხაკრეფით მიუახლოვდებოდა ხეს, მილს მოიმარჯვებდა, ლოყებს დაბერავდა და ნანადირევი აწვიმდა მხრებზე. ბიჭი სიცილს ვერ იკავებდა, სიამოვნებას ჰკვირიდა თავისი სივერაგე.

ერთ დილას ვარდნარზე გამოვლით ბრუნდებოდა შინ. მიწაყრილზე დიდი მტრედი იჯდა და მზეს ეფიცებოდა. ყიულიენი შეჩერდა მის საცქერლად. გალავანი ამ ადგილას გახეთქილი იყო, ბიჭს ქვის ნატეხი მოხვდა ხელში და მტრედს ესროლა. ფრინველი ზანდაკში ჩავარდა.

ყიულიენი გაქაჩა. ჩირგვები კაწრავდა, მწვევარივით გადაქაჩა ყველაფერი.

ფრთამოტეხილი მტრედი კენკრის რტობებზე წამოგებულ იყო და ფართხალებდა.

მისმა ამტანობამ გაალიზიანა ბაეშვი. მტრედის წახრჩობა შოუნდა. ფრინველის კრუნჩხვამ გული აუძგერა, შმაგი და დაუოკებელი ნეტარება მოჰკვარა. მის უკანასკნელ გაბრძოლებაზე ბიჭს კინალამ გული წაუვიდა.

სალამოჟამს, ვახშმობისას მამამ განაცხადა, უკვე დროა ყიულიენმა მწვევარ-მეძებრებით ნადირობა ისწავლოსო, და მონახა ძველი რვეული, რომელშიც კითხვა-მიგების წესით ნადირობის ხერხები იყო ჩაწერილი. მოძღვარი მოწაფეს ასწავლიდა მეძებართა დაგეშვას, შევარდენთა მიტევენბას, მახის დაგებბას; უხსნიდა, როგორ გამოეცნო ირმის მჩორე, მელიის ნაფეხური, მგლის ბუნავი, როგორ გაერჩია მათი ნაკვალევი, როგორ გამოერეკა ნადირი, სად იყო მათი თავშესაფარი, რომელი ქარი ჯობდა სანადიროდ; ჩამოთვლილი იყო მწვევართა წასასისიანებელი შეძახილები და მეძებართთვის ნანადირევის განაწილების წესები.

ყიულიენმა როცა ზეპირად მოიწვართა ეგ ყველაფერი, მამამ მწვევარ-მადევართა ხროვა შეურჩია.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა დაულალავი და ქურციკის უმარდესი ოცდაოთხი ბერბერული მწვევარი. ჩვიდმეტი წყვილი ბრეტანული წითური ძაღლი თეთრით იყო სხურებული, მკერდმაგარი და მყეფარი მწვევრები პატრონის ერთგულნი იყვნენ. ტა-

ხებზე სანადიროდ და სახიფათო შემთხვევებისათვის დაგეშილი ჰყავდათ დათვივით ბანჯგვლიანი ორმოცი გრიფონი. ცეცხლისფერი, ფართოგავიანი და მუხლსწორი, სახედრისოდენა თათრული ნაგაზები ღომებზე მისატევებლად იყვნენ გაწვრთნილნი, ესპანური ძაღლების შავი ბეწვი სტავრასავით ბზინავდა; ტალბოტები ბიგლებზე ნაკლებ როდი ღავდავებდნენ. განცალკევებულ სადგომში ჯაჭვებს აჩხარუნებდა, თვალებს აბრიალებდა და ბრდღვინავდა ალანური რვა ძაღლი; ეს საშინელი ცხოველები მუცელში ეძგერებოდნენ მხედრებს და ლომისაც კი არ ეშინოდათ.

ძაღლებს დოლის პურს აკმევდნენ. ისინი ქვის გობებიდან სვლუპდნენ საკმელს. ყოველ მათგანს ხშიერი სახელი ერქვა.

საბაზიერო აღმატებოდა კიდევ მწევარ-მეძებრების სადგომს. კეთილ ბატონს დიდძალ ვერცხლად დაუჯდა კავკასიური გავაზების, ბაბილონური ნაცარა მიმინოების, გერმანული სონდლულების, და შორეულ ქვეყნებში, ცივი ზღვების ნაპირას, ქარაფებზე დაქერილ გადამფრენ შევარდენთა შოვნა. ფრინველები ისლით გადახურულ ფარდულში ჰყავდათ დაბინავებულნი. ისინი სიმცრო-სიდიდის მიხედვით იყვნენ მიბმული თურზე. წინ იყო საირაო მოლი, რომელზედაც, დროადრო სანავარდოდ უშვებდნენ მათ.

ყოველგვარი მახე დაემზადებინათ: ჩიტბადე, საფრხე, ისხერტი.

მეძებრები მინდვრად გაჰყავდათ. ძაღლები უმალ აიღებდნენ სუნს. მარეკები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ მათ და გაყუჩებული მეძებრების ზემოთ ფრთხილად შლიდნენ უშველებელ გაწარს. შეძახებაზე ძაღლები ყუფას ატეხდნენ, მწყრები აიშლებოდნენ, სანადიროდ ქმრებითურთ მოწვეული მეზობლის ქალები, ბავშვები, ფარეშები — ყველანი გაექანებოდნენ და ადვილად იქერდნენ მათ.

ზოგჯერ კურდღელთა დასაფრთხობად ბარბითს სცემდნენ. მელიები ხნარცვში ცვიოდნენ, ზამზარა გაიშლებოდა და ხაფანგი ფეხში ჩაიქერდა მგელს.

მაგრამ ჟიულიენს ეჯავრებოდა ეს ხრიკები, თავისი ცხენისა და მწყაზარი მიმინოს ამარა განმარტოებით ნადირობა ერჩია. თოვლივით თეთრი სკვითური დიდი თულუნი ჰყავდა. თულუნს ტყავის ქუდი ჯილით ჰქონდა აწეული, მოლურჯო ფეხებზე ოქროს

ზანაღალაკები უთრთოდა; პატრონის მკლავზე შეურხევლად იჭდა მაშინაც კი, როცა ცხენი გაიმთაბარებდა. ეიულიენი ხეზს შეხსნიდა, უეცრად აუშვიბდა თულუნს. ლალი ფრინველი ისარივით აიჭრებოდა ცაში. ორი სხვადასხვაგვარი ლაქა შეძიძგილავებოდა ჰაერში. ლაქები დროდადრო გაერთიანდებოდნენ, ხან კი უჩინარდებოდნენ შორეულ ლაქვარდში. თულუნი უმაღვე ეშვებოდა დაბლა, რომელიღაც ჩიტს ძიძგნიდა, მობრუნდებოდა და ფრთების ფრთხილით დაუჭდებოდა პატრონს საბუხარზე.

ეიულიენი ამგვარად მიუტევებდა ყანჩასა და ძერას, ყვავსა და ქორს.

მწვერები ფერდობებზე არბოდნენ, ნაკადულებს ახტებოდნენ, ტყეებს შეუყვებოდნენ, ეიულიენს უყვარდა ნაღარის დგერით მათი მიღვენება. მეძებართაგან დაკბენილი ირემი რომ ხავილს მოჰყვებოდა, ეიულიენი მყისვე ჰკლავდა მას. შემდეგ კი განცხრომით შეჰყურებდა ოსშივარანადენ ტყავს ირმისას და ძაღლებს, რომლებიც ხორცის ნაფლეთებს სანსლავდნენ.

ჯანლიან დღეებში ჰაობში უსაფრდებოდა ღერღეტს, წავსა და გარეულ იხვს.

სამი მარეკი გათენებიდანვე ელოდა მას ალყათთან. სამერხულიდან გადმოხრილი მოხუცი ამაოდ ანიშნებდა — მობრუნდიო. ეიულიენი უკან არ ბრუნდებოდა. სანადიროდ მიდიოდა შუადღის ალხში, წვიმასა და თქეშში; ჰეშვით სვამდა წყაროს წყალს, ცხენის ქენებისას ჰამდა მაჯალოს, მუხის ქვეშ გადაიჩრდილებდა, დაღლილი შეღამისას ბრუნდებოდა შინ, სისხლითა და ტალახით იყო მოთხვრილი, თმებში ჰაცვი გაბლარდნოდა, მხეცთა სიმყრალე ასდიოდა. მათსავით გაგარეულდა. დედის აღერსს გულგრილად ხედებოდა, სხვაგან გაურბოდა გონება. თითქოს რაღაც ღრმა აზრები იპყრობდა.

დათვის სატვერით კლავდა, აზავერს — ჩუგლუგით, ტახს — ლახვრით. ერთხელ კომბლის გარდა ხელთ არაფერი ჰქონდა, მაგრამ მაინც მოიგერია მგლების ხროვა, რომელიც სახრჩობელას ქვეშ გვამებს ჰიჭგნიდა.

ერთხელ, ზამთარში, დილაბნელს გაუდგა გზას. კარგად იყო აღჭურვილი. მხარილლივ სამალი მოეგდო, უნაგირის ტახტაზე ისრების კონა ჩამოეკიდა.

მიწა ირყეოდს დანიური ულაცის ფეხქვეშ. ცხენი ჩოროთით მიდიოდა, ორი მწვეარი მისდევდა მას. კირხლის ნაჟური წვეთები შეეყინა ყიულეინის ლაბადას. სასტიკი ქარი სტვენდა. ცის კიდესთან ინათა და მოთეთრო ბინდბუნდში ყიულეინმა სოროს წინ მხტომარე კურდღლები გაარჩია. ძაღლები დააცხრნენ მათ და სასწრაფოდ გადაულრღნეს ხერხემალი.

მცირე ხანს შემდეგ ტევრში შევიდა. სიცივისაგან გათოშულ როჭოს თავი ფრთის ქვეშ ჩაემალა და ხის ტოტზე ეძინა. ყიულეინმა ხმლის ერთი მოქნევით წააცალა მას ფეხები და ისე განაგრძო გზა, რომ ნანადირევი არც აუღია.

სამი საათის შემდეგ მთის კორტოხზე აღმოჩნდა, ისე მაღლა, რომ ცა შავად იყო ჩაქუფრებული. მის წინ ზღუდესავით წაგრძელებული ქარაფი თავს წასდგომოდა უფსკრულს. კლდის კიდეში ორი ჯიხვი გაჰყურებდა სივრცეს. ყიულეინმა ცხენი უკან ჩამოიტოვა, ისრები თან არ ჰქონდა და ამიტომ მათთან ჩაღწევა მოიწადინა. წელში მოხრილი და ფეხშიშველი, როგორც იქნა, მიუახლოვდა პირველს და ფერდში გაუყარა ხანჯალი. მეორე ჯიხვი დაფრთხა და კლდიდან გადაეშვა. ყიულეინმა წაიწია, მასაც შეუტია, მაგრამ მარჯვენა ფეხი დაუცურდა და მოკლულ პირუტყვზე გაიშხლართა; ხელები გაშალა და თავდაყირა ჩაეკიდა უფსკრულში.

ველზე დაეშვა და მდინარის პირას ჩარიგებულ ძეწნებს გაუყვა. წეროებზე დაბლა დაფრინავდნენ, დროდადრო თავზეც გადაევლებოდნენ. ყიულეინი მათრახით ხოცავდა მათ, ერთიც კი არ აუცდენია.

ამასობაში ჰაერი შეთბა და თრთვილი გალღვა. ხშირი ნისლი დაიძრა. მზე ამოვიდა. გაყინული ტბა გამოჩნდა შორს. იგი ისე ლაპლაპებდა, რომ ტყვიისას ჰგავდა. შუა ტბაზე რაღაც მხეცი იყო. ყიულეინმა ვერ იცნო, შეაცხვირა თახვს წააგავდა. თუმცა შორს იყო, ისარმა ბოლო მოუღო მას. ტყავის წამოღება რომ არ ხერხდებოდა, დაენანა.

ბოლოს ერთ ხეივანში შევიდა. უშველებელი ხეები კენწეროებით გადახლართოდნენ ერთმანეთს და ტყის პირას საზეი-

მო თალი შეეკრათ. ტევრიდან ქურციკი გამოხტა. მებოძირზე ფურირემი გამოჩნდა, მაჩვი ამოძვრა სოროდან, მოლზე მხარბოლოგაშლით იჭდა ფარშავანგი. ჟიულიენმა დახოცა ისინი. მაშინ სხვა ქურციკები და ფურირმები, სხვა მაჩვები, სხვა ფარშავანგები გაჩნდნენ. ყოველ ნაბიჯზე მატულობდნენ შაშვები, ჩხიკვები, ქრციენები, მელიები, ზღარბები, ფოცხვერები. უანგარიშო ნადირი გარს ერტყმოდა ჟიულიენს. მხეცები ცახცახებდნენ და თვინიერი მზერით ვედრებით შეჰყურებდნენ მას. ჟიულიენმა გული ვერ იჭერა ხოცვით. ხან სამალს მოზიდავდა, ხან ხმალს იშიშვლებდა, ხან სატევარს აძგერებდა. აღარ ფიქრობდა და აღარც ახსოვდა, რისთვის უღეტდა პირუტყვს. სალდაც, უცხო მხარეში დასაბამითვანეე ნადირობდა თითქოს. მხოლოდ თავი ახსოვდა. ყველაფერი ისე ადვილად ხდებოდა, როგორც სიზმრად. საოცარმა სანახავმა შეაერთო. ცირკივით შემორკალულ კორღზე ირმები შეგგუფულიყვნენ, ერთმანეთს მიტმასნოდნენ და თბებოდნენ თავიანთი ამონასუნთქით, რომელიც ოხშივარივით ბოლავდა ნისლში.

საოცარი ხოცვა-ჟლეტის მოლოდინში ერთ ხანს სიამოვნებისაგან სული შეუფუტბდა ჟიულიენს. შემდეგ ჩამოქვეითდა, მკლავები დაიკაპიწა და სროლა დაიწყო.

პირველმა ისარმა გაიზუზუნა და ყველა ირემმა ერთად მოაბრუნა თავი. მათი მთლიანი მასა შეთხელდა, ცარიელი ადგილები გაჩნდა. საწყალობელი ხმები გაისმა და ჯოგი შეირყა.

კორდის მაღალ კიდეს ვერ გადაახტებოდნენ, შემოზღუდულში ცმუკავდნენ, გასასვლელს ეძებდნენ. ჟიულიენი უმიზნებდა და ისროდა. ისრები კოკისპირულად აწვიმდათ. გახელბული ირმები ბორგავდნენ, ყალყზე დგებოდნენ, ერთმანეთზე გადადიოდნენ. სხეულთა და ბოჯოჯლ რქათა ზედახორა ადგილს ინაცვლებდა და თან ირღვეოდა.

ბოლოს დაიხოცნენ. ქვიშაზე ეყარნენ, ნესტოებიდან ღუჟი სდიოდათ, შიგნეული გადმოსცვენოდათ. მათი მუცლების ტოკვამ ნელ-ნელა იკლო. შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა.

შესალამოვდა. ტყის იქით, ხეთა ვარჯებს შორის, სისხლიანი ფარდაგვიით გაწითლდა ზეცა.

ჟიულიენი ხეს მიეყარნო. თვალბედაჰყვტილი შეჰყურებდა საზარელ სასაკლავოს და ვერ გაეგო, როგორ შეძლო ამდენის მონადირება.

კორდის კიდეში, ტყის პირას, ყიულიენმა ხარირემი, ფურირემი და მათი ნუკრი დაინახა.

ხარირემი შავი იყო და ტანსრული. თექვსმეტოტოტიანი რქები და თეთრი წვერი ჰქონდა. შემოდგომის ფოთოლივით ქარცივი ფურირემი ბალახს ძოვდა. თეთრით სხურებული ნუკრი გზა-გზა ჯიქანს სწოვდა.

სამალმა ერთხელ კიდევ გაისისინა. ნუკრი იმავე წამს წაიქცა. დედამ ზეცას ახედა და გულსაკლავად, ხშიერად, ადამიანურად შეჰბღავლა. გაღიზიანებულმა ყიულიენმა შიგ მკერდში ესროლა მას და მიწაზე მიაწვინა.

უზარმაზარმა ქორბუდამ ყიულიენი დაინახა და გადმოხტა. მან უქანასკნელი ისარი შეაგება. ისარი შუბლში ჩაესო და ჩარჩა ირემს.

მაგრამ ხარირემს თითქოს არც უგრძენია, დახოცილთ გადაბიჯა და მონადირის გასაფატრავად გამოქეჯანა. ზარდაცემულმა ყიულიენმა უკან დაიხია. საოცარი ცხოველი შედგა. სადღაც შორს ზარი რეკდა. თვალეზანთებულმა ქორბუდამ, მღვდელთმოდღვარივითა და მსაჯულივით დიდებულმა, სამჯერ გაიმეორა:

— წყეულიმც იყავ! წყეულიმც იყავ! წყეულიმც იყავ! ერთ მშვენიერ დღეს დედ-მამასაც დახოცავ!

ხარირემი მუხლებში ჩაიკეცა, ნელა დახუჭა თვალები, მოკვდა.

ყიულიენს რეტი დაესხა. უეცრად საშინელი დაღლილობა იგრძნო, ზიზღმა და უსაზღვრო სევდამ შეიპყრო. სახე ხელებში ჩარგო და დიდხანს იტირა.

ციხენი დაჰკარგოდა. მეძებრებიც შემოფანტოდნენ: ირგვლივ დასადგურებული მარტოობა ათასგვარ განსაცდელს უქადდა. შეძრწუნებულმა ველ-მინდვრები გადალახა, ალაღბედზე რომელიღაც ბილიკს დაადგა და გზა გაიგნო. მალე ციხე-დარბაზის კარიბჭესთან აღმოჩნდა.

თეთრად გაათენა ღამე. ჩამოკიდებული ლამპის პარპალზე შავი ქორბუდა ეჩვენებოდა.; მისი წინასწარმეტყველება საშველს არ აძლევდა. ყიულიენი არ ებუებოდა მას: „არა! არა! არა! არ შემიძლია მათი დახოცვა!“ შემდეგ შეფიქრიანდებოდა: „რომ მომინდეს? მაშინ...“ ეშინოდა ეშმაკმა არ მაცთუნოს, სურვილი არ აღმიძრასო.



შეშფოთებული დედა სამი თვის განმავლობაში ლოცულობდა მის სასთუმალთან. მამამისი გმინავდა და განუწყვეტლივ დაბორიანობდა. ტალანებში. მჩხიბავებს მოუხმო. ათასგვარი წამლობა ურჩიეს. მათი თქმით, ყიულიენის ავადმყოფობის მიზეზი ავრ ქარი იყო ან მიჭნურთა სურვილი. მაგრამ ყმაწვილი კაცი ყოველ შეკითხვაზე უარის ნიშნად თავს იქნევდა.

ყიულიენმა მოიკეთა, ძალა მოიკრიბა. მოხუცი ბერი და კეთილი ბატონი მხრებში შეუდგებოდნენ ხოლმე და ეზოში დაასვირნებდნენ.

მთლად რომ გამომჯობინდა, ნადირობა ჯიუტად იუარა.

მამამ წასახალისებლად აჩუქა სარკინოზული ხმალო, რომელიც ბულაურთან, სვეტზე ეკიდა. უკიბოდ მისი ჩამოღება არ იქნებოდა. ყიულიენი კიბეზე აძვრა. მძიმე ხმალი ხელიდან გაუვარდა, ბეწვზე ასცდა მამამისს, მხოლოდ ლაბადა გაუქრა. ყიულიენს ეგონა, მამა შემომაკვდაო და გული შეუღონდა.

მას აქეთ იარაღისა ეშინოდა. შიშველი მახვილის დანახვაზე ფითრდებოდა. ყიულიენის ამ სისუსტემ აფთორიაქა ოჯახი.

ბოლოს მოხუცმა ბერმა ღმერთი, გვარიშვილობა და წინაპრები მოაგონა და ურჩია, დარბაისელი კაცის შესაფერ საქმიანობას შესდგომოდა.

მეჭინიბეები შუბის ტყორცნაში ატარებდნენ ღღეებს. ყიულიენმა მალე აქაც გამოიჩინა თავი. ბოთლის ყელსა და აფქიოს კბილანებს არ აცილებდა, ასიოდ ნაბიჯზე მიზანში იღებდა კარის ლურსმნებს.

ერთხელ, ზაფხულში, სადამოქვამს, როცა ხშირი ნისლი საგნებს ბურავს და აბუნდოვანებს, ყიულიენი თალარქვეშ იდგა. შორიანხლოს, ვაზთა მწკრივის სიმაღლეზე ორი თეთრი ფრთა თრთოდა. ყიულიენს ყარყატი ეგონა და სათხედი გაუქანა.

ყურთასმენის წამლები კივილი გაისმა.

დედამისის თავსაბურის თეთრი ფრთები კედელს იყო მილურსმული.

ყიულიენი ციხე-დარბაზიდან გადაიხვეწა და აღარც გამოჩენილა.

ფათერაკის მაძიებელთა ბრბო შემოეფეთა და ჟიულიენი მას მიეკედლა.

შეიტყო შიმშილი, წყურვილი, ციებ-ცხელება და მკბენარი. შეეგუა შეჯახების ქახანს, სულთმობრძავეთა ხილვას. კანი დაუშაშრა ქარმა. ხელ-ფეხი გაუუხეშა აბჯარმა. და რაკი ძლიერი იყო, უტეხი და გამპკრიახი, ადვილად მიაღწია თავაკაცობას.

ბრძოლის წინ ხმლის შექნევით აიყოლიებდა მეომრებს. ლამამობით დანასკული საბელით. ძვრებოდა ციხე-სიმაგრეთა კედლებზე, ქარიშხალი არწევდა, თორწნი ბერძნული ცეცხლის ნაპერწკლები ატანდა; მდულარე კუპრი და გამდნარი ტყვია ნაკადულივით ჩქეფდა ქონგურებიდან. ზოგჯერ ქვა დაულეწავდა ფარს. ხალხით მეტისმეტად გადატვირთული ხიდები ფეხქვეშ ჩასტყდომია. კომბლის ტრიალით მოიგვრია თოთხმეტი მხედარი. ორთაბრძოლაში არავინ იყო მისი გამმკლავებელი. ბარე ოცჯერ აღარ ეგონათ ცოცხალთა შორის.

ღვთის მადლით, ყოველთვის უვნებელი რჩებოდა. აკი მფარველობდა სასულიერო პირთ, ქვრივ-ობლებს, განსაკუთრებით კი მოხუცებს. წინ მიმავალ ბერიკაცს თუ მოჰკრავდა თვალს, შეეხმიანებოდა, სახეში ჩახედავდა, თითქოს ეშინოდა, მამა არ შემომაკედესო.

ლტოლვილი მონები, ამბოხებული ყმები, ხელმოცარული ნაბიჭვრები — ყველა უდრეკი და უშიშარი გაერთიანდა მისი აღმის ქვეშ. ასე შეიქმნა ლაშქარი.

სპა მატულობდა. ჟიულიენმა სახელი გაითქვა. მას ეძებდნენ, ეტმასნებოდნენ.

რიგრიგობით ეხმარებოდა ყველა მტერმორეულს. ხელს უშართავდა საფრანგეთის უფლისწულს და ინგლისის მეფეს. იერუსალიმელ საღვთო რაინდებსა და პართიის სიურენას, აბისინიის მთავარსა და კალკუტის განმგებელს. ჟიულიენი შეებრძოლა თევზის ქერეჭით დაფარულ სკანდინავიელებს, წითურ ვირებზე შემსხდარ ზანგებს, რომელნიც ბეჰემოთის ტყავგადაკრული მრგვალი ფარებით იყვნენ აღჭურვილნი; უტევდა ოქროსფრად მბზინავ ინდიელებს, რომლებიც ჯიღებს ზევით სარკესავით ელვარე დიდ ხმლებს იქნევდნენ; დალაშქრა გამოქვაბულის მკვიდრნი და კაცობიები, დალახა ცხელი ქვეყნები, სადაც თაკარა მზეში თმებს ჩირალდნებივით ედებოდა ალი; დათრგუნა მხარე, სადაც

სიცივისაგან დამზრალი ხელები ტანს სცილდებოდა და მიწაზე ცვიოდა; დაამარცხა ხშირი ნისლით მოცული ქვეყნები, სადაც ჯანლით მობურულებს მოჩვენებები ელანდებოდათ.

გასაქირში მყოფი რესპუბლიკები მასთან ბჭობდნენ. დესპანთა თათბირზე მოულოდნელ შედეგებს აღწევდა. რომელიმე თვითმპყრობელი თუ უღირსად გაირჩებოდა, ეიულიენი უეცრად თავს დაატყდებოდა და შეაგონებდა. ერებს თავისუფლებას ანიჭებდა. კოშკში ჩაკეტილი დედოფლები ტყვეობიდან დაიხსნა. სწორედ მან მოკლა მილანის გველეშაპი და ობერბირბახის ურჩხული.

ოქსიტანიის ხელმწიფემ ესპანეთის მავრები დაიპყრო და ხარკად დაისვა კორდოვას ხალიფის და. მისგან შეეძინა ქალი, რომელიც ქრისტიანულ წესზე აღზარდა. მაგრამ ხალიფამ თავი მოაჩვენა, თითქოს მის რჯულზე მოქცევას აპირებდა, უანგარიშო ამალის თანხლებით ესტუმრა ხელმწიფეს და სპა გაუტელიტა. თავად ხელმწიფე საკანში ჩააგდო, თვალ-მარგალიტის გამოძალვას უპირებდა და უხეშად ექცეოდა.

ეიულიენი მისდა საშველად გაეშურა. გაანადგურა ურჯულოთა ლაშქარი, ალყა შემოარტყა ქალაქს, მოკლა ხალიფა და მისი მოკვეთილი თავი ბურთივით ისროლა სანგრებს იქით. მერმე პყრობილი მეფე დაიხსნა დილეგიდან და სამეფო კარის თანდასწრებით ტახტზე აღადგინა.

ხელმწიფემ სამსახური დაუმაღლა და სამუქფორდ გოდრებით თეთრი უბოძა. ეიულიენმა იუარა. მეფემ იფიქრა, უმეტესი სურსო და საკურკლის სამი მეოთხედი შესთავაზა თავის ხელისაღმპყრობელს. ისევ უარი. მაშინ სამეფოს სწორად გაყოფა აღუთქვა. ეიულიენმა მადლი გადაუხადა და საბოძვარი არ გაიკარა. ხელმწიფემ იწყინა, ცრემლი მოერია. ვერ შეეტყო, რა გზით გამოეხატა გულისხმიერება. უცებ შუბლზე შემოიკრა ხელი და კარისკაცს რადაც უჩურჩულა. ამოგვირისტებულმა კრეტსაბმელმა გადაიწია და ქალწული გამოჩნდა.

დიდი შავი თვალები ლამპრებივით უციმციმებდა. მომხიბვლელ ღიმღის ბაგე გაეპო. დალალები საკინძეჩახსნილი კაბის პატიოსან თვლებში იხლართებოდა. გამჭვირვალე ტუნიკა მისი ნორჩი სხეულის სინატიფეს ამხელდა. ნაზი იყო ასული, გათქვირული და ტანწერწეტა.

ტრფობამ დაბნიდა ყიულიენი, მით უმეტეს, რომ აქამდე უბიწოდ ცხოვრობდა.

ასე შეირთო მეფის ასული. დედულეთიდან ქალს ციხე-კოშკი ხვდა წილად. ქორწილის შემდეგ დაუსრულებელ ქათინა-ურებით გაეყარნენ მოყვრები ერთურთს.

ნარინჯის ნარგავებში, კონცხზე აღმართულიყო თეთრი მარ-მარილოთი მავრულ ყაიდაზე ნაგები სასახლე. ტერასებად წაწყობილი ყვავილნარები აღწევდა ყურის ნაპირამდე, სადაც ვარდისფერი ნიჟარები ხრამუნობდნენ ფეხქვეშ. სასახლის უკან მარაოსავით გადაშლილიყო ტყე. ცა მუდამ ლურჯი იყო. ზღვის ზეფირი და ცის დასავალთან აღმართული მთებიდან მონაბერი ხიავი ხეებს არწევდა.

მრუმით მოცულ პალატებში ძვირფასი ქვებით მოთვალული კედლები ელაკდნენ. ლულივით თხელი და მაღალი სვეტები შეყრდნობოდნენ გუმბათის ილლიას, რომელიც გამოქვაბულის სტალაქტიტების მსგავსად იყო მოქანდაკებული.

დარბაზებში შადრევნები ჩქეფდა. ეზო სოფიის ქვით იყო მოკეცილი. კუწუბებით მორთული ტიხრები და მრავალი სხვა სიმშვენიერე ლაზათს მატებდა სასახლეს. ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ჩიქილის შრიალსა და სუნთქვას გაიგონებდით.

ყიულიენი აღარ იბრძოდა, განცხრომას ეძლეოდა ერისკაცებით გარშემორტყმული. ქედდადრეკილი ერი ყოველდღე ეახლებოდა ხოლმე და აღმოსავლური ადათისამებრ ხელზე ემთხვეოდა.

პორფირით მოსილი იდგა სარკმელთან, ნადირობას იგონებდა. ენატრებოდა უდაბნოში ქურციკთა და სირაქლემათა დევნა, ბამბუკებში ჭიქის ჩასაფრება, მიუღღგომელ მწვერვალებზე აღწევა არწივთა მიზანში ამოსაღებად, ზღვის ხორგებზე თეთრ დათვებთან შებმა.

ზოგჯერ სიზმრად ხედავდა თავის თავს, ჩვენს პირველმამასავით, ადამსავით, სამოთხეში იყო მხეცებით გარშემორტყმული. ხელს გაიწვდიდა და ზოცავდა ნადირს. ან კიდევ, სპილოდან და ლომიდან ვიდრე ყარყუმამდე და იხვამდე სიმტრო-სიდიდის მიხედვით. წყვილ-წყვილად ჩარიგებული ფრთოსანი და ნადირი ჩაივლიდა მის წინ, თითქოს ნოეს კიდობანს ეხიზნებოდა. ყიულიენი ბნელი გამოქვაბულიდან ისროდა მიზანაუცდენელ ლახ-

ვარს. ამათ სხვა ნადირი მოჰყვებოდა დაუსრულებლივ. ჟიულიენი იღვიძებდა, მრისხანე თვალებს აბრიალებდა.

მეზობელი უფლისწულები სანადიროდ იწვევდნენ. ის კი მუდამ უარზე იყო. ნადირობის აღკვეთით ფიქრობდა უბედურების თავიდან აცილებას. ხვდებოდა, ნადირთა ხოცვა-ჟლეტაზე რომ იყო დამოკიდებული მისი მშობლების ხვედრი. ტანჯავდა მათი უნახაობა. ნადირობის დათმენაც გაუსაძლისი შეიქნა.

ჟიულიენის შესაქცევად მისი ცოლი მუშაითებს და მოცეკვავეებს უხმობდა.

ცოლ-ქმარი გადახსნილი ტახტრევით დასეირნობდა სასახლის სანახებში. ზოგჯერ ნავის კიჩოსთან გაწოლილები შეჰყურებდნენ ცასავით კამკამა წყალში მოფუსფუსე თევზებს. ქალი ყვავილებს ესროდა სახეში, მის ფერხთით ჩატუცქული უკრავდა სამძალიან მანდოლინას; შემდეგ მხარზე შემოაქდობდა ხელებს და კრძალვით ჰკითხავდა: „რა გაკმუნვებს, უფალო ჩემო?“

ჟიულიენი არ გაეპასუხებოდა, ხან კი ქვითინი აუფარდებოდა. ბოლოს, ერთ დღეს გაუმხილა თავისი საშინელი საგონებელი.

ქალი მის აზრებს არ შეეპუა და გონიერად შეედავა: დედ-მამა ეგებ დაიხოცა კიდევ. მაგრამ, ვთქვათ, შეხვდა მათ ჟიულიენი, რატომ ჩაიდნენ ამ საშინელებას? ტყუილად შფოთავს, ნადირობას უნდა მიუბრუნდეს.

ჟიულიენი ღიმმორეული უსმენდა, მაგრამ საწადელის გასრულებას ერიდებოდა.

ერთხელ, აგვისტოში, საღამო ეამს ოთახში იყვნენ. ქალი ის-ის იყო ჩაწვა და ჟიულიენმა სალოცავად ჩაიჩოქა, რომ მელის ფაჩუნი მოესმა. შემდეგ კი ფანჯარასთან მსუბუქ ჩქამს მოჰკრა ყური და ბინდბუნდში ნადირი ენიშნა. დიდი იყო ცოტუნება! კაპარჭი ჩამოიღო.

ქალი გაოცდა.

— გაგიგონებ. მზის ამოსვლისას დაებრუნდები!

ქალს შეეშინდა, ხიფათი არ შეემთხვესო.

ჟიულიენმა მეუღლე დააშოშმინა და მისი სიგულჩქარით გაკვირვებული გაუდგა გზას.

მცირე ხნის შემდეგ ქალს ფარეშმა მოახსენა: ორი უცნობი მოვიდა და, რაკი ბატონი შინ არ არის, თქვენს ნახვას ითხოვენო.

ოთახში შემოვიდა ჯონდაბიჯებული მოხრილი ბერიკაცი და ბერიქალი. სელის სამოსელი ეცვათ, მტვრით იყვნენ დაფარული. ღონე მოიკრიბეს და თქვეს, ეიულიენს მშობლების ამბავი მოვუტანეთო.

ქალი მათ სასმენად გადმოიხარა.

ღღემიყრილმა მოხუცებმა ერთმანეთს გადახედეს და იკითხეს, ეიულიენს ისევ თუ უყვარს დედ-მამა, ხანდახან მაინც თუ ახსენებსო მათ.

— ო! როგორ არა! — მიუგო ქალმა.

— ჰოდა, ეს ჩვენა ვართ! — წამოიძახეს მოხუცებმა და ჩამოსხდნენ, საოცრად დასუსტებულ იყვნენ და დაქანცული იყვნენ. ახალგაზრდა ქალს არაფერი არ უდასტურებდა, რომ მისი მეუღლე ამათი შვილი იყო.

მაშინ მოხუცებმა უთხრეს ტანზე სად ჰქონდა ხალი ეიუ-ლიენს.

ქალი სარეკლიდან წამოიჭრა, ფარეშს მოუხმო. მოხუცებს ვახშამი მოართვეს.

ქამა ვერ შეიძლეს, თუმც მშვივრები იყვნენ. განზე მდგარი ყმაწვილი ქალი შეჰყურებდა მოხუცებს, რომელთაც გაძვალტყავებული ხელები უთრთოდათ, სასამისს რომ დასწვდებოდნენ.

წვლილად მოიკითხეს ეიულიენი. ქალი ყველა კითხვას უპასუხებდა, ავბედითი წერა არ გაუმხელია ოღონდ.

ეიულიენი რაკი არ დაბრუნდა, მოხუცებს სახლ-კარი მიეტოვებინათ, მრავალ წელს ეხეტიალათ, შვილის კვალს მიჰყოლოდნენ ბუნდოვანი მინიშნებებით. იმედი არ დაეკარგათ. დიდი ხარჯი დასჭირებოდა მდინარეების გადალახვას, სასტუმროებს, უფლისწულთა მეზვრეებს. მპარავთ ვერ ასთავებოდნენ. სახსარი ამოსწუროდათ და ახლა მოწყალებით ირჩენდნენ თავს. მაგრამ ეს ყველაფერი რა ბედენაა, როცა სულ მალე მკერდში ჩაიკრავენ ვაჟიშვილს! უხაროდან, მათ ვაჟს ასეთი მშვენიერი ქალი რომ შეერთო, კოცნიდნენ და შეფრთხივით შეჰყურებდნენ.

პალატთა მდიდრულმა მორთულობამ გააოცა ისინი. ბერიკაცმა კედლები შეათვალიერა და ოქსიტანიის ხელმწიფის გერბი რომ ნახა, გაიკვირვა.

ქალმა უთხრა: მამაჩემიაო.

ბერიკაცს ბოშას წინასწარმეტყველება მოაგონდა და აკან-კალდა. ბერიქალს მწირის ნათქვამი ენიშნა. როგორც ჩანს, მისი კაყის დიდება მარადიული სხივმოსილების დასაწყისია მხოლოდ. კელაპტრებით გაშუქებულ მაგიდასთან ისხდნენ მოხუცები და გაოცებისაგან შემცბარიყვნენ.

ახალგაზრდობაში კარგი შესახედავი იქნებოდნენ. დედას თმები შერჩენოდა, ლაწვებზე ეფინა თოვლის ფანტელივით თეთრი თხელი ზილფები. გრძელწვერა ბრგე მოხუცი წმინდანის ქანდაკებას ჰგავდა.

ქალმა დაარწმუნა ისინი, რომ ქიულიენის ლოდინი არ ღირდა, თავის საწოლში ჩააწვინა ორივე და სარკმელი მიხურა. მოხუცებმა ჩაიძინეს. ინათა. სარკმელთან ჩიტუნებმა იწყეს ქლურტული.

ქიულიენმა ბალი გადაიარა და ყოჩაღად შეაბიჯა ტყეში. ტკბებოდა ხასხასა ბალახით და ჰაერის სიმსუბუქით.

ხეთა ჩრდილები წაფერდებულიყო ხავსზე. აქა-იქ განაკაფ-ში თეთრ ლაქად ჩაღვრილიყო მთვარის შუქი. ქიულიენი შეფერხდა, გუბე ეგონა, ანდა ქანჭრობის უძრავი ზედაპირი ბალახის ფერს შეხამებიაო — იფიქრა. სამარისებური სიჩუმე იდგაცოტა ხნის წინ მისი სასახლის ირგვლივ მოხეტიალე მხეტთაგან ვერც ერთს ვერ მიაკვლია.

ტყე ჩამოიბურა. ბნელმა იმატა. ხორშაკმა ქარმა დაბერა და მომთენთავი სურნელი მოიყოლა. ქიულიენი ჩამოცვნილ ფოთოლთა გროვაში ჩაეფლო და სულის მოსათქმელად მუხას მიეყრდნო.

უეცრად ზურგს უკან რალაცამ შავმა გაიელვა. ტახი იყო. მშვილდის მოზიდვა ვერ მოასწრო და დიდად დაღონდა ქიულიენი.

ტყიდან გამოსულმა მგელს მოჰკრა თვალი, მესერის გასწვრივ მიძუნძულებდა.

ქიულიენმა ისარი სტყორცნა. მგელი შედგა, თავი მოაბრუნა, გამოხედა და გზა განაგრძო. დროდადრო შედგებოდა, როგორც კი მონადირე მიზანში ამოიღებდა, მგელი გარბოდა. მუდამ თანაბარი მანძილით იყვნენ დაშორებულნი.

ქიულიენმა ასე გადაიარა მზერადმიუწვდომელი ველი, ქვიშ-

ნარი ბორცვები და ბოლოს აღმოჩნდა ზეგანზე, რომელიც ირ-  
ველივ გადაშლილ ვრცელ მინდვრებზე ამღლებულიყო. სამარ-  
ხის ნანგრევებში ბრტყელი ქვები ეყარა. გარდაცვლილთა ძვლებ-  
ზე წაიბორძიკა. აქა-იქ საცოდავად გადმოხრილიყო დარკილული  
ფურები. სამარეთა მქრქალ ბინდბუნდში უცნაური არსებანი დაფა-  
თურობდნენ. შეშინებული და ქშენაავარდნილი აფთრები გა-  
მოჩნდნენ. ქვის ფილებზე ქანგების ფხაჭუნით მიუახლოვდნენ  
ჟიულიენს და დაყნოსეს, თან ამთქნარებდნენ და ღრძილები  
უჩანდათ. ჟიულიენმა ხმალი იშიშვლა. აფთრები გაიფანტნენ.  
ხანხალით გარბოდნენ და მტერის კორიანტელში უჩინარდებოდ-  
ნენ.

ერთი საათის შემდეგ გახელებულ ხარს წააწყდა ხევში.  
რქები წინ წამოეწია და ტოტით ქვიშას ტორავდა. ჟიულიენმა  
ყაპში აძგერა ლახვარი. მახვილი ისე დაიღეწა, თითქოს ცხო-  
ველი ბრინჯაოსაგან ქმნილი ყოფილიყოს. სიკვდილის მოლოდინ-  
ში ჟიულიენმა თვალი მოხუჭა და, რომ გაახილა, ხარი აღარ-  
სად იყო.

სირცხვილმა სული შეუშფოთა. ზეგარდმო ძალა სჯაბნიდა  
მას. შინ დაბრუნება დააპირა და ისევ ტყეში შევიდა.

ტვერი ლიანებით იყო დახლართული. ვიდრე ჟიულიენი  
ზმლით კაფავდა ლიანებს, ფეხებშუა კვერნა გაუძვრა, მხარზე  
ავაზა გადაახტა, გველი შემოეგრავნა იფანს და ასრიალდა.

იფნის ვარჯიდან საზარელი ჰკა შესცქეროდა ჟიულიენს. აქა-  
იქ რტოებს შორის ნაპერწყლებივით მოწინწყალული ჩვრების  
მსგავსად რალაც ელავდა, ცის თაღს თითქოს თავისი ყველა ვარს-  
კვლავი გადმოეწვიმა ტყისთვის. ეს იყო გარეული კატების,  
თრითინების, კოტების, თუთიყუშების, მაიმუნების თვალები.

ჟიულიენმა ისრები სტყორცნა მათ. ფრთიანი ისრები თეთრი  
ფარვანებივით შერჩნენ ფოთლებს. მაშინ ქვები დაუშინა. მაგრამ  
კაქარი ნადირს არც გაჰკარებია, უკან ჩამოცვივდა. ჟიულიენი  
თავბედს იწყევლიდა, ხოცვა-ჟლეტა სურდა, ბოდმა ახრჩობდა,  
ღრიალებდა და ყველაფერს კრულავდა.

მისგან დევნილი ცხოველები წამომართულიყვნენ და ვიწრო  
წრედ შემორტყმოდნენ; ზოგი დაყუნცულიყო, ზოგი ყალყზე  
იდგა. ჟიულიენი მათ შორის იყო, შიშისაგან ტანში ზრინავდა,



ოდნავ განძრევასაც ვერ ახერხებდა. დაიძაბა, თავს ძალა და-  
ატანა და ნაბიჯი წადგა. ხეს შეფენილმა ფრინველებმა ფრთები  
გაშალეს, მიწას განრთხმულმა ცხოველებმა ფეხები ამოძრავეს.  
ყველანი გაპყვნენ ჟიულიენს.

აფთარი წინ უძღოდა, მგელი და ტახი უკან მისდევდნენ.  
ხელმარჯვნივ ხარი იქნევდა თავს, მარცხნივ გველი დასარსალებ-  
და ბალახებში. ავაზა აფხორილიყო და დაკამარებით მსუბუქად  
წიხტოდა. მხეცები რომ არ გაემძვინვარებინა, ჟიულიენი ნელა  
მიდიოდა. თვალი მოჰკრა ჩირგვებიდან გამოძვალ მაჩვ-ზღარ-  
ბებს, მელიებს, იქედნეებს, ტურებსა და დათვებს.

ჟიულიენი გაიქცა. დაედევნენ. გველი სისინებდა, ამყრალე-  
ბულ მხეცებს დორბლი სდიოდათ. ტახმა ქუსლზე წაჰკრა ღო-  
ჯი, მგელმა ხელის გულზე წაუხახუნა ბალნიანი ლაში. მაიმუნე-  
ში იმანჭებოდნენ და ჩქმეტდნენ. კერნა ჟიულიენის ფერთხით  
იგრიხებოდა. დათვმა ხელუკულმა მოქნეული ტორით ქუდი მოაგ-  
დებინა. ავაზამ ზიზლით მოიცილა ხახაში ჩარჩენილი ისარი.

აბუჩად აგდება იგრძნობოდა ნადირთა კუმტ მიხვრა-მოხვრა-  
ში. ცალი თვალით ზომავდნენ ჟიულიენს და თითქოს შურისგების  
გეგმას თხზავდნენ. მწერების კრუალით გაყრუებულს, ფრინ-  
ველთა ბოლოფრთათაგან ნაცემს სული ეხუთებოდა მხეცთა ამო-  
წასუნთქში. ხელგაშლილი და ბრმასავით თვალდახუჭული მი-  
დიოდა ჟიულიენი და იმისი ძალაც კი აღარ შესწევდა, რომ  
ეყვირა: „შემიწყალეთ“.

მამლის ყივილი გაისმა. მამალს მამლებმა გამოსძახეს. გა-  
თენებულებო. ნარინჯის ნარგავენს იქით თავისი სასახლის კეხი  
იციხო.

მერმე მინდვრის კიდეში, სამიოდ ნაბიჯზე. თვალი მოჰკრა  
წითურ კაკებს, რომლებიც ნაყანეში დაფრინავდნენ. ლაბადა  
შეიძრო და ჩიტბადესავით წააფარა მათ. როცა გადახსნა, ყანა-  
ში კარგა ხნის წინათ ჩამკვდარი ერთი კაკბის მძორის მეტი არა-  
ფერი დახვდა ლაბადის ქვეშ. ყველა შეცდომაზე მეტად ამ  
უკანასკნელმა ხელის მოცარვამ გააფთრა. ზოცვა-ჟლეტის სურ-  
ვილი მოერია ჟიულიენს. მხეცი რაკი ვერ მოინადირა, მზად  
იყო, კაცი მოეკლა.

სამი ტერასა აათავა. მჭილით შელეწა კარი. კიბის თავში საყ-  
ვარელი ცოლი მოაგონდა და გული მოუღბო მისმა გახსენებამ.

სძინავს ალბათ! და მოულოდნელად თავს წავადგებო, — გაიფიქრა.

სანდლები გაიძრო, ფრთხილად გადასწია რაზა და შევიდა. ტყვიით ნაკეთები სარკმლის ჩარჩოები აბნელებდა განთიადის მკრთალ ნათელს. ძირს დაცვენილმა სამოსელმა დაუბორკა ფეხი. ოდნავ მოშორებით გაწყობილ სუფრას დაეჯახა. „როგორც ჩანს, უვახშმია“, — გაიფიქრა. მრუმით მოცული ოთახის სიღრმეში მდგარი საწოლისკენ გასწია. ახლოს მივიდა, სურდა მეუღლეს ჩახვეოდა და სასთუმალთან დაიხარა. ბალიშზე ერთმანეთის გვერდიგვერდ ორი თავი ესვენა. წვერს შეეხო მისი ბაგეები.

ჟიულიენი უკუიქცა. ეგონა, ჰკუდიდან ვიშლებო. ისევ მიიჭრა სარეცელთან, ხელი მოუფათურა. გრძელი თმები შერჩა ხელში. სურდა დარწმუნებულყო, რომ ცდებოდა. ნელა მოუსვა ხელი ბალიშს. ნამდვილად წვერი იყო! მამაკაცია! ვილაც კაცი წევს მისი მეუღლის გვერდით!

უსაზღვრო რისხვამ მოიცვა ჟიულიენი. ხანჯლით დააცხრა მათ. ღორბლმორეული ბორგავდა, მძინვარე მხეცივით ბრდღენავდა. შემდეგ შედგა, მკერდგანგმირულები აღარც შერხეულან. ყური მიაპყრო ორი მომაკვდავის თანაბარ ხრიალს. ხროტინი ცხრებოდა და შორეული ხმა ენაცვლებოდა მას. რაღაც გაუჩვეველი, საწყალობელი და გაბმული ღალადისი თანდათან ახლოვდებოდა, მატულობდა, მძაფრდებოდა, მძვინვარდებოდა. შეშფოთებულმა ჟიულიენმა შავი ქორბუდას ძახილი შეიცნო. შემობრუნდა. კარის წირთხლთან მეუღლის ლანდი მოეჩვენა. აჩრდილს სანთელი ეპყრა ხელთ.

ზრიალს ქალის ყურადღება მიეზიდა. ერთი შეხედვით მისვდა ყველაფერს, თავზარდაცემული გაიქცა და სანთელი გაუფარდა.

ჟიულიენი კელაპტარს დასწვდა.

მის წინ პირალმა იწვა დედ-მამა. მკერდში იყვნენ დაჭრილი. მოხუცთა დიდებული და 'სათნო სახეები მარადიულ საიდუმლოს ფარავდა თითქოს. სისხლის წვეთები ლაქებად აჩნდა მათ თეთრ კანსა და ზეწრებს. ნიშაში ჩამოკიდებული სპილოს ძვლის ჯვარცმის გაყოლებით იატაკზე გუბე იდგა. მზის სხივი სარკმლის შეფერილ მინებში ატანდა, ძოწისფერი ანარეკლი ეცემოდა წითელ ლაქებს, ამრავლებდა მათ და მთელ ოთახში. მიმოფანტავდა.

ქიულიენი მოკლულთ მიუახლოვდა. თავს არწმუნებდა, სურდა ეფიქრა, რომ შეუძლებელი იყო, რომ შეცდა, კაცთა მოდგმაში ხომ არის ზოგჯერ საოცარი და აუხსნელი მსგაესება. ბოლოს დაიხარა, რომ უკეთ დაჰკვირვებოდა ბერიკაცს. ღიად დარჩენილ ქუთუთოებს შუა ჩამქრალი გუგები ფიცხელი ცეცხლივით წვავდა ქიულიენს. მერმე წალასლასდა სარეცლის კიდისკენ. იქ მეორე გვამი ესვენა. ქიულიენმა გაუსწორა სახეზე ჩამოშლილი თეთრი თმა. თავი აუწია, ჩახედა. გაშეშებული ხელით ეკირა მთხუცის თავი, მეორით სანთელს ინათებდა. ლეიბიდან ჩამონადენი სისხლი იატაკზე წვეთდა.

დღე რომ მიიწურა, ქიულიენი მეუღლეს წარუდგა. შეცვლილი ხმით უთხრა ქალს, არ შეჰპასუხებოდა, არ მიახლოებოდა და არც შეეხებდა მისთვის. შეჩვენებას უქადოდა, თუ არ აასრულებდა მის ყველა სურვილს.

მოკლულები უნდა დაეკრძალათ მისი განჩინების მიხედვით, რომელიც ჩაწერილი დატოვა გარდაცვლილთა ოთახში მერხზე. მეუღლეს აბარებდა სასახლეს, მსახურთ, მთელ თავის სარჩოსაბადებელს. სამოსიც კი განიძარცვა. სანდლები კიბის თავთან დატოვა.

ქალი განგებას დაემორჩილა, საბაბად ექმნა ქმრის დანაშაულს. ამიერიდან მისი სულის სახსენებლად უნდა ელოცა, რადგან ქიულიენი ცოცხალთა შორის ჩასათვლელი აღარ იყო.

მთხუცები პატივით დაკრძალეს მონასტრის ეზოში, ციხე-დარბაზიდან სამი დღის სავალზე. ჩაბალახჩამოშვებული ბერი შორიახლო განმარტობით, მიჰყვებოდა პროცესიას. ვერვინ შებედა გამოლაპარაკება.

წირვის დროს სტოაში ჩამხობილიყო. პირმიწაგაერთებულს გულზე დაეკრიფა ხელები.

დასაფლავების შემდეგ თვალი მოჰკრეს მთებში მიმავალ ბილიკს რომ დაადგა. დროდადრო უკან იხედებოდა და ბოლოს გაუჩინარდა.

წავიდა. გაერიდა იქაურობას. მათხოვრობით გაჰქონდა თავი. ხელს უწვდიდა გზადშემოყრილ მხედრებს, მუხლმოდრეკით ევედრებოდა ყანის მომკელთ. ღობესთან აიტუზებოდა. ისეთი ნაღვლიანი სახე ჰქონდა, რომ წყალობაზე არავინ ეუბნებოდა უარს.

მოსანანიებლად შემხვდურთ უყვებოდა თავის ამბავს. პირჯგირის წერით გარბოდნენ ყველანი. იმ სოფლებში, სადაც ადრე გაევლო, იცნობდნენ თუ არა, კარს უზშავდნენ, ემუქრებოდნენ, ქვებს უშენდნენ. მოწყალენი საარკმლის რაფაზე უდგამდნენ ჯამს და სამზეურს ხურავდნენ, რომ არ დაენახათ იგი.

ყველასაგან განაპირებული, ხალხს გაერიყა. ფესვებით, ბალანბულახითა და ჩამოცვენილი ხილით ირჩენდა თავს. ქვიშნარსანაპიროებზე აგროვებდა ლოფორთქინებს.

ზოგჯერ ფერთობიდან ჩამომავალს თვალწინ გადაეშლებოდა ერთმანეთზე მიჯრილი სახურავები, ხიდები, კოშკები, და შავად ჩამუქებული აკიბულ-ჩაკიბული შუკები. უთავბოლო ბუბუნი აღწევდა იქიდან.

სხვებთან შეთვისების სურვილი ქალაქად მიიყვანდა ჟიულიენს. მაგრამ ველურად გამომეტყველი სახეები, დაზგათა რახრახი და აგდებული საუბარი გულს უყინავდა. ღღესასწაულებში, როცა ტაძრის დიდი ზარის რეკა გათენებრდნევე ხალისს მატებდა ერს, ჟიულიენი ათვალეირებდა სახლებიდან გამოფენილ ხალხს, მოედნებზე ცეკვა-თამაშს, მებოძირებზე ბურანის შადრევნებს. და ქამხის ჩარდახებს უფლისწულთა სასახლეების წინ. შესაღამოვდებოდა და ქვედა სართულის სარკმლებში ჩანდა საოჯახო გრძელი სუფრები. უხუცესთ მუხლზე უსხდნენ ბალები. ქვითინი ანჩრობდა ჟიულიენს და კვლავ ველ-მინდვრებს მიაშურებდა.

გრძნობამორეული უმზერდა საძოვრებზე მობალახე ულაყებს, ბუდეში მსხდარ ჩიტებს, ყვავილებზე მოფუთფუთე მწერებს. მის მიახლოებაზე ყველანი აიშლებოდნენ, ფრთხებოდნენ, იხიზნებოდნენ.

“ჟიულიენი განმარტობას ეძიებდა. მაგრამ ქარს თითქოს სულთმობრძავდა ხროტინი მოჰქონდა მის ყურამდე. მიწაზე ჩამონაჟონი ნამი უმძიმეს სხვა წვეთებს აგონებდა. შეღამებისას მზე სისხლისფრად ღებავდა ღრუბლებს. ყოველდამ სიზმრად დედ-მამის კვლა უახლდებოდა.

რკინისქიცვებჩარკობილი ძაძა შეიმოსა. ჩოქვით შემოიარა მთის კორტოხებზე აღმართული ყველა საყდარი. მაგრამ მწველი საფიქრალი ამკრთალებდა სანაწილეთა ბრწყინვალეობას, საშველს არ აძლევდა ცოდვათა მისატევებლად სხეულის გვემისას.

ღვთის წინააღმდეგ არ ამბოხებულა იმის გამო, რომ ასეთი კრული ბედი ხედა წილად. მაგრამ სასოწარკვეთილი იყო საკუთარი ნამოქმედართ.

თავი ისე შეეზარა, რომ ფათერაკს ეტანებოდა, ეგებ როგორმე სიცოცხლეს დაეხსნათ. ხანძარს გადაარჩინა დავრდომილები, ხრამში გადაჩეხილი ბავშვები იხსნა. მაგრამ უფსკრულმა ჟიულიენი არ შეიწირა, ცეცხლმაც დაზოგა.

ჟამთა სვლამ ვერ დაუთამა სატიკიარი. აუტანელი შეიქნა ტანჯვა. სიკვდილი მოინდომა.

ერთხელ წყაროსთან იყო. დაიხარა, წყლის სიღრმე უნდოდა თვალდათვალ შეეტყო. გაძვალტყავებული ბერიკაცი დაინახა წყალში. თეთრი წვერი მოზრდოდა და ისეთი საწყალობელი შესახედავი იყო, რომ ცრემლი მოერიო ჟიულიენს. ატირდა ბერიკაციც. თავისი ხატი ვერ იცნო, მსგავსი სხვა სახე წამოაგონდა. იყვირა. ეს ხომ მამამისი იყო. მას შემდეგ თავის მოკვლა გულში არ გაუვლია.

ასე ეზიდებოდა მოგონებათა მძიმე ტვირთს, მრავალი მხარე მოიარა. ბოლოს მიაღმა ბობოქარ მდინარეს, რომელსაც შლამით დაფარული ნაპირები ჰქონდა და სახიფათო გადასალახავი იყო. კარგა ხანია, რაც ვერავენ ბედავდა გაღმა გასვლას.

ლელიანში დამხობილი ძველი ნავის კიჩო ჩანდა. ჟიულიენმა ნავი შეათვალღერა, იქვე წყვილ ხოფსაც მიაკვლია. გადაწყვიტა, სხვათა სამსახურისათვის შეეღია თავისი სიცოცხლე.

მოკოროხებულ ნაპირზე მიწის დაზვავებას შეუღდა, რომ მდინარის კალაპოტთან მისვლა გაეადღვილებინა. მუცელზე მიიბჯენდა უშველებელ ლოდებს და ეზიდებოდა. ფრჩხილები შეამტვრია მათ. ფეხი უსხლტებოდა, კუანტობში ეფლობოდა, რამღენჯერმე კინაღამ დაიღუბა.

ბოლოს გამონარიყი ნაფოტებით ხომალდის ნამსხვრევებით შეაკეთა ნავი. ხეთა ზროებით და აყალო მიწით ჯარგვალი შეკრა. ხმა დავარდა, გზა ხსნიღიაო და მგზავრები მოაწყდნენ ნა-

პირს. გაღმიდან უხმობდნენ ყიულიენს, ფლასებს იქნევდნენ. ყიულიენი სწრაფად ჩახტებოდა ნავში. ნავი ძალიან მძიმე იყო, ათასგვარი ბარგითა და ტვირთით ავსებდნენ. საკიდარი პირ-უტყვიც გადაჰყავდათ. ისინი ტლინკებს ყრიდნენ და ჯგლეთა მატულობდა. ყიულიენი გასამრჯელოს არ ითხოვდა. გამონაცვალ, გაცვეთილ ტანსაცმელს და საჭმლის ნარჩენებს აძლევდნენ. გაუთლელები ყიამყრობდნენ, მკრეხელობდნენ, მის შეგონებებს უშვერი გინებით უბასუხებდნენ. მაშინ ყიულიენი ლოცვა-კურთხევას შეაგებებდა მათ.

მცირე ტაბლა, ჯორკო, ქვეშაგებად ხმელი ფოთლები და თიხის სამი ჯამი — ეს იყო მთელი მისი ავლადიდება. კედლის ორი ჰრილი სარკმლის მაგივრობას უწევდა. ერთ მხარეს გადაშლილიყო მოთეთრო გუბეებით დაფარული თვალუწვდენელი მწირი მინდვრები. ყიულიენის სადგომის წინ წყალუხვი მდინარე მომწვანო ზვირთებს მიაგორებდა. გაზაფხულზე ნოტიო მიწას ნესტის ზუნი ასდიოდა. შმაგი ქარი მტერის კორიანტელს აყენებდა. ყველგან აღწევდა მტვერი, წყალს ამღვრევდა, კბილებში კნაწაკნუწი გაუდიოდა. მერმე კოლოს ღრუბლები გადაივლიდა. დღედაღამ მათ წუილსა და დაგესვლას არ უჩანდა ბოლო. შემდეგ სასტიკ ღინებს დაიჭერდა. სიცივე ქვასავით ახეშებდა საგნებს, ხორცეულის ქამის სურვილს აღძრავდა.

თვე თვეს მისდევდა, ყიულიენი ვერვის ხედავდა. ხშირად მოხუკავდა თვალს და მოგონებებით თავისი სიჭაბუკის მობრუნებას ცდილობდა. თვალწინ წარმოუდგებოდა ციხე-დარბაზის გალავანი ზღურბლზე დაბმული მწვევრებით, მსახურებით სავსე ზარადხანა, ვაზის რქებით შეთხზულ თალარქვეშ, ქერათმიანი ყრმა ტყაპუქით დამოსილი მოხუკისა და მალალთავსაბურჩიანი ქალის ხანხლებით. მაგრამ უმალვე წარმოუდგებოდა ორი ცხედარი. ყიულიენი საწოლში პირქვე ჩაემხობოდა და ქვითინით იმეორებდა:

— ეჰ! ბედშავო მამავ, საბრალო დედაჩემო!

ცნობამინდილს შავნალვლიანი ხატებანი ეზმანებოდა.

ერთ ღამეს მძინარეს ვილაცის ძახილი ჩაესმა. დააყურა და ტალღების ზათქის გარდა ვერაფერი გაარჩია.

ხმა ისევ გაისმა:

— ყიულიენ!

გალმიდან აღწევდა იგი. ქიულიენს ეოცა: ნაპირი შორს იყო. მესამედაც უხმეს:

— ქიულიენ!

ხაფი ხმა საყდრის ზარივით რეკდა.

ლამპარი ანთო და ქოხიდან გავიდა. საშინელი გრიგალი მძვინვარებდა. უკუნეთ წყვლიადს სერავდნენ აქა-იქ თეთრად აქათფებული ზვირთები.

წამით შეყოყმანდა. შემდეგ ბაგირი ახსნა. წყალი დამდოვრდა. ნავი გაცურდა და გაღმა ნაპირს მიაღვა. ვილაც ელოდა.

დაკონკილი ტილო შემოეტმასნა ტანზე. სახე თაბაშირის ნიღაბს უგავდა. თვალები ნაკვერჩხლებივით უელავდა. ქიულიენმა ლამპარი მიანათა. საზარელ კეთრს შეეპყრო უცნობი, მაგრამ მის იერში მაინც იგრძნობოდა მეფური სიდიადე.

ჩაჯდა და მისგან დამძიმებული ნავი შეტისმეტად ჩაღრმავდა წყალში. ბიძგმა კვლავ ამოატივტივა იგი. ქიულიენი ნიჩბვას შეუღტა.

ნიჩბის ყოველ მოსმაზე ლანგმოდებული ტალღები მალლა სწევდნენ ნავის ცხვირს. მელნის უშავესი წყალი შმაგად აწყდებოდა ნავის ძვიდეებს და ტალლა ხან უფსკრულად ჩაღრმავდებოდა, ხან მთლად აღიმართებოდა. ხტოდა, ღროდადრო ჩაყურყუმალავდებოდა და ტრიალებდა ქარით დარწეული ნავი.

ქიულიენი იხრებოდა, ხელებს შლიდა, ფეხებს დაიბიჯებდა, გაიძაგრებოდა და უკან გადაიწეოდა ძალის მოსაკრებად. სეტყვა უშენდა ხელებზე, ზურგში აწვიმდა. მძაფრი ქარი სუნთქვას უკრავდა. შეჩერდა. ნავი დინებამ წაიღო. ქიულიენს ესმოდა, რაღაც მნიშვნელოვანი რომ ხდებოდა, ბრძანების დაუმორჩილებლობა რომ არ იქნებოდა. კვლავ მოიმარჯვა ნიჩბები. სახვეტელის კრიალი ქარიშხლის დრტვინვას ერთოდა.

წინ მცირე ლამპარი ენთო. მოფრთხილავ ჩიტები ზოგჯერ ბოლო-ფრთებით ფარავდნენ ნათელს. კეთროვანი უძრავად ასვეტილიყო უკან. ქიულიენს მისი თვალები ელანდებოდა.

დიდხანს გასტანა ამან, ძალიან დიდხანს!

ქოხში შევიდნენ და ქიულიენმა კარი მიხურა. უცნობს შეხედა. ჯორკოზე ჩამომჯდარიყო. ტანზე შემოხვეული სუდარა თქომდე ჩამოსთრეოდა. მხრები, მკერდი და გაძვალტყავებული ხელები ქერქის მსგავს თხრამლიან წყლულებს დაეფარა. ღრმა ღარებს

გადაეხნა შუბლი. ცხვირის მაგიერ ჩონჩხის მსგავსად ღრმული ჰქონდა. ჩალურჯებულ ბაგეთაგან ბურუსივით დამამძიმებელი და გულსამრევი სიმყრალე ამოსდიოდა.

— მშია! — თქვა უცნობმა.

თიულიენს ძველი ქონის ნაჭრისა და შავი პურის ქერქის გარდა არაფერი გააჩნდა. მიართვა.

კეთროვანმა ყველაფერი შესანსლა და სუფრას, ჯამს, დანის ტარს მის სხეულზე მოფანტული იარების მსგავსი ლაქები დააჩნდა.

მერმე თქვა: -

— მწყურია!

თიულიენმა დოქი მოძებნა, დასწვდა და საამო სუნმა ნესტოები გაუფართოვა, გული გაუხსნა. ღვინოა! ეს რა იპოვა! მაგრამ კეთროვანმა ხელი გაიწოდა და ერთი ყლუპით დაცალა ხელადა.

— მცოვა! — თქვა შემდეგ.

თიულიენმა შუა ქონში სანთლით ცეცხლი წაუკიდა გვიმრის კონას.

კეთროვანი ცეცხლს მიეფიცხა. ჩაცუქდა, მთელი ტანით ცახცახებდა, ღონე ელეოდა, თვალები აღარ უკრთოდა. წყლულთაგან ბალღამი სდოდა, ჩაფერფლილი ხმით ბუტბუტებდა: „შენს საწოლზე!“

თიულიენი ფრთხილად წაეშველა, საწოლთან მიიყვანა და თავისი ნავის იალქანი წაათარა.

კეთროვანი გმინავდა. პირის ნახევრიდან კბილები უჩანდა. აჩქარებული ხროტინი მკერდს ურხევდა, სუნთქვისას მუცელი ხერხემალს ეკვროდა.

მერმე თვალი მოხუჭა.

— ძელებში სიცივე ჩამიდგა! მომიახლოვდი!

თიულიენმა აფრა გადასწია და გვერდით მიუწვა ხმელ ფოთლებზე.

კეთროვანმა თავი მოაბრუნა.

— გაიძვრე სამოსი, ეგებ შენი სხეულის სითბო წამადგეს!

თიულიენმა სამოსი განიძარცვა და დედიშობილა ჩაწვა საწოლში. გველივით ცივი და ქლიბივით მჭისი კანი შეეხო თეძოზე.

თიულიენი კეთროვანის გამხნეებებს შეეცადა. მან კი ქოშინით მიუგო:



— ეჰ! ვკვდები! მომეკარი! გამათბე!

ჟიულიენი მიეტმასნა, ბაგე ბაგეს, მკერდი მკერდს შეახო.

მომაკვდავი ჩაეხვია. კეთროვანს უეცრად თვალებში ვარსკვლავთა შუქი ჩაუდგა, თმები მზის სხივებივით წაუგრძელდა. ნესტოები ვარდის სურნელს აფრქვევდნენ. კერიიდან გუნდრუკი აიკვამლა, საკმეველის ჭავლები ჟღერდნენ. უსაზღვრო ნეტარებამ წალეკა ღონემიხდილი ჟიულიენი, ზეციური ღმერთი ჩაეღვარა სულში. ის კი, რომლის მკლავებიც შემოსქდობოდა, იზრდებოდა და იზრდებოდა, თავით და ფეხებით ქოხის კედლებს ეხებოდა. ჯარგვლის ჭერი აიხადა, ცის თალი გამოჩნდა. და ჟიულიენი ლურჯ სივრცეში ამალღდა ჩვენს უფალ იესოსთან ერთად, რომელსაც ზეცად მიჰყავდა იგი.

ასეთია მწირის შემფარებელი წმიდა ჟიულიენის ამბავი. ასევე იგი მოღწეული ჩემი ქვეყნის ერთ-ერთი ტაძრის ხატზე.

## გ უ ლ მ ა რ თ ა ლ ი

### I

ნახევარი საუკუნის განმავლობაში პონლევეკელი ქალები შუერის თვალით უცქეროდნენ ქ-ნ ობენს, რადგან მოსამსახურედ ფელისიტე ჰყავდა.

წელიწადში ას ფრანკად ფელისიტე მზარეულობდა, სახლს ალაგებდა, კერავდა, რეცხავდა, აუთობდა; იცოდა ცხენის შებმა, ფრინველის მოვლა, კარაქის დღვება და ერთგულებასაც არ აკლებდა თავის ქალბატონს, თუმცა იგი არცთუ სასიამოვნო აღამიანი იყო.

ქ-ნი ობენის ქმარი, ლამაზი, მაგრამ ღარიბი კაცი, 1809 წლის დამდეგს გარდაიცვალა და ცოლს ორი პატარა შვილი და ბევრი ვალი დაუტოვა. გარდა ტუქისა და ეეფოსის ფერმებისა, რომლებიც სულ 500 ფრანკ შემოსავალს იძლეოდნენ, ცოლმა გაყიდა თავისი მამული და ერთი სახლიდან, სენ-მელენის ქუჩაზე რომ იყო, გადასახლდა მეორეში, რომელიც ნაკლებ ხარჯს მოითხოვ-

და; ეს სახლი მის წინაპრებს ეკუთვნოდათ და ბაზრის უკან მდებარეობდა.

ამ კრამიტით დახურულ სახლს ერთი მხრით ეკრა ფართო გასასვლელი, მეორე მხრით კი შუკა, მდინარისაკენ რომ გადიოდა. ერთი ოთახის იატაკი მეორისაზე უფრო დაბალი იყო, რის გამოც ბორძიკობდა. ვიწრო დერეფანი სამზარეულოს ყოფდა დარბაზისაგან, სადაც ჭილობის სავარძელში მჭდომარე ქ-ნი ობენი მთელ ღღებებს ატარებდა ფანჯარასთან; კირით შეფეთქილი კედლების გასწვრივ ჩამწკრივებული იყო წითელი ხის რვა სკამი. ძველ პიანინოზე, ბარომეტრის ქვემოთ. მუყაოს კოლოფები დაეხორავებინათ. ლუი მეთხუთმეტეს სტილის ყვითელი მარმარილოს ბუხრის აქეთ-იქით მხარეზე ეკიდა გობელენები, მწყემსი ქალების გამოსახულებით. შუაში იდგა კედლის საათი, ვესტას ტაძარს რომ წარმოადგენდა; ოთახში ოდნავ იგრძნობოდა ობის სუნის, იატაკი კი ბალის დონეზე დაბალი იყო.

მეორე სართულზე, უწინარეს ყოვლისა, „ქალბატონის“ დიდი, მკრთალ ყვავილებიანი — შპალერაკრული ოთახი იყო იქ ეკიდა კონტად ჩაცმული „ბატონის“ პორტრეტი. ამ ოთახიდან, შედარებით მომცრო ოთახში გადიოდით, სადაც ბავშვთა ორი უღებო საწოლი იდგა. იქით კიდევ მუდამ დაკეტილი, შალითიანი ავეჯით გაწყობილი სასტუმრო ოთახი მდებარეობდა. დერეფნიდან კაბინეტში შედიოდნენ. წიგნებსა და ქალღაღადებს აევსო თაროები, შავი ხის ფართო საწერ მაგიდას სამი მხრით რომ ერტყა. ორი შარნირიანი პანო, მთლად დაფარული ზეთის სურათებით, გუაშით ნახატი პეიზაჟებით და ოდრანის გრავიურებით, უკეთეს დროებასა და გარდასულ ფუფუნებაზე მეტყველებდა. მესამე სართულზე სამერცხული აშუქებდა ფელისიტეს ოთახს, მდელოებს რომ გადაჰყურებდა.

მოსამსახურე უთენია დგებოდა, აღრიხანად წირვას რომ არ დაჰკლებოდა, და საღამომდე შეუსვენებლად მუშაობდა. სადილის შემდეგ ჭურჭელს მიაღაგებდა, კარს მაგრად ჩაკეტავდა, ნაცარში მუგუზალს ჩაფლავდა, ბუხართან თვლემდა და თან კრიალოსანს მარცვლავდა ხოლმე. არავინ ისეთი ვაჭრობა არ იცოდა, როგორც მან. რაც შეეხება სისუფთავეს, მისი გაპრიალებული ქვაბები სასოწარკვეთილებაში აგდებდა სხვა მოსამსახურეებს. მომჭირნე იყო, ნელა ჰამდა და სუფრაზე ნამცეცებს არ ტოვებდა;

თავისთვის აცხოვდა დიდ კვერს, რაც თორმეტ დღეს ჰყოფნიდა. წლის რა დროც არ უნდა ყოფილიყო, მუდამ ატარებდა ჩითის თავსაფარს, კეფაზე რომ ქინძისთავით ჰქონდა დამაგრებული, ჩაჩს, რაც თმას უფარავდა, ნაცრისფერ წინდებს, წითელ ქვედაწელს და გულისპირიან წინსაფარს, როგორც საავადმყოფოს მომვლელი ქალი.

პირხმელი იყო და გამწივანი ხმა ჰქონდა. ოცდახუთი წლისა ორმოცისა გეგონებოდათ. ხოლო როცა ორმოცდაათი შეუსრულდა, მის ასაკს ველარავინ არჩევდა; მუდამ მღუმარე, წელში გამართული, ღინჯად მოძრავი, ავტომატს ჰგავდა.

## II

მას თავისი სამიჯნურო ამბავიც ჰქონდა.

მამამისი კალატოზი იყო, ხარაჩოდან ჩამოვარდა და მოკვდა. მერმე დედაც მოუკვდა და დები აქეთ-იქით გაიფანტნენ. ფელისიტე ერთმა ფერმერმა შეივრდომა და, თუმცა ძლიერ პატარა იყო, ძროხებს ამწყემსინებდა. ზამთრობით კონკებში იყინებოდა, პირქვე დამხობილი სვამდა ჭაობის წყალს. უბრალო რამის გამო სცემდნენ და, ბოლოს, გააგდეს ოცი სუს მოპარვისათვის, თუმცა არ მოუპარავს. მერმე სხვა ფერმაში პირუტყვის მომვლელად დადგა და, რაკი პატრონებს უყვარდათ, მეგობრებს მისი მდგომარეობა შურდათ.

ავვისტოს ერთ საღამოს (მაშინ თერამეტი წლისა იყო) პატრონებმა მეჯლისზე წაიტანეს კოლეილში. ვიოლინოების წრიბინმა, ხეებზე დაკიდებულმა ფარნებმა, კრელაჭრულა ჩაცმულობამ, მაქმანებმა, ოქროს გულისჯერებმა, მოცეკვავე, მოხტუნავე ხალხმა, ყოველივე ამან პირველ წუთებშივე გააოგნა იგი და თავბრუ დაახვია. მოკრძალებული იდგა განზე, რომ უეცრად მასთან მივიდა კოხტად გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი, ჩიბუხს რომ ეწეოდა, და საცეკვაოდ მიიპატიჟა. მერმე სიღრით, ყავით, ნამცხვრითაც გაუმასპინძლდა, აბრეშუმის ცხვირსახოცი აჩუქა, და, რაკი ეგონა, განზრახვას მიმიხვდაო, შინ გაცილებაც შესთავაზა. ჰკვავის ყანისპირას უხეშად წააქცია. ქალს შეეშინდა, იკივლა. ვაჟი გაიქცა.

მეორეჯერ, საღამოს, ბომონის გზაზე, უნდოდა გაესწრო

თვით დატვირთული დიდი ურმისათვის, ნელა რომ მიზოზინობდა, და გვერდი რომ აუარა, თევდორე იცნო.

-თითქოს მათ შორის არაფერი მომხდარაო, ბიჭი მასთან მივიდა და უთხრა: უნდა მაპატიო, ნასვამი ვიყავიო.

გოგომ არ იცოდა, რა ეპასუხა, და გაქცევა დააპირა.

მაგრამ ბიჭმა ლაპარაკი დაიწყო მოსაეაღსა და იქაურ გამოჩენილ პირებზე; მამაჩემი კოლეილიდან ეკოს ფერმაში გადმოსახლდა, ასე რომ, ახლა ჩვენ მეზობლები ვართო.

— ა! — მიუგო ქალმა.

ბიჭმა დასძინა, მშობლებს სურთ, საკუთარი ოჯახი გავიჩინო და, რაკი არ მაჩქარებენ, მინდა ჯერ ჩემი გემოვნების ქალი მოვიყვანო. ქალმა თავი დახარა. მაშინ მან ჰკითხა, გათხოვებას ხომ არ ფიქრობო. გოგომ ღიმილით უპასუხა, რად დამციწიო.

— არა, ღმერთმანი, არ დაგციწი! — და წელზე მარცხენა ხელი მოჰხვია.

ასე მიდიოდნენ, ნაბიჯი შეანელეს. ქროდა თბილი ქარი, ვარსკვლავები კაშკაშებდნენ, წინ თივის უზარმაზარი ზვინი ირხეოდა, ოთხი ცხენი ზანტად მიაბიჯებდა და მტვერს აყენებდა. შემდეგ ცხენებმა თვითონ მოუხვიეს მარჯვნივ. ბიჭი ერთხელ კიდევ მოეხვია. ქალი ბნელში გაუჩინარდა.

მეორე კვირას თევდორეს ფელისიტესთან უკვე პაემანი ჰქონდა.

ფარულ ადგილებში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ეზოში, საღმრეთო კედელთან განმარტოებულ ხისქვეშ. ქალი არ იყო გულუბრყვილო. პირუტყვებმა ბევრი რამ ასწავლეს. საღმა გონიერებამ და თანდაყოლილმა პატიოსნებამ ხელი შეუწყვეს არ დაცემულიყო.

ამ წინააღმდეგობამ ვენება გაუმძაფრა თევდორეს და მის დასაკმაყოფილებლად (ან იქნებ თვითონაც სჯეროდა, რასაც ამბობდა), წინადადება მისცა ფელისიტეს. ცოლად გამოყევით. ქალმა არ იცოდა, ნდობოდა თუ არა მას. ბიჭი ღმერთსა და ხატს ეფიცებოდა.

მალე თევდორემ მეტად სავალალო ამბავი შეატყობინა: შარშან მშობლებმა მის მაგიერ იშოვნეს რეკრუტი, მაგრამ წელს შეეძლოთ დღითი დღე გაეწვიათ და ჯარში სამსახური შიშის ზარს ჰკვირდა. ეს შიში მისი სიყვარულის დამამტკიცებელი იყო და ფელისიტეს უფრო შეუყვარდა იგი. ღამით ჩუმად მივიდა მასთან.

თევდორე დიდხანს ტანჯავდა თავისი შიშით და განუწყვეტელი თხოვნით.

ბოლოს უთხრა: თვითონ წავალ პრეფექტურაში, ყველაფერს შევიტყობ და მომავალ კვირას თერთმეტიდან თორმეტ საათამდე გაცნობებო.

ქალმა დანიშნულ ვადაზე შეყვარებულთან მიირბინა, მაგრამ იქ მის ნაცვლად თევდორეს მეგობარი დახვდა.

მეგობარმა უთხრა, თევდორეს ველარ ნახავ, რადგან ჯარიდან თავის დასაღწევად ძან ძლიერ მდიდარი მოხუცი ქალი, ქ-ნი ლეჰუსე შეერთო.

დიდი იყო ფელისიტეს მწუხარება: მიწას განერთხო, მოთქვამდა, ღმერთს შესთხოვდა და გათენებამდე კენესოდა მინდორში მარტოდმარტო. შემდეგ ფერმაში დაბრუნდა, განაცხადა მიედოვარო, თვის ბოლოს ანგარიში მიიღო, თავისი ბარგი ნაკრაულში გახვია და პონ-ლ'ევეკში წავიდა.

სასტუმროს ზღურბლზე გამოელაპარაკა ვინმე ქვრივ ქალს, ვისაც სწორედ მზარეული ესაჭიროებოდა. ქალიშვილს კულინარიის ხელოვნებაში ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ისე გულმოდგინედ ეთანხმებოდა ყველაფერზე და ისე მცირედს მოითხოვდა, რომ ქ-მა ობენმა ბოლოს უთხრა:

— კარგი, ამიყვანიხარ!

თხუთმეტი წუთის შემდეგ ფელისიტე მასთან დაბინავდა. პირველ ხანებში „კანკალს ჰვერიდა სახლის შინაობა“ და „ხსოვნა ბატონისა“, ყველაფერს რომ დაუფლებოდა. პოლი და ვირჟინი, ერთი შვიდი წლისა, მეორე კი ის იყო ოთხი წლისა რომ გამხდარიყო, ძვირფასი მასალისაგან გაკეთებული ეგონა და მათ ზურგზე მოიკიდებდა ხოლმე, ვით ცხენი, მაგრამ ქ-ნმა ობენმა აუკრძალა მათი წარამარა კოცნა, რამაც გული მოუკლა. მიუხედავად ამისა, ფელისიტე თავს ბედნიერად გრძნობდა. ამ მყუდროებამ მწუხარება განუქარვა.

ხუთშაბათობით ქ-ნი ობენის მეგობრები მოდიოდნენ ხოლმე ბოსტონის სათამაშოდ. ფელისიტე წინასწარ ამზადებდა ბანქოსა და სათბურებს. სტუმრები ზუსტად სადამოს რვა საათზე იყრიდნენ თავს და დაახლოებით თერთმეტ საათზე დაიშლებოდნენ ხოლმე.

მეძველმანე, გასასვლელში რომ ცხოვრობდა, ყოველ ორშა-

ბათს, დილაადრიან, მიწაზე აწყობდა თავის საქონელს. შემდეგ ქალაქში გაისმოდა ხალხის გუგუნის, ცხენების ქიხინის, ცხვრების ბღავილი, ღორების ღრუტუნის და ურმების ჭრიალი. შუადღისას, გაჩადებული ბაზრობის დროს, კარს მოადგებოდა მოხუცებული, ძალაღიკლებული ცხვირმოკაუქებული გლეხი, ქუდი რომ კეფაზე ჰქონდა მოგდებული: ეს იყო ეფოსელი ფერმერი რობლენი; შემდეგ ლიებარი მოდიოდა, ტუკელი ფერმერი, მსხვილი, დაბალი, სახეწითელი. რუხ ქურთუქსა და დეზებიან გეტრებში გამოწყობილი.

ორივე სთავაზობდა ქალბატონს კვერცხებს ან ყველს. ფელისიტე მუდან ამხელდა მათ ყალთაბანდობას, რის შემდეგაც ისინი მას მეტი პატივისცემით ეკიდებოდნენ.

ქ-ნი ობენის ხშირი სტუმარი იყო მისი ბიძა, მარკიზ გრემანვილი, ვისაც მთელი ქონება გაეფლანგა და ახლა ფალეზში ცხოვრობდა თავისი მამულის უკანასკნელ ნაკვეთზე. მუდამ საუზმის დროს მოდიოდა ხოლმე და თან მოჰყავდა საძაგელი პუდელი. თათებით ავეჯს რომ სვრიდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ცდილობდა ქეშმარიტი არისტოკრატი ყოფილიყო, და ყოველ წარმოთქმაზე „განსვენებული მამაჩემი“ ეკერა პირზე. თან ქუდსაც კი აიწევდა ხოლმე, ძვალრბილში გამჭდარი ჩვევა თავისას არ იშლიდა: ქიქას ქიქაზე ცლიდა და ორაზროვნად ოხუნჯობდა. ფელისიტე ზრდილობიანად გაისტუმრებდა ხოლმე: „გეყოფათ. ბატონო გრემანვილი! ნახვამდის!“ და კარს მიუხურავდა.

სამაგიეროდ, სიამოვნებით უღებდა კარს მოხუც ვეჟილს. ბ-ნ ბურეს. მისი თეთრი ჰალსტუხი და მელოტი თავი. ყაბო. განიერი მიხაკისფერი რედინგოტი. ბურნუთის თავისებურად მოწევა. მთელი მისი არსება. ისეთ მოკრძალებას ჰგვრიდა, როგორსაც არაჩვეულებრივ ადამიანთა დანახვა გვაგრძნობინებს ხოლმე.

ბურე „ქალბატონის“ მამულის მოურავი იყო და მთელი საათობით ჩაიკეტებოდა ხოლმე მასთან ერთად „ბატონის“ კაბინეტში. ყველაზე მეტად იმას უფრთხობდა, რომ თავისი ღირსება არ შეებდალა, უსაზღვრო პატივისცემით იყო გამსჭვალული მოსამართლეთა წოდებისადმი და უყვარდა საუბარში ლათინური სიტყვების ხმარება.

გაკვეთილები რომ უფრო მიმზიდველი გაეხადა, მან ბავშვებს გეოგრაფიის დასურათებული სახელმძღვანელო აჩუქა, აქ ეხატა ფრთებით მორთული კაციქამიები, მაიმუნი, ქალიშვილი რომ

მოეტაცა, ბედუინები უდაბნოში, ვეშაპებზე ქვილით ნადირობა და სხვ.

პოლმა ფელისიტეს უამბო ამ სურათების შინაარსი და ამით ამოიწურა მოსამსახურე ქალის მთელი განათლება.

ბავშვებს ასწავლიდა გუიო. მერიის ღარიბი მოსამსახურე; იგი განთქმული იყო იმით, რომ კარგი წერა იცოდა და დანას ჩექმის ყელზე ილესავდა.

კარგ ამინდში დილაადრიან ქეფოსის ფერმაში დადიოდნენ.

ფერმის ეზო გორაკის ფერდობზე იყო; სახლი შუაზე იდგა. ზღვა, შორს რომ მოჩანდა, რუხ ლაქას ჰგავდა.

ფელისიტე კალათიდან ამოიღებდა ცივად მოხარშული ხორცის ნაკრებს და ყველს საუზმობდა ოთახში, რძის შესანახ საკუქნაოს რომ ეკრა. მხოლოდ ეს ოთახი გადაურჩა იმ ღრთთა ვითარებას, როცა სახლს აგარაკად იყენებდნენ. ქარი ჩამოხეულ შპალერს აშრიალეზდა. მოგონებათაგან დამწუხრებული ქ-ნი ობენი თავდახრილი იჯდა ხოლმე. ბავშვები ლაპარაკსაც ვერ ბედავდნენ. „ითამაშეთ, ბავშვებო. ითამაშეთ!“ — იტყოდა იგი და ბავშვებიც გარბოდნენ.

პოლი კარაპანში შექცვრებოდა, ჩიტებს იჭერდა, გუბეებში ქვას ისროდა, რის გამოც წყალზე წრეები ჩნდებოდა, ან ჯოხს ურტყამდა ღვინის უზარმაზარ კასრებს.

ვირჟინი უვლიდა ბაჭიებს, დარბოდა მინდორში, კრეფდა ყვავილებს და სირბილის დროს პატარა, მაქმანიანი ნიფხავი უჩანდა.

ერთხელ სალამოს, შემოდგომაზე, ოჯახი შინ ბრუნდებოდა.

ახალი მთვარე ცის ერთ ნაწილს აშუქებდა და ქარისაგან შარფივით ატაცებული ნისლი მდინარე ტუკის მოსახვევებს ეფინებოდა. მინდორში მწოლი ხარები მშვიდად უცქერდნენ გზაზე მომავალ ოთხ ადამიანს. უეცრად რამდენიმე ხარი წამოდგა და გარს შემოერთყა მათ. „ნუ გეშინიათ!“ — თქვა ფელისიტემ, რაღაც წაიბურტყუნა და ზურგზე გადაუსვა ხელი ხარს, რომელიც ყველაზე ახლოს იყო, ხარი განზე გახტა, მას სხვებიც მიჰყვნენ. მაგრამ როცა შემდეგი მინდორი უნდა გაევიდნენ. უეცრად საშინელი ღრილი ატყდა. ეს — მოზვერი ბლაოდა, რომელიც ნისლში არ ჩანდა. იგი მათკენ გამოექანა. ქ-მა ობენმა გაქცევა დააპირა.

— „არა, არა, ნუ იჩქარით!“ — ეუბნებოდა ფელისიტე, მაგრამ მათ ფეხი მაინც აუჩქარეს; უკან სულ უფრო ახლოს გაისმო-



და ხარის ხმამაღალი ქშენა. მისი ჩლიქების ხმა ჩაქუჩის ცემას ჰგავდა. ჩიქურ გამოექანა. ფელისიტემ ორივე მუჭით მიწა აიღო და ხარს თვალებში შეაყარა. პირუტყვემა საშინლად დაიდრიალა, თავი დახარა, რქები აიქნია და გაცოფებული აკანკალდა, ქ-ნი ობენი დაიბნა, შეეცადა ბავშვებიანად მაღალ ლობეზე გადამხტარიყო მინდვრის ბოლოს. ფელისიტე ნაბიჯ-ნაბიჯ იხევდა უკან, განაგრძობდა ხარისთვის თვალებში მიწის შეყრას და თან გაიძახოდა: „აბა, მალე! მალე!“

ქ-ნი ობენი თხრილში გადაეშვა, ხელი ჰკრა ვირეინის, მერმე პოლს. რამდენჯერმე დაეცა ასვლის დროს, ბოლოს, დიდი წვალებით აბობლდა.

ხარმა ფელისიტე ლობესთან მიიმწყვდია, სახეში დორბლს აყრიდა. ცოტაც, და რქებზე წამოიცვამდა. ქალმა მოახერხა ორ სარს შუა გაძვრომა და უზარმაზარი პირუტყვი გაოცებული გაჩერდა.

რამდენიმე წელს ეს ამბავი სალაპარაკოდ ჰქონდა მთელ პონ-ლ'ევეკში. ფელისიტეს სრულიადაც არ ეამაყებოდა თავისი საქციელი, რადგან ფიქრადაც არ მოსდიოდა ვმბრობა ჩავიდინეო.

მთელ გულისყურს ვირეინის უთმობდა. გოგონა შიშით ავად გახდა. ეჭიმმა პუპარმა ტრუვილის ზღვის აბაზანები დაუნიშნა.

იმ ხანებში იქ მაინცდამაინც არავინ დადიოდა. ქ-ნმა ობენმა რჩევისათვის ბურეს მიმართა და ისეთ სამზადისს შეუდგა, თითქოს დიდი მგზავრობა მოეღისო.

ჩემოდნები წინაღლით გაიგზავნა ლიებარის ორთვალათი. მეორე დღეს მან მოიყვანა ორი ცხენი. ერთი აკაზმული იყო ქალის უნაგირით, ხავერდის ზურგი რომ ჰქონდა, მეორეს ზურგზე დაკეცილი ლაბადა ეფარა. ქ-ნი ობენი ლიებარის უკან მოთავსდა, ფელისიტემ ვირეინი დაისვა, პოლი შეჭდა სახედარზე, რომელიც ქ-ნმა ლეშაპტუამ ათხოვა იმ პირობით, რომ თვალისჩინივით მოაველოთ.

გზა საძაგელი იყო, რვა კილომეტრის გავლას ორი საათი მოუნდნენ. ცხენები კოჭებამდე ეფლობოდნენ ტალახში. ფეხებს ძლივს აძრობდნენ, ნაურმალში ფრთხილობდნენ, ზოგჯერ კი ხტომა უხდებოდათ. ლიებარის კაკი ზოგან უეცრად შედგებოდა. პატრონი მოთმინებით ელოდებოდა კვლავ როდის ინებებს წასვლასო და ათასგვარ ამბავს ჰყვებოდა ახლომახლო მიდამოების შემამულეებზე და თანაც თავის მორალურ მოსაზრებებს ურთავდა. მა-

გალითად, როცა ტუკში ერთ ყვავილებიან ფანჯარას ჩაუარეს, მან მხრები აიჩეჩა და თქვა: — აი, ვინმე ქალბატონი ლეჰუსე. ახალგაზრდა ბიჭს მისთხოვდა, იმის ნაცვლად, რომ...

ფელისიტეს დანარჩენი არ გაუგონია. ცხენებმა გაუტიეს, სახედარი გაქენდა. ყველანი ბილიკზე გავიდნენ, ღობეს შემოუარეს. ორი პატარა ბიჭი გამოვიდა, ჩვენი მგზავრები ჩამოქვეითდნენ, წუნწუხს გადააბიჯეს და ზედ ზღურბლზე გაჩერდნენ.

ქალბატონი რომ დაინახა, დედაბერმა ლიებარმა არ იცოდა, სინარული რით გამოეხატა. მოამზადა საუზმე: სუკი, ჭიგარი, სისხლის კუპატი, შემწვარი წიწილები, შუშხუნა სიდრი, ხილის ტორტი, ქლიავის ნაყენი; ყოველივე ეს შეზავებული იყო ქათინაურებით „ამოდსახილველი“ ქალბატონისადმი, მისი ქალიშვილისადმი. რომელიც „ვალამაზებულა“ და „დავაჟაკებულ“ ბ-ნი პოლისადმი. გაიხსენა აგრეთვე მათი ბებია და ბაბუა, რომლებსაც ლიებარები იცნობდნენ, რადგან ობენების რამდენიმე თაობას ემსახურებოდნენ.

ფერმა ისეთივე ძველი იყო, როგორც მისი პატრონები. ჭიებმა დირეები დაკრკილეს, კედლები კვამლმა გააშავა, იატაკი მტვერმა გაარუხა. მუხის სკივრში ინახებოდა ყოველგვარი ხელსაწყო და ჭურჭელი: ტოლჩები, თეფშები, კალის ჯამები, მგლის ხაფანგები, ცხვრის საკრეჭი მაკრატლები. ოყნის ვეება მილის დანახვაზე ბავშვებმა გულიანად იციინეს.

ფერმის სამ ეზოში ერთი ხეც არ იყო, რომლის ძირშიც სოკოები არ ამოსულიყო, ხოლო ტოტებზე — ფითრი: ზოგი ტოტი ქარს მოეტეხა, აქედან ზოგი კვლავ მიკორძებულიყო ხეზე და ნაყოფი ძლივს ეკავა. უსწორმასწორო ისლის სახურავს, ყვითელ ხავერდს რომ ჰგავდა, ყველაზე ძლიერი ქარიშხლებისთვის გაეძლო, მაგრამ ეტლების ფარდული კი თითქმის დაენგრია. ქ-ნმა ობენმა ფარდულის თაობაზე თქვა, რამეს მოვისაზრებო და ცხენების შეკაზმვა ბრძანა.

ტრუვილამდე კიდევ ნახევარ საათს იარეს. პატარა ქარავანი ჩამოქვეითდა, რათა გაეელო ეკორი — ეს ნავეებზე გადმოყუდებული კლდე რამდენიმე წუთის შემდეგ შევიდნენ „ოქროს ბატკნის“ ეზოში; ეს იყო დეიდა დაჯდის სასტუმრო, სანაპიროს ბოლოში.

პირველ დღეებიდანვე ჰავის გამოცვლისა და ზღვის აბაზანების წყალობით ვირჟინი უკეთ გახდა. რაკი სპეციალური კოსტი-

უმი არ ჰქონდა, პერანგიანი ბანაობდა; ძიძა საბაჟოს მეთვალყურეთა სახლში აცმევდა ხოლმე. რითაც, ჩვეულებრივ, მოზაზავენი სარგებლობდნენ.

ნასადილევს სანდარს, წაიყვანდნენ და შავი კლდეების იქით, ენეკვილისაკენ წავიდოდნენ ხოლმე. ბილიკი ჯერ დასერილ ადგილებში გადიოდა, მერმე ზეგანზე აღიოდა, სადაც სახნავი და საოვარი მიწება ერთმანეთს ენაცვლებოდა. გზის გასწვრივ, გასარდულიყო მაყვლის ეკალი და კურკანტელი, გამხმარი ხეების ტორები ლურჯ ცაში აჩხატულიყო.

თითქმის ყოველთვის ისვენებდნენ ხოლმე მდელოზე, მარცხნივ რომ დოვილი ესაზღვრებოდა, მარჯვნივ კი ჰავრი. წინ — გაშლილი ზღვა გადაჰიმულა. მზეზე რომ ლაპლაპებს, გლუვი, ვით სარკე, და ისეთი წყნარი, რომ ძლივს ისმის მისი ქშული. სადაც ბელურები ჟიჟივებენ: და ყველაფერს უსაზღვრო ცის გუმბათი დამხობია. ქ-ნი ობენი საკერავით გართულა, მის ახლოს ვირჩინი ლელს წნავს. ფელისიტე ლავანდის ყვავილებს კრეფს, პოლი მოწყენილია, შინ წასვლა ენატრება. ზოგჯერ ტუქში გადიოდნენ და ნიჟარებს აგროვებდნენ. მიქცევის შემდეგ ნაპირზე რჩებოდა ზღვის ზღარბები, წყალმცენარეები, მეღუზები, და ბავშვები დარბოდნენ, რათა დაეპირათ ქაფი, ქარს რომ მიჰქონდა. მძინარე ტალღები ქვიშას ელაშენებოდნენ და უსაზღვრო, დამრეც ნაპირზე უშლებოდნენ. ხმელეთიდან, დიუნები ზღვას ჰყოფდნენ ეგრეთ წოდებული ჭაობისაგან. ფართო მდელოსაგან, დოდის მოედანს რომ ჰვავდა. როცა ამ მდელოზე გამოვლით ბრუნდებოდნენ. ხოლმე შინ, ტრუვილი თანდათანობით იზრდებოდა მათ თვალწინ ფერდობზე, სულ უფრო შორს იფანტებოდა მისი ლამაზი სახლები.

თუ ძლიერ ცხელოდა. გარეთ არ გადიოდნენ. ბრდღვიალა მზე კაშკაშა სხივებს დარბების ღრიჭობებში აძვრენდა. სოფელი გატვრენილია. ქვაფენილი უკაცრიელია, გამეფებული სიჩუმე განსაკუთრებით ამძაფრებს გარემოს მყუდროებას. შორიდან მოისმის ნავების წყალქვეშა ნაწილების მგმანავთა ჩაქუჩების ხმა და ზღვის მძიმე ქარსაც ფისის სუნი მოაქვს.

საყვარელი გასართობი იყო როგორ ბრუნდებოდნენ ბარკასები. ტივტივებს რომ გასცდებოდნენ, დაიწყებდნენ მიქცევ-მოქცევით სვლას. იალქნებს დაუშვებდნენ ორი მესამედით; ფოკანძის ქვემო

იალქანი ბურთივით გაიბერებოდა და ბარკასები სრიალებდნენ ტალღებზე, სანამ არ მიაღწევდნენ შუაგულ ნავსადგურს, სადაც უეცრად ღუზას ჩაუშვებდნენ, შემდეგ კი სანაპიროს მიაღებოდნენ. მატროსები ნაპირზე გადმოყრიდნენ მოფართქალე თევზებს. ურიკების რიგი ელოდა მათ და ჩითის ჩაჩებიანი ქალები კალათებს ახტებოდნენ, რომ თევზაობიდან დაბრუნებულ ქმრებს გადაჰყვოდნენ.

ერთხელ, როგორღაც, ერთი მათგანი ფელისიტეს გამოელაპარაკა და იგიც გახარებული შემოვარდა ოთახში: თურმე თავის დას შეხვედროდა. შემოვიდა ვინმე ლერუს ცოლი ნასტაზი, რომელსაც ცალი ხელით ძუძუმწოვარა ბავშვი ეკავა, მეორეთი კი ბიჭუნა მოჰყავდა, მარცხნივ, მიჰყვებოდა დონიჯშემოყრილი იუნგი, მატროსის ქუდი რომ კეფაზე მოედგო.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ქ-ნმა ობენმა ნასტაზი გაისტუმრა. მათ მუდამ ხვდებოდნენ ხოლმე სამზარეულოსთან ან სეირნობაზე. ქმარი კი არსად ჩანდა.

ფელისიტე მათ ეხმარებოდა. უყიდა საბანი, საცვლები და ლუმელი; ისინი მას აშკარად ჩაგრავენენ. ასეთი ქცევა ქ-ნ ობენს აშფოთებდა; ამასთანავე არც ის მოსწონდა, რომ ფელისიტეს დისწული ტოლივით ეპყრობოდა მის ეაეიშვილს: შენობით ელაპარაკებოდა. და რადგან ფელისიტეს ჴელება აუტყდა და ამინდიც გაფუქდა, ქ-ნი ობენი პონ-ლ'ევებს დაბრუნდა.

ბ-ნი ბურე დაეხმარა ქ-ნ ობენს შვილისთვის სასწავლებლის შერჩევაში და კანის კოლეჯი ურჩია, რომელიც საუკეთესოდ იყო მიჩნეული. პოლი იქ გაგზავნეს და იგიც უცრემლოდ გამოეთხოვა ყველას: უხაროჯა, ისეთ სახლში ვიცხოვრებ, სადაც ამხანაგები მეყოლებო.

ქ-ნმა ობენმა იმიტომ გადაწყვიტა შვილთან განშორება, რომ ეს აუცილებელი იყო. ვირეინიმ ნელ-ნელა დაივიწყა ძმა. ფელისიტე სინანულით იგონებდა ანც პოლს. მაგრამ მალე გაუჩნდა ახალი საქმე, რომელიც ართობდა: გოგონა ყოველდღე საღვთო რჯულის გაკვეთილებზე დაჰყავდა.

### III

ფელისიტე კართან მოიყრიდა მუხლებს, მერმე მალალთალოვან ეკლესიაში შევიდოდა, ჩამწკრივებულ სკამებს შორის გაიე-

ლიდა, ქ-ნი ობენის სკამს გადმოშლიდა, დაჯდებოდა და აქეთ-იქით დიწყებდა ცქერას.

პატრონიკეზე — ბიჭები მარჯვნივ, გოგონები მარცხნივ დგებოდნენ, მღვდელი კი — ტრაპეზის წინ. აბსიდის ერთი მოხატული ფანჯრის ზემოთ სულიწმიდა თავს დაჰფარფატებდა ქალწულ მარიამს: მეორე ადგილას იგი მუხლმოდრეკილი იდგა ყრმა იესოს წინაშე; ტრაპეზის იქით კი მოჩანდა ხის ქანდაკება გველეშაპის მგმირავი მთავარანგელოზის მიქელისა.

მღვდელი ჯერ საღვთო წერილის ნაწყვეტებს წაიკითხავდა. ფელისიტეს ეგონა სამოთხეს, წარღვნას, ბაბილონის გოლოლს, ცეცხლმოდებულ ქალაქებს, დაღუპულ ხალხებს, დამხობილ კერპებს ვხედავო. ამ დამაბრმავეებელ ხილვათა შემდეგ ფელისიტეს სულში რჩებოდა მოწიწება უზენაესისა და შიში მისი მრისხანების წინაშე. ტიროდა, როცა ქრისტეს წამების ამბავს ისმენდა. რისთვის აცვეს ჩვარს? მას ესოდენ უყვარდა ბავშვები, ხალხს პურით აძლებდა, ბრმებს თვალს უხელდა და მოწყალეებითა თვისითა ინება შობილიყო დატაკთა შორის, ბოსელში, თივაზე. ყანები, მკა, საწნახელი, ჩვენი ცხოვრების ეს ჩვეულებრივი საგნები, რომლებზეც სახარება ლაპარაკობს, ესოდენ ნაცნობი იყო ფელისიტესათვის; ღმერთმა აკურთხა ისინი თავისი მარჯვენით, და ღვთიური კრავის სიყვარულის გამო უფრო შეუყვარდა ბატკნები და მტრედებიც იმის გამო, რომ სულიწმიდამ მტრედის სახე მიიღო.

ფელისიტეს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა სულიწმიდაზე, რადგან იგი იყო არა მარტო ფრინველი, არამედ ცეცხლიც, ზოგჯერ კი ქროლვა. იქნებ შუქი, ღამით რომ ჭაობის თავზე ციალებს, მისგან მოდის, მისი სუნთქვა ერეკება ღრუბლებს. მისი ხმა ქმნის ზარების რეკის ჰარმონიას? და ექსტაზი ეუფლებოდა, ტკბებოდა ტაძრის კედლებიდან მონაქროლი სიგრილითა და მყუდროებით.

რაც შეეხება დოგმატებს, მათი არაფერი გაეგებოდა და არც ცდილობდა გაეგო. მღვდელი განმარტავდა — ბავშვები უპასუხებდნენ.

ფელისიტე ბოლოს და ბოლოს ჩათვლემდა და მერე უეცრად გაიღვიძებდა, როცა ქვის იატაკზე ხის ფეხსაცმელი აკაკუნდებოდა.

იგი ისმენდა და სწავლობდა საღვთო რჯულს, რაკი ბავშვობაში სარწმუნოებრივი აღზრდა არ ელირსა, და მას შემდეგ ყველაფერში ბაძავდა ვირჲინის: მარხულობდა და მასთან ერთად ეზიარებოდა ხოლმე. ღვთის სხეულის დღესასწაულზე მათ ტრაპეზი აღმართეს საეკლესიო მსვლელობის გზაზე.

ცოტა რამ როდი გადახდა ფელისიტეს ზიარების წინაღლებში. დელავდა ფენსაცმლის, კრიალოსნის, ლოცვანის, თათმანების გაშო. რა თრთოლვით ეხმარებოდა ვირჲინის დედას გოგონას გამოწყობაში!

ზიარების მოლოდინში მთელი წირვის დროს ვერ ისვენებდა. ბ-ნი ბურჲე ფარავდა პატრონიკის ერთ მხარეს. სამაგიეროდ პირდაპირ მოჩანდა ვოგონების ჯგუფი, თავზე რომ თეთრი გვირგვინები ედგათ, პირბადე ჩამოშვებული ჰქონდათ, დათოვლილ მინდორს ჰგავდნენ. შორიდან იცნო თავისი ძვირფასი პატარა, ლოცვას რომ გაეტაცნა. დაირეკა ზარი. თავები დახარეს. სიჩუმე ჩამოვარდა. უეცრად გაისმა ორღანოს გრგვინვა, მგალობლებმა და მლოცველებმა ერთად დაიწყეს „Agnus Dei“ („კრავი ღვთისა“). შემდეგ დაიწყო ბიჲუნების მსვლელობა, მათ მიჰყვნენ გოგონები. გულხელდაკრეფილნი იძვროდნენ ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ, სანთლებით მთლად გაჩირაღდნებულ საკურთხეველისაკენ. პირველ საფეხურზე იჩოქებდნენ სათითაოდ. ეზიარებოდნენ და იმავე წესით თავიანთ ადგილებზე ბრუნდებოდნენ. როცა ჯერი ვირჲინიაზე მიდგა, ფელისიტე დაიხარა. რათა დაენახა იგი, და მთელი სულითა და გულით მასთან იყო: ვირჲინის სახე მისი სახე იყო, მისი ტანისამოსი ეცვა, მკერდში მისი გული უძგერდა და, როცა გოგონამ თვალები დახუჭა და პირი დაალო, ფელისიტემ კინალამ გონება დაკარგა.

შეორე დღეს, დილაადრიან თვითონაც საშესამოსლოსთან იდგა, რათა ბ-ნი მღვდლისაგან ზიარება მიეღო, იგი მოწიწებით მიიღო, გარნა ისეთი აღტაცება არ განუცდია, როგორც წინააღღეს.

ქ-ნ ობენს სურდა ქალიშვილისათვის სანიმუშო განათლება მიეცა და, რადგან გუიოს არ შეეძლო ინგლისური ენა და მუსიკა ესწავლებინა, გადაწყვიტა ვირჲინი ჰონფლერის ურსულინელთა კანსიონში მიეცა.

გოგონა არ გაჯიუტებულა. ფელისიტე ოხრავდა და ქალბატონს

უგულოდ თვლიდა. მერმე გაიფიქრა, იქნებ სწორადაც იქცევა, ჩემი საქმე არ არის ამაზე მსჯელობაო.

და აი, ერთხელ, წინკარში გაჩერდა ძველი საზიდარი, საიდანაც გამოძვრა მონაზონი, ვისაც ქალიშვილი უნდა წაეყვანა. ფელისიტემ ნივთები ჩააწყო, მეეტლეს დარიგება მისცა და საზიდარში ექვსი ქილა მურაბა, ათიოდე ცალი მსხალი და იების თაიგული ჩაღო.

უქანასკნელ წუთებში ვირჟინი ატირდა, დედას მოეხვია, მან შუბლზე აკოცა და უთხრა: „ჰო, კარგი! გული გაიმაგრე!“. საზიდარის საფეხური აწიეს, ცხენი დაიძრა.

ქ-ნი ოზენი სულ დაიბნა და ყველა მისი მეგობარი, — ლერმოს ოჯახი, ქ-ნი ლეშაპტუა, რომეფილის ქალიშვილები, ბ-ნი დე ჰუპევილი და ბურე, — საღამოს მის საწუგეშოდ მოვიდა.

ქალიშვილთან განშორება პირველ ხანებში ძლიერ ადარდებდა ქ-ნ ოზენს, მაგრამ კვირაში სამჯერ იღებდა მის წერილს, დანაზრენ ღღეებში თვითონ სწერდა, ბაღში დასეირნობდა. ცოტას კითხულობდა და ასე ატარებდა დროს.

ფელისიტე, ჩვეულებრივ, დილაობით შედიოდა ვირჟინის ოთახში და კედლებს ჩამოათვალიერებდა. მოწყენილი იყო, რადგან თმას ველარ ვარცხნიდა, ფეხსაცმელს ველარ უბანდავდა, ლოგინში ველარ აწვენდა, მის საყვარელ სახეს ველარ ხედავდა და ხელს ველარ ჰკიდებდა, როცა გარეთ გაჰყავდა ხოლმე. რაკი არ იცოდა, დრო როგორ გაეღია, სცადა მაქმანის ქსოვა, მაგრამ გატლანქებული თითებით ძაფს წყვეტდა. ყველაფერს გულგრილად ეკიდებოდა, ძილი დაეკარგა, მისი სიტყვით, „სევდამ გული გაუღია“.

„გულის გადასაყლოებლად“ ნებართვა ითხოვა. დისწულს მოვიყვან ხოლმეო.

ვიქტორი კვირაობით ნაწირვებს ეწვეოდა ხოლმე, ლოყაწითელი, საკინძემოდელილი და თან მინდვრების სურნელი მოჰქონდა. ფელისიტე მაშინვე სუფრას გაშლიდა: ერთად საუზმობდნენ. ზედმეტი ხარჯი რომ არ გაეწია, თვითონ ცოტას ჰამდა, სამაგიეროდ, ვიქტორს ისე უმასპინძლებოდა, რომ ბიჰს ბოლოს და ბოლოს იქვე ჩაეძინებოდა ხოლმე. როგორც კი მწუხრისას დარეკავდნენ, გაადვიებდა, შარვალს გაუწმენდა, ჰალსტუხს გაუსკვნიდა და დედობრივი სიამაყით წაუძღვებოდა ეკლესიაში.

მშობლები ვიქტორს ავალებდნენ დეიდისაგან გამოეთხოვა რამე: შაქრის ფხვნილი, საპონი, არაყი, ზოგჯერ ფულიც. ბავშვს მოჰქონდა შესაკეთებლად ყოველგვარი ძველმანი; ფელისიტე მუშაობდა, რადგან უხაროდა, ერთხელ კიდევ ზედმეტად ვნახავო.

ავგისტოს ბოლოს ვიქტორი მამამ წაიყოლა ნაოსნობაში.

ეს ამბავი სწორედ არდადეგებს დაემთხვა. ბავშვების დაბრუნებამ ფელისიტე ანუგეშა. მაგრამ პოლი ჰირვეული გამხდარიყო, ვირყინი კი ისე გაზრდილიყო, რომ ფელისიტეს უხერხულად ეჩვენებოდა მასთან შენობით ლაპარაკი. მათ შორის კედელი აღიმართა, გულითადი ურთიერთობა გაქრა.

ვიქტორმა მოიარა მორლე, დიუნკერკი, ბრაიტონი და ყოველთვის რაიმე საჩუქარი მოჰქონდა, ფელისიტეს პირველად ნიჟარების კოლოფი ჩამოუტანა, მეორედ ყავის ფინჯანი, მესამედ ფიგურული ნამცხვარი. ბიჭი დამშვენდა, ძლიერ გაიზარდა, უღვაშები აუბიბინდა. კეთილი, პატიოსანი თვალები ჰქონდა: პატარა ტყავის ქუდი, ლოცმანივით, კეფაზე მოეგდო. ფელისიტეს ამბებით ართობდა, რომლებშიც ზღვაოსნობის ტერმინებს ურევდა.

1819 წლის 14 ივლისს, ორშაბათს, (ფელისიტეს ეს თარიღი არ დავიწყნია), ვიქტორმა უთხრა: შორეულ ნაოსნობაში მივდივარ და ზეგ ღამით ჰონფლერიდან ჰავრს საკუთარი სანდლით უნდა ავიდეს; ნაოსნობაში შესაძლოა, ორი წელი გავატარო.

ასეთი დიდი ხნით განშორების მოლოდინმა ფელისიტე სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. და აი ოთხშაბათს, როცა ქალბატონმა ისადილა, ფელისიტემ ხის ფეხსაცმელი ჩაიცვა და კაი ოთხი ლიე გატყუცა ფეხით პონ-ლ'ევეკიდან ჰონფლერამდე, რათა დისწულს გამოთხოვებოდა.

როცა კალვერს მიუახლოვდა, ნაცვლად იმისა, რომ მარცხნივ გაეხვია, მარჯვნივ წავიდა, ქვრფებში გზა დაებნა და უკან დაბრუნდა. ხალხი, ვისაც იგი ეკითხებოდა, ურჩევდა იჩქარეო. გემებით სავსე დოკს შემოუარა, ბაგირებში ფეხი ეხლართებოდა, მერმე დაბლა დაეშვა. სინათლე აკიაფდა, უეტრად ჰაერში ცხენები დაინახა, ეგონა გავგიჟდიო, სხვები კიდევ სანაპიროზე ჭიხვინებდნენ; თურმე ამწეებით გადაჰყავდათ გემში, სადაც მგზავრები დალოდავდნენ სიდრის კასრებს, ყველის კალათებსა და მარცველულის ტომრებს შორის. ისმოდა ქათმების კრიახი, კაპიტანი იგინებოდა. ერთი ყმაწვილი, იდაყვით კრონძელს რომ



დაყრდნობოდა, ყოველივე ამას გულგრილად უცქეროდა; ფელისიტემ ჭერ ვერ იცნო იგი, მერმე დაუძახა: „ვიქტორ!“ მან თავი აწია, ქალი მისკენ გაექანა; მაგრამ ამ დროს ტრაპი აიღეს.

გემი, რომელსაც ქალები თოკით და სიმღერით ეწეოდნენ, ნავსადგურიდან გავიდა. იალქნები დაშვებული იყო, ზედ კაცი არ ქაჰანებდა. მძიმე ტალღები ცხვირში სცემდნენ, გემი კრაქუნობდა, მთვარით განათებულ ზღვაში შავ ლაქასავით ჩანდა, თანდათან მუქდებოდა, ბნელში იძირებოდა და, ბოლოს, გაქრა.

კალვერის ახლოს რომ გაიარა, ფელისიტე ღმერთს შეევედრა, უშველე იმას, ვინც ჩემთვის ყველაზე ძვირფასიაო. დიდხანს იდგა ერთ ადგილას და ლოცულობდა, სახე ცრემლით დასველებოდა, თვალები ცისკენ აღეპყრო.

ქალაქს ეძინა. საბაჟოს ზედამხედველები სანაპიროზე დადიოდნენ. შლუზებიდან გადმოვარდნილი წყალი მენივით გრგვინავდა. ნაშუალამევის ორი საათი დაირეკა.

მონასტერში მხოლოდ დღისით უშვებდნენ. ფელისიტეს რომ დაჰკვიანებოდა, ქალბატონს, რასაკვირველია, ეწუზინებოდა. ფელისიტე შინ გაემართა.

სასტუმროს მოსამსახურე ქალები ის იყო დგებოდნენ, როცა ფელისიტე პონ-ლ'ევეკში შედიოდა.

საბრალო ბიჭუნა! რამდენ თვეს უნდა იყანყალოს ტალღებში! მისი წინანდელი მოგზაურობანი ფელისიტეს არ აშინებდნენ. ინგლისიდან და ბრეტანიდან ბრუნდებიან, გარნა ამერიკა და კოლონიები... კუნძულები უცნობი ქვეყნებია დედამიწის დასალიერში, სადაც უკვალოდ იკარგებიან.

მას შემდეგ ფელისიტე მხოლოდ დისწულზე ფიქრობდა. მზიან დღეებში წუხდა, წყურვილით იტანჯებო. ქუხილში ეშინოდა, მეხმა არ მოკლასო: როცა ქარი საკომურში გულუხნებდა და კრამიტებს გლეჯდა, ეგონა, ქარიშხალი ტალღებში აბურთავებს ვიქტორს, ანძის ნამსხვრევებს რომ ჩასქიდებიაო: ანდა გაიხსენებდა სურათებს გეოგრაფიის სახელმძღვანელოებიდან და წარმოიდგენდა, ვინ იცის რას, იქნებ მხეცები გლეჯენ ვიქტორს, ან მაიმუნებმა გაიტაცეს და სადმე ზღვის უკაცრიელ ნაპირზე კვდებო. მაგრამ არასოდეს თავის წუხილზე კრინტიც არ დაუძრავს.

ქ-ნი ობენი კი ქალიშვილისათვის შფოთავდა.

მონაზვნების აზრით, გოგონა ძლიერ ალერსიანი. მაგრამ მეტად

სუსტი აგებულებისა იყო. ოდნავი მღელვარება ღონეს უკარ-  
გავდა. იძულებული გახდა ფორტეპიანოზე დაეკრა მიეტროვებინა.

დედა მოითხოვდა, მონასტრიდან წერილები რეგულარულად  
ეგზავნათ. ერთხელ როგორღაც, დილით, ფოსტალიონი არ მო-  
სულა. ქ-ნი ობენი შეშფოთებული დაწრიალებდა ოთახებში. ოთ-  
ხი დღეა შვილის ამბავი არ იცის! დასაწყნარებლად ფელისიტემ  
საკუთარი მაგალითი დაუხსახელა:

— მე კი, ქალბატონო, აგერ ნახევარი წელია წერილი არ  
მიმიღია...

— ეგ ვისგან?

მოსამსახურემ მშვიდად უპასუხა:

— ჩემი დისწულისგან.

— ა! თქვენი დისწულისგან!

ქ-ნმა ობენმა მხრები აიჩეჩა და კვლავ სიარულს მოჰყვა; თით-  
ქოს უნდოდა ეთქვა: „ეგ მე ფიქრადაც არ მომსვლია. ან მასთან  
რა მესაქმება? ვილაც იუნგი მათხოვარა, არაარობა!.. ჩემი ქა-  
ლიშვილი კი... ერთი ამას დამიხედე!“

ფელისიტე აღშფოთდა, თუმცა ბავშვობიდანვე სიმკაცრის მე-  
ტი არაფერი უნახავს; მერმე ყველაფერი დაავიწყდა. |

სრულიად ბუნებრივი ეჩვენებოდა, რომ ბავშვისათვის გონე-  
ბას კარგავდნენ:

ორივე ბავშვი თანაბრად ძვირფასი იყო მისთვის; ერთი და  
იგივე ძაფები აკავშირებდა მის გულთან, და ორივეს ერთნაი-  
რი ბედი ელოდა.

ფელისიტემ მეთაქისაგან შეიტყო, გემი ჰავანას ჩავიდაო.  
გაზეთში წაეკითხა.

ფელისიტეს, ჰავანა, სიგარების გამო, ისეთ ქვეყნად ესახე-  
ბოდა, სადაც მხოლოდ თამბაქოს ეწვეიან, და წარმოიდგენდა  
ხოლმე ვიქტორს, ბოლში გახვეულს, ზანგთა შორის. შეიძლე-  
ბა თუ არა, „საჭირო რომ გახდეს“, იქიდან ხმელეთით დაბრუნ-  
ება? რამდენადაა დაშორებული ჰავანა ჰონ-ლ'ევეკიდან? მან  
ბ-ნ ბურეს სთხოვა, ეს ამიხსენიო.

ბურემ ატლასი ამოიღო და დაუწყო. განედებზე ლაპარაკი,  
თანაც პედანტური ღიმილით უცქეროდა ფელისიტეს, რომელიც  
მხოლოდ თვალებს ფახვავდა!

— აგერ! — უთხრა ბოლოს და ფანქრით უჩვენა ოდნავ შესამჩნევი შავი წერტილი.

ფელისიტე რუკაზე დაიხარა; ნაირფერ ხაზებს დასცქეროდა და ვერაფერი გაეგო; თვალეში აუჭრელდა და, როცა ბურემ ჰკითხა, რა გაფიქრებსო, მან სთხოვა, მიჩვენე სახლი, სადაც ვიქტორი ცხოვრობსო. ბურემ ხელები გაასავსავა, ცხვირი დააყვირა და გიჟივით დაიწყო ხარხარი: ასეთმა გულუბრყვილობამ აღტაცებაში მოიყვანა. ფელისიტეს მისი სიცილის მიზეზი ვერ გაეგო. იგი იქნებ ბიჭის პორტრეტის დანახვასაც კი მოელოდა, იმდენად შეზღუდული ჰქონდა გონება.

ორი კვირის შემდეგ, ბაზრობის დღეს ლიებარი, ჩვეულებრივ, სამზარეულოში შევიდა მასთან და სიძის წერილი გადასცა. არც ერთმა არ იცოდა კითხვა და ფელისიტემ ქალბატონს სთხოვა, წამიკითხეო.

ქ-ნი ობენი საქსოვს უჯდა; ხელსაქნარი იქით გადადო, წერილი გახსნა, შეკრთა და, ცრემლმორეულმა, ძლივსგასავიწყონი ხმით წარმოთქვა:

— უბედურებას გატყობინებენ... თქვენი დისწული...

იგი გარდაცვლილა. ამაზე მეტი არაფერი არ იყო ნათქვამი.

ფელისიტე სკამზე დაეცა, თავით ტიხარს მიეყრდნო და თვალეში დახუჭა, უბეები უეცრად დაუწითლდა.

— საბრალო ბიჭი! საბრალო ბიჭი! — იმეორებდა თავდახრილი, ხელები უმწეოდ დაეშვა, ერთ წერტილს მიშტერებოდა.

მისი შემყურე ლიებარი ოხრავდა. ქ-ნი ობენი ოდნავ კანკალებდა.

მან ფელისიტეს ურჩია, ტრუვილს წადი, და ცხედარი ინახულო.

ფელისიტემ უპასუხა, ეგ რას უშველისო.

სიჩუმე ჩამოვარდა. გულკეთილმა ლიებარმა ამჯობინა გაცლოდა მათ.

მაშინ ფელისიტემ თქვა:

— მათთვის ეს არაფერია, ჰო, მათთვის! ;

თავი კვლავ გულზე დაეკიდა, მაშინალურად დასწვდა საქსოვ ჩხირებს, ხელსაქნარის მაგიდაზე რომ იდო, და გადააბრუნ-გადმოაბრუნა.

ეზოში ქალებმა ქოკზე დაკიდებული სარეცხი შემოიტანეს, წყალი რომ წურწურით სდიოდა.

ისინი რომ დანახა, ფელისიტეს სარეცხი გაახსენდა: გუშინ რეცხავდა, დღეს უნდა ამოელო, და იგი ოთახიდან გავიდა.

მისი ბოგირი და კასრი მდინარე ტუკის ნაპირზე იყო. რამდენიმე პერანგი ფერდობზე მიაგდო, მკლავები დაიკაბიწა. სატყეველი აიღო და მისმა ტყაპუნმა ახლომახლო ბალები გააყრუა. მინდვრები ცარიელი იყო; ქარმა მდინარე ააჩქროლა; მაღალი ბალახი ისე ლივლივებდა, როგორც წყალწაღებულის თმა. ფელისიტე დაღამებამდე თავს იმაგრებდა. მაგრამ შინ რომ მივიდა, საწოლზე დაემხო, თავი ბალიშში ჩარგო, ხელები საფეთქლებზე მიიჭირა და აქვითინდა.

დიდი ხნის შემდეგ თვით ვიქტორის კაპიტნისაგან შეიტყო დისწულის გარდაცვალების დაწვრილებითი ცნობები. ტროპიკული ციებ-ცხელება შეპყროდა და საავადმყოფოში სისხლი ძლიერ ქარბად გაეღოთ. ოთხ ექიმს ეკავა თურმე. მაშინვე მომკვლარიყო და უფროს ექიმს ეთქვა: — კეთილი. კიდეც ერთი!

მშობლები ვიქტორს მუდამ მხეცურად ეპყრობოდნენ. ფელისიტემ ამჯობინა ისინი აღარ ენახა. თვითონაც აღარ კითხულობდნენ მის ამბავს გულმავიწყობისა თუ გაჭირვებისაგან დაჩაგრული ადამიანების უგულობის გამო.

ვირჟინი ძაბუნდებოდა. სულის ხუთვა, ხველება და ლაქები ლოყებზე, რალაც ავადმყოფობის მათუწყებელი იყო. ბ-ნმა პუპარმა ურჩია, პროვანსში წაიყვანეთო. ქ-ნმა ობენმა წასვლა გადაწყვიტა და ქალიშვილს დაუყოვნებლივ წაიყვანდა კიდეც, პონ-ლ'ევეკის ჰავა რომ არა.

ქ-ნი ობენი მეეტლეს გაურიგდა და სამშაბათობით მონასტერში დადიოდა.

ბაღში მოედანი იყო, საიდანაც სენა მოჩანდა. დედასთან ხელჩაკიდებული ვირჟინი იქ სეირნობდა, ვაზის დაცვენულ ფოთოლთა შორის. მზე ხანდახან გამოიხედავდა ღრუბლებში, თვალმობხუჭული გოგონა გასცქეროდა შორს მოქათქათე იალქნებსა და ცისკიდურს, ტანკარვილის ციხედარბაზიდან რომ ჰავრის შუქურებამდე იყო გადაკიმული. სეირნობის შემდეგ ფანჩატურში ისვენებდნენ. დედამ ერთი პატარა კასრი ჩინებული მალაგა იშოვ-

ნა. ვირჟინის ართობდა თრობაზე ფიქრი, მაგრამ მხოლოდ ორ ყლუპს მოსვამდა ხოლმე, მეტს არა.

გოგონა მოლონიერდა. შემოდგომა მშვიდად გავიდა. ფელსიტე ქ-ნ ობერს ამხნევებდა, მაგრამ ერთხელ საღამოს, შინ რომ ბრუნდებოდა, ფელსიტემ ჭიშკართან ბ-ნი პუპარის კაბრიოლეტი დაინახა. თვით ექიმის წინკარში იდგა, ქ-ნი ობენი ქულის ლენტებს იკრავდა.

— მოშიტანეთ სათბურა, ქისა, ხელთათმანები. მალე! ვირჟინი ფილტვების ანთებით გამხდარა ავად და იქნებ მისი მდგომარეობა უნუგეშოც იყოს.

— ჯერ კიდეც არა, — თქვა ექიმმა.

თოვლის ფანტელები აცვივოდათ, ორივე ეკიპაჟში ჩაჯდა. დაღამდა. ძლიერ ციოდა.

ფელსიტე ეკლესიაში გაიქცა, რომ ხატისათვის სანთელი აენთო. შემდეგ კაბრიოლეტს დაედევნა, ერთი საათის შემდეგ დაეწია, ადვილად შეახტა უკან, მაგრამ გაახსენდა, რომ ჭიშკარი არ დაუხსურავს. „ვაი, თუ ქურდები შევიდნენ!“ თქვა და ჩამოხტა.

მეორე დღეს, დილაადრიან, ფელსიტე ექიმთან მივიდა. იგი დაბრუნებულიყო. მაგრამ კვლავ სოფელში წასულიყო. ქალი სასტუმროში დარჩა და წერილს ელოდებოდა, რომელიც თითქოს, ასე ეგონა, ვილაცას უნდა მოეტანა.

ბოლოს განთიადისას ჩაჯდა დილიქანსში, ლივიეში რომ დადიოდა.

მონასტერი შუკის ბოლოს იყო. შუაგზა რომ გაიარა, უცნაური ხმა მოესმა დაკრძალვისას რეკდნენ. „ვილაც მომკვდა-რა!“ — თქვა და გააფთრებით დაუშინა ჩაქუჩი ჭიშკარს.

რამდენიმე წუთის შემდეგ გაისმა გაცვეთილი ჩუსტების ჩლატუნის, კარი გაიღო და მონაზონი ქალი გამოჩნდა. მან დამწუხრებულნი ხმით განაცხადა, გოგონა ეს არის გარდაიცვალაო. წმ. ლეონარდოს სამრეკლოზე რეკა უფრო ხმამაღლა გაისმა.

ფელსიტე მეორე სართულზე ავიდა.

ოთახის ზღურბლიდან დაინახა ვირჟინი, გულამა რომ იწვა, ზელები გულზე დაეკრიფა, პირი დაეღო და თავი გადაეგდო. შავი ჭვარცმისქვეშ, ქათქათა ფარდებს შორის, მისი სახე სითეთრეში ეცილებოდა მათ.

ქ-ნ ობენს ხელები მისი საწოლის ზურგისთვის ჩაევილო და

მწარედ ქვითინებდა. მარჯვნივ მონასტრის წინამძღვარი ქალი იდგა. სამი სანთელი კომოდზე წოთელ შუქს ჰფენდა, ფანჯრები კი ნისლის გამო თეთრი ჩანდა. მონაზვნებმა ქ-ნი ობენი წაიყვანეს.

ორი ღამის განმავლობაში ფელისიტე მიცვალებულს არ მოშორებია. იგი იმეორებდა ერთსა და იმავე ლოცვებს, ზეწრებს ნაკურთხ წყალს აკურებდა, კვლავ დაჯდებოდა და მიცვალებულს ამტერდებოდა.

პირველი ღამის შემდეგ შეამჩნია, რომ ვირჟინის სახე გაუყვითლდა, წარბები გაულურჯდა, ცხვირი წაუწვრილდა, თვალები ჩაუცივდა. ფელისიტემ რამდენჯერმე დაუქოცნა თვალები და არ გაუკვირდებოდა, ვირჟინის რომ ისინი გაეხილა: ისეთებისათვის, როგორც ფელისიტეა, ზებუნებრივი სრულიად ჩვეულებრივი რამეა. მან მიცვალებული მორთო, სულარაში გახვია, კუბოში ჩააწვინა, გვირგვინი დაადგა, თმა გაუშალა. თმა ქერა და გოგონას ასაკისათვის არაჩვეულებრივად გრძელი ჰქონდა. ფელისიტემ მოზრდილი კულული მოსქრა და უბეში ჩაიდო, რომ აღარასოდეს არ მოეშორებინა.

ქ-ნი ობენის დაყინებით, ცხედარი პონ-ლ'ევეკში გადაასვენეს. იგი ეტლით მიჰყვებოდა კატაფალკს. პანაშვილის შემდეგ თითქმის სამი მეოთხედი საათი იარეს სასაფლაომდე. პოლი ქვითინით მიჰყვებოდა. უკან მიდიოდნენ ბ-ნი ბურე. ქალაქის წარჩინებული საზოგადოება, შავმოსილი ქალები და ფელისიტე. იგი ფიქრობდა თავის დისწულზე, ვისაც უკანასკნელი ვალი ვერ გადაუხადა, და გრძნობდა, რომ მწუხარება უორკეცდებოდა, თითქოს მას ვირჟინისთან ერთად ასაფლაებდნენ.

ქ-ნი ობენის მწუხარება უსაზღვრო იყო.

თავდაპირველად ღმერთს ჰყვედრიდა, ასე უსამართლოდ რომ წაართვა ქალიშვილი: მას ხომ ავი არავისთვის გაუკეთებია და სინდისი წმინდა ჰქონდა, ვით ბროლი. არა! ქალიშვილი სამხრეთ საფრანგეთში უნდა წაეყვანა. სხვა ექიმები გადაარჩენდნენ. ქ-ნი ობენი თავს ადანაშაულებდა, სურდა შეერთებოდა თავის ქალიშვილს. დამწუხრებული, ღამით ყვიროდა; კოშმარი აწამებდა. განსაკუთრებით ხშირად ხედავდა ერთ სიზმარს: მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი თავისი ქმარი შორი მგზავრობიდან ბრუნდებოდა და თვალცრემლიანი ეუბნებოდა, ნაბრ-

ძანები მაქვს ვირჯინი წავიყვანო, და ფიქრობდნენ, სად დაე-  
მალოთო.

ერთხელ ქ-ნი ობენი ბალიდან შეძრწუნებული დაბრუნდა.  
ქმარი და ქალიშვილი ის იყო გამოსცხადებოდნენ ბალში. ისინი  
უძრავად იდგნენ, მხოლოდ უცქეროდნენ მას.

რამდენიმე თვის განმავლობაში ქ-ნი ობენი თავისი ოთახიდან  
არ გასულა: აპათია დაეუფლა. ფელისიტე ნაზად ემუდარებოდა:  
სულით ნუ დაეცემი და თავს მოუარე ვაჟიშვილისა და „მისი“  
ხსოვნისათვისო.

— მისი ხსოვნისათვისო? — იმეორებდა ქ-ნი ობენი, თითქოს  
იღვიძებდნენ.— აჰ, დიად, დიად!.. თქვენ იგი არ გავიწყდებათ!

ეს შეეხებოდა ვირჯინის საფლავს, რისი ნახვაც ქ-ნ ობენს  
სასტიკად ჰქონდა აკრძალული.

ფელისიტე კი ყოველდღე დადიოდა იქ.

ზუსტად ოთხ საათზე შემოუვლიდა სახლს, გორაკზე ავიდო-  
და, სასაფლაოს კუთკარს გააღებდა და ვირჯინის საფლავისკენ  
გაეშურებოდა. საფლავის ქვაზე აღმართული იყო ვარდისფერი  
მარმარილოს პატარა სვეტი.

გარშემო გაშენებული ყვავილნარი ჯაჭვით იყო შემოღობილი.  
კვლები ყვავილებში იყო ჩაფლული. ფელისიტე რწყავდა, სი-  
ლას უმატებდა, დაიჩოქებდა და მიწას აფხვიერებდა, ხოლო  
როცა ქ-ნმა ობენმა საფლავი ნახა, შვება იგრძნო და თითქოს  
ინუგეშა.

გადიოდა წლები, ერთმანეთს რომ ჰგავდა. მხოლოდ დიდი-  
დღესასწაულები: აღდგომა, მიძინება, სულიწმიდის მოფენა  
არღვევდნენ მათ ერთფეროვნებას. შინაური ცხოვრების ამბები  
იყო ის თარიღები, რომლებსაც შემდეგში დაიმოწმებდნენ ხოლმე.

მაგალითად, 1825 წელს ორმა მღებავმა წინკარი შეღება; 1827  
წელს სახურავის ერთი ნაწილი ჩამოიქცა და კინაღამ კაცი მოკლა;  
1828 წელს ქალბატონმა სეფისკვერები დაარბია. რამდენიმე  
ხნის შემდეგ უცნაურად გაქრა ბ-ნი ბურე და ქ-ნ ობენს ნელ-ნელ-  
ლა შემოეფანტა თავისი ძველი ნაცნობები: გუიო, ლიებარი,  
ქ-ნი ლეშაპტუა, როშლენი, ძია გრემანვილი, რომელიც დიდი-  
ხანია დამბლას ლოგინად მიეჩაჰვა.

ერთხელ ღამით ფოსტის დამტარებელმა პონ ლ'ევეკში მოი-  
ტანა ივლისის რევოლუციის ამბავი. რამდენიმე დღის შემდეგ და-

ინიშნა ახალი სუპრეფექტი, ბარონ დე ლარსონიერი, წინათ ამერიკაში კონსულად ნამყოფი. იგი ცოლთან იყო და მათთან ერთად ცხოვრობდა ცოლის და, ვისაც სამი უკვე კარგა მოზრდილი ქალიშვილი ჰყავდა. მათ ხშირად ხედავდნენ მდელიოზე სახლის წინ. ქალიშვილებს ჰყავდათ ზანგი და თუთიყუში. ისინი ქ-ნ ობენს ეწვივნენ, ამანაც სამაგიერო გადაუხადა. ფელისიტე, მათ შორით რომ მოჰკარავდა თვალს, ქალბატონის გასაფრთხილებლად გაიქცეოდა ხოლმე. მაგრამ არაფერს, გარდა ვაჟიშვილის წერილებისა, არ შეეძლო იგი აპათიდან გამოეყვანა.

ბოლი უქნარა იყო, მთელ დღეებს კაფეში ატარებდა. დედა ვალებს უხდიდა, იგი ახალს იღებდა. და ოხვრა ქ-ნ ობენისა, ფანჯარასთან რომ ქსოვდა ხოლმე, აღწევდა სამზარეულოში ჯარას მიმჯდარ ფელისიტემდე.

ისინი ერთად სეირნობდნენ ხოლმე ვენახში და მუდამ ვირჟინიზე ლაპარაკობდნენ: აბა, ამა თუ იმ შემთხვევაში რას იტყოდა იგი ან რა მოეწონებოდაო.

ყველა მისი ნივთი კედლის კარადაში იყო იმ ოთახში, სადაც ორი პატარა საწოლი იდგა. ქ-ნი ობენი ერიდებოდა მათ ნახვას ერთხელ ზაფხულში გადაწყვიტა დაეთვალეირებინა, კარადა გააღო, და იქიდან ჩრჩილი გამოფრინდა.

ვირჟინის ტანსაცმელი ერთად ეკიდა ჯოხზე, რომლის ქვეშ იყო სამი დედოფალა, სერსო, ჭურჭელი და პატარა ტაშტი. მათ გამოიღეს აგრეთვე ქვედაწელები, წინდები, ცხვირსახოცები და საწოლებზე გადაფინეს. მზე აშუქებდა ნივთებს; კარგად ჩანდა ლაქები, ნაოჭები, რაც ვირჟინის სხეულის მოძრაობას დაეტოვებინა. ნათელი და თბილი ამინდი იყო. სადღაც შაში ქანჭახებდა, გარშემო ყველაფერი თითქოს სიცოცხლით ტკებოდა. იპოვნეს აგრეთვე მიხაკისფერი პლუშის პატარა ქუდი, მაგრამ ჩრჩილს ისიც მთლად დაეხრილა. ფელისიტემ ითხოვა, მე მომეცითო. ქალებმა ერთმანეთს შეხედეს. თვალები ცრემლით აევსოთ. მაშინ ქალბატონმა მკლავები გაუშალა მოსამსახურეს, იგიც მისკენ გაექანა და ერთმანეთს გადაეხვივნენ. კოცნამ გაანელა მწუხარებაც, რომელიც მათ ათანაბრებდა.

ეს იყო პირველად მათ სიცოცხლეში. ქ-ნი ობენი ექსპანსიურობით არ გამოირჩეოდა. ფელისიტე მადლობელი იყო ამ კოც-



ნის გამო, თითქოს ქალბატონს გაებედნიერებინოს, და მას შემდეგ აღმერთებდა მას, ერთგული იყო, როგორც ძალი.

ფელისიტეს გული სიკეთისათვის გაიღო.

როცა ქუჩაში მიმავალი პოლკის დოლის ხმას გაიგონებდა, კართან გაჩერდებოდა და ჯარისკაცებს სიღრით უმასპინძლდებოდა. უვლიდა ქოლერით ავადმყოფებს, ეხმარებოდა პოლონელებს: ერთ მათგანს მისი ცოლად შერთვაც კი უნდოდა, მაგრამ ეეო შეთანხმდნენ: ერთხელ დილით, ქალი ცისკრიდან რომ დაბრუნდა, პოლონელი სამზარეულოში შეისწრო, — ვინეგრეტი თვითონ მოემზადებინა და არხენად მიირთმევდა.

პოლონელების შემდეგ მისი ზრუნვის ობიექტი გახდა პაპა კოლმიში, ვისაც 93-ე წლის საშინელებათა მონაწილის სახელი ჰქონდა გავარდნილი. იგი მდინარის პირას ცხოვრობდა დანგრეულ სალორეში. ქუჩის ბიჭები ქუქრუტანებში იჭვრიტებოდნენ და კენჭებს ესროდნენ ხოლმე ლატაკურ ლოგინში მწოლიარეს, გამუდმებული ხველება რომ აცახცახებდა ხოლმე. მას ჰქონდა მეტად გრძელი თმა, ანთებული უპეები და სიმსივნე ხელზე, დიდი, საკუთარ თავზე მეტი. ფელისიტემ მოხუცს უშოვნა საცვლები, ცდილობდა გაეწმინდა მისი სალორე, ოცნებობდა მოეთავსებინა სათორნეში, სადაც ქალბატონს ხელს არ შეუშლიდა. როცა კოლმიშს სიმსივნე გაეხსნა, იგი ყოველდღე უბანდა ხოლმე, ზოგჯერ მოჰქონდა კოკორი, მზისგულზე აწვენდა, ჩალაზე. საბრალო მოხუცი, აკანკალებული და დორბლიანი, მიმკვდარებული ხმით უხდიდა მადლობას, ეშინოდა არ მიმატოვოსო და ხელებს უწვდიდა, როცა ფელისიტე წასვლას დააპირებდა. მოხუცი მოკვდა და მან სულის მოსახსენებელი წირვა გადაუხადა.

იმ დღეს ფელისიტეს დიდი ბედნიერება ელოდა: სადილობისას მოვიდა ქ-ნი დე ლარსონიერის ზანგი და ბოქლომით დაკეტილი გალიით თუთიყუში მოიყვანა. ბარონის მეუღლე ქ-ნ ობენს ატყობინებდა, ჩემი ქმარი პრეფექტად დანიშნეს და ამ საღამოს მივიღივართო. იგი სთხოვდა, ჩემი პატივისცემის ნიშნად ეს ფრინველი სახსოვრად მიიღეთო.

თუთიყუში დიდი ხანია ფელისიტეს ყურადღებას იპყრობდა, იგი ხომ ამერიკიდან იყო მოყვანილი, ეს სიტყვა კი ვიქტორს აგონებდა და ზანგს ხშირად ეკითხებოდა ხოლმე ფრინველის ამ-

ბავს. ერთხელ როგორღაც კიდევაც თქვა: „ქალბატონი ძალიან მონარული იქნებოდა, ამისთანა ფრინველი, რომ ჰყოლოდა“.

ზანგმა ეს სიტყვები გადასცა თავის ქალბატონს, ვისაც ფრინველის თან წაყვანა არ შეეძლო, და ამნაირად მოიშორა თავიდან.

#### IV

თუთიყუშს ლულუ ერქვა. მას ტანი მწვანე, ფრთების წვეროები ვარდისფერი, შუბლი ცისფერი და ყელი ოქროსფერი ჰქონდა.

ერთი ცუდი ჩვეულება ჰქონდა: ქანდარას კორტნიდა, ბუმბულს იგლეჯდა, ყველგან სკინტლავდა, ჯამიდან წყალს ღვრიდა. ქ-ნ ობენს თავი მოაბეზრა და მანაც იგი ფელისიტეს აჩუქა.

მოსამსახურემ ლაპარაკი ასწავლა. მალე იგი ამბობდა: „საყვარელი ბიჭუნა! თქვენი უმორჩილესი მონა! გამარჯობა, მარი!“ ფელისიტემ იგი კართან მოათავსა და ზოგიერთს უკვირდა, რომ არ უპასუხებდა, როცა უაკოს ეძახდნენ. რადგან ეს ყველა თუთიყუშის ზედმეტი სახელია. მას ინდაურს, მორს ადარებდნენ, რაც ფელისიტეს გულს უკლავდა. უცნაურობა სჭირდა: როცა უცქერდნენ, სრულიად არ ლაპარაკობდა.

მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც უყვარდა, რადგან, როცა ქალიშვილები რომფეილები, მარკიზ დე ჰუპევილი და ახალი ნაცნობები: მეაფთიაქე ონფრუა, ბ-ნი ვარენი და კაპიტანი მათიე ბანქოს თამაშობდნენ ხოლმე, თუთიყუში ფრთებით ეხებოდა მინას და ისე ანჩხლობდა, რომ ყველას ხმას აწმობდა.

ბურეს გარეგნობა უთუოდ ძლიერ სასაცილო ეჩვენებოდა. როცა დაინახავდა, მაშინვე დაიწყებდა სიცილს და ქანცის გაწყვეტამდე ხარხარებდა. მისი სიცილი ეზოს აცრუებდა, გამოხმობად გაისმოდა. მეზობლები ფანჯრებში იხედებოდნენ და აგრეთვე იცინოდნენ. ბურე ქუდს ჩამოიფხატავდა, რომ თუთიყუშს არ დაენახა. კედელს გაჰყვებოდა მდინარისაკენ და შემდეგ ბაღის კუტიკარით შემოვიდოდა. ვერავინ იტყოდა, რომ იგი მაინცადამაინც ალერსიანად უცქეროდა ფრინველს.

ყასბის ბიჭმა წიკპურტი ჰკრა ლულუს იმისათვის, რომ კალათში ნისკარტი ჩაუყო; მას შემდეგ თუთიყუში სულ იმას ცდილობდა, მისთვის მკლავზე ეკორტნა. ფაბიუ იმუქრებოდა, მაგას

კისერს მოვეუგრებო, თუმცა მკაცრი არ ყოფილა, მიუხედავად იმი-  
სა, რომ ხელები ნასვირინგები და ქილვაშებიც დიდი ჰქონდა, პი-  
რიქით, თუთიყუშისადმი სიმპათიასაც კი გრძნობდა და სურდა  
სასეიროდ გინება ესწავლებინა. ამის გამგონე ფელისიტეს კი-  
ნალამ გული გაუსკდა და თუთიყუშში სამზარეულოში მოათავსა.  
როცა გალიიდან გამოუშვებდნენ, თავისუფლად დასეირნობდა  
მთელ სახლში.

კიბეზე რომ ჩადიოდა ხოლმე, საფეხურებს ნისკარტს ჩასჭი-  
დებდა, მერმე გადადგამდა ნაბიჯს და ფელისიტეს ეშინოდა, ასე-  
თი ტანვარჯიშით თავბრუ არ დაესხასო.

ერთხელ თუთიყუში ავად გახდა, არაფერს ჭამდა, არ ლაპა-  
რაკობდა, ენისქვეშ ხორცმეტი გაუჩნდა, როგორც ზოგჯერ ქათ-  
მებსაც აქვთ ხოლმე. ფელისიტემ იგი ფრჩხილებით ამოგლიჯა და  
ლულუ მორჩა. როგორღაც, პოლმა, გაუფრთხილებლობით,  
ნისკარტში თამბაქო შეაბოლა; ერთხელ კიდევ ქ-ნმა ლორმომ  
ქოლგის ტარით გააღიზიანა და მანაც უქორტნა. ბოლოს იგი  
სადღაც დაიკარგა.

ფელისიტემ ბალახზე გაუშვა, სუფთა პაერი ისუნთქოსო, და  
ცოტა ხნით დატოვა: როცა დაბრუნდა, ფრინველი აღარსად ჩან-  
და. ფელისიტემ ბევრი ეძია ბუჩქებში, მდინარის პირას, სა-  
ხურავებზეც კი. ყურადღებას არ აქცევდა ქალბატონის ყვირილს:  
„ფრთხილად! ხომ არ შეიშალეთ?“ ვისაც ლულუ არ ენახა, ნიშ-  
ნებს აუწერდა. უეცრად მოეჩვენა, რომ წისქვილებს იქით, გო-  
რაკების ძირში რაღაც მწვანე დაფრინავდა, მაგრამ იქ არაფერი  
არ იყო. დამტარებელი ამტკიცებდა, თუთიყუში ეს არის ახლა  
სენ-მელენში ენახე დეიდა სიმონეს დუქანშიო. ფელისიტე იქ გა-  
ეშურა, მაგრამ ვერაფერი გაუგეს. ბოლოს, დაქანცული შინ  
დაბრუნდა, ძლიერ დაღონებული იყო, თანაც ფეხსაცმელი  
ტყუილ-უბრალოდ გაცვითა. ქალბატონის გვერდით ჩამოჯდა და  
მთელი თავგადასავალი უამბო. უეცრად მხარზე რაღაც დაეცა-  
ლულუ! „სად იყავ, შე კუდიანო? იქნებ ახლო-მანლო დასეირ-  
ნობდი?“

ფელისიტე ძლივს გამოკეთდა ამ მწუხარებისაგან, ან, უკეთ,  
ვერასოდეს მთლად ვერ გამოკეთდა.

იგი გაცივდა და ანგინით გახდა ავად, ცოტა ხნის შემდეგ ყუ-  
რები ასტივდა. სამიოდე წელი გავიდა და მთლად დაყრუვდა,

ძლიერ ხმამაღლა ლაპარაკობდა, ეკლესიაშიც კი. თუმცა მისი ცოდვები მრევლის ყოველ კუთხეში შეიძლებოდა სცოდნოდათ და ეს არავითარ ჩრდილს არ მიაყენებდა მის სახელს, არც არავის აცთუნებდა, გარნა მღვდელს უფრო მოხერხებულად მიაჩნდა აღსარება საშესამოსლოში ეთქმევიანებინა.

ყურებში შუილი თავ-გზას უკარგავდა. დიასახლისი ხშირად ეტყოდა ხოლმე: „ღმერთო ჩემო, რა სულელი ხართ!“ იგი უპასუხებდა: „ღიად, ქალბატონო“, და გარშემო დაუწყებდა ხელის ფათურს.

მისი წარმოდგენათა ისედაც ვიწრო წრე სულ უფრო პატარავდებოდა — მისთვის აღარ არსებობდა ზარების რეკა და ხარების ბღავილი. ყოველი ცოცხალი არსება მღუმარედ მოძრაობდა, როგორც მოჩვენება. ახლა აღარაფერი ესმოდა, გარდა თუთიყუშის ჩხავილისა.

თითქოს მის გასართობად, ფრინველი აჯავრებდა ჯარას ზუზუნს, თევზით მოვაჭრე ქალის მწივანა ხმას, ღურგლის ხერხის ხრილს, როცა ზარს ჩამორეკდნენ, ქ-ნ ობენს ჰბაძავდა: „ფელისიტე! კარი! კარი!“

ისინი საუბრობდნენ ხოლმე. თუთიყუში უთვალავჯერ გაიმეორებდა თავისი რეპერტუარის სამ სიტყვას, ქალი აგრეთვე უპასუხებდა უთავბოლო სიტყვებით, რომლებითაც გულს იოხებდა. მარტობაში ისე შეიყვარა ლულუ, როგორც შვილი. ხელზე დააფრინდებოდა, ტუჩებს უკორტნიდა, მერმე თავზე შეახტებოდა, ქალი თავს გააქნევდა, მაშინ ფრინველის ფრთები და ჩაჩის ბოლოები ერთად აფრიალდებოდა.

როცა მოიღრუბლებოდა და გრგვინვა დაიწყებოდა, ლულუ აყვირდებოდა, იქნებ მშობლიური ტყეების თქეში აგონდებოდნენ წყლის ჩუხჩუხი აღტაცებას ჰგვრიდა, აფორიაქებდა, ჰერში აფრინდებოდა, ყველაფერს გადააბრუნებდა, ფანჯარაში გაფრინდებოდა, გუბებში იწყუმპალავებდა, მაგრამ მალე დაბრუნდებოდა, ბუხრის რიკულზე ჩამოჯდებოდა და სველ ფრთებს დაიბერტყავდა.

ერთხელ დილით, 1837 წლის საშინელ ზამთარში, ფელისიტემ ლულუ მკვდარი ნახა გალიაში, ბუხართან რომ გასათბობად დადგა. ფრინველი კლანჭებით გალიის რკინის ჩხირებს ჩასკიდებოდა, თავი ჩაეჩინდრა, ალბათ, თავში სისხლის ჩაქცევით.

მოკვდა. ქალმა იფიქრა მომიწამლესო და, თუმცა არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ ჰქონდა, ფაბიუზე მიიტანა ექვი.

იგი ისე ტიროდა, რომ ქალბატონმა უთხრა:

— კარგი, გეყოფა! ფიტული გააკეთებინე!

ფელისიტე შეაფთიაქეს მოეთათბირა, იგი მუდამ კარგად ეპყრობოდა თუთიჯუმს. მან ჰავრში მისწერა. ვინმე ფელაშემ იკისრა ფიტულის გაკეთება, მაგრამ რადგან დილიჯანსი ზოგჯერ ბარგს ჰკარგავდა, ფელისიტემ გადაწყვიტა, თვითონ წაეღო ლულუ ჰონფლერს.

გზაზე ტოტებგაშიშვლებული ვაშლის ხეები ჩამწკრივებულნი-ყო. თხრილი ყინულს დაეფარა. ფერმებში ძაღლები ყუფდნენ. ფელისიტე მიიჩქაროდა, ფეხზე ხის ფეხსაცმელი ეცვა, ხელში კალათი ეკავა.

ტყე გაიარა, ო-შენს გასცდა, სენ-გატიენს მიაღწია.

უკან, მტვრის კორიანტელში, გრიგალივით მოჰქროდა საფოსტო ეტლი. მეეტლემ ცხენები განზე მირეკა, ქალი რომ დაინახა, რომელიც გზიდან არ უხვევდა, მაგრამ ვერ შეაჩერა და კინაღამ გაიტანა. მაშინ გაჯავრებულმა, რაც ღონე ჰქონდა, გრძელი მათხარი ზურგზე ისე გადაუჭირა, რომ ფელისიტე იქვე დაეცა.

როცა გონს მოვიდა, მაშინვე კალათს ეცა და გახსნა. საბედნიეროდ, ლულუს არაფერი არ დაშავებოდა. მერმე იგრძნო, რომ მარჯვენა ლოყა ეწვოდა, ხელი მოისვა და გაუსისხლიანდა.

ფელისიტე ქვების გროვაზე ჩამოჯდა, ლოყაზე ცხვირსახოცი მიიღო, კალათიდან პური ამოიღო, ყოველი შემთხვევისათვის რომ წამოეღო, ჭამდა და ლულუს უცქეროდა. ამან ტკივილი დააფიწყა.

ეკმოვილის მწვერვალზე რომ ავიდა, ფელისიტემ დაინახა ჰონფლერის ფარნები, ბნელში რომ ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ, იქით კი გადაჭიმული იყო წყვილიადით მოცული ზღვა; სისუსტე იგრძნო და გაჩერდა. დუხჭირი ბავშვობა, გატრუებული სიყვარული, დისწულის წასვლა, ვირჟინის სიკვდილი. ყველა ეს მოგონება მოქცევის ტალღასავით დაეცა თავს, ცრემლები ყელში მოაწვა და აქვითინდა.

გადაწყვიტა მიემართა გემის კაპიტნისათვის, ამანათის წაღება სთხოვა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს იმაზე, რაც შიგ იყო.

ფელაშეს დიდ ხანს ელო შინ თუთიყუში. ყოველთვის ჰპირდებოდა, შემდეგ კვირას გამოგიგზავნიო. ნახევარი წლის შემდეგ შეატყობინა, ყუთი გამოგზავნეო, და გაჩუმდა. შეიძლებოდა მას ეფიქრა, ლულუ სამუდამოდ დაიკარგაო.

„მომპარეს“, — ფიქრობდა ფელისიტე.

ბოლოს თუთიყუში მოვიდა. იგი დიდებული იყო: ცალი ფეხით იჯდა წითელი ხის სადგარს დამაგრებულ ჯოხზე, თავი დაეხარა და ჰკორტნიდა კაკალს, მეფიტულეს რომ მოეყარაყებინა.

ფელისიტემ ლულუ თავის ოთახში ჩაქეტა.

ეს ადგილი, სადაც ყველას როდი უშვებდა, ერთსა და იმავე დროს ნიშნაც ჰგავდა და ბაზარსაც, იმდენი იყო იქ რელიგიური კულტის სხვადასხვა ნივთი და ხარახურა.

დიდი კარადა ხელს უშლიდა ოთახის კარის გაღებას. ბაღის მხარეზე გამოჭრილი ფანჯრის პირდაპირ იყო მრგვალი სარკმელი, ეზოს რომ გადაჰყურებდა. მაგიდაზე, დასაკეცი საწოლის ახლოს, წყლიანი დოქი იდგა, ორი სავარცხელი და ნაპირებშემოღრღნილ ლამბაქშიც ხელის ცისფერი საპონი იყო. კედლებზე ეკიდა კრიალოსნები, მედლები, რამდენიმე მადონა, ქოქოსის კაკლის სასხურებელი. კომოდზე, ტრაპეზივით რომ იყო მაუდგადაფარებული, იღო ნიჟარებისაგან გაკეთებული პატარა ყუთი. ეს იყო ექტორის ნაჩუქარი, სადაც ინახებოდა სარწყავი, ბურთი, რვეულები, გეოგრაფიის, სურათებიანი სახელმძღვანელო, ერთი წყვილი ფეხსაცმელი; ხოლო სარკესთან ლურსმანზე ლენტებით ეკიდა პლუშის პატარა ქუდი. რელიქვიებისადმი სიყვარული ისე ჰქონდა ფელისიტეს ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ ბატონის ერთ-ერთ რედინგოტსაც კი ინახავდა. თავის ოთახში აგროვებდა ყოველგვარ ძველმანს, რაც ქ-ნ ობენს არ ესაქიროებოდა. იქ, კომოდის ნაპირზე, შეიძლებოდა გენახათ ხელოვნური ყვავილები, სამერცხულის ღრმულში კი გრაფ დ, არტუას პორტრეტი.

ფირფიტას მიმაგრებული ლულუ იდგა ღუმელის საკომურზე, ოთახში რომ გამოდიოდა. ფელისიტე ხედავდა მას, დილაადრიან რომ გაიდვიძებდა ხოლმე და, სრულიად დამშვიდებული, უნაღვლოდ გაიხსენებდა განვლილ დღეებს. თვალწინ წარმოუდგებოდა ყოველი წვრილმანი სრულიად უმნიშვნელო მოვლენები.

იგი არავის მეგობრობდა და მთვარეულივით გამოშეტრებული ცხოვრობდა. პროცესიები უფლის სხეულის დღესასწაულებში გა-

მოაცოცხლებდა ხოლმე. მეზობლებს ჩამოუვლიდა და აგროვებდა სანთლებს და ქილობებს ტრაპეზისათვის, ქუჩაში რომ აგებდნენ ხოლმე.

ეკლესიაში მუდამ ხედავდა სულიწმიდას და შეამჩნია, რომ იგი ოდნავ ჰგავდა თუთიყუშს. ეს მსგავსება უფრო ეცემოდა ხოლმე თვალში საბაზრო ნახატებზე, რომლებზეც გამოსახული იყო მაცხოვრის ნათლისცემა. სულიწმინდა, ვისაც მეწამული ფრთები და ზურმუხტოვანი ტანი ჰქონდა, ლულუს ნამდვილი პორტრეტი იყო.

მან ეს სურათი იყიდა და იმ ადგილას დაკიდა, სადაც წინათ გრაფ დ'არტურის პორტრეტი ეკიდა. ასე რომ, ერთსა და იმავე დროს ხედავდა ლულუსაც და სულიწმიდასაც. მის გონებაში ისინი ერთმანეთს შეერწყნენ. სულიწმიდასთან მსგავსებით თუთიყუშში ნაკურთხი იყო, სულიწმიდა კი ფელისიტესათვის უფრო ცოცხალი და გასაგები გახდა. მამალმერთს არ შეეძლო თავისი ნების გამოსავლინებლად მტრედი აერჩია, რადგან ამ ფრინველმა ლაპარაკი არ იცის. მას უფრო უნდა აერჩია ლულუს ერთ-ერთი წინაპარი. და ფელისიტეც ნახატს უცქეროდა და ლოცულობდა, მაგრამ ხანდახან ფრინველს გადახედავდა.

მონოზენად აღკვეცას აპირებდა, მაგრამ ქ-ნმა ობენმა გადაათქმევინა.

დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: პოლმა ცოლი შეირთო.

ჯერ კლერკად მსახურობდა ნოტარიუსთან, მერმე მუშაობდა სავაჭრო საწარმოში, საბაჟოში, საგადასახადო უწყებაში და იმასაც კი ცდილობდა, რომ წყალთა და ტყეთა დაცვის დეპარტამენტში ადგილი ეშოვნა, როცა უეცრად, ზემთაგონებით, ოცდათექვსმეტი წლისამ თავისი მოწოდება აღმოაჩინა: არაპირდაპირ გადასახადთა სამმართველოში დაიწყო სამსახური და იქ ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ ზედამხედველმა ქალიშვილი მიათხოვა და პროტექციასაც დაჰპირდა.

პოლი ქუჟას მოეგო და ცოლიანად დედასთან ჩამოვიდა.

ცოლი დასცინოდა პონ-ლ'ევეკის ზნე-ჩვეულებათ, თავი ისე ეჭირა, როგორც პრინცესას, შეურაცხყოფდა ფელისიტეს. რძლის წასვლის შემდეგ ქ-ნმა ობენმა შვებით ამოისუნთქა.

შემდეგ კვირაში ამბავი მოვიდა, ქვემო ბრეტანში სასტუმროში ბ-ნი ბურე გარდაიცვალა. დადასტურდა ხმები, რომ მან თავი

მოკლა. მის პატიოსნებაში უკვე ეჭვი შეეპარა. ქ-ნმა ობენმა შეამოწ-  
მა თავისი ანგარიშები და აღმოაჩინა მთელი რიგი თაღლითობა: საი-  
ჯარო ქირის გაფლანგვა, ხე-ტყის ფარულად გაყიდვა, ყალბი  
ხელწერილები და სხვ. უფრო მეტიც, ბურეს აღმოაჩნდა უკა-  
ნონოდშობილი შვილი, „კავშირი ჰქონდა ვილაც დოზიულელ ქალ-  
თან“.

ქ-ნი ობენი დაამწუხრა მთელმა ამ საძაგლობამ. 1853 წლის  
მარტში გული ასტიკვდა, ენაზე გამოაყარა. წურბელმა ვერ უშ-  
ველა და მეცხრე დღეს გარდაიცვალა სამოცდათორმეტი წლის  
ასაკში.

შესახედავად უფრო ახალგაზრდა ჩანდა იმის მეოხებით, რომ  
შავი თმა ჰქონდა, რომლის კულულები ფერმკრთალ, ყვავილივით  
დაკენკილ სახეს უფარავდა. მის სიკვდილს ბევრი აღარავინ დაუმ-  
წუხრებია: ქედმაღლობამ მეგობრები ჩამოაშორა.

ფელისიტე ისე გლოვობდა თავის ქალბატონს, როგორც პატ-  
რონებს გლოვობენ ხოლმე. იგი ვერ შერიგებოდა ფიქრს, რომ  
ქალბატონი მასზე ადრე გარდაიცვალა; ეს რაღაც არაბუნებრივი.  
შეუწყნარებელი და საშინელი ეჩვენებოდა.

ათი დღის შემდეგ (ამდენი დრო სჭირდებოდა გზას ბეზანსონ-  
ნიდან) მემკვიდრეები ჩამოვიდნენ. რძალმა ააქოთა იქაურობა,  
ავეჯი გადაარჩია, დანარჩენი გაყიდა. შემდეგ თავიანთ სამმართვე-  
ლოში დაბრუნდნენ.

ქალბატონის სავარძელი, მისი პატარა მაგიდა, სათბური, რვა  
სკამი. ყველაფერი გაქრა! გრავიურების ადგილას კედლებზე ყვი-  
თელი ოთხკუთხედები დარჩა. მემკვიდრეებმა წაილეს ორივე ბავ-  
შვის საწოლი ლეიბებიანად, ხოლო კედლის კარადაში ვირჟინის ნივ-  
თებისაგან აღარაფერი არ დარჩენილა! ფელისიტემ ლასლასით შე-  
მოიარა მთელი სახლი.

მეორე დღეს კარზე გაჩნდა განცხადება. შეათთიაქემ ყურში  
ჩასძახა ფელისიტეს, სახლი იყიდებაო.

მას თავბრუ დაესხა და იძულებული გახდა დამჯდარიყო.

ფელისიტეს ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ უნდა დაე-  
ტოვებინა თავისი ოთახი, სადაც თავს ესოდენ კარგად გრძნობდა  
საბრალო ლულუ. ნაღვლიანად შესცქეროდა მას და სულიწმიდას  
ევედრებოდა. თანდათან მიეჩვია მუხლმოდრეკით ელოცნა თუთი-  
ყუმის, ვით კერპის წინაშე. ზოგჯერ მზის შუქი, სამერცხულში



რომ შემოძვრებოდა, ფრინველის ქიქის თვალს მოხვდებოდა და ააბრკვევიალებდა, რაც ალტაცებას ჰგვრიდა ფელისიტეს.

იგი იღებდა სამას ოთხმოც ფრანკ პენსიას, რაც ქალბატონმა უანდერძა, გარდა ამისა, ბოსტანი მწვანის აძლევდა. ტანისამოსი კი სიყვდილამდე სამყოფი ჰქონდა. განათებაზე არაფერს ხარჯავდა, რადგან დაბინდებისას წვებოდა.

ფელისიტე თითქმის არ გადიოდა შინიდან; ერიდებოდა მეძველმანის დუქანს, სადაც გამოფენილი იყო მათი ყოფილი ავეჯის ზოგი რამ. თანაც ცალი ფეხით კოქლობდა მას შემდეგ, რაც მედილიყანსემ წააქცია. თანცათან სუსტდებოდა და მამიდა სიმონე, თავის დუქანში რომ დაბერდა, ყოველდღე მოდიოდა ხოლმე მასთან დილაობით, შეშას დაუპობდა, წყალს მოუტანდა.

მხედველობაც დააკლდა. ფანჯრების დარაბები აღარ იღებოდა. მრავალი წელი გავიდა, მაგრამ სახლს არავინ არც ქირაობდა და არც ყიდულობდა.

ფელისიტეს ერთხელაც არ უთხოვია სახლის შეკეთება, ეშინოდა, არ გამასახლონო. სახურავი ლპებოდა, მთელი ზამთარი სასთუმალი სველი ჰქონდა. ნაადდგომევეს სისხლიანი ხველა დააწყებინა.

მაშინ მამიდა სიმონემ ექიმს მიმართა.

ფელისიტეს სურდა გავგო, რა მჭირსო, მაგრამ ისე ყრუ იყო, რომ გაიგონა მხოლოდ „ფილტვების ანთება“. ეს სიტყვები მისთვის ნაცნობი იყო და მშვიდად მიუგო:

— აჰ! როგორც ქალბატონს!

სრულიად ბუნებრივად ეჩვენებოდა ქალბატონის კვალს მიჰყოლოდა.

ახლოვდებოდა დღე, როცა ქუჩებში ტრაპეზს მართავდნენ ხოლმე.

პირველი ტრაპეზი ყოველთვის კეთდებოდა გორაკის ძირში, მეორე — ფოსტისთან, მესამე — ნახევარი ქუჩის შემდეგ. მესამის გამო დავა ატყდა; მრევლმა, ბოლოს, ქ-ნი ობენის ეზო აირჩია.

ფელისიტეს ციება, და სულის ხუთვა გაუძლიერდა. წუხნდა, რომ მონაწილეობას ვერ მიიღებდა ტრაპეზის მოწყობაში. რითიმე მისი მორთვა რომ შეეძლოს! მაშინ თუთიყუში მოაგონდა. მეზობლებმა ურჩიეს, ნუ გინდა, უადგილოაო, მაგრამ მღვდელმა ნება

დართო და ფელისიტე ისე ბედნიერი იყო, რომ მოძღვარს სთხოვა, ჩემი სიკვდილის შემდეგ თქვენ წაიღეთო.

სამშაბათიდან შაბათამდე, მაცხოვრის სხეულის დღესასწაულის წინაღღემდე. ფელისიტე განსაკუთრებით ხშირად ახველებდა. სალამოს სახე დაუნაოჭდა, ტუჩები მოეკუმა, პირღებინება დააწყებინა და მეორე დღეს, რაკი თავს ძლიერ ცუდად გრძნობდა, მღვდლის მოყვანა ითხოვა.

ზიარებას სამი დედაბერი დაესწრო. მერმე ავადმყოფმა განაცხადა, მინდა ფაბიუს მოველაპარაკო.

ფაბიუს საგარეო კოსტიუმით გამოწყობილი მოვიდა; თავს კარგად ვერ გრძნობდა ამ ავბედით ატმოსფეროში.

— მაპატიეთ. — უთხრა ფელისიტემ და ძლივს გაუწოდა ხელი, — მეგონა, თუთიყუში თქვენ მომიკალით-მეთქი.

რა სისულელეა! ექვი მიიტანო მკვლელობაში ისეთ კაცზე, როგორც მე ვარო! ფაბიუმ მოთმინება დაკარგა და უნდოდა ერთი ამბავი დაეწია.

— ხოწ ხედავთ, გამოთაყვანებულია!

ფელისიტეს ჰალუცინაცია დაეწყო. დედაბრები წავიდნენ, სიმონემ ისაუბმა.

მერმე ფიტული აიღო, ფელისიტესთან მიიტანა და უთხრა:

— გამოეთხოვე!

თუმცა ფიტულში ხორცი აღარ იყო, მაგრამ მატლები მაინც ესია: ერთი ფრთა მოტეხილი ჰქონდა, მუცლიდან ძენძი გამოსჩროდა. მაგრამ ფელისიტემ, ველარაფერს რომ ვერ ხედავდა, შუბლში აკოცა და ლოყაზე მიიკრა. სიმონემ ფიტული წაიღო, ტრაპეზზე დავდგამო.

## V

ბალახებს ზაფხულის სურნელება ასდიოდა, ბზუოდნენ ბუზები; მდინარეს მზე ალაპლაპებდა, კრამიტი გახურდა.

ოთახში რომ დაბრუნდა, სიმონეს ოდნავ ჩასთვლიმა. იგი ზარების რეკამ გააღვიძა, მწუხრი გათავდა, ფელისიტე აღარ ბოდავდა. იგი პროცესიაზე ფიქრობდა და ისე ნათლად წარმოედგინა იგი, თითქოს თვითონაც მონაწილეობსო.

ჟველა მოსწავლე, მგალობლები და მეხანძრეები ტროტუარზე

მიდიოდნენ, ხოლო ქუჩაში მიაბიჯებდნენ ეკლესიის დარაჯი, ალებარდით რომ აღჭურვილიყო, მნათე, რომელსაც ხელში დიდი ჭვარი ეჭირა, მასწავლებლები, მოწათფებს რომ თვალყურს ადევნებდნენ, მონაზონი, რომელიც თავის გოგონებზე წუხდა: სამი ყველაზე პატარა, ქერუბიმებივით თმახუქუქა, ვარდის ფურცლებს აპნევდა. დიაკვანს ხელები გაეშალა და გუნდსა და მემუსიკებს ლობთარობდა, საცეცხლურიანი ორი მღვდელთმსახური ყოველწამს ბარძიმ-ფეშხუმისაყენ მობრუნდებოდა ხოლმე; იგი მოჰქონდა საუცხოო ფილონით შემოსილ მღვდელს, რომელიც მოაბიჯებდა წითელი ხავერდის ბალდახინის ქვეშ, ეკლესიის ოთხ მნათეს რომ ეკავა. ხალხს უკან მოდიოდა. ბოლოს ბორცვის ძირას მივიდნენ.

ფელისიტეს საფეთქლებზე ცივმა ოფლმა დაასხა. სიმონემ ოფლი პირსახოცით მოსწმინდა, თანაც თავისთვის ჩაილაპარაკა, მეც ოდესმე ასე დამემართებაო.

ხალხის გუგუნი გაძლიერდა, მერმე თანდათან მინელდა.

ქვემეხთა სროლამ ფანჯრები ააზანზარა. ფელისიტემ პირი იბრუნა, რადგან თუთიყუშზე წუხდა, და ჩურჩულით იკითხა: — ნეტავ კარგად არის თუ არა?

აგონია დაეწყო. სულ უფრო ხშირად ხროტინებდა. მკერდი მალლა აუდიოდა, ტუჩის კუთხეებში დუქი მოადგა. მთელი სხეული უკანკალებდა.

მალე მოისმა ვალტორნების გუგუნი, ბავშვების წკრიალა ხმები, მამაკაცების ბანი. ზოგჯერ ყველაფერი მიწყნარდებოდა და ნაბიჯების ხმა, რომელსაც მიმობნეული ყვავილები ახშობდა. მინდორში ჯოგის თქარუნს მოგაგონებდა.

ეზოში ეკლესიის მრევლი გამოჩნდა. სიმონე სკამზე შედგა სამერცხულთან და ტრაპეზს ზემოდან დააცქერდა.

იგი ინგლისური მაქმანით მოერთოთ, ზედ მწვანე გირლანდები ჩამოეკიდათ. შუაში იდგა წმიდა ნაწილებიანი მცირე ურნა, კუთხეებში — ორი ფორთოხლის ხე, ხოლო მთელი ტრაპეზის გასწვრივ — ვერცხლის შანღლები და ფაიფურის ლარნაკები, რომლებშიც ჩარგული იყო მზესუმზირები, ზამბახები, იასამნები, ჰორტენზიები. ეს ნაირფეროვანი გორაკი აღმზცერად ეშვებოდა ქვაფენილზე გაშლალი ხალიჩისაყენ. თვალს იტაცებდა სხვადასხვა იშვიათი ნივთი; მოოქროვილი საშაქრე — იებით მორთული, ალან-

სონის ქვების საკიდები, ხავსში რომ ბრჭყვიალებდა, ორი ჩინური შირმა, რომლებზეც პეიზაჟები ეხატა. ლულუს ვარდები ჰფარავდა, მოჩანდა მხოლოდ მისი ცისფერი შუბლი, ლილაქის ფირის მინაგვარი.

ეკლესიის მნათეები, მაგლობლები, ბავშვები ჩამწყრივდნენ ეზოში სამი მხრით. მღვდელი დინჯად ავიდა საფეხურებზე და მზენე აბრჭყვიალებული ბარძიმ-ფეშხუმი მაქმანზე დადგა. ყველამ მუხლი მოიყარა. ჩამოვარდა სიჩუმე. საცეცხლურებს მალა იქნევდნენ.

გუნდრუკის ცისფერმა ტალღებმა ფელისიტეს ოთახშიც შეაღწაეს. იგი სიამით, ექსტაზით ისუნთქავდა მათ, მერმე თვლები დახუჭა. ტუჩი უღიმოდა, გული კი სულ უფრო ნელა, სულ უფრო წყნარად და შეუმჩნეველად უცემდა, ვით დაშრეტილი შადრევანი, ვით მინელებული გამოხმობა და, როცა უკანასკნელ სუნთქვას უტევებდა, ეჩვენებოდა, ცაში უზარმაზარ თუთიყუშს ვხედავ, თავს რომ დამფრენსო.



מלכות

---



## კანდიდატი

### გოგამელი კირნი

რუსლენი, 56 წლისა.  
მიურელი, 34 წლისა.  
გრუშე, 61 წლისა.  
გიულიენ დიუპრა, 24 წლისა.  
გრაფი დე ბუეინი, 65 წლისა.  
ონეზიმი, მისი ვაჟი, 20 წლისა.  
დოდარი, ნოტარიუსი, 60 წლისა.  
პიერი, რუსლენის მსახური.  
ქ-ნი რუსლენი, 38 წლისა.  
ლუიზა, მისი ქალიშვილი, 18 წლისა.  
მისს არაბელა, გუვერნიორი ქალი, 30 წლისა,  
ფელისიტე გრუშეს მსახური,  
მარშე,  
პერტელო,  
ლედრიუ,  
ჰომბურგი.  
ვეუნშე,  
ბრომენილი,  
სოფლის ჩაფარი.  
წინასაარჩევნო კრების თავმჯდომარე.  
კაფეს მიმტანი,  
მათხოვარი, გლეხები, მუშები და სხვ.

## მოქმედება პირველი

ბ-ნი რუსლენის ბაღი. მარჯვნივ ფანჯატური. მთელი მარცხენა მხარე უკავია მესერს.

## სცენა პირველი

მიურელი, მსახური პიერი.

პიერი ზეზეა, გაზეთს კითხულობს. შემოდის მიურელი, რომელსაც შემოაქვს დიდა თაიგული, პიერს გადასცემს.

მ ი უ რ ე ლ ი. პიერ, სად არის ბ-ნი რუსლენი?

პ ი ე რ ი. თავის კაბინეტშია, ბ-ნო მიურელ; ქალები ბაღში არიან ინგლისელ ქალთან და ბ-ნ ონეზიმთან... დე ბუვინისთან ერთად.

მ ი უ რ ე ლ ი. აჰ! ის კონტაპარუწა. მოვიცდი, სახამ წავიდოდეს, არ შემოძლია მისი დანახვა.

პ ი ე რ ი. ხხლა მე მკითხეთ!



მ ი უ რ ე ლ ი. შენცა? შენ რატომლა?

პ ი ე რ ი. ქარაფშუტა! წუწურაქი! თანაც ჩვენსა, მგონია, იმის-  
თვის დადის... (ჩუმად) რომ ქალიშვილი...

მ ი უ რ ე ლ ი. ვინ, ლუიზა?

პ ი ე რ ი. დამიჯერეთ! თორემ აზნაური ბუვინები აგრერიგად არ  
გაეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენს ბურჟუებს.

მ ი უ რ ე ლ ი. (თავისთვის). ჰოო? გვეცოდინება. (ხმამალა) ის-  
ლა შენს ბატონთან მოვლენ ვილაციები საქმეზე მოსალაპარაკებ-  
ლად, არ დაგავიწყდეს, შემატყობინე.

პ ი ე რ ი. მოვლენო? იმაზე ხომ არა, არჩვენებზე... ამბობენ,  
რომაო...

მ ი უ რ ე ლ ი. კმარა! გამიგონე, დამავალე, მიირბინე მე-  
წადე ჰერტელოსთან და ჩემს მაგიერ სთხოვე...

პ ი ე რ ი. როგორ, ბ-ნო მიურელ, თქვენ მას... სთხოვთ?..

მ ი უ რ ე ლ ი. უბრალო რამეა! უთხარი, ირაფერი დაგავიწყ-  
დეს-თქო.

პ ი ე რ ი. შესმის.

მ ი უ რ ე ლ ი. და რომ დროზე მოვიდეს. თან მოიყვანოს მთე-  
ლი თავისი ამქარი.

პ ი ე რ ი. კეთილი, ბატონო! გავიჭეცი! (გაღის).

## გამოსვლა მორბი

### მიურელი, გრუშე.

მ ი უ რ ე ლ ი. აჰ, ბატონი გრუშე, თუ არ ვცდები!

გ რ უ შ ე. გახლავართ, ბ-ნო პიერ-ანტუან:

მ ი უ რ ე ლ ი. თქვენ აქ ძლიერ იშვიათი სტუმარი ბრძანდებით!

გ რ უ შ ე. რა გაეწყობა. მას შემდეგ, რაც რუსულები ბუვი-  
ნის ოჯახს დაუახლოვდნენ; — ისიც კი ვინმეა... — ისე იბლიძებიან,  
რომ...

მ ი უ რ ე ლ ი. ვითომ რაო?

გ რ უ შ ე. (ცოტა დუმილის შემდეგ) განა არ შეგიმჩნევიათ,  
რომ მათს მსახურს ახლა გეტრები. აცვია? ქალბატონი მხოლოდ ორ-

ცხენიანი ეტლით დაბრძანდება და, როცა წვეულება აქვთ, ყოველ შემთხვევაში ასე მითხრა ჩემმა მსახურმა ფელისიტემ, ყოველი კერძის შემოტანაზე თეფშებს ცვლიან.

მ ი უ რ ე ლ ი. ეს როდი უშლის ხელს რუსლენს იყო გულუხვი, თავზიანი.

გ რ უ შ ე. ოჰო, გეთანხმებით! უქკუო უფროა, ვიდრე ცუდი. ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ დეპუტატობას აპირებს. როცა შინ მარტოა, სარკის წინ მქვერმეტყველებს, სიზმარში კი სიტყვებს წარმოთქვამს, თითქოს უკვე პარლამენტშიაო.

მ ი უ რ ე ლ ი. (იციანის) მართლა?

გ რ უ შ ე. აჰ, ეგ წოდება — დეპუტატი, ხომ კარგად ჟღერს! როცა ამბობენ: ესა და ეს დეპუტატი ბრძანდებაო, ყველა მოწიწებით იხრის თავს. როცა სადარბაზო ბარათზე გვარის შემდეგ სწერია „დეპუტატი“, როგორ ამებს თვალს! გარდა ამისა, როცა მოგზაურობ, თეატრში ხარ, ან სადმე კამათი ატყდება, ანდა ვინმე უზრდელი თუ პოლიციელი კისერში ხელს ჩაგვავლებს, შენ ეტყვი: „ბატონო ჩემო, არ მოგეხსენებათ, რომ მე დეპუტატი ვარ“?..

მ ი უ რ ე ლ ი. (თავისთვის). ჩემო კარგო, მაგაზე არც შენ იტყობდი უარს.

გ რ უ შ ე. თანაც არც ისე ძნელი საქმეა. საკმაოა იყო პურმარილიანი, და გვყავდეს რამდენიმე მეგობარი, ერთი სიტყვით, იყო ინტრიგანი\*.

მ ი უ რ ე ლ ი. ეჰ, ღმერთო! რუსლენს რომ აირჩევდნენ!

გ რ უ შ ე. მოითმინეთ! ის რომ აირჩიონ, მხოლოდ ცენტრის კანდიდატი უნდა იყოს.

მ ი უ რ ე ლ ი. (თავისთვის). ვინ იცის?

გ რ უ შ ე. ო, არა, ჩემო კარგო, ჩვენ არ შეგვფერის... ჩვენ ხომ, რაც უნდა იყოს, ლიბერალები ვართ. თქვენი მდგომარეობით, უეჭველია, გავლენა გაქვთ მუშათა შორის! ო, თქვენ ცოტა სამსახურს როდი უწევთ მათ! თვით მეც ხალხის მომხრე ვარ, თუმცა არა იმდენად, როგორც თქვენ... არა... არა!..

\* ცენტრამ ამოიღო სიტყვა „ინტრიგანი“ და მის ნაცვლად ჩასვა „მოსაზრებელი“.

მ ი უ რ ე ლ ი. მოკლედ რომ ვთქვათ, რუსლენმა დაასახელა თავისი კანდიდატურა?

გ რ უ შ ე. მე უსათუოდ მის წინააღმდეგ მივცემ ხმას.

მ ი უ რ ე ლ ი. (თავისთვის) აჰა, კიდევ კარგი, არაფერი წამომცდა. (ხმამალლა) კი, მაგრამ აქ რისთვისღა მოსულხართ, თუკი ასეთი აზრისა ხართ მასზე.

გ რ უ შ ე. სამსახური რომ გავუწიო ერთ ყმაწვილს... ჟიულიენს მ ი უ რ ე ლ ი. „ემპარსილის“ რედაქტორს? თქვენ იმ პოეტის მეგობარი ხართ?..

გ რ უ შ ე. მეგობრები არა ვართ, მაგრამ ზოგჯერ ვხვდები ჭოლმე კლუბში, და აი მთხოვა, რუსლენთან მიმიყვანეო.

მ ი უ რ ე ლ ი. ნაცვლად იმისა, რომ მოემართა ჩემთვის, გაზეთის აქციონერისათვის? რატომ?

გ რ უ შ ე. არ ვიცი.

მ ი უ რ ე ლ ი. (თავისთვის). უცნაურია! (ხმამალლა) ეგ, ჩემო კარგო, ტყუილი გარჯაა.

გ რ უ შ ე. რატომ?

მ ი უ რ ე ლ ა. (თავისთვის, მიდი-მოდის). ეს პიერი სად არის აქამდე? ვაი, თუ... (ხმამალლა) რატომ? იმიტომ რომ რუსლენს ეზიზღება ბოჭემიელები.

გ რ უ შ ე. კი, მაგრამ ის...

მ ი უ რ ე ლ ი. განსაკუთრებით ისა. და გასულ კვირასაც კი... (საათს ამოიღებს).

გ რ უ შ ე. თქვენ რალაც... თითქოს შეშფოთებული ხართ?

მ ი უ რ ე ლ ი. სწორედ.

გ რ უ შ ე. საქმეების გამო?

მ ი უ რ ე ლ ი. დიად, საქმეების გამო.

გ რ უ შ ე. ჰოო? განა არ ვიცოდ! გასაკვირველი როდია...

მ ი უ რ ე ლ ი. დაიწყება ახლა ჰკუის სწავლება!

გ რ უ შ ე. რა თქმა უნდა, თავად განსაჯეთ, ცხენები, კაბრიოლეტები, ნადირობა, პიკნიკები, და, ვინ იცის, კიდევ რა ღმერთმანი, როცა მხოლოდ კომპანიის წარმომადგენელი ხარ, არ შეიძლება ისე იცხოვრო, თითქოს მთელი ქვეყნის სალარო შენი საკუთრებაა.

მ ი უ რ ე ლ ი. ეჰ, ღმერთო ჩემო! ყველაფერს გადავიხდი.

გ რ უ შ ე. რატომ არ შეიძლება რუსლენისაგან ისესხოთ, თუკი ახლა აგრე გესაჭიროებათ?

მ ი უ რ ე ლ ი. შეუძლებელია.

გ რ უ შ ე. ჩემგან ხომ სესხულობდით? მე კი აგრე მდიდარი არა ვარ.

მ ი უ რ ე ლ ი. ოჰ არა! ის სულ სხვაა.

გ რ უ შ ე. როგორ თუ სხვაა? ისეთი დიდსულოვანი, თავაზიანი კაცია, (სიჩუმე). თქვენ, ჩემო კარგო, ის გაინტერესებთ, რომ ამ სახლში სახელი არ გაიტეხოთ.

მ ი უ რ ე ლ ი. რატომ?

გ რ უ შ ე. ახალგაზრდა ქალიშვილს ეკუთრებოდა, რადგან იმედი გაქვთ, რომ ქორწინება...

მ ი უ რ ე ლ ი. დიდი ეშმაკი ხართ... დიად, მე მას ვალმერთებ. ჩუ, ქ-ნი რუსლენი მოდის! გაფიცებთ, კრინტიც არ დასძრათ!

გ რ უ შ ე. (თავისთვის). ოჰ, აღმერთებთ, აბა! მის მზითევს აღმერთებთ.

#### გამოსვლა მისამი

მიურელი, გრუშე, ქ-ნი რუსლენი, ონეზიმი, ლუიზა, მისს არაბელა, ვისაც ხელში წიგნი უჭირავს.

მ ი უ რ ე ლ ი. ნება მიბოძეთ, ქალბატონო, (ქ-ნ რუსლენს თაიგულს მიართმევს).

ქ-ნი რუსლენი. (თაიგულს მაგიდაზე, მიაგდებს მარცხნივ) გმადლობთ, ბატონო ჩემო!

მისს არაბელა. აჰ, რა მშვენიერი ყვავილებია! სად იყიდება ასეთი იშვიათი ყვავილები?

მ ი უ რ ე ლ ი. ჩემია, მისს. არაბელა, ჩემს ორანჟერეაში დაეკრიფე.

ონეზიმი. (უტიფრად) თქვენ ორანჟერეა გაქვთ, ბატონო?

მ ი უ რ ე ლ ი. დიახ, ბატონო, მაქვს.

ლუიზა. ბ-ნი მიურელი მზად არის ყველაფერი გაიღოს, ოღონდ თავის მეგობრებს ასიაშოვნოს.

ქ-ნი რუსლენი. ყველაფერს გასწირავს, თავისი პოლიტიკური სიმპათიების გარდა.

მ ი უ რ ე ლ ი. (ჩუმად ლუიზას) თქვენი დედოკო დღეს რაღაც გულისთვის.

ლ უ ი ზ ა. (აგრეთვე ჩუმად, თითქოს მის დასამშვიდებლად) ოპი (ქ-ნი რუსლენი მაგიდას მიუჭდება მარჯვნივ) აქეთ მობრძანდით, უფრო ახლოს, ძვირფასო გრაფო. მობრძანდით, ბ-ნო გრუშე. ბოლოს და ბოლოს, იპოვნეთ თუ არა კანდიდატი? რას ამბობენ?

გ რ უ შ ე. ბევრ რამეს, ქალბატონო, ზოგი...

ო ნ ე ზ ი მ ი. (გააწყვეტილებს) მამაჩემი ამტკიცებს, ოლონდ ბ-ნმა რუსლენმა თავისი კანდიდატურა დაასახელოსო და...

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. მართლა? ასეთი აზრისაა?

ო ხ ე ზ ი მ ი. უთუოდ! და ყველა ჩვენი გლუხიც, რაკი იციან, რომ მათი ინტერესები უსათუოდ დაემთხვევა მის აზრებს...

გ რ უ შ ე. ოლონდ, მისი აზრები რამდენადმე განსხვავდება 89 წლის პრინციპებისაგან.

ო ნ ე ზ ი მ ი. (ხარხარებს) ჰა, ჰა, ჰა! 89 წლის უკვლავი პრინციპები!

გ რ უ შ ე. რა გაცილებთ?

ო ნ ე ზ ი მ ი. მამაჩემი ყოველთვის იცინის, როცა მასთან ვინმე ამ სიტყვებს წარმოთქვამს ხოლმე.

გ რ უ შ ე. ეჰ, 89 წელი რომ არ ყოფილიყო, დეპუტატებიც არ იქნებოდნენ.

მ ი ს ს ა რ ა ბ ე ლ ა. თქვენ მართალი ბრძანდებით, ბ-ნო გრუშე, პარლამენტს რომ იცავთ. ჯენტლმენს შეუძლია ბევრი კარგი რამ გააკეთოს, როცა მისი წევრია.

გ რ უ შ ე. (ქ-ნ რუსლენს) ჯერ ერთი, რომ ზამთარს პარიზში ატარებ. -

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. ეს კი ბევრს ნიშნავს! ლუიზა, აქეთ მოიწი! პროვინციაში ცხოვრება ხომ, ბოლოს და ბოლოს, მოსაბეზრებელია, არა, ბ-ნო მიურელ?

მ ი უ რ ე ლ ი. (მყის) დიად, ქალბატონო. (ჩუმად ლუიზას) გარნა იქ შეიძლება ბედს ეწიო.

გ რ უ შ ე. თითქოს ამ უბადრუკ პროვინციაში მხოლოდ ყეყეჩები ცხოვრობდნენ!

მ ი ს ს ა რ ა ბ ე ლ ა. (აღტაცებით). ოჰ, არა, არა! ჩვენი ბებერი ხეების ჩრდილში მრავალი კეთილშობილი გული ძვერს; ველ-

მინდორი ოცნებას გგვრის, უცნობ კუთხეებში, ვინ იცის, ეგებ ტალანტები. გენიოსები იმალებიან, რომელნიც უკვდავების შუქს მოგვფენენ! (დაჯდება).

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. ეს რა ქებათა-ქებაა, ჩემო კარგო? თქვენ ამჟამად უფრო ხართ პოეტურად განწყობილი, ვიდრე ოდესმე.

ონ ე ზ ი მ ი. ქალიშვილმა, თუ ოდნავ კილოკავს არ მივიღებთ მხედველობაში, მართლაც მშვენიერად წაგვიკითხა ბ-ნ დე ლამარტინის „ტბა“.

ქ-ნ ი. რ უ ს ლ ე ნ ი. თქვენ იცნობთ ამ ნაწარმოებს?

ონ ე ზ ი მ ი. ჩემთვის ჯერ კიდევ არ დაურთავთ ნება წავიკითხო ამ ავტორის ლექსები.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. მესმის. სერიოზული აღზრდა.. (ხელებზე წამოაცემევს ძაფის შულოს ამოსახვევად) დამდეთ პატივი! გაშალეთ ხელები! ძალიან კარგი!

ონ ე ზ ი მ ი. ო, ეს კი მეხერხება! მე ვეხმარებოდი იმ პეიზაჟის მძივებით ამოქარგვაში, ჩემმა დამ ელისაბედმა რომ გაჩუქათ...

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. მშვენიერი ნივთია; ჩემს ოთახში ჰკიდია. ლუიზა, როდის მორჩები მაგ „ილუსტრასიონის“ თვალიერებას?

მი უ რ ე ლ ი. (თავისთვის) მე აშკარად არ მენდობიან.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. მე ვტკბებოდი თქვენი დების ნიჭით, როცა უკანასკნელად ვიყავი ბუვინის ციხე-დარბაზში.

ონ ე ზ ი მ ი. დედიკო ამ დღეებში ელოდება ჩვენი შორეული ბიძის, სენ-ჟიროს ეპისკოპოსის მოსვლას.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. მისი უსამღვდელოესობა სენ-ჟიროს ეპისკოპოსი. თქვენი ბიძაა?

ონ ე ზ ი მ ი. დიალ! მამაჩემის ნათლიაა.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. ძვირფასმა გრაფმა სულ დაგვივიწყა. უმადური.

ონ ე ზ ი მ ი. ოჰ, არა. სწორედ ამას წინათ სთხოვდა ბ-ნ რუსლენს, თქვენი ნახვა მინდაო.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. (კმაყოფილია) ჰოო?

ონ ე ზ ი მ ი. სურს ზოგ რამეზე მოელაპარაკოს... აი, მგონი, ნოტარიუსი დოდარი მოვიდა.

მი უ რ ე ლ ი. (თავისთვის) ნოტარიუსი. ნუთუ უკვე...

მისს არაბელა. დიად, ნამდვილად. მასთან არიან ბაყალი მარშე, ბ-ნი ბონდუა, ბ-ნი ლიეჟარი და სხვები.

მიურელი. (თავისთვის) დასწყევლოს ღმერთმა! ეს რაღას ნიშნავს?

### გამოსვლა მეოთხე

ივინიე და ბ-ნი რუსლენი.

ლუიზა. აჰ, მამიკო!

რუსლენი. (იღიმება) აბა შემომხედე, ჩემო შვილო. შეგიძლია ჩემით იამაყო. (ცოლს ეამბორება) გამარჯობა, სულიკო!

ქ-ნი რუსლენი. რა მოხდა? აგრე რამ გაგახარა?

რუსლენი. (მიუჩერებს რომ შეამჩნევს) თქვენც აქა ხართ, ჩემო კარგო მიუჩერე! ალბათ, უკვე იცით და... გინდათ პირველი იყოთ?

მიურელი. რა ამბავია?

რუსლენი. (გრუშეს რომ დაინახავს) თქვენც, გრუშე! აჰ, ჩემო მეგობრებო! რა კარგია! მიხარია მართალია, ყველა ჩემი თანამოქალაქე...

გრუშე. ჩვენ არაფერი არ ვიცით.

მიურელი. სრულიად არაფერი არ გაგვეგება.

რუსლენი. მაგრამ ისინი იქ არიან... დაეინებით მოითხოვენ!...

ყველანი. კი, მაგრამ ვინ?

რუსლენი. მთელი კომიტეტი წინადადებას მაძლევს დავასახელო ჩემი კანდიდატურა ოლქისაგან\*.

მიურელი. (თავისთვის) აი დასწყევლოს ღმერთმა დამასწრეს!

ქ-ნი რუსლენი. რა ბედნიერებაა!

გრუშე. და თქვენ, ალბათ, დათანხმდებით?

რუსლენი. რატომაც არა! მე ზომ კონსერვატორი ვარ?

ქ-ნი რუსლენი. უკვე დაეთანხმეთ?

რუსლენი. ჯერ არა. მინდოდა მოგათათბირებოდი...

\* ტექსტში პირველად იყო: სამინისტროს მომხრეთა კომიტეტი. ცენზურამ სიტყვა „სამინისტრო“ ამოიღო.

ქ-ნი რუსლენი. დაეთანხმე!

ლუიზა. უეჭველად!

რუსლენი. მაშ თქვენ ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ხედავთ?

ყველანი. ვერავითარს! პირიქით! რას ამბობ!

რუსლენი. მაშასადამე, თქვენ მართლაც მიგაჩნიათ, რომ სწორედ მოვიქცევი?

ქ-ნი რუსლენი.. დიად, რასაკვირველია.

რუსლენი. ყოველ შემთხვევაში, შემძლია ვთქვა, რომ მიუღეს. (წასვლა სურს).

მიურელი. (აჩერებს). მოიცადეთ! ფრთხილად იყავით.

რუსლენი. (გაოცებულია) რატომ?

მიურელი. ასეთი კანდიდატურა სერიოზული არ არის.

რუსლენი. ვითომ რატომ?

### გამოსვლა მზუთში

ივინივე და მარშე, შემდეგ ნოტარიუსი დოდარი

მარშე. თქვენი მონა-მორჩილი მოგესალმებით, ქალბატონებო, მაპატიეთ! იმ ბატონებმა, იქ რომ არიან, გამომგზავნეს: წადი, გაიგე. ბ-ნი რუსლენი რას შერება, უთხარ, ამოვიდეს და დაგვეთანხმოსო...

რუსლენი. რა თქმა უნდა!

მარშე. იმიტომ, რომ თქვენ კარგი მოღვაწე ხართ და ჩინებული დეპუტატი იქნებით!

რუსლენი. (გაბრუებულია). დეპუტატი!

დოდარი. (შემოდის). ეჰ, ჩემო კარგო, მოთმინება აღარ გეყოფნის!

გრუშე. (თავისთვის). დოდარი! ესეც არის რა!

დოდარი. (ონეზიშს). პატივცემული მამათქვენი ეზოშია და ლაპარაკი სურს თქვენთან.

მიურელი. აჰ, მაგისი მამა აქ არის!

გრუშე. სხვებთან ერთად მოვიდა. ფრთხილად იყავით, მიურელი!

მიურელი. გთხოვთ, მაპატიოთ, ბატონო დოდარი! (რუსლენს) რამე მოიმიზეზეთ.... (მარშეს). გადაეცით, რომ ბ-ნი რუსლენი



უქეიფოდ გახლავთ და პასუხს შემდეგ მოგცემთ-თქო. ჩქარა!  
(მარშე გადის).

რ უ ს ლ ე ნ ი. არა, ეს უკვე მეტისმეტია!

მ ი უ რ ე ლ ი. იმიტომ რომ, არ შეიძლება ასე დაუფიქრებლად დათანხმება!

რ უ ს ლ ე ნ ი. რას ბრძანებთ, უკვე სამი წელიწადია მაგაზე ვოცნებობ.

მ ი უ რ ე ლ ი. ცდებით. აი ჰკითხეთ ბ-ნ დოდარს, ის ჰკვიანაო კაცია და იცნობს აქაურ საზოგადოებას, შეუძლია თუ არა პასუხი აგოს თქვენი არჩევისათვის.

დო დ ა რ ი. პასუხი აგოს? არა! მაგრამ მე მგონია, რომ... თუმცა, ასეთ საქმეში არ შეიძლება ყველაფერში დარწმუნებული იყო. მით უმეტეს, რომ არ ვიცი, ჩვენი მოწინააღმდეგენი...

გ რ უ შ ე. მოწინააღმდეგე კი ბევრია.

რ უ ს ლ ე ნ ი. ბევრია?

მ ი უ რ ე ლ ი. აუარებელი. (დოდარს). ასე რომ, აპატიეთ ჩვენს მეგობარს, სურს მოიფიქროს... (რუსლენს) ხოლო თუ გსურთ ყველაფერი გასწიროთ...

რ უ ს ლ ე ნ ი. კაცმა რომ თქვას, მართალია. (დოდარს) დიად, სთხოვეთ მოიცადონ.

დო დ ა რ ი. რა გაეწყობა, ბ-ნო ონეზიმ? წავიდეთ.

მ ი უ რ ე ლ ი. წავიდეთ. მამას უნდა დაუჩერო.

რ უ ს ლ ე ნ ი. (მიურელს) როგორ, თქვენც მიდიხართ? რატომ?

მ ი უ რ ე ლ ი. მაგას ვერ გეტყვით. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ! ნახავთ!

•

### ბამოსკლა მემამვა

რუსლენი, ქ-ნი რუსლენი, მისს არაბელა, გრუშე.

რ უ ს ლ ე ნ ი. რას აპირებს?

გ რ უ შ ე. არ ვიცი.

ქ-ნი რ უ ს ლ ე ნ ი. ალბათ, რაღაც სისულელე მოიგონა!

გ რ უ შ ე. უეჭველად. ეგ ხომ უცნაური ყმაწვილია? მოვედი, რომ გითხრათ... მე მინდა სხვა წარმოგიდგინოთ.

რუსლენი. მოიყვანეთ.

გრუშე, არა, შეიძლება, არც კი გამოგადგეთ. ხანდახან უცნაურობა გჭირთ ხოლმე.. მოკლედ, იმ კაცს უიულიენ დიუპ-რა ჰქვია.

რუსლენი. ოჰ, არა, არა!

გრუშე. რატომ, ბატონო?

რუსლენი. მის სახელს ნუ მიხსენებთ, გესმით? (მაგიდაზე გაზეთს დაინახავს). ხომ გითხარით, ეგ ფურცელი ჩემს სახელში არ დამანახოთ-მეთქი? თუ მე აქ ბატონ-პატრონი აღარა ვარ? (გაზეთს ათვალეირებს) რა თქმა უნდა, ისევ ლექსია!

გრუშე. აბა რა იქნება, ის ხომ პოეტია!

რუსლენი. მე ეგეთი ცუდლუტები არ მომწონს!..

მისს არაბელა. გარწმუნებთ, ბატონო, ერთხელ ველა-პარაკე... ხეივანში, წაბლების ქვეშ... ძალიან წესიერი ყმაწვილია.

გრუშე. რატომ არ უნდა მიიღოთ?

რუსლენი. არაფრის გულისათვის! (ლუიზას) არა და არა, ჩემო შვილო!

ლუიზა. ოჰ, მე იმას არ ვიცავ.

რუსლენი. იმედი მაქვს. ისეთი საძაგელი ვინმეა!

მისს არაბელა. (წამოხტება) აჰ!

გრუშე. კი, მაგრამ რატომ?

რუსლენი. იმიტომ... ბოდიში, მისს არაბელა! (ცოლს ლუიზაზე ანიშნებს). წაიყვანე-მეთქი. გრუშეს უნდა მოველაპარაკო.

## გამოსვლა მთავრი

რუსლენი და გრუშე.

გრუშე. (სკამლოგინზე ზის, მარცხნივ). გისმენთ.

რუსლენი. (გაზეთს აიღებს). ფელეტონის სათაურია „კვლავ მას“. „და დაყუნცულნი, მაგარი ქვის ძველი სფინქსები მძიმე ტანჯვისაგან დაიკვნესებდნენ...“ ფეხებზე მკიდია მე შენი სფინქსები!

გრუშე. მეც, მაგრამ მაინც არ მესმის...

რ. უსლენი: ეს — მიმოწერა გრძელდება...

გრუშე: უფრო გასაგებად ვერ მეტყვი?

რუსლენი: წარმოიდგინეთ, ამ ერთი კვირის წინათ, სამშაბათს, დილით ბაღში დავსეირნობ და ისე ვღელავ, რომ ძილი არ მეკარება, ვხედავ ღობესთან, ფანჯატურში...

გრუშე: კაცს?

რუსლენი: არა, წერილს, დიდ კონვერტს; თხოვნას ჰგავდა, მისამართის ნაცვლად კი ეწერა: „მას“. რა თქმა უნდა, გავხსენი და წავიკითხე.. ლექსია, სიყვარულზეა დაწერილი. ისეთი მგზნებარე, რომ არ ითქმის...

გრუშე: და, რასაკვირველია, ხელმოუწერელი. არავითარი ნიშანი?

რუსლენი: მოითმინეთ! უწინარეს ყოვლისა, უნდა გავგეგო, ვის შეეხებოდა ეს ბოღვა და, რადგან ეს პიროვნება ლექსად იყო აღწერილი, სადაც მოხსენიებული იყო შავი თმა, ექვი პირველად არაბელაზე, ჩვენს მასწავლებელ ქალზე მივიტანე, მით უმეტეს, რომ...

გრუშე: ის ხომ ქერაა?

რუსლენი: მერმე რა? ლექსებში ზოგჯერ ერთი სიტყვის ნაცვლად მეორეს ხმარობენ. მაგრამ, ხომ იცით, თავაზიანობით, ვერ გავბედე, ინგლისელია და...

გრუშე: თქვენი ცოლი?

რუსლენი: მან მხრები აიჩეჩა და მითხრა: მოგცლიათ.

გრუშე: მერმე ეიუღიენი აქ რა შუაშია?

რუსლენი: აი სწორედ მანდ ვართ! გთხოვთ, დაიხსოვოთ, რომ ის ლექსი იწყებოდა ასე „დავინახავ თუ არა შენს კაბას ფორთოხლის ხეებში“, მე კი სწორედ ორი ფორთოხლის ხე მაქვს ბაღში, მაშასადამე, სიყვარულს უხსნიან ვილატას, ვინც ამ სახლში ცხოვრობს. ვის? ცხადია, ჩემს ქალიშვილს, ლუიზას. ვინ წერს? ერთადერთი ვინმე ჩვენს ქალაქში, ვინც ლექსებს წერს, ეიუღიენია, ამასთან, თუ შევადარებთ ხელს, რომლითაც დაწერილია ლექსი და ბანდეროლი გაზეთისა, ყოველდღე რომ ვიღებთ, ადვილად დავინახავთ, რომ ხელი ერთი და იგივეა.

გრუშე: (თავისთვის) დახე, რა მოსაზრებულია!

რუსლენი: აი ვისთვის იწუხებთ თავს! მითხარით, რა ნებაგს? შეაცდინოს ჩემი გოგონა?

გ რ უ შ ე . რასა ბრძანებთ?

რ უ ს ლ ე ნ ი . იქნებ მისი შერთვა სურს?

გ რ უ შ ე . ეგ უმჯობესი იქნებოდა.

რ უ ს ლ ე ნ ი . მეც აგრე მგონია. ჩვენს დროში, პატიოსნებას გეფიცებით, არავის პატივს არ სცემენ. ტუტუცი განა რასმე ვთხოვ? განა მის საქმეებში ვერევი? მიყვეს და წეროს თავისი შენიშვნები! დაე ამხედროს ხალხი ჩვენს წინააღმდეგ. დაე აქოს ისეთი ვიგინდარები, როგორიც თვითონ ბრძანდება! აბა რა ესაქმება უბადრუკ მწერალუკას მდიდარ მემკვიდრე ქალთან?

გ რ უ შ ე . არიან სხვებიც, არა ჟურნალისტები, ვინც თქვენს ქალიშვილს ფულისათვის ეკურკურება.

რ უ ს ლ ე ნ ი . ა? კმ!..

გ რ უ შ ე . პირდაპირ თვალში გეცემა. აი ცხოვრობს ხალხი სოფელში. მომჭირნეობისათვის თვითონ ამუშავენს წინაპართა მიწას, ამასთანავე ძალიან ცუდად ამუშავენს. თუმცა მიწაც მწირია და ვალითაა დატვირთული. რვა შვილი, აქედან ხუთი გოგოა, ერთი მათგანი კი კუზინია, დანარჩენები მთელ კვირას შინ სხედან. რადგან ჩასაცემელი არაფერი აქვთ. უფროსი ვაჟი, ხე-ტყით რომ სპეკულანტობს, მოსტაგანეში აბსენტით ლოთობს და მუდამ უფულოდაა. უმცროსი ვაჟი, მადლობა ღმერთს, მოვლად ეკურთხა; უკანასკნელს თქვენ იცნობთ, ქარგვის ოსტატია. ასე რომ, ცხოვრება ციხეღარბაზში არც თუ აგრე მხიარულია, ავდარში თავზე აწვიმთ. მაგრამ ეს ხელს როდი უშლით დიდი გეგმები დაისახონ; ხანდახან, ბუნდოვანი დღეებში, მთელი ოჯახი ჩაჯდება ხოლმე საგვარეულო, დანჯღრეულ ეტლში, ოჯახის უფროსი რომ მართავს, და მშვენიერი სადილის მისართმევად მიდის რუსლენთან, ვინც გაბედნიერებულია ასეთი ნაცნობობით.

რ უ ს ლ ე ნ ი . ოჰ, ეგ მეტისმეტია, თქვენ ბრაზობთ.

გ რ უ შ ე . საქმე ის არის, რომ ვერ გამოვიდა, საიდანაა ასეთი თავზიანობა მათდამი იქნებ მხოლოდ ქველი დამოკიდებულება...

რ უ ს ლ ე ნ ი . (ნაღვლიანად) მაჯაზე კრინტი არ დაძრათ, გრუშე, კრინტი-მეთქი, შეგობარო. ეგ მოგონება ისეთი მძიმეა. რომ...

გ რ უ შ ე . ნუ გეშინიათ, არაფერია. ჭორაობას არ დაიწყებენ. რადგან ამასაც თავისი მიზეზი აქვს.

რ უ ს ლ ე ნ ი . მაშ რა მოხდა?

გ რ უ შ ე . ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ამ ხალხს ვეზიზღებით იმის

გამო, რომ მდაბიოები, მეტიჩრები ვართ? თქვენი კი ისა შურთ, რომ მდიდარი ხართ. თქვენი კანდიდატურა, რასაც ეპკი არა მაქვს, ბუვინის უნდა უმადლოდეთ, და რისთვისაც ცოტას როდი დაიკვეხნის, მხოლოდ მისატყუარია თქვენი ქალიშვილის მზითევის გამოსაცინცლავად. ხოლო რადგან შეუძლიათ არ ავირჩიონ...

რ უ ს ლ ე ნ ი. არ ამირჩიონ?

გ რ უ შ ე. რა თქმა უნდა! ლუიზა ამასობაში განდება ცოლი რეგვენისა, რომელსაც სულამ ერცხვინებოდა თავისი სიმაპრი.

რ უ ს ლ ე ნ ი. არა, მე მჭერა, რომ მათ უყვართ ერთმანეთი!..

გ რ უ შ ე. ხოლო თუ მე დაგიმტკიცებთ, რომ ისინი უკვე დაგციინიან?

რ უ ს ლ ე ნ ი. ეგ ვინ გითხრა?

გ რ უ შ ე. ჩემმა მსახურმა ფელისიტემ. მოსამსახურეები, როგორც მოგეხსენებათ, ერთმანეთს არ უმაღავენ, რასაც ბატონები ამბობენ.

რ უ ს ლ ე ნ ი. მერმე რას ლაპარაკობენ ისინი?

გ რ უ შ ე. მათს მზარეულ ქალს, რასაც ისინი ჩუმად ამ ქორწინებაზე ამბობდნენ. გრაფინია შიშს გამოთქვამდა ვაი თუ არ მოხერხდესო, რაზედაც გრატს უპასუხნია: რას ამბობ! ეს მისთვის მეტად დიდი პატივიაო:

რ უ ს ლ ე ნ ი. მაშ აგრე მაფასებენ?

გ რ უ შ ე. მათ მიაჩნიაო. რომ საქმე უკვე გაჩარხულია.

რ უ ს ლ ე ნ ი. ოჰ, არა, მადლობა ღმერთს!

გ რ უ შ ე. ისინი იმდენადაც კი არიან დარწმუნებულნი, რომ ნეზიმს წელან თავი მეტად მედიდურად ეჭირა თქვენს ქალებთან.

რ უ ს ლ ე ნ ი. ერთი იმას დამიხედე!

გ რ უ შ ე. ცოტაც კიდევ, გულში ვამბობდი, და ეს ბიჭი-ლუიზას შენობით დაუწყებს ლაპარაკს-მეთქი.

პ ი ე რ ი. (შემოდის და აცხადებს). გრაფი დე ბუვინი.

გ რ უ შ ე. აჰა! მაშ მე წავედი. მშვიდობით, რუსლენ. არ დაგავიწყდეთ, რაც გითხარით. (ბუვინის ისე ჩაუვლის, რომ ქულს არ მოუხდის, მერმე მობრუნდება და ზურგს უკან მუშტით დაემუქრება). შენ კი ჩემებურად გაგიმასპინძლები!

რუსლენი და გრაფი ბუვინი

ბუვინი. (მოუხრიდებელი კილოთი). საუბარი, თქვენთან რომ მსურს, ძვირფასო ბატონო რუსლენ, შეეხება...

რუსლენი. (ხელით ანიშნებს დაჯექიო) დაბრძანდით, გრაფო!..

ბუვინი. (დაჯდება). ჩვენს შორის ცერემონია, მე მგონია, საჭირო არ არის? ასე რომ, წინდაწინვე დარწმუნებული ვარ, საქმე გაკეთდება. გთხოვთ თქვენს ქალიშვილ ლუიზას ჩემი ვაჟის, გრაფ ონეზიმ-გასპარ ოდიეი დე ბუვინისათვის ცოლად (რუსლენი დუმს). ა, რა თქვით?

რუსლენი. ჭერ არაფერი, ბატონო.

ბუვინი. (მყისვე). კინალამ დამავიწყდა. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, მართალია... არა პირდაპირი ჩამომავლობით... არამედ როგორც მზითვენი... პენსია... თუმცა ბატონი დოდარი, ვისაც მთელი დოკუმენტი აქვს (ხმას დაუდაბლებს), არ დააყოვნებს (ცვლავ დუმილი). გელოდებით.

რუსლენი. მეტად ნასიამოვნები გახლავართ, ბატონო, მაგრამ...

ბუვინი. (ნაწყენია) როგორ თუ მაგრამ?

რუსლენი. შესაძლებელია, ბატონო გრაფო, ძლიერ გაზვიადებულად მოგახსენეს ჩემი ქონება.

ბუვინი. ნუთუ გგონიათ, რომ ასეთი ანგარიში... და რომ ბუვინები...

რუსლენი. მაგას სრულიადაც არ ვფიქრობ, მაგრამ მე ისეთი მდიდარი არა ვარ, როგორც ჰგონიათ.

ბუვინი. (თავაზიანად) მით ნაკლები იქნება შეუსაბამობა.

რუსლენი. გარნა, მიუხედავად იმისა, რომ, არც თუ დიდი შემოსავალი გვაქვს, მაინც არაფერს ვიკლებთ. ჩემს მეუღლეს ნატიფი გემოვნება აქვს. თვით მე, მიყვარს სტუმრიანობა, მიყვარს, რომ მზიარულებას ვანიჭებდე ყველას. ჩემი საფასით შევაკეთე ბიუჯე-ფავერვილის გზა, ავაგე სკოლის შენობა და საავადმყოფოში დავაწესე ოთხსაწოლიანი პალატა, რომელსაც ჩემი სახელი ერქმევა.

ბ უ ვ ი ნ ი. ეგ ყველამ იცის, ბატონო, ყველამ.

რ უ ს ლ ე ნ ი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დაგარწმუნოთ, თუმცა ბანკირის შვილი ვარ, თვითონაც ბანკირი ვიყავი, მაგრამ ის მაინც არა ვარ, ვისაც ფულის ტომარას ეძახიან. ონეზიმის მდგომარეობა დაბრკოლებას არ წარმოადგენს, რა თქმა უნდა, მაგრამ აქ სხვა რამეა. თქვენმა ვაჟმა არავითარი ხელობა არ იცის.

ბ უ ვ ი ნ ი. (ამაყად). ბატონო ჩემო, აზნაურს მხოლოდ ერთი რამ ხელობა შეჰფერის, სახელდობრ მხედრობა.

რ უ ს ლ ე ნ ი. მაგრამ ის მხედარი არ არის.

ბ უ ვ ი ნ ი. ის მთავრობის გამოცვლას ელოდება, მაშინ იქნება თავისი სამშობლოს მსახური.

რ უ ს ლ ე ნ ი. მანამდე კი?..

ბ უ ვ ი ნ ი. თავის მამულში იცხოვრებს, როგორც მე.

რ უ ს ლ ე ნ ი. და გაცვეთს მონადირის ჩექმებს: მშვენიერია! მაგრამ მე, ბატონო ჩემო, მირჩენია ჩემი ქალიშვილი მივცე ისეთ კაცს, ბოდიში ამ სიტყვისათვის, ვისი ქონებაც უფრო ნაკლები იქნება.

ბ უ ვ ი ნ ი. ჩემი ვაჟის ქონება უზრუნველყოფილია.

რ უ ს ლ ე ნ ი. ისეთ კაცსაც კი, ვისაც სრულიად არაფერი არ გააჩნია ოღონდ...

ბ უ ვ ი ნ ი. ოპო! სრულიად არაფერი...

რ უ ს ლ ე ნ ი. (ადგება). დიად, ბატონო ჩემო, უბრალო მშრომელს, პროლეტარს.

ბ უ ვ ი ნ ი. (ადგება). ეს გვაროვნობის უგულუბეღყოფა!

რ უ ს ლ ე ნ ი. დაე აგრე იყოს! მე რევოლუციის შვილი ვარ!

ბ უ ვ ი ნ ი. მაგას თქვენი საქციელი ამტკიცებს, ბატონო!

რ უ ს ლ ე ნ ი. მე ტიტულების ბრწყინვალეობა ვერ მამბრმავებს!

ბ უ ვ ი ნ ი. ვერც მე ოქროს ბრწყვიალი, მერწმუნეთ!

რ უ ს ლ ე ნ ი. მადლობა ღმერთს, ახლა ქედს აღარ იხრიან ბატონების წინაშე, როგორც ოდესმე.

ბ უ ვ ი ნ ი. მართლაც, თქვენი ბაბუა ჩვენი მოსამსახურე იყო.

რ უ ს ლ ე ნ ი. ოპ, თქვენ გსურთ დამამციროთ? მიბრძანდით, ბატონო! ახლა საერთო პატივისცემას პირადი დამსახურებით იხვეჭენ, ჩემი პიროვნება კი თქვენს ცილისწამებაზე მალლა დგას. აი, თუნდაც ის წარჩინებული მოქალაქენი, რომლებმაც ეს არის კანდიდატობა შემომთავაზეს...

ბ უ ვ ი ნ ი. იგი შეიძლება იყოს ჩემთვისაც შემოეთავაზებინათ. მე მხოლოდ თქვენი პატივისცემის გამო ვთქვი უარი. მაგრამ თქვენი ისეთი უხეშობის გამო, როცა საკუთარ პრინციპებს აყალიბებდით, და რამდენადაც დემოკრატი, ანარქიის ბურჯი ხართ...

რ უ ს ლ ე ნ ი. სრულიადაც არა!

ბ უ ვ ი ნ ი. უწესოების იარაღი! თუ აგრეა, მეც ვასახელებ ჩემს კანდიდატურას. მე კონსერვატორთა პარტიის კანდიდატი ვარ. გესმით? და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს, მე თუ თქვენ... არ დავმალავ, მე ახალდანიშნულ პრეფექტსაც კი ვიცნობ, ის დახმარებას გამიწევს, მშვიდობით. (გაღის).

გამოსვლა მეცხრე .

მარტო რუსლენი.

რ უ ს ლ ე ნ ი. იგი ისე გაბრაზებულია ჩემზე, რომ შეუძლია ჩემს წინააღმდეგ აამხედროს საზოგადოებრივი აზრი, იაკობინელად მომნათლოს. მგონი, ტყუილ-უბრალოდ მივაყენე შეურაცხყოფა. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ქონებრივ მდგომარეობას, შეუძლებელი იყო... მაინც არ არის სასიამოვნო, რომ ასე მოხდა, მგონია, მიუხრეპი და გრუსე არც თუ ძლიერ დარწმუნებული არიან თავიანთ ძლიერებაში; დიად, საჭიროა როგორმე დავარწმუნო კონსერვატორები, რომ მე... ყველაზე კონსერვატორი ვარ მთელ მსოფლიოში... ჰმ... ეს რა ამბავია?

გამოსვლა მათი

რუსლენი, მიუხრეპი და ამომრჩეველთა ჯგუფი, ჰერტელი, ბომენილი, ვუენზე, კომბურგი, ლედრიუ, შემდეგ გრუსე.

მიუხრეპი. ძვირფასო თანამოქალაქე, აქ მყოფთ ამომრჩეველთა სახელით გთხოვთ დაასახელოთ თქვენი კანდიდატურა ჩვენი ოლქის ლიბერალთა პარტიისაგან.



რ უ ს ლ ე ნ ი. ბატონებო... მაგრამ...

მ ი უ რ ე ლ ი. თქვენ მთლიანად მხარს დაგიჭერენ თავერვილის, ჰაროლის, ლაპუსეის, სანევის, ბლნევალის, ჰოტოს, სენ-მათიეს კომუნები.

რ უ ს ლ ე ნ ი. აჰ! აჰ!

მ ი უ რ ე ლ ი. რანდუ, მანერვილი, და კულრეტი! ერთი სიტყვით, იმედი გვაქვს, რომ თქვენს მხარეზე იქნება ათას ხუთასი ხმის უმრავლესობა. თქვენი არჩევა უზრუნველყოფილია.

რ უ ს ლ ე ნ ი. აჰ, მოქალაქენო! (წყნარად მიუჩერებს) არ ვიცი, რა ვთქვა!

მ ი უ რ ე ლ ი. ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ თქვენი პოლიტიკური შეგობრები. უწინარეს ყოვლისა, ყველაზე მგზნებარე, ნამდვილი პატრიოტი ბ-ნი ჰერტელი... მეფაბრიკე...

ჰ ე რ ტ ე ლ ი. თქვით უბრალოდ, მეწაღე-თქო, არ მეწყინება.

მ ი უ რ ე ლ ი ბ-ნი ჰომბურგი, სასტუმრო „ოქროს ლომის“ პატრონი, ჭაპანტრანსპორტის მფლობელი, ბ-ნი ვუენშე, ხეხილის საწარმის პატრონი, ბ-ნი ბომენილი, იგი... უპროტესიო კაცია, მამაცი გადამდგარი კაპიტანი ლედრიუ.

რ უ ს ლ ე ნ ი. (აღტაცებით). აჰ! ჩვენი საჩუქრის არმიის წარმომადგენელი!

მ ი უ რ ე ლ ი. ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ შესაძლებელია თქვენს კეთილშობილურ მისიას და მოწოდების სიმაღლეზე იქნებით. (წყნარად რუსლენს) თქვით-მეთქი რამე!

რ უ ს ლ ე ნ ი. ბატონებო... არა, მოქალაქენო! ჩემი პრინციპები თქვენი პრინციპებია. და უეჭველად... ჩემი სამშობლოს შვილი ვარ, როგორც თქვენ. არავის არასოდეს არ გაუგონია, რომ ცუდი რამ მეთქვას თავისუფლებაზე. პირიქით! მე ვიქნები თქვენი ინტერესების ერთგული წარმომადგენელი... დამცველი... ბურჯი, ხელისუფლების შემოტევის წინააღმდეგ.

მ ი უ რ ე ლ ი. (ხელს ჰკიდებს) ძალიან კარგია, ჩემო მეგობარო, მშვენიერია. ნუ გეეჭვებათ თქვენი წარმატება. უწინარეს ყოვლისა, თქვენ მხარს დაგიჭერთ „ემპარსიალი“!

რ უ ს ლ ე ნ ი. „ემპარსიალი“ ჩემი მომხრეა!

გ რ უ შ ე. (ჩვეულებრივად გამოეყოფა), სავსებით. მე ახლა რედაქციიდან მოვედი. ეიულები აღფრთოვანებულია. (წყნარად მიუჩერებს, რომელიც გაკვირვებულია მისი მოსვლით). მან მიზეზი გა-

მიმხილა, მერმე ავიხსნით. (რუსლენს) ნებას მომცემთ? ახლა ხომ მაინც შეიძლება მისი მოყვანა?

რუსლენი. ვისი? ბოდიში! თავი გაბრუებული მაქვს.

გრუშე. შეიძლება უიულოენის მოყვანა? მოსვლა სურს.

რუსლენი. ეს... ნამდვილად საჭიროა?

გრუშე. ო, აუცილებლად.

რუსლენი. მაშ კარგი... როგორც გენებოთ. (გრუშე გადის).

ჰერტელო. (ხელს ჰკიდებს მკლავში რუსლენს) ეგ არაფერია, მოქალაქევე! პირველ რიგში, როცა იქ იქნებით, უნდა ეცადოთ რომ გააუქმონ სპირტიანი სასმელების გადასახადი.

რუსლენი. სპირტიანი სასმელები... რასაკვირველია!

ჰერტელო. სხვები მხოლოდ გვპირდებიან და მორჩა. თქვენ კი, მე მგონია, ყოჩალი უნდა იყოთ. მომეცით ხელი! (ხელს ართმევს).

რუსლენი. (გაუბედავად) სიამოვნებით, მოქალაქევე, სიამოვნებით!

ჰერტელო. ხელი მოგემართოთ! ამას ბოლო უნდა მოედოს, რამდენი ხანია ვითმენთ.

ჰომბურგი. დასწყევლოს ღმერთმა! არავინ არ ზრუნავს მეეტლეობისათვის. ჭერი მეტად გაძვირდა.

რუსლენი. სწორია, აგრიკულტურა...

ჰომბურგი. მე აგრიკულტურაზე კი არა, მეეტლეობაზე ვამბობ.

მიურელი. საქმეც ეგ არის. მაგრამ მისი მეოხებით მთავრობა...

ლედრიუ. ჰო, მთავრობა იგი ორდენებით აჯილდოებს, ყველა მოქალაქეს.

ვუენშე. მათ მიერ დასახული რკინიგზის ხაზი სენ-მათიეზე გავლით? სწორედ იქ არის ჩემი სანერგე. სისულელეა, რომ...

ბომენილი. შეუძლებელი გახდა ბავშვების აღზრდა.

რუსლენი. აღვითქვამთ, რომ...

ჰომბურგი. უწინარეს ყოვლისა, საფოსტო გადასახადი...

რუსლენი. ოჰ, რა თქმა უნდა!

ლედრიუ. თუნდაც დისციპლინის ინტერესებისათვის.

რუსლენი. რასაკვირველია!

ვუენშე. ხოლო რკინიგზა რომ ბონევილზე გაეყვანათ...

რ უ ს ლ ე ნ ი. უეჭველია!

ბ ო მ ე ნ ი ლ ი. მე მყავს შვილი, რომელიც ისწრათვის...

რ უ ს ლ ე ნ ი. მჭერა.

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. რომ დაიჭირაოს კაბრიოლეტი...

ლ ე დ რ ი უ. მე არათერს არ გთხოვთ, მაგრამ....

ვ უ ე ნ შ ე, ჩემი მამული მდებარეობს...

ბ ო მ ე ნ ი ლ ი. რადგან, თუკი კოლეეები არსებობს...

მ ი უ რ ე ლ ი. (ხმას აიმაღლებს). ბოდიში, მოქალაქენო, ნება მიბოძეთ ვთქვა მხოლოდ ერთი სიტყვა! მოქალაქენო, ბედნიერება მხვდა ვიყო შუამავალი თქვენსა და ჩვენს ძვირფას თანამემამულეს შორის, ვინც ასეთ პირობებში უბრალო, შემძლია ვთქვა. კლასიკური ენით ესოდენ განამტკიცა ჩვენი იმედი... და რათა ვიდლესასწაულოთ ეს ამბავი, რომელმაც ახალი ბედნიერება შეიძლება მიანიჭოს არა მარტო ჩვენს კანტონს, არამედ მთელ საფრანგეთსაც, ნება მიბოძეთ მოგიწვიოთ მომავალ ორშაბათს ერთ პიქა პუნშზე ჩემს ფაბრიკაში.

ა მ ო მ რ ჩ ე ვ ლ ე ბ ი. ორშაბათს? დაე, ორშაბათი იყოს!

მ ი უ რ ე ლ ი. მე მგონია, შეიძლება წავიდეთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი. (მიდიან) მშვიდობით, ბატონო რუსლენ. მალე ნახვამდე. საქმე კარგად წავა, აი ნახავთ!

რ უ ს ლ ე ნ ი. (ხელს ართმევს ყველას). მეგობრებო, მერწმუნეთ, მოხარული ვარ! მშვიდობით! მზად ვარ გემსახუროთ. (ყველანი გადიან).

მ ი უ რ ე ლ ი. (რუსლენს) ყურადღება მიაქციეთ ჰერტელს, ესენი ხომ იმან შეკრიბა ყველანი. (დაეწევა ამომრჩევლებს).

რ უ ს ლ ე ნ ი. (ეძახის) ჰერტელო!

ჰ ე რ ტ ე ლ ო. რაო?

რ უ ს ლ ე ნ ი. არ შეგიძლიათ შემეკეროთ თხუთმეტი წყვილი ფეხსაცმელი?

ჰ ე რ ტ ე ლ ო. თხუთმეტი წყვილი?

რ უ ს ლ ე ნ ი. დიად, და ამდენივე ტუფლი. მართალია, მოგზაურობას არ ვაპირებ, მაგრამ მინდა, რომ დიდი მარაგი მქონდეს.

ჰ ე რ ტ ე ლ ო. ახლავე შევუდგები. ყველა ქარგალს დავსვამ. მზად ვარ გემსახუროთ. (დაეწევა ამომრჩევლებს).

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. ბატონო რუსლენ, ამ დღეებში ისეთი ცხენე-

ბი ვიშოვნე, რომ პირდაპირ თქვენი ეტლის შესაფერისი. ხომ არ ინებებთ ნახოთ?

რუსლენი. უსათუოდ. უახლოეს დღეებში.

ვუენუე. მე მოგართმევთ მოხსენებით ბარათს ახალი. რკინიგზის ლიანდაგის შესახებ, თორემ იმათ სურთ ლიანდაგი პირდაპირ ჩემს მამულზე გაიყვანონ...

რუსლენი. ძალიან კარგი!

ბომენილი. მე კი მოგიყვანთ ჩემს ვაჟს და თვითონ დარწმუნდებით, რომ პირდაპირ ცოდვაა ასეთი ბავშვი უსწავლელი დარჩეს.

რუსლენი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ სწავლის დაწყებისას...

ჭერტელო. აი კაცი ამას ჰქვია! გაუმარჯოს რუსლენს!

ყველანი. გაუმარჯოს რუსლენს! (ყველანი გადიან).

### გამოსვლა მითითება :

#### 'რუსლენი და მიურელი'

რუსლენი. (მივარდება და გადაეხვევა მიურელს). აჰ, ჩემო მეგობარო! ჩემო მეგობარო! ჩემო მეგობარო!

მიურელი. აბა, როგორ ფიქრობ, კარგად მოეწყო საქმე, თუ არა?

რუსლენი. ესე იგი, არ შემძლია გამოვთქვა!

მიურელი. გამოტყდით, ხომ ძალიან გინდათ?

რუსლენი. სული მელევა! ერთი წელია, რაც აქ, პროვინციაში ვცხოვრობ და უკვე მოწყენილობა მკლავს. რალაც დონდლო გავხდი, ნასადილევს ვიძინებდი ხოლმე და ექიმმა ჩემს მეუღლეს უთხრა: „თქვენმა ქმარმა რაიმე საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი“. მაშინ დავიწყე ფიქრი, რა ვქნა-მეთქი.

მიურელი. და მორიფიქრეთ დეპუტატი გავხდეთ.

რუსლენი. რასაკვირველია! ისიც უნდა ითქვას, რომ ჩე-

მი ასაკისათვის უკვე დროა. ასე რომ, წიგნის კარადა ვიციღე და რამდენიმე ქურნალ-გაზეთი გამოვიწერე.

მ ი უ რ ე ლ ი. მოკლედ, საქმეს შეუდექით.

რ უ ს ლ ე ნ ი. უწინარეს ყოვლისა, მოვახერხე და არქეოლოგიური საზოგადოების წევრი გავხდი, ფოსტით ბროშურები მომდის, მერმე საქალაქო და საოლქო საბჭოების წევრი გავხდი და, ბოლოს, სახელმწიფო საბჭოსი, და ყოველთვის, როცა სერიოზული საკითხი აღიძვრებოდა, ვიღიმებოდი ხოლმე... რომ არ გავებიაბრუებულყავი! დიად! ღიმილი ზოგჯერ ისეთი ძალაა, რომ...

მ ი უ რ ე ლ ი. მაგრამ ფართო საზოგადოება კარგად ვერ იცნობდა თქვენს პრინციპებს; თქვენ, შესაძლებელია, არ იცით, რომ საპირობა მოითხოვდა...

რ უ ს ლ ე ნ ი. ვიცი! მხოლოდ თქვენ... მარტო თქვენ...

მ ი უ რ ე ლ ი. არა, თქვენ არ იცით.

რ უ ს ლ ე ნ ი. როგორ არა! აბა რა დიპლომატი ხართ!

მ ი უ რ ე ლ ი. (თავისთვის). აჰა, გამოდის! (ხმამალლა!) ჩემი ფაბრიკის მუშები ჯერ უნდობლად შეხვდნენ. საშიში ხალხია, ჩემო კარგო. ახლა კი ყველაფერი ჩვენს ხელშია.

რ უ ს ლ ე ნ ი. ოქრო კაცი ხართ, პირდაპირ!

მ ი უ რ ე ლ ი. (თავისთვის). მე არც მაგდენი მინდა.

რ უ ს ლ ე ნ ი. (უცქერის). თქვენ მე... ძმას მარჩვენინხართ, შვილზე ძვირფასი ხართ.

მ ი უ რ ე ლ ი. (დაბეჯითებით). დიად, მე შემეძლო ეგეთი ყყოფილიყავი.

რ უ ს ლ ე ნ ი. უეჭველად. უფრო ხნირი რომ ვიყო.

მ ი უ რ ე ლ ი. (ნაძალადევი სიცილით). ანდა... თქვენი სიძე რომ გავმხდარიყავი... თქვენ არ დათანხმდებოდით?

რ უ ს ლ ე ნ ი. (ისეთივე სიცილით). რა ხუმარა ხართ! თვითონ თქვენ არ დათანხმდებოდით.

მ ი უ რ ე ლ ი. ღმერთმანი, კი.

რ უ ს ლ ე ნ ი. კარგი ერთი! თქვენი პარიზული ჩვევებით...

მ ი უ რ ე ლ ი. მე პროვინციაში ვცხოვრობ.

რ უ ს ლ ე ნ ი. ეჰ, თქვენს ასაკში ცოლს არ ირთავენ.

მ ი უ რ ე ლ ი. ოცდაათობმეტი წელი სწორედ მაგისი დროა.

რ უ ს ლ ე ნ ი. როცა კაცს ელოდება ისეთი კარიერა...

მ ი უ რ ე ლ ი. ჩემი კარიერა, უეჭველია, კარგად მოეწყობა.

რ უ ს ლ ე ნ ი. მოითმინეთ, თქვენ ხართ მხოლოდ ფლამახდური კომპანიის წარმომადგენლის ბუნიოს საქსოვი ფაბრიკის დირექტორი. ჯამაგირი გეძლევათ ოცი ათასი.

მ ი უ რ ე ლ ი. დაუმატეთ მოგების მნიშვნელოვანი წილი.

რ უ ს ლ ე ნ ი. მაგრამ როცა მოგება არ არის? ამასთანავე შეუძლიათ კიდევაც დაგიტხოვონ.

მ ი უ რ ე ლ ი. დამითხოვენ და სხვა ადგილს ვიშოვნო.

რ უ ს ლ ე ნ ი. ახლა ვალები! ვექსილები! ყოველი მხრიდან გეკაჩებთან.

მ ი უ რ ე ლ ი. ჩემი საკუთარი ქონება? თუ არ ჩავთვლით, რომ მომავალში...

რ უ ს ლ ე ნ ი. იმაზე ხომ არ ლაპარაკობთ, რომ სიდედრის შემდეგ მემკვიდრეობას მიიღებთ? თვითონაც არ გაქვთ ამის იმედი. სიდედრი აქედან ორას მილზე ცხოვრობს, თანაც თქვენ დამდურებული ხართ.

მ ი უ რ ე ლ ი. (თავისთვის). ამ მუტრუქმა ყველაფერი იცის.

რ უ ს ლ ე ნ ი. ერთი სიტყვით, ძვირფასო, თუმცა ეჭვი არ მებადება არც იმაში, რომ ჭკვიანი ხართ და არც თქვენს ფხიანობაში, მიჩნევნია ქალიშვილი ისეთ კაცს მივცე...

მ ი უ რ ე ლ ი. ვისაც არაფერი არ გააჩნია და თანაც სულელია.

რ უ ს ლ ე ნ ი. არა. იმას, ვისაც თუმცა მცირე, მაგრამ მკვიდრი ქონება აქვს.

მ ი უ რ ე ლ ი. აჰ! აი თურმე...

რ უ ს ლ ე ნ ი. დიად, მოკრძალებულ რანტიეს, არამდიდარ მემამულეს.

მ ი უ რ ე ლ ი. აი თურმე როგორ ეპყრობით შრომას!

რ უ ს ლ ე ნ ი. გამიგონეთ! მრეწველობა საეჭვო საქმეა, კარგი მამაკი ყველაფერს უნდა ითვალისწინებდეს.

მ ი უ რ ე ლ ი. ერთი სიტყვით, უარს მეუბნებით ქალიშვილის მოცემაზე?

რ უ ს ლ ე ნ ი. ძალაუნებურად. და პატიოსნებას ვფიცავ, ამაში დამნაშავე არა ვარ. ჰო, ნუ წავიჩხუბებით, არა? (ეძახის) პიერ, მომიტანე ქალაღი და საწერ-კალამი. აი აქ დაბრძანდით და დამიმზადეთ დეკლარაცია ამომრჩეველთათვის. (პიერს მოაქვს, რაც უბრძანეს, და მაგიდაზე აწყობს მარჯვნივ).

მ ი უ რ ე ლ ი. კი, მაგრამ მე აქ რა უშუაში ვარ?

რ უ ს ლ ე ნ ი. დეკლარაციას შემდეგ ერთად გადავხედავთ. იმე-  
ლი მაქვს თქვენი შემოქმედებისა. წელან ხომ ზორბად დამიჭირეთ  
მხარი! დავალებული ვარ თქვენგან. ჰოდა, ახლა დაგტოვებთ.  
საქმეებს უნდა მივხედო; რაიმე ისეთი, მგზნებარე, არა? გულს  
რომ მოხვდეს! (გადის).

### გამოსვლა მითრომიბა

მ ი უ რ ე ლ ი, მ ა რ ტ ო ლ

მ ი უ რ ე ლ ი. რეგენი! ბევრ რამეს მივალწიე. (კულისებისა-  
კენ). აი შენ, ბებერო გაიძვერა, შენს სიცოცხლეში ვერ იპოვნე  
ისეთ კაცს, ვისაც შენი ქალიშვილი ისე უყვარდეს როგორც შე.  
მაგრამ როგორ გადაუხადო სამაგიერო? ან, იქნებ, ჯობს შევა-  
შინო? ეგ ისეთი კაცია, რომ ყველაფერს გასწირავს დეპუტატო-  
ბისათვის. მაშასადამე, უნდა მოიძებნოს კონკურენტი. მაგრამ  
ვინ? (შემოდის გრუშე). აჰა!

### გამოსვლა მაცამიბა

მ ი უ რ ე ლ ი და გ რ უ შ ე.

გ რ უ შ ე. რა მოგივიდათ?

მ ი უ რ ე ლ ი. სინდისი მქენჯნის. სისულელე ჩავიდინე, აგ-  
რეთვე თქვენც.

გ რ უ შ ე. რა სისულელე?

მ ი უ რ ე ლ ი. თქვენ წელან აქ იყავით იმათთან ერთად, ვინც  
რუსლენის კანდიდატურას ასახელებს.. ხომ ნახეთ, რას წარმო-  
იდგენს იგი?

გ რ უ შ ე. ეიულენთანაც კი წავედი, ახლავე მოვი.

მ ი უ რ ე ლ ი. საქმე იმას კი არა, რუსლენს ეხება. ეგ შენი  
რუსლენი მუტრუკია! ორ სიტყვას ვერ გადააბამს. ყველაზე უზად-  
რუკი დეპუტატი გვეყოლება.

გ რ უ შ ე. ეგ ხომ ჩემი თაოსნობით არ მომხდარა?

მ ი უ რ ე ლ ი. ის მუდამ არარაობა იყო!

გ რ უ შ ე. უეჭველად!

მ ი უ რ ე ლ ი. ეს ხელს როდი უშლის საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდეს. თქვენ კი...

გ რ უ შ ე. (ჯავრობს) მერმე მე რა?

მ ი უ რ ე ლ ი. საწყენად კი არ გეუბნებით, მაგრამ თქვენ ვერ მოახერხეთ ჩვენში ისეთი პატივისცემა მოგეპოვებინათ, როგორც რუსლენის ოჯახს გააჩნია.

გ რ უ შ ე. ჰო, მე რომ მდომოდა... (დუმილი).

მ ი უ რ ე ლ ი. (პირდაპირ თვალეში ჩასცქერის). გრუშე, შეგძლიათ თუ არა დიდი ხარჯი გასწიოთ?

გ რ უ შ ე. ეგ არც თუ აგრე მჩვევია, მაგრამ...

მ ი უ რ ე ლ ი. რომ გითხრან: „რამდენიმე ათას ფრანკად მის ადგილს დაიკავებ და დეპუტატი გახდები!“

გ რ უ შ ე. მე, დეპუ...

მ ი უ რ ე ლ ი. აბა წარმოიდგინე, იქ, პარიზში, აუარებელი საქმე. ბევრ ვინმეს გაიცნობ. მინისტრებს ეწვევი! ყოველგვარი საქონლის მიწოდება, ახლადდაარსებულ საზოგადოებათა პრემიები, მშენებლობა, ბირჟა, ყველაფერი თქვენს ხელში იქნება! რა გავლენა, ჩემო კარგო, რამდენი ხელსაყრელი გარემოება!

გ რ უ შ ე. მერე მაგას როგორ მივალწიო? რუსლენი თითქმის არჩეულია.

მ ი უ რ ე ლ ი. ჭერ კიდევ არა. ის გულწრფელი როდი იყო, როცა თავის პრინციპებს აყალიბებდა, ამიტომ ძნელი როდი იქნება მისი გადმოყირავება. ზოგი ამომრჩეველი უკმაყოფილოა. პერტელო ბუზღუნებდა.

გ რ უ შ ე. მეწაღე? მე სწორედ ზეგ უნდა ავეწერო მას ქონება.

მ ი უ რ ე ლ ი. მაგას ნუ იზამთ, ის გაელენიანი კაცია. ჰოდა, სხვები, ვნახოთ. მე ისე მოვაწყობ, რომ საქმეს პირველად შეუდგნენ ჩემი ფაბრიკის მუშები... შემდეგ, თუ საჭირო იქნა გამოსვლა თქვენს სასარგებლოდ, გამოვალ და ვიტყვი, ბ-ნი რუსლენი სათანადო პატრიოტი არ არის-მეთქი. იმჟღებულები ვიქნები ეს ვალიარო, და ამას კიდევაც ვალიარებ, ის ნამდვილი უნიჭო ვინმეა.

გ რ უ შ ე. (ოცნებობს). აი სეირი თუ გინდა!



მ ი უ რ ე ლ ი. აბა ხელს რა გიშლით? მემარცხენე ხარ. აი-  
და, სწორედ ამ მხრივ შეგიყვანთ პალატაში; ხოლო თუ ვნ  
მოხვდით, თქვენი კანდიდატურა ხმებს გაყოფს და რუსლენს .რ-  
ჩევაში ხელს შეუშლის.

გ რ უ შ ე. აბა, რა ეწყინება!

მ ი უ რ ე ლ ი. ცდა ბედის მონახევრეაო; ეს არის მხოლოდ,  
რომ რამდენიმე ასეული ფრანკი დაიხარჯება სამიკიტნეებში.

გ რ უ შ ე. მეტი არა? როგორ ფიქრობთ?

მ ი უ რ ე ლ ი. მთელ ოლქს ფეხზე დავაყენებ; თქვენ აგერჩევენ,  
რუსლენს კი გააშავებენ. და ბევრი იმათგან, ვინც ვითამ ეერ  
გიცნობს, დაბლა დაგიკრავს თავს და გეტყვის „პატივი მაქვს და-  
ვიდასტუროთ ჩემი პატივისცემა, ბ-ნო დეპუტატო!“

### გამოსვლა მითითებათ

#### იგოენი და ეიულიენი.

მ ი უ რ ე ლ ი. ძვირფასო დიუბრა ბ-ნ რუსლენს ვერ ნახავთ.  
ე ი უ ლ ი ე ნ ი. ვერ ვნახავ?

მ ი უ რ ე ლ ი. ვერა, წავიჩხუბეთ... შეხედულებანი ვერ შე-  
ვთანხმეთ.

ე ი უ ლ ი ე ნ ი. არაფერი მესმის! ამას წინათ ჩემთან იყავით  
და მიმტკიცებდით, ბ-ნ რუსლენს უნდა დავეხმაროთო, და ასა-  
ხელებდით ათასგვარ საბუთს, რომლებიც ბ-ნ გრუშეს ვაცნობე.  
იგი მაშინვე დაეთანხმა მათ, მით უმეტეს, რომ სურს...

გ რ უ შ ე. ეს ჩვენ შორის დარჩეს, ჩემო კარგო, სხვა საკითხია,  
რაც რუსლენს სრულიად არ ეხება.

ე ი უ ლ ი ე ნ ი. მერე, რატომ აღარ სურთ?

მ ი უ რ ე ლ ი. ვიმეორებ, რომ ის ჩვენი პარტიის კაცი არ  
არის.

გ რ უ შ ე. (თავდაჯერებით) სხვა მოიძებნება.

მ ი უ რ ე ლ ი. გაიგებთ. ვინც იქნება. წავიდეთ აქედან. არ  
შეიძლება შეთქმულებას მტრის სახლში აწყობდე.

ე ი უ ლ ი ე ნ ი. მტერი? რუსლენი?

მ ი უ რ ე ლ ი. უეჭველად და თქვენც იმდენ თავაზიანობას გა-

მოიჩინო, რომ კარგა გვარიანად დაესხმებით თავს თქვენს გაზეთში

ქიულენი. რატომ? არ ვიცი, რა შეიძლება ცუდი თქვა მასზე!

გრუშე. გამოძებნით რასმე, თუ მოინდომებთ.

ქიულენი. მე მაგისთანა საქმის გამკეთებელი არა ვარ!

გრუშე. გამიგონეთ! თქვენ ხომ პირველი მოხვედით ჩემთან და დახმარება შემომთავაზეთ. რაკი იცოდით, რომ მე რუსულენს ვიცნობ, მთხოვეთ, დიად, სწორედ მთხოვეთ, როგორმე მის ოჯახს დამაახლოვეთო.

ქიულენი. ჯერ არც კი შემოვსულვარ და აქედან მერეკებთ.

გრუშე. ჩემი ბრალი არ არის, თუ საქმე სხვანაირად წარიმართა.

ქიულენი. იქნებ ჩემი ბრალია?

გრუშე. ჩვენ შევთანხმდით, რომ თქვენ პრესაში დაიწყებდით კამპანიას ტურბიერ დე გრუმენილდენარბუას ფირმის წინააღმდეგ, რომელსაც გრაფი დე ბუვინი მეთაურობს, და დაამტკიცებდით ამ ვაჭაბატონის სრულ ფინანსურ უმწეობას; ეს დიდებული საწარმოა, საიდანაც იმ საძაგელმა დოდარმა გამომაპანლურა.

მიურელი. (თავისთვის). აი თურმე რა ყოფილა მათი კავშირის მიზეზი!

გრუშე. მაგრამ ჯერჯერობით თქვენ არაფერი გიქნიათ. ამიტომ მოვიხდებათ ამჯერად თავი მსხვერპლად მოიტანოთ. თუმცა ის, რასაც თქვენგან მოითხოვენ, არც თუ ისე ძნელი შესასრულებელია...

ქიულენი. სულ ერთია, უარს ვაბმობ.

მიურელი. ქიულენ, გავიწყდებათ, რომ ჩვენი ერთ-ერთი პირობა იყო...

ქიულენი. ვიცი. თქვენ მთხოვეთ, მეკეთებინა ამონაჭრები გაზეთებიდან, მეწერა სხვადასხვა ამბები გაქცეულ ძაღლებზე, დამხრჩვლებზე, ხანძრებზე, უბედურ შემთხვევებზე და შემემოკლებინა ჩვენი პარიზელი მოძმეების სტატიები ისე, რომ გასაგები ყოფილიყო ადგილობრივი მკითხველებისათვის, თანაც უხამსი სტილით გამოსულიყო. ეს დიდი მოთხოვნაა, რადგან ყოველი მეტაფორა შეიძლება ერთ ხელმომწერად დაჯდეს. მე უნდა შევაგ-

როვო ინფორმაცია, მოვისმინო პროტესტები, კატორღული შრო-  
მა ვიტვირთო, ვიცხოვრო რეგვენივით და თაოსნობა არაფერში გა-  
მოვიჩინო. ჰოდა, აი ამჟერად გთხოვთ გადამარჩინოთ...

მ ი უ რ ე ლ ი. მით უარესი თქვენთვის.

გ რ უ შ ე. რად იტვირთეთ ასეთი თანამდებობა?

ქ ი უ ლ ი ე ნ ი. სხვანაირად რომ ყოფილიყო!

გ რ უ შ ე. როცა ცხოვრების სხვა სახსარი არა გაქვს, მაშინ  
ასეთიც არ არის ცუდი.

ქ ი უ ლ ი ე ნ ი. (მიდის). დიად, სიღარიბე, სიღარიბე!

მ ი უ რ ე ლ ი. დაე, გაიბუტოს. დავჯდეთ. მე დავწერ  
თქვენ პოლიტიკურ მრწამსს.

გ რ უ შ ე. სიამოვნებით. (სხდებიან).

ქ ი უ ლ ი ე ნ ი. (შორიდან გამოჩნდება). მე აქ ერთ წამსაც  
არ მოვიცდიდი, შენ რომ არ მეგულეობდე, ჩემო სიყვარულო.  
(ათვალისწინებს რუსლენის სახლს), ო, მე არ მინდა, რომ ჩემს  
გამო შენს სახლს თუნდაც ოდნავი მწუხარება შეემთხვეს. კურ-  
თხეულ იყოს კედლები. რომლებიც გფარავენ. მაგრამ... მგო-  
ნია, აკაცებში შენი კაბა გაკრთა. გაქრა! არაფერია! მშვიდობით!  
(მიდის).

გ რ უ შ ე. (ეძახის). მოიცადეთ, რაღაც უნდა გიჩვენოთ.

ქ ი უ ლ ი ე ნ ი. აჰ, კმარა თქვენი ჭუჭყიანი საქმეები! (გაღის).

მ ი უ რ ე ლ ი. (ქალაღს აწვდის გრუშეს). როგორია?

გ რ უ შ ე. ძალიან კარგია, გმადლობთ... მაგრამ...

მ ი უ რ ე ლ ი. რა მოგდით?

გ რ უ შ ე. რუსლენი მაწუხებს...

მ ი უ რ ე ლ ი. მაგას რა მნიშვნელობა აქვს?

გ რ უ შ ე. ეჰ, თქვენ არ იცით, რა შეუძლია მას. თანაც ეს  
უსუსური დიუპრა არც თუ ისე დამყოლია.

მ ი უ რ ე ლ ი. უეჭველია, რაღაც მიზეზი იძულებს, ასე და-  
ეინებით რომ ზოგავს რუსლენს.

გ რ უ შ ე. არ იცით? ლუიზა უყვარს!

მ ი უ რ ე ლ ი. ეგ ვინ გითხრათ?

გ რ უ შ ე. თვითონ რუსლენმა.

მ ი უ რ ე ლ ი. (თავისთვის). კიდევ ერთი მეტოქე! არაფერია!  
უფრო ძლიერებსაც გაემკლავებივართ! გამიგონეთ: მე წავალ,  
დავიყოლიებ მას, თქვენ კი ამასობაში ეგ თქვენი მრწამსი დააბეჭ-

დინელო: ყველა მეგობარი მიიწახულოთ და ორი საათის შემდეგ აქ იყავით.

გ რ უ შ ე. კარგი შევეთანხმდით (გადის).

მ ი უ რ ე ლ ი. პოდა, ახლა, ბატონო რუსლენ, თვითონ შე-  
მომთავაზებთ თქვენი ქალიშვილის ხელს! (გადის).

### მოქმედება მეორე

სცენა წარმოადგენს სასეირნო ხეივანს. მარცხნივ, მოშორებით არის „ფრანგული კაფე“. მარჯვნივ — რუსლენის სახლის ლობე. ფარდის აწევისას, აფიშების გაძკვრელი რუსლენის სახლის კედლებზე აკრავს სამ წინასაარჩევნო განცხადებას.

### გამოსვლა პირველი

ჰერტელო, მარშე, სოფლის ჩაფარი, ხალხი.

სოფლის ჩაფარი. (ხალხს მიმართავს). გაიარეთ! გაიარეთ! აცალეთ გააკრას აფიშები.

ხალხი. სავსებით სწორია!

ჰერტელო. აჰ! ბუეინის მრწამსი!

მარშე. აი დალახვროს! იქნებ აირჩიონ კიდეცაც.

ჰერტელო. არჩეული იქნება გრუშე. აბა წაიკითხეთ მისი აფიშა!

მარშე. როგორ? მე წავიკითხო...

ჰერტელო. რა თქმა უნდა.

მარშე. თვითონ წაიკითხეთ, ჩვენ კი მოვისმენთ. (თავისთვის).  
ეგ ხომ უწიგნურია. (ხმამალლა) აბა!

ჰერტელო. თქვენ კი?

მარშე. მე...

ჰერტელო (თავისთვის). ეგ ჩათვლითაც ვერ წაიკითხავს. (ხმამალლა). აბა!..

სოფლის ჩაფარი. ხმას კი აძლევენ! მოდი, მე წავიკითხავთ. ჯერ წავიკითხოთ გრაფ დე ბუეინის აფიშა: „მეგობრებო,

თქვენი დაყინებული თხოვნით, ჩემს მოვალეობად მივიჩნე და-  
მესახელებინა ჩემი კანდიდატურა“...

ჭერტელო. ვიცით! შემდეგი გადავიდეთ გრუშეზე!

სოფლის ჩაფარი. „მოქალაქენო, დავემორჩილე რამ-  
დენიმე მეგობრის ნებას და დავასახელო“...

მარშე. რა სიხულელეა კმარა.

სოფლის ჩაფარი. მაშინ რუსლენზე გადავალ: „ძვირფა-  
სო თანამემამულენო, ზოგიერთ თქვენგანს რომ ესოდენ მტკი-  
ცედ არ ეთხოვნა, მე ვერ გავბედავდი, რომ“...

ჭერტელო. გაუშვი, თავი მოგვაბეზრას! დავხიოთ მაგის  
აფიშა და მორჩა!

მარშე. რა თქმა უნდა! ეგ ხომ სულ სიცრუეა?

სოფლის ჩაფარი. (შუაში ჩადგება). უფლება არ გაქვთ!

მარშე. ერთი ამას დამიხედეთ! წესრიგს იცავს, რაღა!

ჭერტელო. მაშ, თავისუფლება სადღაა?

სოფლის ჩაფარი. აფიშებს ხელი არ ახლოთ, თორემ  
ვირის აბანოში ჩაგვამთ.

ჭერტელო. ესეც ვითომ მთავრობაა! რას გვაბრაზებს?

მარშე. ვერაფერს ვერ იზამ!

## გამოსვლა მეორე

სისინიე, მიურელი და გრუშე.

მიურელი. (პერტელოს). შენი პოსტის ერთგული ხარ. ძი-  
ლიან კარგია ახლა წაიყვანე ყველანი და კარგად გადააკრევიან.

ჭერტელო. ოჰ, მაგას დიდებულად ვიზამ!

მიურელი. (ამომრჩეველებს). შემადით! როგორც თქვენს  
ოჯახში! მე განკარგულება გავეცი, გრუშე გავიმასპინძლებათ.

გრუშე. მაგრამ განსაზღვრულ დონემდე.

მიურელი. (გრუშეს) კარგი ერთი!

ამომრჩეველები. აჰ, გრუშე! ეგ ყოჩაღია! საიმედოა  
პატრიოტია! (ყველანი კაფეში შედიან).

მიურელი და მისს არაბელა.

მიურელი. (რუსლენის სახლისაკენ მიდის). მაინც უნდა ვცადო ლუიზას ნახვა.

მისს არაბელა. (კუტკარიდან გამოდის). მინდა მოგე-  
ლაპარაკოთ, ბატონო ჩემო!

მიურელი. მით უკეთესი, მისს არაბელა! მითხარით, ლუ-  
იზა შინ არის თუ არა?

მისს არაბელა. კი, მაგრამ თქვენთან იყო ვინმე ახლა?

მიურელი. იყო.

მისს არაბელა. მგონი, ჟიულიენი?

მიურელი. არა, გრუშე!

მისს არაბელა. გრუშე! ოჰ, ის ძლიერ ცუდი კაცია!  
მისი კანდიდატურა... რა საძაგლობაა!

მიურელი. რატომ, მისს არაბელა?

მისს არაბელა. ბ-ნმა რუსლენმა ოდესღაც ფული ასესხა,  
მაგრამ მან აღარ გადაუხადა. მე ხელწერილი ვნახე.

მიურელი. (თავისთვის). აი თურმე გრუშეს რატომ ეშინია  
რუსლენისა!

მისს არაბელა. მაგრამ რუსლენი, როგორც ჯენტლმენი,  
არ უჩივლებს. ძალიან გულკეთილია. მხოლოდ ზოგჯერ უცნაუ-  
რია, თუნდაც აი ის გარემოება, რომ რატომღაც უჯავრდება ბა-  
ტონ ჟიულიენს...

მიურელი. ლუიზა როგორია, მისს არაბელა?

მისს არაბელა. ოჰ, როცა შეიტყო, რომ თქვენთან შე-  
ულდება შეუძლებელია, მწარედ სტიროდა.

მიურელი. (გახარებულია). მართლა?

მისს არაბელა. დიად, საბრალო! ქ-ნი რუსლენი ძლიერ  
მკაცრად ეპყრობა.

მიურელი. მამა?

მისს არაბელა. ძლიერ გაჯავრებული იყო.

მიურელი. არ ებრალება განა?

მისს არაბელა. ოჰ, არა. თქვენი ეშინია.

მ ი უ რ ე ლ ი. დარწმუნებული ვარ.

მ ი ს ს ა რ ა ბ ე ლ ა. მუშებისა და „ემპარსიალის“ გამო; თქვენზე ამბობს, მისი გაზეთიაო.

მ ი უ რ ე ლ ი. (იციანის). ჰა, ჰა, ჰაა!

მ ი ს ს ა რ ა ბ ე ლ ა. ასე არ არის, ხომ? გაზეთი ქიულიენი-საა?

მ ი უ რ ე ლ ი. განაგრძეთ, ძისს არაბელა!

მ ი ს ს ა რ ა ბ ე ლ ა. ოჰ, მე ძალიან ვნაღვლობ, ძალიან. მინდა, რომ შერიგდეთ.

მ ი უ რ ე ლ ი. მე მგონია, ეგ ახლა ძნელია;

მ ი ს ს ა რ ა ბ ე ლ ა. ოჰ, არა. ბ-ნ რუსლენს ძლიერ სურს შე-რიგება, დარწმუნებული ვარ. ეცადეთ, გთხოვთ!

მ ი უ რ ე ლ ი. (თავისთვის). რა სასაცილოა!

მ ი ს ს ა რ ა ბ ე ლ ა. ამას თქვენი ინტერესი მოითხოვს ლუი-ზას გამო. საჭიროა, რომ ყველა კმაყოფილი იყოს: ლუიზა, თქვენ, მე, ბ-ნი ქიულიენი.

მ ი უ რ ე ლ ი. (თავისთვის). კვლავ ქიულიენი. რა სულელი ვარ! მთელი საქმე მასწავლებელია: მუზა და პოეტი! ჩინებულია! (ხმამაღლა) ყველაფერს ვიზამ, რაც ჩემზეა დამოკიდებული, ნახვამდის, ქალბატონო!

მ ი ს ს ა რ ა ბ ე ლ ა. Good afternoon, sir! (შენიშნავს დედაბერს, თითოთ რომ იხმობს). აჰ, ფელისიტე! (ერთად მიდიან).

## გამოსვლა მეოთხე

### მიურელი და რუსლენი

რ უ ს ლ ე ნ ი. (შემოდის). წარმოუდგენელია, ჩემმა მზემ.

მ ი უ რ ე ლ ი. (თავისთვის). რუსლენი!

რ უ ს ლ ე ნ ი. გრუშე, ვილაც გრუშე მელობება გზაზე! არაარო-ბა, რომელიც შევივრდომე, გამოვკვებე; იკვებნის, რომ თქვენ უკვერთ მხარს.

მ ი უ რ ე ლ ი. მაგრამ...

რუსლენი. და რა ჯანდაბამ აფიქრებინა თავისი კანდიდატურა დაესახელებინა?

მიურელი. არაფერი არ ვიცი. გიჟივით შემოვარდა ჩემთან და დამიწყო ყვედრება, შენს პრინციპებს უარყოფო.

რუსლენი. ეგ იმიტომ, რომ მე ზომიერი ვარ. მე თანაბრად ვაცხადებ პროტესტს როგორც დემაგოგიის წინააღმდეგ, რაც იმ ცუდლუტ გრუშეს სწუჯურია, ისე აბსოლუტიზმის უღლის წინააღმდეგ, რომლის საზიზღარი ბურჯია ბუვინი, ეს შუა საუკუნეთა სიმბოლო. მოკლედ, მე, უწინარეს ყოვლისა, მოვითხოვ, რომ არსებობდეს კანონიერება, რომ ჩვენს ქვეყანას მართაედეს სახალხო მთავრობა, კერძო, საკუთრებას რომ პატივს სცემს. ოჰ, რაც შეეხება ამას!..

მიურელი. აი სწორედ. აგრე მიაჩნიათ, რომ თქვენ საკმაოდ არ გამოხატავთ რესპუბლიკურ შეხედულებას.

რუსლენი. ვიმეორებ, რომ მე უფრო ვარ რესპუბლიკელი, ვიდრე გრუშე, რადგან მოვითხოვ, და, თუ გსურთ, ამას კიდევაც გამოვაცხადებ, საბაჟო და საქალაქო გადასახადების გაუქმებას.

მიურელი. ვაშა!

რუსლენი. მე მოვითხოვ მუნიციპალური ხელისუფლების განთავისუფლებას, სასამართლოს შემადგენლობის გაუმჯობესებას, პრესის თავისუფლებას, ყოველგვარი პრივილეგიისა და აზნაურთა ტიტულების გაუქმებას...

მიურელი. ჩინებულია!

რუსლენი. და საყოველთაო საარჩევნო უფლების ზუსტად გამოყენებას. გიკვირთ? მე ასეთი კაცი ვარ. მე სამი წერილი მივწერე ჩვენს ახალ პრეფექტს, რომელიც რეაქციის მოპხრეა, და გავაფრთხილე. დიად, ბატონო ჩემო! მზად ვარ, შეურაცხყოფა მივაყენო მას, პირში ვუთხრა, ფეხებზე მკიდინხარმეთქი. შეგიძლიათ გადასცეთ მუშებს.

მიურელი. (თავისთვის). ნუთუ სერიოზულად ამბობს?

რუსლენი. როგორც ზედავთ, რაკი გრუშე გირჩევნიათ... რადგან, ვიმეორებ, იკვებნის, რომ თქვენ მხარს უჭერთ, ამას მთელ ქალაქში საჯაროდ აცხადებს.

მიურელი. საიდან იცით, რომ მას მივცემ ხმას?

რუსლენი. რა?



მ ი უ რ ე ლ ი. პოლიტიკაში ჩემთვის ყველაზე მთავარია იდეა, ხოლო მისი იდეები ნაკლებ პროგრესული მგონია, ვიდრე თქვენი. ერთი წუთი! ყველაფერი როდი გათავებულა.

რ უ ს ლ ე ნ ი. არა! ჯერ ყველაფერი არ გათავებულა. არავინ არ იცის, კიდევ რას მოვიტხოვ, რომ ამომრჩევლებს ვაამო. ამიტომაც მიკვირს, როგორ შეიძლებოდა თქვენისთანა ჭკვიანი კაცი ჩემში მოტყუებულებიყავით.

მ ი უ რ ე ლ ი. თქვენ მეტისმეტად მეპირფერებით.

რ უ ს ლ ე ნ ი. მე თქვენი მომავალი არ მეეჭვება.

მ ი უ რ ე ლ ი. თუ აგრეა...

რ უ ს ლ ე ნ ი. რა?

მ ი უ რ ე ლ ი. თქვენი გულახდილობის პასუხად, ცოტა რამეში უნდა გამოგიტყდეთ: თუ გრუშეს ყური ვათხოვე, ეს იყო შედეგი გაჭაერებისა თქვენი უარის გამო.

რ უ ს ლ ე ნ ი. მით უკეთესი. ეს ამტკიცებს თქვენი გულის მგრძნობიერებას.

მ ი უ რ ე ლ ი. მე ვალმერთებ თქვენს ქალიშვილს და იმიტომ გაგიჯავრდით.

რ უ ს ლ ე ნ ი. ძვირფასო მეგობარო! თქვენმა დაშორებამ ისე დამამწუხრა, რომ...

მ ი უ რ ე ლ ი. სერიოზულად გეუბნებით: მწუხარება თან გადამიტანს, თუ იგი ჩემი არ იქნა.

რ უ ს ლ ე ნ ი. სიკვდილი რად გვინდა!

მ ი უ რ ე ლ ი. მაშ მამედებთ?

რ უ ს ლ ე ნ ი. თუ კარგად გავსინჯავთ, თქვენი პირადი მდგომარეობა არც თუ ისე ცუდი მგონია.

მ ი უ რ ე ლ ი. (გაკვირვებულთა). არც თუ ისე ცუდი?

რ უ ს ლ ე ნ ი. დიან, თუ ოცდაათ ათას ფრანკ ჯამაგირს არ ჩავთვლით...

მ ი უ რ ე ლ ი. (გაუბეღავად). ოც ათასს.

რ უ ს ლ ე ნ ი. ოცდაათ ათასს: უნდა დაეუმატოთ კომპანიის მოგებაში მონაწილეობა, შემდეგ, თქვენი მამიდა...

მ ი უ რ ე ლ ი. ქვრივი მიურელ დე მონტელიმარი.

რ უ ს ლ ე ნ ი. რამდენადაც შემკვიდრე ხართ...

მ ი უ რ ე ლ ი. არის კიდევ ერთი ძმისწული, სამხედროა.

რუსლენი. მაშასადამე, არის შანსი (ხელით ანიშნებს, თითქოს თოფს ისვრის) ბედუინები... (იციინის).

მიურელი. (იციინის), დიალ, დიალ, მართალი ბრძანდებით. ქალები, მოხუცი კი, ცვალებადი გუნებისანი არიან; და მამიდა ძლიერ პირვეულია. მოკლედ, ძვირფასო ბატონო რუსლენ, ყველა საბუთი მაქვს ვივარაუდო, რომ მამიდა ზოგჯერ ფიქრობს ჩემზე.

რუსლენი. (თავისთვის). ვინ იცის, იქნებ მართალია? (ხმამაღლა). მოკლედ, ჩემო კარგო, ეცადეთ, რომ დღეს იცადილევს ჩემი სახლის ახლოს იყოთ, ოღონდ არავინ იფიქროს, რომ მეძებთ. (გაღის).

გამოსვლა მესუთე

მიურელი მარტოდ.

მიურელი. პაემანი დღეს საღამოს! ეს ხომ ავანსია, ერთგვარი თანხმობაა. არაბელამ მართალი მითხრა.

გამოსვლა მთავარი

მიურელი, გრუშე, პომპურგი, შემდეგ ფელისიტე.

გრუშე. აი მოვედი! დრო არ დამიკარგავს. მითხარით, ახალი რა არის?

მიურელი. გრუშე, თქვენ მოიფიქრეთ თუ არა რა საქმეში ხართ ჩაბმული?

გრუშე. ა?

მიურელი. დებუტატობა ხუმრობა კი არ არის.

გრუშე. რა თქმა უნდა.

მიურელი. ყველა ვიგინდარა თავზე დაგაჯდება.

გრუშე. თქ, ჩემო კარგო, მიჩვეული ვარ ღირსებისამებრ გავისტუმრო აღამიანი.

მ ი უ რ ე ლ ი. ისინი მაინც ძალიან შეგიშლიან ხელს მუშაობაში.

გ რ უ შ ე. სრულიადაც არა!

მ ი უ რ ე ლ ი. ამასთანავე პარიზში მოგიხდება ცხოვრება. ხარ-  
ჯია.

გ რ უ შ ე. რა გაეწყობა! ვიცხოვრებ პარიზში. დივანარჯები.  
მერე რა?

მ ი უ რ ე ლ ი. გულახდილად გითხრა, აქ დიდ მოგებას ვერ  
ვხედავ.

გ რ უ შ ე. თქვენი ნებაა... მე კი ვხედავ.

მ ი უ რ ე ლ ი. შეიძლება კიდევაც დამარცხდეთ.

გ რ უ შ ე. როგორ? შეიტყვეთ რამე?

მ ი უ რ ე ლ ი. დიდი არაფერი. მაგრამ ამ რუსლენს, ეპ, ეპ...  
ფასი ემატება საზოგადოების თვალში.

გ რ უ შ ე. წინათ კი ამბობდით ყეყეჩიაო,

მ ი უ რ ე ლ ი. ეგ როდი უშლის ხელს წარმატებაში.

გ რ უ შ ე. მაშასადამე, მირჩევთ უკან დაიხიო?

მ ი უ რ ე ლ ი. არა, მაგრამ საწყენია, რომ შენი კონკურენტი  
იყოს კაცი, ვისაც ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც რუსლენს.

გ რ უ შ ე. ისეთი მნიშვნე-ლო-ბა!

მ ი უ რ ე ლ ი. მას ბევრი მეგობარი ჰყავს, გულითადი კაცია,  
თანაც ხალხს მოსწონს. კონსერვატორებთან კარგ განწყობილება-  
შია და ზოგი რესპუბლიკელად მოაქვს.

გ რ უ შ ე. კარგად იცნობენ!

მ ი უ რ ე ლ ი. აჰ, თუ თქვენ საზოგადოების კეთილგონიერე-  
ბის იმედი გაქვთ...

გ რ უ შ ე. კი, მაგრამ რად ცდილობთ დამაშინოთ, როცა ყვე-  
ლაფერი რიგზეა? გამიგონეთ ჩემი მსახურის ფელისიტეს მეშ-  
ვეობით ყველაფერი მეცლოდინება, რაც მის სახლში ხდება, ისე,  
რომ ვერავინ ვერაფერს მიხვდეს.

მ ი უ რ ე ლ ი. ეგ, მგონი, თავაზიანი საქციელი არ უნდა იყოს!

გ რ უ შ ე. რატომ?

მ ი უ რ ე ლ ი. და არც გონივრული. ამბობენ, თქვენ ოდესღაც  
მისგან ფული გისესხნიათ...

გ რ უ შ ე. ამბობენ? მერე რა?

მ ი უ რ ე ლ ი. ჯერ ფული უნდა დაუბრუნოთ.

გ რ უ შ ე. ამისათვის ჯერ თვითონ უნდა გადამიხადოთ ჩემი ვალი ვიყოთ სამართლიანი!

მ ი უ რ ე ლ ი. აჰ, აი თურმე რა ფიქრები გქონიათ მაშინ, როცა ასე ერთგულად და სრულიად უანგაროდ გაძლევთ მშვენიერ რჩევას. მე რომ არ ვყოფილიყავ, ჩემო ძვირფასო, თქვენს სიციცხლეში არავინ არ აგირჩევდათ; წელებზე ფეხს ვიდგამ სრულიად უანგაროდ...

გ რ უ შ ე. ეგ ვინ იცის? მართალი გითხრა, არაფერი არ მესმის: ხან მაქვებთ, შენი კანდიდატურა დაასახელო, ხანაც არ მირჩევთ. რუსლენისაგან ფული ვისესხე? იძულებული ვიყავი ვალი ამელო, ყველას უნდა გადავუხადო, მაგრამ ხაზინა ხომ არა მაქვს. აი კაფეს პატრონიც საშინელ ანგარიშს წარმომიდგენს, ეგ ოხრები ხარებივით სვამენ. თქვენ გგონიათ ამაზე არ ვფიქრობ? კანდიდატურა ნამდვილი უფსკრულია! (შემოსულ ჰომბურგს) ჰომბურგ! რა მოხდა?

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. მასპინძელი შინ არის?

გ რ უ შ ე. არ ვიცი.

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. იცით, რა? ისეთი ცხენი მყავს! თქვენ ძვირად არ მოგჯილით, ხომ დაგჭირდებათ ამომრჩევლებთან სასიამოლო?

გ რ უ შ ე. გმადლობთ! ფეხით ვივლი.

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. შემთხვევას ნუ გაუშვებთ, ბ-ნო გრუშე!

გ რ უ შ ე. მაგისტანა შემთხვევა მერმეც იქნება.

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. არა მგონია.

გ რ უ შ ე. ახლა სრულიად არ შემიძლია.

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. როგორც გენებოთ. (რუსლენთან შედის).

მ ი უ რ ე ლ ი. თქვენ გგონიათ, რუსლენი ასე მოიქცეოდა? ეგ კაცი ფუნდუკის პატრონია: მოგსპობთ თავისი მუშტრების თვალში. თქვენ ახლა სულ ცოტა ორმოცდაათი ხმა დაკარგეთ. დავილაღე თქვენი მოვლით!

გ რ უ შ ე. დამშვიდდით. მე მართალი არ ვიყავ. დავუშვათ, რომ მე არაფერი მიტყვამს. თქვენ თვითონ გამაჯავრეთ რუსლენის ამ იმბით, რომლის ერთი სიტყვაც კი, შეიძლება, მართალი არ იყოს. საიდან მოიგონეთ? იქნებ თვითონ... ეჰ, ეს, ალბათ, თქვენი მოგონილია, რომ გამომცადოთ. (კულისებში ხმაურია).

მ ი უ რ ე ლ ი. გაიგონეთ! გაიგონეთ!

გ რ უ შ ე. მესმის.

მ ი უ რ ე ლ ი. ხმაური გვიახლოვდება.

(ხმები სცენის უკან): გრუშე! გრუშე!

ფ ე ლ ის ი ტ ე. (მარცხნივ გამოჩნდება). ბატონო, გეძებენ.

გ რ უ შ ე. მე?

ფ ე ლ ის ი ტ ე. დიად, წადით ჩქარა!

გ რ უ შ ე. მივდივარ. (მალე გადის. ხმაური ძლიერდება).

მ ი უ რ ე ლ ი. (მარცხნივ მიდის). რას ნიშნავს ეს ხმაური?  
(გადის).

### გამოსვლა მუხილი

რუსლენი, შემდეგ ჰომბურგი.

რ უ ს ლ ე ნ ი. (გამოდის თავის სახლიდან). აჰა, როგორც  
იქნა, ხალხი გამოფხიზლდა. ოღონდ ჩემს წინააღმდეგ ნუ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი. (ყვირიან კაფეში). ჩაცვივდით, ბატონებო!

რ უ ს ლ ე ნ ი. რაღაც საშიში ხდება.

გ რ უ შ ე. (მიდის სცენის სიღრმეში და ცდილობს მოერიდოს  
ოვაციას). მეგობრებო, თავი დამანებეთ! არა! მართლა!

ყ ვ ე ლ ა ნ ი. გრუშე! ვაშა გრუშეს! ჩვენს დეპუტატს!

გ რ უ შ ე. როგორ თუ დეპუტატს?

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. (რუსლენის სახლიდან გამოდის) აი დალაზ-  
როს! ბუვინი ხომ თავის კანდიდატურას ხსნის!

ხალხი იფანტება.

რ უ ს ლ ე ნ ი. შეუძლებელია!

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. დიად, სწორედ სამინისტრო გამოიცვალა, პრე-  
ფექტი გადადგა და ბუვინის მისწერა, რომ ისიც ასე მოიქცეს,  
მოხსნას თავისი კანდიდატურა. (ხალხს მიჰყვება).

რ უ ს ლ ე ნ ი. მაშასადამე, რჩება მხოლოდ ერთი... (მკერდზე  
მიიღებს ხელს, თითქოს თავისთავს ანიშნებს). აჰ, არა! კიდევ  
არის გრუშე! (ჩაფიქრდება) გრუშე! (შეამჩნევს შემოსულ ლო-  
დარს) თქვენ რა გნებავთ?

რუსენი და დოდარი.

დოდარი. მოვედი, რომ სამსახური გაგიწიოთ.

რუსენი. ბატონი გრაფის ერთგული კაცის მხრივ ეს რამდენადმე უცნაურია.

დოდარი. ჩემს საქციელს შემდეგ დააფასებთ. რაკი ბ-მა ბუვინიმ თავისი კანდიდატურა მოხსნა...

რუსენი. (უეცრად). თავისი კანდიდატურა?

დოდარი. დიად... მიზეზები...

რუსენი. პირადი ხასიათისაა.

დოდარი. მაინც?!

რუსენი. მე ვთქვი: მიზეზი იყო-მეთქი, ესაა და ეს.

დოდარი. სრული სიმართლეა. და ნება მიბოძეთ, გაცნობოთ მეტად დიდმნიშვნელოვანი ამბავი. ყველანი, ვისაც თქვენ აინტერესებთ, ნუ დაექვდებით, რომ მათ შორის მეც, შეფუთებული არიან თქვენი მოწინააღმდეგეების მძვინვარებით.

რუსენი. ეგ რით გამოიხატება?

დოდარი. განა არ გაგიგონიათ გრუშეს ხროვის უწესო ღრი-ალი? ეგ სოფლელი კატილინა...

რუსენი. (თავისთვის). სოფლელი კატილინა! კარგადაა ნათქვამი. უნდა დავიმახსოვრო.

დოდარი. ის, ბატონო, ყველაფერს იკადრებს... ყველაფერს. და, უწინარეს ყოვლისა, ხალხის უჭკუობის გამო, იქნებ ტრიბუნიც კი გახდეს.

რუსენი. (თავისთვის) მართლაც საშიშია.

დოდარი. მაგრამ. მერწმუნეთ, კონსერვატორებს ბრძოლაზე უარი არ უთქვამთ; მათი ხმები წინასწარვე ეკუთვნის პაციონსან კაცს, ვინც მათ აღუთქვამს... ოჰ, სულაც არ არის საჭირო, რომ იგი რეტროგრადი იყოს. მხოლოდ რამდენიმე დათმობა, სრულიად უმნიშვნელო.

რუსენი. ეს ეშმაკი მიუხრელი კი...

დოდარი. სამწუხაროდ, საქმე ვათავებულისა!

რუსენი. (ჩაფიქრდება) დიად.

დოდარი, ვწუხვარ, როგორც ნოტარიუსი და როგორც მოქალაქე. აჰ, რა მშვენიერი იყო ოცნება ბურჟუაზიისა და თავდაზნაურობის კავშირზე, რასაც თქვენი ოჯახები განამტკიცებდნენ. და აი ეს არის გრაფი მეუბნებოდა, დამიჯერებთ თუ არა?..

რუსლენი. უკაცრავად! სავსებით გიჭერებთ.

დოდარი. იგი ლაპარაკობდა მისთვის ესოდენ დამახასიათებელი რაინდული ენით: „მე სრულიადაც არ ვემდური ბ-ნ რუსლენს“...

რუსლენი. ღმერთო ჩემო! არც მე.

დოდარი. და არაფერი საწინააღმდეგო არ მექნებოდა, თუ იგი მოსახერხებლად მიიჩნევდა...

რუსლენი. მოუხერხებელი აქ რა არის?

დოდარი. საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა, თუ მოელაპარაკებოდით კანტორისა და პოლიტიკური მორალის სასარგებლოდ.

რუსლენი. მე... სიხარულით!

დოდარი. ის აქ არის. (კულისებისაკენ) შემობრძანდით!

## გამოსვლა მაცხრა

ივინიე და გრაფი დე ბუვინი.

ბუვინი. (მიესალმება). ბატონო!

რუსლენი. (აქეთ-იქით იტყირება). ვიცქირები, ხომ არავის...

ბუვინი. არავის დაუნახვარ. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ. და მერწმუნეთ, ვნანობ...

რუსლენი. მერე, რით არის ცუდი, რომ...

დოდარი. (სიცილით). აღიარო შენი შეცდომა, არა?

ბუვინი. რა გაეწყობა, იქნებ რამდენადმე გაზვიადებული სიყვარული ზოგიერთი პრინციპისადმი... ამასთან ჩემი ვაჟიშვილის ავადმყოფობა.

რუსლენი. იგი ავად არ არის, წედან სწორედ აი აქ...

დოდარი. ოჰ, ის ძლიერ შეუძლოდ არის. მაგრამ ცდილობს დამალოს სატყვივარი. საბრალო ბიჭი! ნერვები. იგი ისეთი მგრძნობიარეა...

რ უ ს ლ ე ნ ი. (თავისთვის). აჰა, ვიცი, რა მუცლის ტკივილიც გაქვს მაგრამ არც მე ვარ ყუყუჩი. (ხმამალლა). მართლაც, მას შემდეგ, რაც ბედმა გაუღიმა...

ბ უ ვ ი ნ ი. ო, რასაკვირველია!

რ უ ს ლ ე ნ ი. ალბათ, ძალიან ნაწყენია...

ბ უ ვ ი ნ ი. პირდაპირ სასოწარკვეთილია, ბატონო!

რ უ ს ლ ე ნ ი. როცა ასე უეცრად მოხსენით თქვენი კანდიდატურა....

დ ო დ ა რ ი. (თავისთვის). დაგვცინის!

რ უ ს ლ ე ნ ი. მას შემდეგ, რაც რამდენიმე ხმა უკვე მიიღეთ...

ბ უ ვ ი ნ ი. ხმა ბევრი იყო.

რ უ ს ლ ე ნ ი. (იღიმება). მაგრამ არა ყველა.

დ ო დ ა რ ი. მუშათა შორის, შესაძლებელია, სოფლებში კი გასაოცრად ბევრი.

რ უ ს ლ ე ნ ი. აჰ, რომ დაითვლებოდეს...

ბ უ ვ ი ნ ი. ინებეთ. უწინარეს ყოვლისა, ჩემი რეზიდენცია, ბუეინის კომუნა, არა? აგრეთვე სოფლები: სენ-ლეონარდი, ვალენკური, ლაკუდრე.

რ უ ს ლ ე ნ ი. (მყისვე). მხოლოდ არა ეგ!

ბ უ ვ ი ნ ი. რატომ?

რ უ ს ლ ე ნ ი. (შეცბუნებული). მე მეგონა... (თავისთვის) ნუთუ მიუტრეღმა მომატყუა?

ბ უ ვ ი ნ ი. იმედი მაქვს აგრეთვე გრუმენილი, იმრემნილი, არბუა.

დ ო დ ა რ ი. (სიას ამოიღებს და კითხულობს). შატილიონი, კოლანჯი, ჰერტო, ლენევალი, ბაგიური, სენფილელი, გრან-შენი, როშ-თბერი, ფორტინე.

რ უ ს ლ ე ნ ი. (თავისთვის). საშინელებაა!

დ ო დ ა რ ი. მანიაკა, დეო, შამპერიერი, სენონიევი, ვიეზილი, სირვენი, შატო-რენიე, ლაპაშელი, ლებარუა, მონ-სიულო.

რ უ ს ლ ე ნ ი. (თავისთვის). თურმე ჩემი ოლქის გეოგრაფია არ მცოდნია.

ბ უ ვ ი ნ ი. თუ ჩემს მეგობრებს არ ჩავთვლი კომუნებში.

რ უ ს ლ ე ნ ი. (დამწუხრებულია). ო, გენდობით, ბატონო!

ბ უ ვ ი ნ ი. ამ პატიოსანმა ხალხმა არ იცის ახლა, რა ქნას. თუმცა ისინი ახლაც ჩემს განკარგულებაში არიან და ყველანი უკ-



ლებლივ მეშორჩილებიან. და რომ ვუთხრა: ხმა მიეცით... სულ ერთია ვის... მაგალითად, თქვენ-მეთქი...

რ უ ს ლ ე ნ ი. ღმერთო ჩემო! მე ხომ ისეთი ოპოზიციონერი არა ვარ...

ბ უ ვ ი ნ ი. ეჰ, ოპოზიცია ზოგჯერ სასარგებლოა.

რ უ ს ლ ე ნ ი. შესაძლოა, როგორც ბრძოლის იარაღი, მაგრამ კი არ უნდა ვანგრიოთ, არამედ ვაშენოთ.

დ ო დ ა რ ი. უეჭველია, უნდა ვაშენოთ.

რ უ ს ლ ე ნ ი. აი ამიტომ მეჭავრება ყველა ეს უტოპია და გამანადგურებელი დოქტრინა. ერთი მითხარით, განა არ აპირებენ აღდგენას? პრესა კი, უნდა ვალიაოთ, ბევრ ზედმეტ რამეს ბედავს...

დ ო დ ა რ ი. საშინელება!

ბ უ ვ ი ნ ი. ჩვენს გლეხებს აუარებელი წიგნით ხრწნიან!

რ უ ს ლ ე ნ ი. მათ არავინ ხელმძღვანელობს. აჰ, თავად-აზნაურობას ბევრი კარგი რამ ჰქონდა. ამ მხრივ მე ვიზიარებ ინგლისის რამდენიმე პუბლიცისტურ იდეას.

ბ უ ვ ი ნ ი. თქვენი სიტყვები მაცოცხლებელ სიოსავით მოქმედებენ ჩემზე. და რომ შეგვეძლოს იმედი ვიქონიოთ...

რ უ ს ლ ე ნ ი. მოკლედ, ბატონო გრაფო, მე დემოკრატია მაშინებს. არც ვიცი, ეს რა სიგიჟეა, რა დანაშაულებრივი გატაცებაა.

ბ უ ვ ი ნ ი. ო, ეგ უკვე ნამეტანია...

რ უ ს ლ ე ნ ი. არა. მე დამნაშავე ვარ, რადგან, მერწმუნეთ, კონსერვატორი ვარ და, შესაძლებელია, ერთგვარი ელფერი...

დ ო დ ა რ ი. პატიოსანი ადამიანები იმიტომ არსებობენ, რომ შეთანხმდნენ.

რ უ ს ლ ე ნ ი. (მაგრად ართმევს ხელს ბუვინის). უეჭველად, გრაფო, უეჭველად!

#### გამოსვლა მხათი

იგინივე, მიურელი, ლედრიუ, ანეზიმი, მუშები,

მ ი უ რ ე ლ ი. მადლობა ღმერთს, ძვირფასო რუსლენ. იმ დროს მოვედი, როცა თქვენი ამომრჩევლები აქ არ არიან.

ბ უ ვ ი ნ ი. (თავისთვის). მე მეგონა ესენი წაჩხუბებულნი არიან-მეთქი.

მ ი უ რ ე ლ ი ა ი ს ხ ვ ე ბ ი ც. მე მათ დაუუმტკიცე, რომ გრუშეს შეხედულებანი ჩვენს დროს აღარ შეეფერებოდა; და იმის მიხედვით, რაც ამ დილით მითხარით, ეს აღამიანები უკეთ გაგიგებენ, რადგან სოციალისტები არიან.

ბ უ ვ ი ნ ი. (განზე გახტება). როგორ თუ სოციალისტები!

რ უ ს ლ ე ნ ი. მან სოციალისტები მოიყვანა!

დ ო დ ა რ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი! ჩემს პიროვნებას არ შეეფერება. (შეუმჩნევლად გადის).

რ უ ს ლ ე ნ ი. (ენა ებმება). მაგრამ...

ლ ე დ რ ი უ. დიად, მოქალაქევ, ჩვენ სოციალისტები ვართ.

რ უ ს ლ ე ნ ი. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

ბ უ ვ ი ნ ი. კი, მაგრამ წელან არ ილაშქრებდით ამ საზიზღრობის წინააღმდეგ?

რ უ ს ლ ე ნ ი. ნება მიბოძეთ. შეიძლება სხვადასხვა მხრივ განვიხილოთ...

ო ნ ე ზ ი მ ი. (გამოდის). უეჭველად, სხვადასხვა მხრივ.

ბ უ ვ ი ნ ი. (აღშფოთებულადა). ჩემი შვილიც იმათ ეთანხმება!

მ ი უ რ ე ლ ი. თქვენ მაინც აქ რა გინდათ?

ო ნ ე ზ ი მ ი. გავიგონე, რუსლენთან აპირებდნენ წასვლას და მინდოდა დამერწმუნებინა იგი, რომ... რამდენადმე ვიზიარებ მის სისტემას.

მ ი უ რ ე ლ ი. (ხმადაბლა). აი შე, ინტრიგანო!

ბ უ ვ ი ნ ი. არ მეგონა, შვილო ჩემო, რომ მშობლის თანდასწრებით უარს იტყოდით თქვენი წინაპრების სარწმუნოებაზე.

რ უ ს ლ ე ნ ი. მშვენიერია!

ლ ე დ რ ი უ. რა არის მშვენიერი? რომ ეს ბატონი გრაფია? (მიუჩრებს ანიშნებს რუსლენზე) ხოლო, თუ თქვენ დაგიჯერებთ, იგი ტიტულების მოსპობას მოითხოვს.

რ უ ს ლ ე ნ ი. რა თქმა უნდა!

ბ უ ვ ი ნ ი. როგორ, იგი მოითხოვს...

ლ ე დ რ ი უ. დიად.

ბ უ ვ ი ნ ი. აჰ! კმარა.

რ უ ს ლ ე ნ ი. (აჩერებს). ხომ არ შემიძლია ასე ერთბაშად გავ-

წყვიტო კავშირი? ბევრი ცდება, მხოლოდ საჭიროა მათი დანდობა.

ბ უ ე ნ ი. (ძლიერ ხმამაღლა). არავითარი დანდობა, ბატონო. უწესობის მოთმენა არ შეიძლება, მოკლედ და ნათლად გიცხადებთ: მე აღარ გემხრობით. წავიდეთ, ონეზიმ! (მიდის, შვილი მიჰყვება).

ლ ე დ რ ი უ. ის გვემხრობოდა? ახლა ყველაფერი გასაგებია. მადლობას მოგახსენებთ!

რ უ ს ლ ე ნ ი. ჩემი რწმენის გულსათვის ოცდაათი წლის მეგობრობა შემოგწირეთ.

ლ ე დ რ ი უ. ჩვენ მსხვერპლი არ გვესაჭიროება. მხოლოდ თქვენ ორკვალობთ, ხან ერთს ამბობთ, ხან მეორეს და მე მგონია. რომ თქვენ ნამდვილი... მატყუარა ხართ. წავიდეთ, ბიჭებო! გრუშეს დაეუბრუნდეთ. წავიდეთ, მიუჩრე!

მ ი უ რ ე ლ ი. ახლავე.

### გამოსვლა მითითებით

#### რუსლენი და მიუჩრელი.

მ ი უ რ ე ლ ი. უნდა გამოგიტყდეთ, ჩემო ძეგარტასო, რომ მძიმე მდგომარეობაში ჩამაყენეთ.

რ უ ს ლ ე ნ ი. იქნებ გგონიათ, რომ მეც მაგ ყოფაში არა ვარ?

მ ი უ რ ე ლ ი. დალახვროს ეშმაკმა! მაგრამ საჭიროა გადაწყვიტოთ: ან ერთი, ან მეორე. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

რ უ ს ლ ე ნ ი. რატომ იცით მულამ აგეთი გაწიწმატება, გაზვიადება? განა ყოველ პარტიაში არ შეიძლება რაიმე კარგი მოიძებნოს?

მ ი უ რ ე ლ ი. რა თქმა უნდა, ხმები!

რ უ ს ლ ე ნ ი. ღმერთმანი, გონებამახვილი ხართ, აი... რაღაცნაირი გამჭრიახი... საკვირველი როდია, რომ უყვარხართ.

მ ი უ რ ე ლ ი. მე? ვის?

რ უ ს ლ ე ნ ი. გულუბრყვილო! ერთ ქალიშვილს, ვისაც, ლუიზა ჰქვია.

მ ი უ რ ე ლ ი. რა ბედნიერებაა! გმადლობთ! გმადლობთ! ახ-

ლა კი სულითა და გულით შევეუდგები თქვენს საქმეს. დავიწყებ მტკიცებას, რომ ვერ გიცნეს. სიტყვიერი კამათი იყო, შეცდომა, რაც შეეხება გაზეთ „ემპარსიალს“...

რ უ ს ლ ე ნ ი. თქვენ იქ ბატონ-პატრონი ხართ.

მ ი უ რ ე ლ ი. არც თუ მთლად. ჩვენ ვემორჩილებით პარიზიდან მიღებულ განკარგულებას და თქვენ უნდა გავგენადგურებინეთ.

რ უ ს ლ ე ნ ი. ახლა ეგ განადგურება გააუქმეთ.

მ ი უ რ ე ლ ი. რა თქმა უნდა! მაგრამ როგორ შთავაგონოთ ეიულიენს იმის საწინააღმდეგო, რაც ვუთხარიო?

რ უ ს ლ ე ნ ი. რა ვქნათ?

მ ი უ რ ე ლ ი. მოითმინეთ. შინ გყავთ ვინმე ისეთი, ვისი გავლენაც...

რ უ ს ლ ე ნ ი. ვინ მყავს?

მ ი უ რ ე ლ ი. მისს არაბელა. ზოგი მისი ნათქვამი სრულ საფუძველს მაძლევს დავასკვნა, რომ მას მოსწონს ახალგაზრდა პოეტი...

რ უ ს ლ ე ნ ი. (იციინის). მაშასადამე, ლექსი ეძღვნება ინგლისელ ქალს?

მ ი უ რ ე ლ ი. ლექსი არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ მათ ერთმანეთი უყვართ.

რ უ ს ლ ე ნ ი. მაგაში დარწმუნებული ვიყავი. ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ შევმცდარვარ. რაკი ჩემი ქალიშვილი არაფერ შუაში არ არის, რისი მეშინია! და ფეხებზედაც არ მკიდია, თუ... ცოლს უნდა მოველაპარაკო. შინ უნდა იყოს.

მ ი უ რ ე ლ ი. მე კი ამასობაში ვეცდები დავაბრუნო ისინი, ვისაც თქვენმა ფილოსოფიურმა გულგრილობამ აზრი ოდნავ შეუცვალა.

რ უ ს ლ ე ნ ი. ძალიან ნუ შესტოპავთ, თორემ ბუვინიმ ერთი მხრივ...

მ ი უ რ ე ლ ი. კი, მაგრამ ხომ სხვა ფერად უნდა შევღებოთ აქვენი პატრიოტიზმი? (გადის)

რ უ ს ლ ე ნ ი. (მარტოდ). ვეცდები ვიყო გამჭრიახი, მარჯვე, ღარბაისელი.

რუსლენი, ქ-ნი რუსლენი, მისს არაბელა.

რუსლენი. (არაბელას). ჩემო საყვარელო შვილო, ჩემი მამობრივი სიყვარული მაძლევს ნებას ასე გიწოდოთ, თქვენგან დიდ სამსახურს მოველი: საქმე ისაა, რომ საქიროა. ეიულიენს მოელაპარაკოთ.

არაბელა. (ფიცხლად). ეგ შემიძლია.

ქ-ნი რუსლენი. (მედიდურად). მერე! რანაირად?

არაბელა. ის ყოველ საღამოს მოდის აქ სასიერნოდ. იმაზე ადვილი რა არის, რომ მივიდე მასთან. როცა სიგარას ეწევა.

ქ-ნი რუსლენი. უფრო ზრდილობიანი იქნება, რომ ეგ საქმე მე ვიკისრო.

რუსლენი. მართლაც, ეს ქმრიან ქალს უფრო შეეფერება:

არაბელა. მაგრამ მე სიამოვნებით...

ქ-ნი რუსლენი. მე თქვენ გიკრძალავთ. ქალიშვილო!

არაბელა. კარგი, ქალბატონო. (თავისთვის). რა მოეჩვენა, რომ მიშლის... ვნახოთ... (გაილაღება).

ქ-ნი რუსლენი. შენ. ჩემო კარგო, ზოგჯერ უცნაური ფიქრები მოგდის: ასეთი რამ აღმზრდელ ქალს მიანდო! მე მგონია, ეს შენს კანდიდატურას ეხება.

რუსლენი. რა თქმა უნდა! მე კი ვფიქრობდი, რომ სწორედ მისს არაბელას, სიყვარულის გამო, რაც აღარ მეეკუება, შეეძლო...

ქ-ნი რუსლენი. აჰ, შენ მას არ იცნობ. თავშეკავებული და არაგულწრფელი ქალია: რომანტიკული ნიღბით სრულიად არა-რომანტიკულ სულს მალავს. მე ვგრძნობ, რომ მას ეს საქმე ვერ მიენდობა...

რუსლენი. ვხედავ, მართალი ხარ. აი ეიულიენცი! შენ იცი, რაზედაც უნდა ელაპარაკო, არა?

ქ-ნი რუსლენი. ო. მოვახერხებ.

რუსლენი შენი იმედი მაქვს. (ეიულიენს სალამს აძლევს და გადის. ღამდება).

ქ-ნი რუსლენი, ეიულიენი.

ეიულიენი. (დინახავს ქ-ნ რუსლენს) მარტოა! (გადააგდებს სიგარს). რა ვქნა? (სალამს აძლევს) ქალბატონო!

ქ-ნი რუსლენი. მგონი, ბა-ნი დიუპრა ბრძანდებით, არა?

ეიულიენი. დიად, ქალბატონო, ვავლახ!

ქ-ნი რუსლენი. რატომ ვავლახ?

ეიულიენი. სამწუხაროდ, ისეთ გაზეთში ვთანამშრომლობ, რომელიც თქვენ არ მოგეწონებათ.

ქ-ნი რუსლენი. მხოლოდ თავისი პოლიტიკური ელფერით.

ეიულიენი. რომ იცოდეთ, როგორ მეზიზღება ის საკითხები, რომლებზეც იძულებული ვარ ვწერო!

ქ-ნი რუსლენი. ო, რჩეული ადამიანები შეძლებენ ყველაფერს შეეგუონ ისე, რომ თავიანთი ღირსება არ შებღალონ. თუმცა თქვენი ზიზღი გასაკვირველი როდია. ის, ვინც ასეთ... შესანიშნავ ლექსებს წერს...

ეიულიენი. თქვენი მხრით, ქალბატონო, ეგ კარგი არ არის! რად დამცინით?

ქ-ნი რუსლენი. სრულიადაც არა! იქნებ მე უვიცი ვიყო, მაგრამ მგონია, რომ თქვენ ბრწყინვალე მომავალი მოგელით.

ეიულიენი. მას მიჩრდილავს ის წრე, რომელსაც ამაოდ ვერ ვებრძვი. ხელოვნება პროვინციულ ნიადაგზე ცუდად იზრდება. პოეტი, ვინც იძულებულია შეასრულოს ყოველგვარი სამუშაო, იმ კაცს ჰგავს, ვისაც ჭაობში სიარული განუზრახავს. საზიზღარი ტალახი ფეხებზე ეკვრება და არ უშვებს, და რამდენადაც უფრო ცდილობს თავი დააღწიოს, იმდენადვე შეტად ეფლობა. რაღაც დაუძლეველი ძალა კი პროტესტს აცხადებს და კივის თქვენ სულში. ერთადერთი ნუგეში, რომ იძულებული ხართ ისე არ მოიქცეთ, როგორც გსურთ, არის ამაყი ოცნება იმაზე, რასაც მომავალში გააკეთებთ. მერმე კი თვე თვეს მისდევს, წელიწადი წელიწადს და ნელ-ნელა ეჩვენვი გარემომცველ სისაძაგლეს. ემორჩილები ბედს, გეუფლება ერთგვარი მშვიდი სასოწარკვეთილება.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. შესმის და გითანაგრძნობთ.

ე ი უ ლ ი ე ნ ი. რა საამოა ჩემთვის თქვენი თანაგრძნობა. ქალბატონო, თუმცა იგი მწუხარებას მიორკვეცებს.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. გამხნევდით! წარმატება მოგვიანებით გეწვევთ

ე ი უ ლ ი ე ნ ი. განა იგი შესაძლებელია ჩემს მარტოობაში?

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. საზოგადოებას ნუ გაუბრბობ, მიდით ხალხთან. მისი ენა განსხვავებულია თქვენი ენისაგან, შეისწავლეთ იგი, რეპუტაცია და ძალაუფლება ურთიერთობის გზით მოიპოვება და რამდენადაც ბრძოლა საზოგადოების ბუნებრივი ყოფაა, ჩადექით ამა ქვეყნის ძლიერთა რიგებში, იყავით მდიდართა, ბედნიერთა მხარეზე. თქვენი იღუმალი ფიქრები კი, საკუთარი ღირსების გრძნობისა და სიფრთხილის გამო, თქვენთვის შეინახეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა პარიზში იცხოვრებთ, როგორც ჩვენ...

ე ი უ ლ ი ე ნ ი. მაგრამ მე იქ საცხოვრებელი სახსრები არა მაქვს, ქალბატონო.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. ეგ ვინ იცის? თქვენი ნიჭით და მოხერხებულობით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. მხოლოდ ისინი გამოიყენეთ იმ ადამიანთა სასარგებლოდ, რომლებიც სამაგიეროს გადაგიხდიან. მაგრამ უკვე გვიანაა. საღამო ნახვამდის, ბატონო! (წასვლას აპირებს).

ე ი უ ლ ი ე ნ ი. არა, ნუ წახვალთ, გევედრებით. ამდენ ხანს ველოდი ამ შემთხვევას. ამაოდ ვცდილობდი როგორმე მოვხვდებოდი თქვენთან. ამასთან მე მთლად კარგად ვერ გავიგე თქვენი უკანასკნელი სიტყვები. თქვენ თითქოს რაღაცას ელოდებით ჩემგან... ხომ არაფერს მიბრძანებთ? მითხარით! გემორჩილებით!

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. რა თავდადება!

ე ი უ ლ ი ე ნ ი. მე ხომ თქვენით მიდგას სული! როცა მომენატრება ხოლმე თავისუფლად ამოვისუნთქო, გორაკზე ავდივარ, სხვა სახლებს შორის უნებურად დავუწყებ ხოლმე ძებნას თქვენს მძვენიერ პატარა სახლს, მწვანეში რომ თეთრად გამოჩანს. სასახლის ნახვაც კი არ გამოიწვევს იმდენ სურვილს. ხანდახან გამოჩნდებით ხოლმე ქუჩაში: დაბრმავებული გავჩერდები, მერმე გამოგყვებით ხოლმე უკან შეუმჩნევლად. ხშირად მოვსულვარ ამ ღობესთან, რომ დამენახეთ, გამეგონა თქვენი კაბის შარიშუ-

რი, როცა იებით შემორგულ ბილიკზე მიდიხართ ხოლმე. თქვენ-  
გან წარმოთქმული სიტყვა, სრულიად ჩვეულებრივი ფრაზა, სხე-  
ბისათვის გაუგებარი, ჩემთვის კი დიდი მნიშვნელობით აღსავსე  
მეჩვენებოდა და სიხარულით ვინახავდი ხოლმე გულში, ვით ძვირ-  
ფას განძს! ნუ გამაგდებთ! მაპატიეთ! გავბედე და ლექსი გიძლ-  
ვენით. ის დაიკარგა ისე, როგორც ყვევილები, მინდორში რომ  
დავკრეფე ხოლმე, და ვერ ვებდავ მოტანას, როგორც სიტყვები.  
ლამით რომ გეუბნებით ხოლმე, და თქვენ არ გესმით. თქვენ ხართ  
ჩემი შთამაგონებელი, ჩემი მუზა, იდეალური ხატება, ჩემი აღ-  
ტაცება და ტანჯვა.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. დამშვიდდით, ბატონო! რაოდენ გავზია-  
დებული გრძნობებია...

ქ ი უ ლ ი ე ნ ი. აჰ, მთელი საქმე ისაა, რომ მე ოცდაათიანი წლე-  
ბის კაცი ვარ. პირველი წიგნი, რომელიც წამიკითხავს, „ერნა-  
ნია“ და მინდა ვიყო ლარა! მძულს თანამედროვე უხამსობა, მდა-  
ბიური არსებობა, მერცხვინება ადვილად ხელმისაწვდომი ტკო-  
ბა. ჩემი გული გამსჭვალულია იმ სიყვარულით, რომლისთვისაც  
დიდ ოსტატებს უმღერიათ. ჩემს ოცნებაში განუყრელი ხართ უმ-  
შვენიერეს არსებასთან, როგორიც კი ამქვეყნად არსებობს; და-  
ნარჩენი სამყარო, ასე მგონია მხოლოდ თქვენთან კავშირით არ-  
სებობს. ეს ხეები იმისთვის არის შექმნილი, რომ თავიანთი ტო-  
ტებით თქვენ გიგრილებდნენ, ღამე იმისთვის, რომ გფარავდეთ,  
ვარსკვლავები კი, წყნარად რომ ციმციმებენ, იმისათვის, რომ  
თქვენ გიცქირონ.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. თქვენ ლიტერატურა გზიბლავთ, ბატონო.  
როგორ შეუძლია ქალს მიენდოს ისეთ მამაკაცს, ვისაც თავისი  
მეტაფორები ან საკუთარი ვნება ვერ დაუოკებია? თუმცა მე იგი  
გულწრფელი მეჩვენება, მაგრამ თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა  
ხართ და არ იცით, რა არის აუცილებლობა. სხვები ჩემს ადგილზე  
შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ ასეთ მხურვალე გრძნობებს. ყო-  
ველ შემთხვევაში დაჰპირდებოდეთ მაინც...

ქ ი უ ლ ი ე ნ ი. და აი თქვენც აცახცახდით! ეს კარგად ვიცო-  
დი. ასეთი სიყვარულის უარყოფა არ შეიძლება.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. აჰ ავი ხალხია, უმცირესი გაუფრთხილებ-  
ლობა და... დავიღუპეთ... სკანდალი...

ქ ი უ ლ ი ე ნ ი. ნურათურის გეშინიათ! ჩემი ტუჩი მოკუმული



იქნება, თვალი მორიდებული, მე გულგრილი ვიქნები და, თუ მოვედი...

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. მაგრამ ჩემი ქმარი, ბატონო...

ე ი უ ლ ი ე ნ ი. მაგ კაცზე ნუ მელაპარაკებით.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. მოვალე ვარ დავიცვა იგი.

ე ი უ ლ ი ე ნ ი. მე აგრე მოვიქეცი, თქვენდამი სიყვარულის გამო.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. ის ამას შეიტყობს და თქვენ არ მოგიხდებათ ინანოთ თქვენი დიდსულოვნება.

ე ი უ ლ ი ე ნ ი. ნება მიბოძეთ დავიჩოქო თქვენს წინაშე, რათა დავტყბე თქვენი სიახლოვით. ყველაფერს ავასრულებ, რასაც კი ინებებთ, ქალბატონო. ავასრულებ ღირსეულად, ნუ გეეჭვებათ, რადგან საამისოდ საკმაო ძალა მომეპოვება. მსურს მოგანიჭოთ მთელი ამქვეყნიური სიამე, ხელოვნების მთელი მხიბლაობა, მთელი ზეციური კურთხევა...

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. დაუყოვნებლივ მოვითხოვ დამიმტკიცოთ თქვენი სიყვარული...

ე ი უ ლ ი ე ნ ი. დიად, დიად!

### გამოსვლა მეთოთხმეტე

ისინივე. მის არაბელა, შემდეგ მიურელი და გრუშე, მერვე რუსენი.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. (სახლისკენ მიდის). აქ შოლიან, უნდა წავიდე.

ე ი უ ლ ი ე ნ ი. ჯერ კიდევ არა.

გ რ უ შ ე. (სცენის სიღრმეში, მიურელს მისდევს). მაშინ, დამიბრუნე ჩემი ფული!

მ ი უ რ ე ლ ი. (მიდის). თავი მომაბეზრეთ!

გ რ უ შ ე. სალაზანავ!

მ ი უ რ ე ლ ი. (სილას გაარტყამს). ქურდო!

რ უ ს ლ ე ნ ი. (ხმაურს გაიგონებს და შემოდის) აქ რა ამბავია?

ე ი უ ლ ი ე ნ ი. (ქ-ნ რუსლენს) ო, მხოლოდ ეგა?! (ხელზე  
ვამბორება).

მ ი ს ს ა რ ა ბ ე ლ ა. (რუსლენს. ოცნობს) აჰ!

რ უ ს ლ ე ნ ი. რა მოხდა? (შეამჩნევს არაბელას, რომელიც  
გარბის). არაბელა! ხვალვე გავაგდება!

### მოქმედება მესამე

კაფე „ფლორა“. შესაფერისი მოწყობილობა. სცენის მთელი  
უქანა ნაწილი უქავია ესტრადას ორკესტრისათვის. მარცხენა კუთ-  
ხეში კონტრაბასია. კედელზე ჰკიდია საკრავი იარაღები, ცენტრ-  
ში რამდენიმე სამფეროვანი ალამია. ესტრადაზეა მაგიდა და სკა-  
მი: ვვერდებზე თითო მაგიდაა. ცენტრში პირველი ესტრადის  
ქვემოთ უფრო პატარა ესტრადა. ზედ სკამებია ჩამწყკრივებული.  
განსაზღვრულ სიმაღლეზეა გალერეა, სადაც სიარული შეიძლება.

### გამოსვლა პირველი

რუსლენი მარტო ავანსცენაზე, შემდეგ გარსონი კაფედან.

რ უ ს ლ ე ნ ი: ანარქია რომ შევადარო გველს, პიდრა რომ არ  
ვთქვა? ხელისუფლება კი... ვამპირს? არა, პრეტენზიული იქ-  
ნება! მაგრამ ურიგო არ იქნება ჩავურთო რამდენიმე ეფექტური  
ფრაზა, ისეთი, აღგზნებას რომ იწვევს... როგორცაა „მთავრდეს  
რევოლუციების ეპოქა, კამარულია, ოდინდელი უფლებანი,  
და ბევრი სხვა სიტყვა, „იზმით“ რომ მთავრდება: „პარლამენ-  
ტარიზმი, ობსკურანტიზმი!“

სიჩუმე! ცოტაოდენი წესრიგი. ამომრჩევლები ახლავე მოვ-  
ლენ. ყველაფერი მზად არის: გუშინ საღამოს შეადგინეს საამომრ-  
ჩველო ბიურო! აქ იქნება თავმჯდომარის ადგილი (უჩვენებს  
მაგიდას ცენტრში); აქეთ-იქით იქნებიან მდივნები, მე კი—  
შუაში, პირით ხალხისაკენ.. მაგრამ რას უნდა დავეყრდნო? კარ-  
გი იქნებოდა, ტრიბუნა რომ გვექონოდა! ჰო, ტრიბუნას ვიშოვ-

ნით! მანამდე კი... (იღებს სკამს და წინ იდგამს პატარა ესტრადაზე). მშვენიერია! და ერთი ჭიქა წყალიც, თორემ უკვე საშინლად მწყურია, — ჭიქას აქ დავდგამთ! (თავმჯდომარის მაგიდაზე წყლიან ჭიქას აიღებს და დადგამს სკამზე, ტრიბუნას რომ წარმოადგენს). შაქარი იკმარებს? (სავსე საშაქრეს დასცქერის). იკმარებს!

ყველანი დასხდებიან. თავმჯდომარე კრებას გახსნის, ვინმე სიტყვის ნებას ითხოვს; მე მომმართავს... მკითხავს... მაგალითად... კი. მაგრამ ვინ უნდა მომმართოს? სად არის ის კაცი? ვთქვათ მარჯვნივ! მაშინ მკვეთრად მოვბრუნდები!... არა, ის უფრო ახლოს უნდა იქნეს! (სკამს გადადგამს, კვლავ ესტრადაზე აღის) სრულ სიჩუმეს ვიცავ, ხელს ჟილეტში ვიყოფ... იქნებ ფრაკი ჩავიცვა? ჰო, ხელისთვის უფრო მოსახერხებელი იქნება არა. სერთუკი აჯობებს, როგორღაც უფრო სადაა. თუმცა, რაც გინდა თქვი, ხალხს პეწი, ფუფუნება უყვარს. ერთი, ჰალსტუხი ვნახო! (იციქირება პატარა სარკეში, ჯიბიდან რომ ამოიღო). საყელო ცოტა უფრო დაბალი უნდა იქნეს! თორემ ესტრადის მომღერალს ვგავარ! ოჰ, კარგია! მიურელი ორიოდე სიტყვას ჩაურთავს. რომ ცოტათი გამამხნეოს, მაგრამ მაინც მეშინია... გულის კოვზთან აი, უკვე ახლა... (წყალს მოსვამს). არაფერია! ყველა დიდი ორატორი პირველად ასევე განიცდიდა ახლა! ხომ არ უნდა მოვეშვე სულ! ერთი კაცი რით არის მეორეზე ნაკლები, მე კი ბევრ ვინმეს ვჯობივარ! აი უკვე თავი მიბრუნის, თითქოს შთაგონება მეუფლებს! და, ქეშმარიტად, კადნიერებით ვარ აღსავსე!

„ნუთუ ეგ ჩემზეა, ბატონო!“ ის კი პირდაპირ დგას. აი აქ. (სკამს შუაზე გადადგამს). „ჩემზეა, ჩემზე! ორივე ხელი გულზე უნდა მივიდო, ტანი კი ოდნავ წინ გადავხარო. „ჩემზეა, ვინც აგერ ორმოცი წელია... ჩემზეა, ვისი პატრიოტიზმიც... ჩემზეა, ვინც... ჩემზეა, ვისთვისაც“... შემდეგ ერთბაშად: „აჰ, თვითონაც არ გჯერათ. რასაც ამბობთ, ბატონო!“ ყველა დუმს! იგი მე-სიტყვება. „საბუთები! საბუთებს მოვითხოვ! ფრთხილად! საზოგადოებრივი ნდობა ხუმრობა როდია!“ ის სიტყვას ვერ პოულობს. „თქვენ ხმას არ იღებთ? მამასადამე, მართალი არ ხართ! გვეცოდინება!“ ახლა ურიგო არ იქნება ცოტაოდენი ირონია ჩავუერთოთ. მერმე მ-ვახალოთ რაიმე შხამიანი სიტყვა და მედიდურად ჩავიცინოთ: „ჰა, ჰა!“ ვცადოთ, როგორ გაისმის ზიზლის

გამომხატველი სიცილი. „ჰა, ჰა, ჰა! ვალიარებ დამარცხებული ვარ! ჩინებულია!“ მაშინ ორი ვინმე, (რუსლენი ორ სკამს, გადადგამს) — მე ვიცნობ მათ — ყვირის, რომ მე ვეწინააღმდეგები არსებულ კანონებს, თუ რაღაც ასეთს. მე მრისხანე ხმით ვუპასუხებ: „თქვენ კი უარყოფთ პროგრესს!“ განვმარტავ სიტყვა „პროგრესს“ „დაწყებული ტელესკოპით შეიარაღებული ასტრონომიით, გულადი მეზღვაურით... გათავებული უბრალო სოფელით, პატიოსნურად რომ შრომობს... ჩვენი ქალაქების პროლეტარით, ხელოვანით, ვისი შთაგონება“... და ასე, სანამ ვიტყოდე ფრაზას, რომელშიც ვეცდები ჩავურთო სიტყვა „ბურჟუაზია“. ამას მიპყვება ბურჟუაზიის ქება, მესამე წოდება, განაწესი დეპუტატებისადმი, 89 წელი, ვაჭრობა, ეროვნული შემოსავალი, კეთილდღეობის ზრდა საშუალო ფენების შემდგომი აღმავლობის მიხედვით. უეცრად ვინმე მუშა წამოიძახებს: „ხალხი? ხალხი კი დაგავიწყდათ?“ მაშინ აღვტყინდები: „ხალხი! ხალხი დიდია!“ მერმე მოვყვები მის ქებას, ყურებს გამოვუჭედავ ყველას. ხოტბას შევასხამ ეან-ეაკ რუსოს, რომელიც უბრალო მსახური იყო; ფეიქარ ჟაკარს, მკერვალ მარსოს; შევაქებ ყველა ფეიქარს, ყველა მსახურს, ყველა თერძს! შემდეგ თავს დავატყდები მდიდრებს, მათს გარყვნილებას და წამოვიძახებ: „რას უძრანავენ ხალხს? სიღარიბეს?“ დავხატავ სიღარიბის შემადრწუნებელ სურათს. „ვაშა!“ აჰ, რა სასიამოვნოა იმ კაცის მისია, ვინც მოწოდებულია იყოს ხალხის შუამავალი, განსაკუთრებით იმ კაცის მისია, ვინც იცის ხალხის სათნოება. და ყოველთვის, როცა ჩემს ხელში მუშის დაყოჩრებულ ხელს ვგრძნობ, კეთილშობილური სიამაყე დამეუფლება ხოლმე. მისი ხელის ჩამორთმევა, დაე რამდენადმე ტლანჭი, ამით ნაკლებ სასიამოვნო როდია! ყველა განსხვავებას კლასებს, ხარისხებსა და მდგომარეობას შორის ხომ, — მადლობა ღმერთს, — ყავლი გაუვიდა, და ვერავითარი ვერ შეედრება კეთილი ადამიანის მეგობრობას!... და გულში ჩავიბრტყამ მუშტს! „ვაშა! ვაშა! ვაშა!“

გ ა რ ს ო ნ ი. ბ-ნო რუსლენ, მოდიან!

რ უ ს ლ ე ნ ი. მივდივარ, თორემ იფიქრებენ... მოვასწრებ კი ტანსაცმლის გამოცვლას? კი! ოღონდ უნდა გავიქცე!

შემოდის ყველა ამომრჩეველი, ვუენში, მარში, პომბურგი, პერტელო, ონეზიმი, სოფლის ჩაფარი, ბომენილი, ლედრიუ, თავმჯდომარე, შემდეგ რუსლენი, მერმე მიურელი.

ვ უ ე ნ შ ე ე ჰ ე, ჩვენ არც ბევრნი ვართ! როგორც ეტყობა, სერი იქნება!

ლ ე დ რ ი უ. პოლიტიკური კრებისათვის ამ სამიკიტნოზე უფრო შესაფერისი ადგილი ვერ იშოვნეს?

ბ ო მ ე ნ ი ლ ი. რას იზამ, თუკი მთელს ოლქში სხვა ადგილი არ არის! ვის მისცემთ ხმას ბ-ნო მარში?

მ ა რ შ ე. რუსლენს, რაც უნდა იყოს...

ლ ე დ რ ი უ. მე კი გადავწყვიტე მთლად გავანადგურო იგი.

ვ უ ე ნ შ ე. შეხედეთ! გრაფ ბუვინის შვილი მოვიდა!

ბ ო მ ე ნ ი ლ ი. მამამისი ეშმაკია, თვითონ არ მობრძანდა.

თ ა ე მ ჯ დ ო მ ა რ ე. დაბრძანდით!

ს ო ფ ლ ი ს ჩ ა ფ ა რ ი. დაიკავეთ ადგილები!

თ ა ე მ ჯ დ ო მ ა რ ე. ბატონებო! ჩვენ უნდა განვიხილოთ ჩვენი ორი კანდიდატის დამსახურება არჩევნების წინ, კვირას რომ გაიმართება. დღეს განვიხილავთ პატივცემულ ბატონ რუსლენის კანდიდატურას, შემდეგ კი, სალამოს ბ-ნ გრუშეს კანდიდატურას, კრებას გახსნილად ვაცხადებ! (ფრაკით გამოწყობილი რუსლენი შემოდის პატარა კარში, თავმჯდომარის შავიდის უკან. კრებას მიესალმება და შუა ესტრადაზე გაჩერდება).

ვ უ ე ნ შ ე. მე ვთხოვ კანდიდატს გამოთქვას თავისი აზრი რკინიგზების შესახებ.

რ უ ს ლ ე ნ ი. (ჩაახველებს. წყალს დაღვეს). შარლ დიდის, ან თუნდაც ლუი XIV დროს რომ ვინმეს ეთქვა, მოვა დრო, როცა სამ საათში შეიძლება მიხვიდე...

ვ უ ე ნ შ ე. ეგ კი არა! შენი აზრით, რა სჯობს: მივიღოთ ასიგნება და რკინიგზა გავიყვანოთ სენ-მათიეზე, თუ იმ მიმართულებით, რომ მან გაიაროს ბონევალზე, რაც ასჯერ უფრო მოხერხებულა.

ა მ ო მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. სენ-მათიე უფრო სასარგებლოა მოსახლეობისათვის! ბ-ნო რუსლენ, მხარი დაუჭირეთ სენ-მათიეს!

რ უ ს ლ ე ნ ი. განა შემიძლია ესოდენ გიგანტურ წამოწყებათა განვითარების წინააღმდეგი ვიყო? ისინი აღიდეგენ კაპიტალბრუნვას, ადასტურებენ, თუ რაოდენ დიდია ადამიანის მოსაზრება, ხელს უწყობენ ხალხის კეთილდღეობას!

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. ტყუილია! ისინი ანადგურებენ მას!

რ უ ს ლ ე ნ ი. თქვენ, მაშასადამე, უარყოფთ პროგრესს, ბატონო ჩემო! პროგრესს, რომ დაწყებული ასტრონომიით...

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. ხოლო მგზავრები?

რ უ ს ლ ე ნ ი. რომელიც შეიარაღებულია ტელესკოპით...

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. აბა, თუ აგრე შემაწყვეტინებთ...

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის შემკითხველს.

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. მაშინ მგზავრები ამ მხარეებში აღარ გაჩერდებიან.

გ ვ ე ნ შ ე. მაგ ხომ ფუნდუკის პატრონია!

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. მერე რით არის ცუდი ჩემი ფუნდუკი?

ყ ვ ე ლ ა ნ ი. კმარა! კმარა!

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. წყნარად, წყნარად, ბატონებო!

ს ო ფ ლ ი ს ჩ ა ფ ა რ ი. ჩუმაღ!

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. აი როგორ იცავთ ჩვენს ინტერესებს!

რ უ ს ლ ე ნ ი. მე ვამტკიცებ, რომ...

ჰ ო მ ბ უ რ გ ი. თქვენ ღუპავთ ჰაპანტრანსპორტს!

ა მ ო მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. ის თავისუფალი საქონელბრუნვის მომხრეა.

რ უ ს ლ ე ნ ი. რა თქმა უნდა! დადგება დრო, როცა საქონლის თავისუფალ ბრუნვის მეოხებით ხალხთა ძმობა...

ა მ ო მ რ ჩ ე ვ ე ლ ი. საჭიროა შემოვიტანოთ ინგლისური მატყლი! მოითხოვეთ ნაქსოვ ნაკეთობათა თავისუფალი შემოტანა.

რ უ ს ლ ე ნ ი. ყველა საქონლის უბაჟოდ შემოტანა!

ა მ ო მ რ ჩ ე ვ ე ლ ე ბ ი. (მარჯვენა მხარე) სწორია! სწორია! (მარცხენა) ძირს! ძირს!

რ უ ს ლ ე ნ ი. ღმერთმა ინებოს, რომ უხვად მივიღოთ მარცვალი და საქონელი, პირუტყვი!

გ ლ ე ხ ი. (ბლუზიანი). ხელს უმართავ რაღა სოფლის მეურნეობას!

რუსლენი. ინებეთ, ახლავე გამოვთქვამ ჩემს აზრს სოფლის მეურნეობაზე. (ქიქაში წყალს ისხამს. სიჩუმე).

ჰერტელო. გვითხარით, როგორი იქნება თქვენი მოსაზრება მაისის ხოშოებზე?

ყველანი. (იციინიან) ჰა, ჰა, ჰა!

თავმჯდომარე. ბატონებო, არ შეიძლება ცოტა უფრო სერიოზულად?

სოფლისჩაფარი. წესრიგი! კანონის სახელით ვთხოვ ყველას. დასხედით!

მარშე. ბატონო რუსლენ! ჩვენ გვინდა შევიტყოთ თქვენი აზრი გადასახადებზე.

რუსლენი. გადასახადები. ღმერთო ჩემო... ისინი, რა თქმა უნდა, სამძიმოა, მაგრამ საჭიროცაა. ეს არის, თუ შეიძლება ასე თქმა, ტუმბო. რომელიც მიწის წიაღიდან ექაჩება მთელ მის შემოქმედებით ძალებს, რათა ამით ნიადაგი გაანოყიეროს. საკითხი 'ის არის, აღწევს თუ არა საშუალება მიზანს და ზედმეტი მუყაითობა ზოგჯერ ხომ არ იწვევს ამოწურვას...

თავმჯდომარე. (რუსლენისაკენ გადაიხრება). შესანიშნავი შედარებაა!

ვუენშე. მემამულეები გადატვირთული არიან გადასახადებით!

ჰერტელო. ერთ ლიტრ კონიაკში ოცდაათ სუზე მეტ აქციზს ვიხდით.

ლედრიუ. ფლოტი პირდაპირ გვჭამს!

ბომენილი. მითხარით. ვის ესაჭიროება ბოტანიკური ბაღი?

რუსლენი. რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა! საჭიროა უსასტიკოსო. უმკაცრესი მომპირნეობა!

ყველანი. მშვენიერია!

რუსლენი. მეორე მხრივ, სახელმწიფო ძუნწობს, მაშინ როცა...

ბომენილი. უფასოდ უნდა ასწავლიდეს ბავშვებს.

მარშე. მფარველობას უნდა უწევდეს ვაჭრობას.

მიწისმუშა. წაახალისოს სოფლის მეურნეობა.

რუსლენი. რასაკვირველია!

ბომენილი. უფასოდ მოამარაგოს ბინები წყლითა და სინათლით!

რუსლენი. რა თქმა უნდა, ეგვე შეიძლება.

ჰომბურგი. თქვენ დაგავიწყაოთ ჯაპანტრანსპორტი!

რუსლენი. სრულიადაც არა! სრულიადაც არა! და ნება მიბოძეთ რეზიუმე გავუკეთო მთელ თქვენს სურვილებს, ასე ვთქვათ, ერთობლივად განვიხილოთ ისინი.

ლედრიუ. კარგი ერთი! ვიცით თქვენი ამბავი, როგორ აბი-ობრუებთ ხალხს. აი აქ რომ გრუშე იყოს...

რუსლენი. და თქვენ მადარებთ გრუშეს! მე... რომელიც აგერ უკვე ორმოცი წელია... მადარებთ მე. ვისი პატრიოტიზმიც!.. თქვენ კი თვითონაც არ ენდობით მას, ბატონო ჩემო.

ლედრიუ. დიად, მე მადარებთ გრუშეს!

რუსლენი. მადარებთ მას, ამ სოფელელ კატილინას!

ჰერტელო. (ქანდარიდან) ეგ კიდეც ვინაა, ეგ თქვენი კატილინა?

რუსლენი. ეს იყო შესანიშნავი შეთქმული, მან რომში...

ლედრიუ. მაგრამ გრუშე სრულიად არ არის შეთქმული.

ჰერტელო. თქვენ პოლიციაში ხომ არ მსახურობთ?

ყველანი. { (მარჯვნივ) რა თქმა უნდა, პოლიციაში მსახურობს!

ყველანი. { (მარცხნივ) არა! ეგ ტყუილია!

რუსლენი. მოქალაქენო! მოიღეთ მოწყალება, მოქალაქენო, გვედრებით. მომისმინეთ!

მარუე. მოგისმენთ! (რუსლენი ამაოდ ცდილობს რაიმე თქვას, მაგრამ თავში არაფერი მოუდის. დუმილი. ხალხი ხარხარებს).

ყველანი. (იციინან) ჰა, ჰა, ჰაა!

სოფლის ჩაფარი. ჩუმად!

ჰერტელო. დაე კანდიდატმა რამე გვითხრას შრომის უფლებაზე.

ყველანი. დიად, დიად! შრომის უფლებაზე!

რუსლენი. მაგაზე აუარებელი წიგნია დაწერილი (მსმენელნი ჩურჩულებენ). მაშ ასე, თქვენ აღიარებთ, რომ ამ საკითხზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს. მითხარით, იცნობთ თუ არა ამ ლიტერატურას?

ჰერტელო. არა!

რუსლენი. მე იგი ზეპირად ვიცი. და თქვენ რომ ჩემსავით დამეებს ათევედეთ საწერ მაგიდასთან და მყუდრო კაბინეტში...



ჰერტელი. კმარა საკუთარ თავზე ლაპარაკი! შრომის უფლებზე გვითხარით რამე!

ყველანი. დიად, დიად! შრომის უფლებაზე!

რუსლენი. რა თქმა უნდა, შრომა აუცილებელია!

ჰერტელი. აგრეთვე სამუშაოს მიცემა!

მარშე. ხოლო, თუ იგი არავის არ ესაჭიროება?

რუსლენი. სულ ერთია!

მარშე. მაშასადამე, თქვენ საკუთრების წინააღმდეგი ხართ?

რუსლენი. თუნდაც აგრე იყოს!

მარშე. (ესტრადისაკენ გაეჭანება). არა, მეტს ველარ მოვითმენ. თქვენ მშობინებიდან გამომიყვანეთ!

ამომრჩეველები. (მარჯვნივ) ძირს! ძირს!

ამომრჩეველები. (მარცხნივ) არა! დარჩეს!

რუსლენი. დიად, დავრჩები! მზად ვარ მოვისმინო ყოველგვარი საწინააღმდეგო აზრი. მე თავისუფლების მომხრე ვარ! (ტაში მარჯვნივ, დრტვინვა მარცხნივ. რუსლენი მარშესკენ მიბრუნდება). ეს სიტყვა უსიამოდ გხვდებათ ყურში. ბატონო ჩემო? საქმე ის არის, რომ თქვენ არ გესმით ამ სიტყვის არც ეკონომიური აზრი და არც მისი, ასე ვთქვათ, ჰუმანური ღირებულება: გარნა პრესამ ბევრი იშრომა ამ საკითხის გაშუქებისათვის! პრესა, კი, მოვიგონოთ, მოქალაქენო, პრესა ჩირაღდანია, გუშაგია, რომელიც...

ბომენილი. საქმეზე ილაპარაკეთ!

მარშე. დიად, დიად, საკუთრებაზე!

რუსლენი. კი, ბატონო! თქვენზე ნაკლებ როდი ვცემ მას პატივს—მეც მესაკუთრე ვარ! აი, ხომ ხედავთ, აზრი ბოლომდე გამოვთქვით!

მარშე. გარნა... ჰმ, გარნა...

ლედრიუ. აი ყოჩად, მედუქნევ! (ყველანი ხარხარებენ).

რუსლენი. კიდევ ერთი სიტყვა და საბოლოოდ დამეთანხმება. (მარშეს) საჭიროა, ხომ, ფულის დემოკრატიზაცია, რაც კი შეიძლება, ლითონის ფულის რესპუბლიკანიზაცია; რამდენად მეტი ფულია ბრუნვაში, იმდენადვე მეტი მოხვდება ხალხის ჯიბეში. და, მაშასადამე, თქვენს ჯიბეში! აი აქ გვეხმარება სწორედ კრედიტი.

მარშე. ძალიან კი ნუ მივენდობით კრედიტს!

რუსლენი. მშვენიერია! ჩინებულა!

ლედრიუ. როგორ თუ კრედიტი საჭირო არ არის?

რუსლენი. მართალი ხართ, კრედიტი რომ მოსპოთ, ფულიც აღარ იქნება. მეორე მხრივ კი, ფული კრედიტის საფუძველია. ამ ტერმინებს შორის მჭიდრო კავშირია. (მაგრად ანჯღრევს მარშეს) გესმით, ურთიერთკავშირია! თქვენ ხმას არ იღებთ, მამასადამე. მართალი არ ხართ. თქვენი ღუმელი გამტყუნებთ, ეს გვეცოდინება!

ყველანი. კმარა! გეყოფათ!

(მარშე თავის ადგილზე დაჯდება).

რუსლენი. აი, მოქალაქენო, როგორ წყდება შრომის უდიდესი პრობლემა. თუ საკუთრება არ არის, არც სამუშაოა! სამუშაოს იძლევიტ, იმიტომ რომ მდიდარი ხართ, ხოლო თუ სამუშაო არ არის, საკუთრებაც არ შეიძლება იყოს. თქვენ მხოლოდ იმისათვის კი არ მუშაობთ, რომ მესაკუთრე გახდეთ, არამედ იმიტომაც. რომ უკვე მესაკუთრე ხართ! თქვენი შრომის პროდუქტი თქვენი კაპიტალია, თქვენ ყველანი კაპიტალისტები ხართ.

მიწათმოქმედი. იტყვიტ რაღა, კაპიტალისტი!

მარშე. თქვენ დომხალივით ურევთ ყველაფერს!

ლედრიუ. ხალხს დასცინის მხოლოდ!

ყველანი. სწორია! დროა გაათავოს! ძირს! დახურეთ კრება!

თავმჯდომარე. ბოლოს და ბოლოს, ეს შეუძლებელია!

სოფლისჩაფარი. გთხოვთ, დასტოვოთ კრება!

რუსლენი. (შენიშნავს შემოსულ მიურელს). მიურელ!

ლედრიუ. კანდიდატმა უნდა აგვიხსნას, რატომ ასე აქებდა ჩემი თანდასწრებით ვინმე ბუვინის მისი რწმენისათვის? (მუშებს მიმართავს). თქვენც ხომ იქ იყავით?

რუსლენი. მაგრამ მე... მე...

ლედრიუ. შესტოპეთ!

ჰერტელ. მოიტა ბარჯი!

ვუენშე. ექიმი! (საერთო სიცილი).

მიურელი. მეც იქ ვიჯავი! პატივცემული ბატონი რუსლენი

თითქოს მზად იყო თავაზიანად მოპყრობოდა ბუეინის შეხედულებას!  
ის არც კი მაღავს ამას! ის ამით ამაყობს!

რუსლენი. (ამაყად). აჰ!

მიუჩელო. სწორედ იმიტომ, რომ გარს ეხვიენენ ამომრჩეველები, სურდა თითქოს ხაზგასმით აღენიშნა, თუ ზოგიერთის თავში სადამდე მიდის...

რუსლენი. ობსკურანტიზმი!

მიუჩელო. სრულიად მართალია! ეს იყო თავისებური სპარლამენტო ხრიკი, ტაქტიკური სვლა... დიად, სრულიად კანონიერი, იმისათვის რომ, მაპატიეთ ეს გამოთქმა, ნახტომი შეემლევინებინა მისთვის

ჰერტელი. ოჰ, რაღაც ძალიან ეშმაკურად ხლართავთ!

ლედრიუ. მაშასადამე, კუკუმალულობიას თამაშობდა?

მიუჩელო. მაგრამ მე...

ჰერტელი. ის დასაცავი არ არის.

ლედრიუ. და ეს კაცი იკვებნიდა, პრეფექტს სეირს ვუჩვენებო!

რუსლენი. რატომაც არა?

სოფლის ჩაფარი. (ოდნავ დაჰკრავს რუსლენს ხელს მხარზე). ცოტა მორიდებით, ბატონო რუსლენ!

ყველანი. კმარა! გეყოფათ! დროა გათავდეს! დახურეთ კრება! (ყველანი დგებიან. რუსლენი სასოწარკვეთილად ჩაიქნევს ხელს, მერმე მიბრუნდება თავმჯდომარისაკენ, რომელიც გადის).

თავმჯდომარე. მაინცა და მაინც კრება სახეირო არ იყო თქვენთვის, ბატონო რუსლენ. იმედი ვიქონიოთ, რომ შემდგომ...

რუსლენი (მიმართავს მარშეს, რომელიც გვერდით ჩაუვლის) მარშე! აჰ, რა ცუდია თქვენი მხრით, რა ცუდია!

მარშე. ჰო, იცით, თქვენი შეხედულებანი!.. (გადის).

### გამოსვლა მისამო

რუსლენი, ონეზიმი, გარსონი კაფედან.

რუსლენი. (ავანსცენაზე დაბრუნდება). ოჰ. ჩემო ოცნებაჲ!.. ისლა დამრჩენია, რომ გავიქცე და წყალში გადავვარდე. ყველას

დასაცინი გავხდები. (სკამებს დააკვირდება). ისინი აქ იჯვნენ... დიღ... და აფორიაქებული ბრბოს ნაცვლად, ვისი მოწონების შე-  
ძახილები უკვე წინასწარ მოვისმინე... (შემოდის გარსონი და სკა-  
მებს თავის ადგილებზე დგამს). აჰ, საბედისწერო პატივმოყვა-  
რობა, რაც ესოდენ დამღუპველია როგორც მეფეებისა, ისე უბ-  
რალო მოკვდავებისათვის. და არავითარი საშუალება არ არსებობს  
საქმის გამოსასწორებლად! არც ერთი ხეირიანი სიტყვა! რა სამ-  
წუხაროა! რა სამწუხაროა! (გარსონს). ჰო, შეგიძლიათ აიღოთ ეგე-  
ნი! მე აღარ მესაქიროება. (თავისთვის) მაგათი ერთი შეხედვა ნერ-  
ვებს მიშლის.

გ ა რ ს ო ნ ი. (ონეზიმს, რომელიც ესტრადაზე კონტრაბასის  
უკან იმალება). თქვენ კიდეც აქა ხართ?

ო ნ ე ზ ი მ ი. (გაუბედავად). ბ-ნო რუსლენი

რ უ ს ლ ე ნ ი. ა, ონეზიმ!

ო ნ ე ზ ი მ ი. (მასთან მივა). მინდა შესაფერისი სიტყვები მოე-  
ძებნო... რომ გამოვთქვა, როგორ გითანაგრძნობთ... უსიამოვნე-  
ბა...

რ უ ს ლ ე ნ ი. გმადლობთ, გმადლობთ. ყველამ მიმატოვა...  
მიუტრელმაც კი.

ო ნ ე ზ ი მ ი. ის ახლა წავიდა კლერკ დოდართან ერთად.

რ უ ს ლ ე ნ ი. როგორ უნდა მოეძებნო? (ქუჩისაკენ) მოედანზე  
მეტად ბევრი ხალხია, შეუძლიათ თავს დამეხსნენ...

ო ნ ე ზ ი მ ი. არა მგონია.

რ უ ს ლ ე ნ ი. მომხდარა ხოლმე. შეუძლიათ შეურაცხყოფა  
მომაყენონ, დამგლიჯონ... დიღ, ბრბო! რა კარგად მესმის ნე-  
რონის მდგომარეობა!

ო ნ ე ზ ი მ ი. როცა მამაჩემმა მიიღო პრეფექტის წერილი, რა-  
მაც მას უკანასკნელი იმედი წაართვა, სწორედ აგრე დამწუხარე-  
ბული იყო, როგორც თქვენ. მაგრამ დასძლია მწუხარება და  
საქმეს ფილოსოფიურად შეხედა.

რ უ ს ლ ე ნ ი. გამიგონეთ. თქვენ მაინც არ მომატყუოთ, ისე-  
თი მშვენიერი ყმაწვილი რომ ხართ!

ო ნ ე ზ ი მ ი. ოჰ!

რ უ ს ლ ე ნ ი. მითხარით, განა მამათქვენს... (მიბრუნდება  
გარსონისაკენ. სკამებს რომ ალაგებს). როგორ მაღიზიანებს ეს  
გარსონი. კარგია, თავი დაგვანებეთ! (გარსონი მიდის). განა მა-

მათქვენს მართლა იმდენი ხმა ჰქონდა, როგორც ამბობდნენ? მან კომუნების მთელი სია წამიკითხა...

ო ნ ე ზ ი მ ი. მას\*უთუოდ იმედი აქვს სამოცდაოთხ კომუნაში, მე თვითონ წავიკითხე მათი სახელები.

რ უ ს ლ ე ნ ი. (თავისთვის): ეგ ციფრებია!

ო ნ ე ზ ი მ ი. მაგრამ... თქვენთან დავალება მაქვს. როცა სხდომაზე მოვდიოდი, ვიღაც უცნობი დედაბერი დამეწია და მითხრა: „დამავალეთ და ეს ბარათი გადაეცით ბ-ნ რუსლენს“. (ბარათს აძლევს).

რ უ ს ლ ე ნ ი. უცნაური წერილია. აბა, ვნახოთ. (კითხულობს). „პიროვნებას, რომელსაც თქვენ აინტერესებთ, თავის მოვალეობად მიაჩნია გაგაფრთხილოთ, რომ ქ-ნი რუსლენი“... (გაოცებული შედგება).

ო ნ ე ზ ი მ ი. პასუხი შეგიძლიათ ჩემი ხელით გადასცეთ.

რ უ ს ლ ე ნ ი. (კონვულსიურად იცინის) პა... პა... სუხი?!.

ო ნ ე ზ ი მ ი. დიად. რა ვუთხრა?

რ უ ს ლ ე ნ ი. (გაბრაზებული). პანდური რეგვენს, ვინც ასეთ დავალებას კისრულობს. (ონეზიმი გარბის). უსახელო წერილი! ბოლოს და ბოლოს სისულელეა ამის გამო გუნების გაფუჭება! (წერილს ქმუჭნის და ისვრის). ჩანს, ჩემი მტრების სიძულვილს საზღვარი არ აქვს. მაგრამ ეს ხრიკი ყველაფერს სჭარბობს, პოლიტიკას რომ ჩამომამორონ, ჩემს კანდიდატურას რომ ხელი შეუშალონ. ჩემს პატიოსნებასაც კი ეხებიან. ამ საზიზღრობის თაოსანი, ალბათ, გრუშეა... ტყუილად კი არ დაძრწის მუდამ მისი დედაბერი მზარეული ჩემი სახლის ახლოს. (წერილს აიღებს და კითხულობს). „... რომ თქვენს ცოლს საყვარელი ჰყავს“... შეუძლებელია ჩემს ცოლს საყვარელი ჰყავდეს. საიდან გაუჩნდება საყვარელი?

რა სისულელეა... გარნა იმ საღამოს მე თვითონ გავიგონე ხეების ქვეშ სილის გარტყმისა და მყისვე კოცნის ხმა. ჩემი თვალით დავინახე მისს არაბელა. ის რასაკვირველია, მარტო როდი იყო, რადგან, მეორე მხრივ, სილა... ნუთუ ვინმე უტიფარმა გაბედა და ქ-ნ ჩემს ცოლს... რას ვამბობ! მაშინ ხომ მეტყოდა, თანაც, ამ შემთხვევაში კოცნა უფრო ადრე იქნებოდა გარტყმაზე. აჰ! ამაზე აღარ ვიფიქრებ. სხვა საზრუნავი მაქვს. არა, არა! უწინარეს ყოვლისა, საქმე! (წასვლას აპირებს).

რუსლენი და გრუშე.

გრუშე. მიურელი აქ არის?

რუსლენი. თქვენ რაო, მოხვედით რომ დამცინოთ? გაგიხარდეთ ჩემი დამარცხება? საცინლად ამიგდოთ?

გრუშე. სრულიადაც არა!

რუსლენი. ყოველ შემთხვევაში ბრძოლის უფრო რიგიანი საშუალება უნდა აგერჩიათ, ბატონო ჩემო!

გრუშე. სამართალი ჩემს მხარეზეა.

რუსლენი. მე ვიცი, რომ პოლიტიკაში...

გრუშე. მე პოლიტიკა კი არ მამოქმედებს, არამედ უფრო მოკრძალებული ინტერესი. მიურელი...

რუსლენი. ფეხებზე მკიდია ეგ შენი მიურელი!

გრუშე. აგერ უკვე ერთი კვირა იქნება, რაც იგი არ მეკარება, მიუხედავად დაპირებისა. აღმშფოთებლად იქცევა. არ იკმარა, რომ ძალადობა იხმარა ჩემზე — მე შემეძლო სამართალში მიმეცა იგი, მაგრამ არ ვქენი საზოგადოებისა და მრეწველობისადმი პატივისცემის გამო.

რუსლენი. მოკლედ, თუ შეიძლება!

გრუშე. მიურელი რომ აქ ჩამოვიდა, ბირჟის ოპერაციებს მოჰკიდა ხელი. პირველ ხანებში თამაში ისე წარმატებული იყო. რომ მე... პირველად... ათი ათასი ფრანკი ვასესხე, გადამიხადა, სარგებლითაც კი. ორი თვის შემდეგ კვლავ ისესხა ხუთი ათასი. მაგრამ ბედმა უმტყუნა. მესამეჯერ...

რუსლენი. ეგ რა ჩემი საქმეა?

გრუშე. ერთი სიტყვით, ამჟამად ჩემი ჰმართებს ოცდაათი ათასი ორას ოცდაექვსი ფრანკი და თხუთმეტი სანტიმი.

რუსლენი. (თავისთვის). აჰა, გვეცოდინება!

გრუშე. ამ ყმაწვილმა ისარგებლა ჩემი კეთილი გულით. მაცთუნა ბრწყინვალე პერსპექტივით; ხელსაყრელი საქმე, მდიდარი ქორწინება...

რუსლენი (თავისთვის). გაიძევრა!

გრუშე. მისი წყალობით უფულოდ დავრჩი. იმდენი დამე-

ხარჯა ამ ბოლო დროს... (ამოიოხრებს). თქვენ მისი მეგობარი ხართ, ურჩიეთ გადამიხადოს, რაც მერგება.

რ უ ს ლ ე ნ ი. თქვენ, ჩემი მოწინააღმდეგე, მაგგვარი თხოვნით მომმართავეთ?

გ რ უ შ ე. მე აღთქმა არავეისთვის მიმიცია მუდამ თქვენი მოწინააღმდეგე ვიყო. მე, ბ-ნო რუსლენ, კეთილშობილი კაცი ვარ და ვიცი ამაგის დამახსოვრება.

რ უ ს ლ ე ნ ი. როგორ? მე ხომ მაქვს ხელწერილი ექვსი ათასი ფრანკისა, რაც მაშინ გასესხეთ, როცა თქვენი საქმე დაიწყეთ, ახლა კი, ეს თანხა სარგებლიანად ოცი ათას ფრანკს შეაღვენს.

გ რ უ შ ე. აი სწორედ მაგაზე მინდოდა თქვენთან მოლაპარაკება: ვალს გადახდა უნდა!

რ უ ს ლ ე ნ ი. არაფერი არ მესმის.

გ რ უ შ ე. იქონიეთ მხედველობაში, რომ ხელში ცოტა ხალხი როდი მყავს და მცირე გავლენა როდი მაქვს, თუმცა თავი ისე მიკავია, ვითომც აქ არაფერიაო. თქვენ რომ იმ დოკუმენტს და მიბრუნებდეთ, რაზედაც ლაპარაკია, უთუოდ შევთანხმდებოდით.

რ უ ს ლ ე ნ ი. რაზე?

გ რ უ შ ე. მე უარს ვეტყვოდი ამომრჩეველებს.

რ უ ს ლ ე ნ ი. რომ არ ამირჩიონ... ფული დამეკარგება...

გ რ უ შ ე. ძალიან მოკრძალებული ხართ.

რ უ ს ლ ე ნ ი. კმ...

გ რ უ შ ე. როგორც გენებოთ. დრო კიდევ არის... შეიძლება უკანასკნელ წუთამდე ველოდოთ. მაგრამ, ვიმეორებ, რომ ცდებით! (მარცხნივ მიდის).

რ უ ს ლ ე ნ ი. სად მიდიხართ?

გ რ უ შ ე. იმ ოთახში: იქ ჩემი მეგობარი ყიულიენი მუშაობს. ახლა, ალბათ, სხდომის ოქმებს წერს. თქვენ კი მაინც ცდებით. გარწმუნებთ! (გაღის).

## გამოსვლა მისუთი

რუსლენი, შემდეგ მიუჩელი.

რ უ ს ლ ე ნ ი. რა არის ეს, ხაფანგია თუ სიმართლე? მიუჩელი კი, აი, თუ გნებავს, ხან აქეთ და ხან იქითო, სპეკულანტონს!

მაგრამ ხომ ვხვდებოდით? ახლა კი აღარ მოვერიდები. ხალხი მას აღარ ენდობა და მე, ჩემმა მზემ...

მ ი უ რ ე ლ ი. (მხიარული შემოდის). მაპატიეთ, რომ ისე მაღლე მიგატოვებ. დოდარისაგან მოვდივარ. რა ამბავია, ჩემო კარგო! რა ბედნიერებაა...

რ უ ს ლ ე ნ ი. კარგი ვინმე ბრძანდებით, ლაპარაკი არ უნდა! მე მიხდება თქვენი კრედიტორების მიღება. გრუშე ოცდაათ ათას ფრანკს მოითხოვს.

მ ი უ რ ე ლ ი. მომავალ კვირაში მიიღებს.

რ უ ს ლ ე ნ ი. რა თავდაჯერებაა! კვლავ ტრაბახი. აი ჩემს კანდიდატურაზეც აგრე... მეტი უღარდებლობა შეუძლებელია. თქვენ უნდა...

მ ი უ რ ე ლ ი. გრუშესთვის დამეჭირა მხარი, არა?

რ უ ს ლ ე ნ ი. თქვენ სწორედ აგრე მოიქეცით. „ემპარსიალს“ არაფერი არ დაუწერია მთელ კვირაში.

მ ი უ რ ე ლ ი. მე აქ არ ვიყავი. ისე დავბრუნდი, რომ...

რ უ ს ლ ე ნ ი. ვერაფერი ბოდიშია.

მ ი უ რ ე ლ ი. გრუშეს წინააღმდეგ გამოსვლა შურისძიებაა. თავს თქვენთვის ვიღუპავ. საბედნიეროდ...

რ უ ს ლ ე ნ ი. კიდეც რაღაო?

მ ი უ რ ე ლ ი. თქვენ ხომ ერთგვარად თქვენი ქალიშვილის ხელი აღმიტყვიით?

რ უ ს ლ ე ნ ი. ჰო, მაგაზე უნდა მოვილაპარაკოთ.

მ ი უ რ ე ლ ი. თქვენ ხომ არ იცით, რომ მე მემკვიდრეობა მივიღე?

რ უ ს ლ ე ნ ი. მამიდისაგან ხომ არა?

მ ი უ რ ე ლ ი. სწორედ.

რ უ ს ლ ე ნ ი. ძველი ხუმრობაა!

მ ი უ რ ე ლ ი. გეფიცებით, რომ მამიდა გარდაიცვალა.

რ უ ს ლ ე ნ ი. ჰოდა, დაკრძალეთ, მე კი ნუ მამბრეყვებთ თქვენი მემკვიდრეობის არაკებით

მ ი უ რ ე ლ ი. სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. მაგრამ, რაკი საბრალო ქალი ჩემი წამოსვლის შემდეგ გარდაიცვალა, ეჭებენ, სხვა ანდერძი ხომ არ ღრისო.

რ უ ს ლ ე ნ ი. აჰ, მაშასადამე, არის რაღაც „თუ“. ჰოდა, აი,



ჩემო კარგო, მე ისეთი კაცი მიყვარს, ვინც მტკიცეა თავის სიტყვასა და მოქმედებაში.

მ ი უ რ ე ლ ი. ბ-ნო რუსლენ, თქვენ გავიწყდებათ, თუ რა შემძლია თქვენთვის გავაკეთო.

რ უ ს ლ ე ნ ი. არც თუ ღილი რამ. მუშები თქვენ არ გიგდებენ ყურს.

მ ი უ რ ე ლ ი. მართლა? იქნებ მოიძებნოს ხუთიოდ-ექვსიოდ მოლაყბე, რომლებიც ფაბრიკიდან გავაგდე... მაგრამ სამაგიეროდ დანარჩენები...

რ უ ს ლ ე ნ ი. მერმე რატომ არ მოვიდნენ?

მ ი უ რ ე ლ ი. აბა როგორ მომეყვანა, თუკი აქ არ ვიყავი?

რ უ ს ლ ე ნ ი. (თავისთვის). თქმა არ უნდა, მართალია!

მ ი უ რ ე ლ ი. თქვენ მათი განწყობილება არ იცით, მე კი ნაძლევს ვდებ, რომ მომავალ კვირამდე — საკმაო ვადაა, რომ მოვიწინდომო... მაგრამ არა, აღარ მსურს ჩავერიო... და... გრუშეს კანდიდატურას ვასახელებ.

რ უ ს ლ ე ნ ი. (თავისთვის). მემუქრება... ნუთუ იმედი კიდევ არის? (ხმაშალა). მაშ თქვენ გგონიათ... რომ კრების შედეგი... არც ისე ცუდია?

მ ი უ რ ე ლ ი. თქვენ ხალხი შეურაცხყავით.

რ უ ს ლ ე ნ ი. მაგრამ თვით მე ხალხიდან ვარ. მამაჩემი მოკრძალებული მშრომელი იყო. აი რა უნდა უთხრა მათ, ჩემო კარგო მიურელ, და რომ მათი გულისთვის დავისაჯე, იმიტომ რომ მთავრობამ ამითვალწუნა. ეს ახლავე უნდა გაკეთდეს. თქვენ ფაბრიკაში უნდა დაბრუნდეთ.

მ ი უ რ ე ლ ი. გამიგონეთ-მეტქი... მე მოვიტანე... ელოდებიან მხოლოდ მოწმობას ჩემი ბიძაშვილის გარდაცვალების შესახებ.

რ უ ს ლ ე ნ ი. ჩაეგონეთ იმათ...

მ ი უ რ ე ლ ი. უწინარეს ყოვლისა, ფერმა!

## გამოსვლა მინიჭვამ

სინივე, ჭ-ნი რუსლენი და ლუიზა.

ჭ-ნი რ უ ს ლ ე ნ ი. (კულსებში). გამომყევ, ლუიზა რას იხედები აქეთ-იქით. (ქმარს მიმართავს). აჰ, როგორც იქნა, გიპოვ-

ნე, ისე შეშფოთებული ვიყავი, რომ.. აბა, რა აზრი აქვს...

რ უ ს ლ ე ნ ი. არ შემეძლო...

ლ უ ი ზ ა. (დაინახავს მიურელს). ჩემო მეგობარო!

მ ი უ რ ე ლ ი. ლუიზა!

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. (აღშფოთებულია). ეს რას ნიშნავს? განა შეიძლება ახალგაზრდა ქალიშვილი ასე იქცეოდეს? ან თვითონ თქვენ, ბატონო ჩემო, რა ფამილარობაა...

მ ი უ რ ე ლ ი. ღმერთო ჩემო, ქალბატონო, ბ-ნი რუსლენი მოგახსენებთ...

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. მართლაცდა, საინტერესოა ვიცოდეთ, ჩემი ქალიშვილი რა საფუძველზე...

რ უ ს ლ ე ნ ი. სულიყო. უწინარეს ყოვლისა, უნდა იცოდეთ...

ლ უ ი ზ ა. (მიურელს წყნარად). დედა მე წამოვიყვანე. ვიცოდი, რომ აქ იყავით, სხვა დონე არ იყო...

მ ი უ რ ე ლ ი. (წყნარადვე). პირდაპირ უნდა ვიმოქმედოთ. გეტყვით, რატომ. (ქ-ნ რუსლენთან მივა). ქალბატონო, თუმცა ასეთ შემთხვევაში მაჰანკლებს მიმართავენ ხოლმე, მაგრამ იძულებული ვარ უიმათოდ მოვიქცე და გთხოვოთ დასთანხმდეთ ჩემსა და ლუიზას შეუღლებას.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. კი, მაგრამ, ბატონო ჩემო, არ შეიძლება ხალხი...

მ ი უ რ ე ლ ი. (მყისვე). ჩემი ახალი მატერიალური მდგომარეობა ნებას მძლევეს...

რ უ ს ლ ე ნ ი. პო! უნდა მოვიფიქროთ.

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. ეს ისე არაჩვეულებრივი რამეა. რომ...

ლ უ ი ზ ა. (იღიმება). ოჰ, დედიკო!

ქ-ნ ი რ უ ს ლ ე ნ ი. და ისე უხერხულია საზოგადოებრივ ადგილას.... (მარცხენა კარში ეიულიენი შემოდის).

## გამოსვლა მიუვილი

### ისინივე და ეიულიენი.

ე ი უ ლ ი ე ნ ი. (რუსლენს). მოვედი, რომ თქვენს განკარგულებაში ვიქნე, ბატონო ჩემო.

რუსლენი. თქვენ?

ეიულიენი. დიად, მე.

მიურელი. (თავისთვის). საიდან მოფრინდა?

ეიულიენი. რაკი ჩემს გაზეთს ოდიდანვე დიდი გავლენა აქვს ჩვენს მხარეში, შემიძლია სასარგებლო ვიქნე თქვენთვის

რუსლენი. (გაკვირვებულია). მიუტრელი?

ეიულიენი. მე ამ ტიხარს იქით ვიყავი და ყველაფერი მეს-  
მოდა, რაც კრებაზე ხდებოდა, ამიტომ ჩემთვის ძნელი არ იქნე-  
ბა კეთილსასურველი აზრი გამოვთქვა, რა თქმა უნდა, ჩემი  
პატრონის ნებართვით.

მიურელი. აი დალახვროს... მე დიდი ხანია...

რუსლენი. როგორ გითხრათ...

ქ-ნი რუსლენი. (ქმარს წყნარად). ხომ ხედავ, მოვახერ-  
ხე თუ არა? (ეიულიენს წყნარად). გმადლობთ

ეიულიენი. (აგრეთვე წყნარად). თქვენი თვალები შთამა-  
გონებდნენ. ყველაფერი შესრულებულია

რუსლენი. (ცოლს). ძალიან საყვარელი კაცია. (ხმამალლა).  
გყავდეს დამცველი თქვენი. პოლემისტის სახით...

მიურელი. დიდი მხატვრული ტალანტი, მოქნილი, მკა-  
ფიო.

რუსლენი. მეც აგრე მგონია.

მიურელი. და რა მგზნებარეა, როცა მოისურვებს. (ეიუ-  
ლიენს წყნარად). უთხარით, რომ ინიციატივა ჩემი იყო, დიდად  
დამავალბთ

ეიულიენი. მიუხედავად ჩვენი მეგობრის მიუტრელის  
მოსაზრებისა. რადგან იგი გატაცებით გაქვებთ... მე ვჭიუტობდი.  
(ქ-ნ რუსლენს უცქერის). მაგრამ უეცრად, თითქოს ზენაარსმა გო-  
ნება გამინათლა, რაღაც ხმას დავემორჩილე, თვალი ამეხილა,  
ყველაფერი გავიგე.

რუსლენი. დიდი მადლობელი ვარ, ბატონო ჩემო!

ეიულიენი. (ქ-ნ რუსლენს წყნარად). კვლავ როდის შევხვდე-  
ბით ერთმანეთს?

ქ-ნი რუსლენი. (აგრეთვე წყნარად). შეგატყობინებთ.

რუსლენი. (ეიულიენს). მე. მართალი გითხრათ, არ  
ვიცი, როგორ შეუდგებით...

ეიულიენი. (მხიარულად). ეგ უკვე ჩემი საქმეა!

რ უ ს ლ ე ნ ი. (ცოლს). სთხოვე ბ-ნ ქიულიენს დღეს ჩვენთან ისადილოს შინაურულად.

ქ-ნ ი. რ უ ს ლ ე ნ ი. (რევერანსს აკეთებს). რა თქმა უნდა, დიდი კმაყოფილებით.

ქ ი უ ლ ი ე ნ ი. (თავს დაუკრავს). ბატონი ბრძანდებით.

### მოქმედება მეოთხე

რუსლენის კაბინეტი. დიდი ფანჯარა, პორიზონტზე მოჩანს მინდვრები. რამდენიმე კარია. მარცხნივ საწერი მაგიდაა, ზედ საათი დგას.

### გამოსვლა პირველი

პიერი, შემდეგ სოფლის ჩაფარი, ფელისიტე.

პ ი ე რ ი. (ძლიერ ხმამაღლა ლაპარაკობს კულისებისაკენ). ფრანსუა, სენ-ლორანს უნდა წახვიდე და იქიდან შარაბანით მოიყვანო რვა კაცი. ჭიშკარს ნუ დაჰკეტავ, ელისაბედმა კიდევ რამდენიმე ბიულეტენი უნდა მოიტანოს, დაბრუნებისას არ დაგავიწყდეს სადარბაზო ბარათების ქალაღლი.

(შემოდის აქოშინებული დამტარებელი და ერთ დასტა გაზეთებს მოიტანს).

მძიმეა, ა? აბა ერთი, ჩემო კარგო... ეს იქ დადეთ, აგრე! (დამტარებელი გაზეთებს იატაკზე დააწყობს სხვა გაზეთებთან ერთად). სამზარეულოში ჩაღით ძირს, იქ შამპანურით გაგიმასპინძლებიან; შამპანურს ჩვენთან მურაბის ქილებით სვამენ, ასეთი შემთხვევისათვის არაფერი არ ენანებათ. ამ საღამოს არ ჩვენებია, მომავალ კვირაში კი პარიზი და მისი ჯანი! დიდი ხანია მენატრება იქ ცხოვრება ხამანწყისა და ოპერაში ბალების გამო. (გაზეთების შეკვრას ათვალეირებს). კვლავ ქიულიენის წერილია. ვის უნდა დაუურიგო? ყველას აქვს, რომ არ გადავაჭარბო, სამ-სამი ცალი. ჩვენც დაგვრჩა... მაგრამ არაფერია! შევუდგეთ მუშაობას. (გაზეთებს პატარ-პატარა შეკვრებად აწყობს, შემოდის სოფლის ჩაფარი). ა. ძია მორენი დღეს დაგიგვიანდათ.

სოფლის ჩაფარი. ძალიან შორია, აი! ბ-ნ მიურელისას კინალამ აჯანყება მოხდა, მუშები მისი წინააღმდეგი არიან, იმაც კი ამბობენ, ჯარს გამოიწვევენო. აჰ, ცუდად არის საქმე. ცუდად! (პიერს ეხმარება. შემოდის ფელისიტე).

პიერო. დახე! ფელისიტე. გამარჯობა, ქ-ნო გრუშე!

ფელისიტე. უსირცხვილო!

პიერო. მეგონა, ჩვენთან წაკიდებულია-მეთქი, რაკი თქვენი ბატონი ჩვენი კონკურენტი გახდა.

ფელისიტე. ეგ მე არ მეხება... სიტყვა მაქვს დაბარებული თქვენს ბატონთან.

პიერო. ის შინ არ არის

ფელისიტე. მაგრამ საუზმისას დაბრუნდება?

პიერო. განა ჩვენი ბატონები საუზმობენ? ამისათვის მათ დრო არ აქვთ. ბატონი დილიდან საღამომდე ჯარასავით ტრიალებს. ქალბატონი კარდაკარ დადის და სამოწყალოს არიგებს, ქალიშვილს კი დიდი წინსაფარი უკეთია და ღარიბებს წვენს აჭმევს.

ფელისიტე. გუვერნანტი?

პიერო. ის ნამდვილი დონდლოა. (ჩაფარს). არა, ასე! (კეცავს გაზეთს). ეს ბატონმა მასწავლა, სტატია რომ ერთბაშად ჩანდეს.

სოფლის ჩაფარი. მაგ წერილმა მთელი სოფელი აამბუტა....

პიერო. დიად, ზორბად არის დაწერილი, თქმა არ უნდა.

ფელისიტე. არ შეიძლება ერთი სიტყვა ვუთხრა თქვენს ინგლისელ ქალს?

პიერო. (ჯარს უჩვენებს.) მისი ოთახი იქაა, დერეფნის ბოლოში. მარჯვნივ.

ფელისიტე. დიად, ვიცი (იქით მიდის).

პიერო. ბატონი!

გამოსვლა მორაე

ივინივე და რუსლენი.

რუსლენი. (შემოდის და მხურვალედ ართმევს ხელს პიერს). ჩემო შეგობარო!..

პ ი ე რ ი. (გაკვირვებულია). ბატონო! მაგრამ...

რ უ ს ლ ე ნ ი. მართალი ხარ, ძლიერ აბნეული ვარ. რას იზამ! მივეჩვიე ყველას ჩამოვართვა ხოლმე ხელი, ხელისგულიც კი გამისივდა... (ჩაფარს) ა, ჩინებულია! (ჩუმად აძლევს ფულს). გმადლობთ... და... ნუ გეშინიათ... თუ კი ოდესმე დაგჭირდეთ..

ს ო ფ ლ ის ჩ ა ფ ა რ ი. (ხელით ანიშნებს, დამშვიდდით). აბა! (გადის პიერთან ერთად, რომელიც გაზეთების წაღებაში შველის).

რ უ ს ლ ე ნ ი. სტატია ყველა წინააღმდეგობას აბათილებს. ნათლად ამტკიცებს, სისულელეა რაიმე გარკვეული შეხედულება გქონდესო, ამიტომ ჩემი საქციელი ლოიალური და ბრძნულია. სტატია ქებით იხსენიებს ჩემს ადმინისტრაციულ ნიჭს, იქ ისიც კი არის ნათქვამი, რომ მე იურიდიული განათლება მაქვს, პირველი გამოცდა უკვე ჩავაბარე, და სხვა ამისთანაები. გარჩა ამას ჩემს ცოლს უნდა ვუმადლოდე.

ფ ე ლ ის ი ტ ე. (მივა და წერილს გადასცემს). ბ-ნ გრუმესაგანაა.

რ უ ს ლ ე ნ ი. აჰ! (კითხულობს). „ხელწერილი დამიბრუნეთ და დაგეთხოვებით. შეგიძლიათ იგი ამის მომტანს ანდოთ“. აი დასწყევლოს! აი რას ნიშნავს, დანა ყელზე დამაპირაო. იგი ჩამომეთხოვა, კონკურენტი აღარ მეყოლება და გავიმარჯვებ. ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა! ცხადია! მართალია, თანხა ცოტა როდია, თანაც ხელში აღარ მეყოლება, მაგრამ რას მოვივებ. ის რომ აირჩიონ? ეს ექვსი ათასი, რაზედაც სრულიად აღარც კი ვფიქრობდი... რად მინდა? ეჰ, უმსხვერპლოდ სულ ერთია ვერაფერს ვერ მიიღწევ. (საწერ მაგიდას გააღებს). აი! (ფელისიტეს ხელწერილს გადასცემს). იჩქარეთ! ბატონი გელოდებათ!

ფ ე ლ ის ი ტ ე. გმადლობთ, ბატონო! (გადის).

რ უ ს ლ ე ნ ი. უარის თქმა კი დააგვიანა. ჰო, არაფერია! კენჭისყრა ესაა დაიწყო და რამდენიმე ხმა რომ დაეკარგო...

## გამოსვლა მისამი

რუსლენი, მიურელი, დოდარი.

მ ი უ რ ე ლ ი. ახლა კი მერწმუნებით. აგერ ნოტარიუსი მოვიყვანე, ყველა დამამტკიცებელი საბუთი თან აქვს.

დოდარი. აი სამოქალაქო მდგომარეობის აქტები, აგრეთვე ამონაწერი ქონების აღწერილობიდან, რომელიც ადასტურებს ჩემი კლიენტის მემკვიდრეობის უფლებას მისი მამიდის მიურედე მონტელიმარის გარდაცვალების შემდეგ.

რუსლენი. მომილოცნია!

მიურელი. ახლა ხელს აღარაფერი არ მიშლის...

რუსლენი. რაო? რა თქვით?..

მიურელი. ცოლის შერთვაში.

რუსლენი. მერმე როგორ გნებავთ, რომ ასეთ დღეს...

მიურელი. თავის თავად. მაგრამ შეიძლებოდა არაფერი არ გადაგვეწყვიტა და...

რუსლენი. იცი რამე ახალი? შემთხვევით ხომ არ გაგიგია, რომ გრუშემ...

მიურელი... მე მგონია, ძვირფასო, რომ შეგეძლოთ მეტი ყურადღება მიგვეციათ...

რუსლენი. არა, ლაყბობას დაიწყებს. უმჯობესი იყო თქვენს ხალხთან დარჩენილიყავით, თორემ ამბობენ კიდეც, რომ მათ განზრახვა აქვთ...

მიურელი. მე ხომ დოდარი განგებ მოვიყვანე?

რუსლენი. წადით აქედან. ჩვენ ორნი მოვილაპარაკებთ თქვენს საქმეზე.

მიურელი. მაშასადამე, თქვენ თანახმა ხართ? ხომ კი?

რუსლენი. დიად, ოლონდ დროს ნუ კარგავთ.

მიურელი. (სწრაფად გადის) ჰო, ჩემი იმედი გქონდეთ! კიდეც რომ ჩემი ჯიბიდან მომიხდეს დამატება...

## გამოსვლა მეოთხე

‘რუსლენი, დოდარი, შემდეგ მარზე, პიერი და არაბელა.’

რუსლენი. კაი ბიჭია ეგ მიურელი.

დოდარი. მიუხედავად ამისა, ცდება. ახლა ეგ მუშებს ფეხებზე ჰკიდიათ. რაც შეეხება მაგის სიმდიდრეს, აქაც...

მარზე. თქვენი მონა-მოსამსახურე! ბ-ნმა ბუვინიმ გამომგზავნა პასუხისათვის.

რ უ ს ლ ე ნ ი. რაო?

მ ა რ შ ე. პასუხისათვის იმის გამო, რაც ბ-ნმა დოღარმა გაც-  
ნობათ.

დოღარი. (შუბლზე ხელს იტკიცებს). რა გულმავიწყი ვარ!  
მგონი ეს პირველადაა, რაც ნოტარიუსი ვარ...

მ ა რ შ ე. (რუსლენს). იგი წერილობით პასუხს თხოულობს.

რ უ ს ლ ე ნ ი. მაგრამ...

დოღარი. (რუსლენს) ახლავე აგიხსნით. (მარშეს) რამდენ-  
იმე წუთს გარეთ მოიცადეთ, კარგი? (მარშე გადის). ჰო, სამი  
დღის წინათ ბ-ნი ბუვინი იცო ჩემთან და ერთხელ კიდევ დაადასტუ-  
რა სურვილი დაგიმოყვრდეთ...

რ უ ს ლ ე ნ ი. ვიცი.

დოღარი. თქვენ რომ ისურვებდეთ... ხომ იცით, იძულე-  
ბული ხარ ისარგებლო იმ საშუალებით, რაც გაგაჩნია და ისმარო  
ის იარაღი, რაც გაქვს. შეიძლება ეს უოველთვის კარგი არ იყოს...  
მაგრამ...

რ უ ს ლ ე ნ ი. იცით, თქვენ რალაც უცნაურად ლაპარაკობთ.

დოღარი. მიურელის საქმე რომ არა, რაც მოულოდნელად  
დამატყდა თავს და მთელი დრო წამართვა, აქამდე მოვიბრუნდი  
თქვენთან.

რ უ ს ლ ე ნ ი. გთხოვთ, საქმეზე ილაპარაკოთ.

დოღარი. რომ დათანხმდებოდეთ და თქვენს ქალიშვილს  
მის ვაჟს მიათხოვებდეთ, ის დარწმუნებულია, გესმით, გრაფი  
დარწმუნებულია, რომ თქვენ აგირჩევენ: მისთვის საკმაო იქნე-  
ბა ურნებთან მოიყვანოს თავისი სამოცდაოთხი კომუნა.

რ უ ს ლ ე ნ ი. მაშასადამე, მარშეს მოსვლა თითქოს მოთხოვ-  
ნაა?

დოღარი. უსათუოდ.

რ უ ს ლ ე ნ ი. კი, მაგრამ მიურელი?

დოღარი. მართლა! თქვენ ხომ მას დაჰპირდით?

რ უ ს ლ ე ნ ი. განა დავპირდი?

დოღარი. ისე, ოდნავ.

რ უ ს ლ ე ნ ი. შეიძლება ითქვას, თითქმის არა... მაგრამ  
თქვენ რას მიჩრჩევთ?

დოღარი. ეს სერიოზული საქმეა, ძალიან სერიოზული,  
მეგობრობა, საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებს ბ-ნ ლე ბუვინის-



თან და ჩემთვის პირადად ძალიან სასიამოვნო იქნებოდა.. შეიძლება მხრივ, რა დასაშალავია, რომ ბ-ნი მიუჩრელი ამჟამად... (თ.ფ.ს-თვის) საქმე საქორწინო ხელშეკრულებზეა. (ხმამაღლა). თქვენ ყველაფერი უნდა მოითქვროთ, განიხილოთ, ასწონ-დასწონოთ გარემოებანი. ერთი მხრივ — სახელი, მეორე მხრივ — სიმდიდრე. უეჭველია, მიუჩრელი კარგი სასიძო გახდება, აუტო ახალგაზრდა ონეზიმიც...

რ უ ს ლ ე ნ ი. როგორ მოვიქცე?.. ეჰ! ცოლი კი დამავიწყდა. მე უმისოდ ვერ გადაეწყვეტ. (რეკავს). რა ამბავია, დაიხოცენ იქ ყველანი, თუ რა მოხდა? (ყვირის). ცოლო! პიერ! (შემოდის პიერი). გადაეცით ქალბატონს, რომ მასთან საქმე ჩაქვს.

პ ი ე რ ი. ქალბატონი შინ არ არის.

რ უ ს ლ ე ნ ი. ბაღში ნახეთ. (პიერი გადის). ის გამოსავალს მოძებნის, ალლო აქვს...

დ ო დ ა რ ი. ზოგჯერ მეც ვეთათბირები ჩოლმე ცოლს; და სიმართლე უნდა მოგახსენოთ...

პ ი ე რ ი. (დაბრუნდება). ქალბატონი ვერსად ვნახე

რ უ ს ლ ე ნ ი. ეგ მე არ მეხება. სადაც გინდათ, მოძებნეთ!

პ ი ე რ ი. მზარეული ამბობს, ქალბატონი რა ხანაა წავიდაო.

რ უ ს ლ ე ნ ი. სად წავიდაო?

პ ი ე რ ი. არ უთქვამს.

რ უ ს ლ ე ნ ი. დარწმუნებული ხართ?

პ ი ე რ ი. (გადის). რა თქმა უნდა!

რ უ ს ლ ე ნ ი. საკვირველია! აკასოდეც არ...

მ ი ს ს ა რ ა ბ ე ლ ა. (აღუღვებული შემოდის). ბატონო ჩემო! ბატონო ჩემო! უნდა გითხრათ! მომისმინეთ! მნიშვნელოვანი საქმეა, ძლიერ სერიოზულია!

დ ო დ ა რ ი. მე ხომ არ წავიდე, ქალბატონო? (არაბელა დასტურის ნიშნად თავს უქნევს. იგი გადის).

## გამოსვლა მისხუთი

რუსლენი და მისს არაბელა

რუსლენი. რა გნებავთ ჩემგან? ჩქარა!

მისს არაბელა. ღმერთო ჩემო, მაპატიეთ, ბატონო, თუ გავბედო და... ეს თქვენ გეხებათ. თითქოს უკმაყოფილო ხართ... თქვენი მეუღლე რომ შინ არ არის... მგონი, შემძლია...

რუსლენი. თქვენ განა შემთხვევით...

მისს არაბელა. დიად, ბატონო, სწორედ შემთხვევით. თქვენი ცოლი ყიულიენტან არის.

რუსლენი (გაოცებულია) როგორ?... (შემდეგ უეცრად). ჰო, გასაგებია! ჩემი არჩევნის გამო.

მისს არაბელა. არა მგონია, ისინი ლურჯ ჯვართან ენახე, როცა პატარა სახლში შედიოდნენ, იცით, მონადირის პატარა სახლში და გავიგონე, ყიულიენტან რომ თქვა. იქნებ ვერ გავიგე მისი აზრი, მიუხედავად იმისა, რომ გრუშე, ვისთანაც ეს არის ვილაპარაკე, ცდილობდა აეხსნა საქმის ვითარება. მან, ალბათ, უკეთ გაიგო, ვიდრე მე: „პირველი მე გამოვალ და ცხვირსახოცს დაგიქნევ იმის ნიშნად, რომ შეგბძლიათ დამშვიდებით წახვიდეთ შინ“.

რუსლენი. შეუძლებელია... საბუთს მოვითხოვ, მისს არაბელა, დამამტკიცებელ საბუთს!

## გამოსვლა მთავარი

ისინივე, ლოდარი, შემდეგ ლუიზა.

ლოდარი. (სწრაფად შემოდის). მარშე აღარ იცდის. მან, მგონი, ზემოდან, ვენახიდან დაინახა, რომ გრაფი გორაკიდან ჩამოდის და გარს'დიდი ხალხი ახვევია.

რუსლენი. სამოცდაოთხი კომუნა!

ლოდარი. გრაფს შეუძლია ურჩიოს მათ ხმა მისცენ გრუშეს...

რუსლენი. არა, არა! გრუშემ სომ.. უჟმცა, ნინ აცის...  
ის არამზადა...

დოდარი. ან თეთრი კენჭები მისცენ...

რუსლენი. ეს საკმაო იქნება, რომ მე დამღუპონ!

დოდარი. დრო კი არ ითმენს.

რუსლენი. (საათს დასცქერის). საბედნიეროდ, ჩემს სა-  
ათი წინ არის თხუთმეტი წამით დაე მარშე წავიდეს გრაფთან და  
სტანოვოს, მადროვოს თუნდაც... ლუიზა სად არის? მისს არა-  
ბელა, დაუძახეთ ლუიზას! (არაბელა გადის). როგორ დავარწ-  
მუნო?

დოდარი. თუ გგონიათ, რომ ჩემი ჩარევა...

რუსლენი. არა! ეგ შეუტაცხოფს. ქვემოთ მოიცადეთ,  
როგორც კი დამეთანხმება... კი, მაგრამ ბუვინი ხომ წერილობით  
აღთქმას მოელის? განა მოვასწრებ?

დოდარი. საკმაოა პატიოსანი სიტყვა. მერმე მოვალ და  
შეგატყობინებთ. მალე იქნება.

რუსლენი. ეჰ, ვიცი თქვენი სიზანტის ამბავი!

დოდარი. თუ საქმე გაიჩარხა, 'შორიდან' განიშნებთ.

რუსლენი. ძალიან კარგი!

ლუიზა. (შემოდის). მეძახოდით?

რუსლენი. ჰო, შეილო! (დოდარს) მალე წადით, მეგო-  
ბარო!

დოდარი. ქალიშვილის გადაწყვეტილებას ხომ უნდა მოუ-  
ცადო?

რუსლენი. სწორია! (დოდარი გადის).

## გამოსვლა მეზვიდე

რუსლენი და ლუიზა.

რუსლენი. ლუიზა, ხომ გიყვარს შენი მამიკო?

ლუიზა. აბა რა კითხვაა?

რუსლენი. და მისი გულისათვის ყველაფერს...

ლუიზა. რასაც კი მოისურვებთ...

რუსლენი ა. ჰოდა, გამიგონე ყველაზე წყნარ არსებობას ზოგჯერ კატასტროფა არღვევს. უპატიოსნესი კაცი ხანდახან ცდება. წარმოიდგინე, მაგალითად, — ეს მხოლოდ ვარაუდია, — წარმოიდგინე, რომ დანაშაული ჩავიდინე და ჩემს გადასარჩენად...

ლუიზა. ნუ მაშინებთ, მამავ!

რუსლენი. ნუ გეშინია, სულიყო! ისე სერიოზული როდია. მოკლედ, მსხვერპლი რომ მოგთხოვონ, გაიღებ? მე კი მსხვერპლს კი არა, მხოლოდ დათმობას ვთხოვ. ეს შენთვის ძნელი არაა. ფქვენი ურთიერთობა ამას წინათ დამყარდა. აჲ რომ, საყვარელო, საჭირო აღარ არის მიუტრელებზე ფიქრობდე!

ლუიზა. მაგრამ მე მიყვარს იგი.

რუსლენი. როგორ! არ გაშინებს მისი მანერები, მისი უაზრო საქციელი?

ლუიზა. მე? მე ძგონია, რომ ის ძალიან ზრდილია.

რუსლენი. გარდა ამისა, მე არ შემძლია დაწვრილებით გითხრა ყველაფერი, ჩვენ შორის დარჩეს, მისი ცხოვრების წესი...

ლუიზა. ეგ მართალი არ არის!

რუსლენი. ყელამდე ვალებშია. ქორწინების მეორე დღესვე გაიქცევა.

ლუიზა. რატომ? ის ახლა მდიდარია.

რუსლენი. რაკი შენ მხოლოდ ფული გაინტერესებს, რაღაზე უნდა გელაპარაკო! მე მეგონა, უფრო კეთილშობილური გრძნობა ვამოქმედებდა.

ლუიზა. მე ის პირველი ნახვისთანავე შემიყვარდა.

რუსლენი. კი, მაგრამ არც შენ გაკლია ზომ პატივმოყვარეობა? გაინტერესებს ზიზილ-პიპილები, ბრწყინვალეობა, ტიტული და უარს არ იტყობდი, როცა დეპუტატი გავხდები, შესულიყავ პარიზის მაღალ საზოგადოებაში. ყოფილიყავ სენ-ჟერმენის გარეუბანში... არ გინდა გრაფინია გახდე?

ლუიზა. მე?

რუსლენი. ჰო, თუ ონეზიმს გაჰყვები ცოლად.

ლუიზა. არაფრის გულისათვის! იმ ყუყუჩს? იმას ზომ თავისი წინდების ცქერის მეტი არაფერი არ აინტერესებს? ლაქიანადაც კი არ ივარგებს! ორ სიტყვას ვერ გადააბამს ხეირიანად. ამასთან, რა მომნიბვლელ მულებს შევიძენი წერა-კითხვაც კი არ

იციან, მამამთილი ხომ ფერმერს ჰგავს! მერე რა ბლენძიები არიან. ღმერთმა იცის, როგორ იცვამენ, ძაფისგან მოქსოვილ თათმანებს ატარებენ.

რ უ ს ლ ე ნ ი. შენ უსამართლო ხარ. ონეზიმი არსებითად უფრო განათლებულია, ვიდრე შენ გგონია. მისი აღმზრდელი გამოჩენილი სასულიერო პიროვნება იყო და მათი გვარეულობა XII საუკუნიდან მოდის. მათს ღერეფანში გამოსახულია გენეალოგიური ხე. რა თქმა უნდა, ქალები მათს ოჯახში მზეთუნახაეები არ არიან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს... რაც შეეხება ბ-ნ ბუვინის, იმაზე კეთილშობილი ვინმე და...

ლ უ ი ზ ა. თქვენ ხომ დასაგლეჯად არ გენანებოდათ იგი. მას შემდეგ, რაც ეს კანდიდატობია დაიწყო, აგრეთვე მას თქვენც მიუტრეღი კი სულ სხვაა. იგი ახლაც თქვენთვის ცდილობს. თქვენ კი მიბრძანებთ დაევიწყო იგი. არაფერი არ გამეგება. რა მოხდა?

რ უ ს ლ ე ნ ი. არ შემიძლია აგისხნა, მაგრამ განა შენი ბედნიერება არ მინდა? განა მეუპყება ჩემი სიყვარული, ჯანსაღი აზრი, გონიერება? მე ვიცნობ მაღალ საზოგადოებას, ვიცი, რა შეგეფერება. თქვენ ჩვენთან იცხოვრებთ.. არაფერი არ შეიცვლება. გთხოვ, ლუიზა, სულიყო! აბა სინჯე.

ლ უ ი ზ ა. აჰ. მე თქვენ მაშინებთ!

რ უ ს ლ ე ნ ი. ეს ბრძანება კი არა, თხოვნაა. (დაუჩოქებს). მიშველე!

ლ უ ი ზ ა. (გულზე ხელს მიიჭერს). არა, არ შემიძლია!

რ უ ს ლ ე ნ ი. (სასოწარკვეთილია). მალე ინანებ, რადგან მამას მოკლავ.

ლ უ ი ზ ა. (ადგება). აჰ, ღმერთო ჩემო! რაც გინდათ, ჰქენით! (გადის).

რ უ ს ლ ე ნ ი. (კულისებისაკენ გარბის). დოდარ! პატიოსან სიტყვას გაძლეე. მალე. (დაბრუნდება). რა ძნელია ეს ყველაფერი! საბრალო გოგონა! თუმცა, რატომ არ უნდა შეიყვაროს ონეზიმი? განა სულერთი არ არის? ლუიზა მას უფრო მალე მოათვინიერებს, ვიდრე მიუტრელს. არა, ცუდად არ მიქნია, ყველა კმაყოფილი იქნება, იმიტომ რომ ონეზიმი ჩემს ცოლსაც მოსწონს. ცოლი, აი კიდევ! სულ იმ გველი არაბელას ბრალია! ჰორიკანა... მე უნებურად...

რუსლენი. მერვე ზედიზედ ვუენზე, ჰომბურგი, ბომენილი, ლედრიუ.

რუსლენი. (ვუენშეს დანახავს). თქვენ განა ხმას არ აღ-  
ლევთ?

ვუენშე. ახლავე. ჩვენ, ბონევილელი თხუთმეტი კაცი  
„ფრანგულ კაფეში“ ვიკრიბებით და იქიდან ერთად წავალთ მე-  
რიაში.

რუსლენი. (თავაზიანად). რით შემოძლია გემსახუროთ?

ვუენშე. ეს არის მთავარმა ინჟინერმა მითხრა, რომ რკინ-  
ნიგზა საბოლოოდ გაივლის სენ-მათიეზე. მე ხომ სპეციალურად  
ვიყიდე ნაკვეთი მიწა და. მეტი საარგებლობა რომ მიმელო, სანა-  
შენეც კი გავმართე. ახლა ძნელ მდგომარეობაში ვარ. მინდა  
ხელობა გამოვიცვალო, მაგრამ რა ვუყო ხუთას ბერვამოტს.  
რეაას კოლმარს, ჩინეთის სამას იმპერატორს, ას ორმოცდაათზე  
მეტ მტრედს?

რუსლენი. ვერაფერს ვერ გიშველი.

ვუენშე. ბოდიში. თქვენი პარკის იქით მშვენიერი ნაკვე-  
თია, სულ შავნიადაგიანი მიწაა და რომ ოცდაათ-ოცდაათ სუს მომ-  
ცემდეთ, სიამოვნებით დაგიტომბთ.

რუსლენი. (გააცილებს). კარგი, კარგი! ვნახოთ.

ვუენშე. მაშ, შევთანხმდით. ხვალ პირველ პარტიას მიიღებთ.  
საქმე კარგად იქნება. წავალ, მეგობრებს დავეწევი. (გადის).

ჰომბურგი. (შემოდის მარცხნივ). აქ სალაპარაკო არა-  
ფერია, რუსლენ, თქვენ ჩემგან უნდა შეიძინოთ...

რუსლენი. მე ხომ ვიყიდე თქვენი ქურანები. უკვე მესა-  
მე დღეა თავლაში მიბია.

ჰომბურგი. ჰოდა, მათი ადგილიც იქაა. ბუვინიმ კი (მას  
თქვენ უეჭველად დაამარცხებთ) არ იყიდა ჩემი შესანიშნავი ჭა-  
კი მინდვრის სამუშაოებისათვის, ის კი სულ რაღაც ორმოცი პის-  
ტოლი ღირს.

რუსლენი. და თქვენ გინდათ, რომ მე ვიყილო?

ჰომბურგი. დიდად მასიამოვნებთ.

რუსლენი. მაშ, კარგი!

ჰომბურგი. ბოდიში, ბ-ნო რუსლენ... უტიფრობად ნუ ჩაშითვლით... მომეცით ბე ცხენებისა ან დანარჩენისათვის, როგორც ინებებთ...

რუსლენი. რატომაც არა (აღებს საწერ მაგიდას და გამოსწევს ერთ უჯრას). როგორაა ჩვენი საქმეები მერიაში?

ჰომბურგი. ყველაფერი ჩინებულადაა.

რუსლენი. იყავით იქა?

ჰომბურგი. როვორ არა!

რუსლენი. (თავისთვის, უჯრას დახურავს). მაშინ საჩქარო არაფერია.

ჰომბურგი. (შენიშნავს მის მოძრაობას) ესე იგი მე იქ ვიყავი... ბიულეტენებისათვის. ესაა რაღა, მეყოფა დრო. (რუსლენი კვლავ გამოსწევს უჯრას და ფულს აძლევს). გმადლობთ თავაზიანობისათვის. (წასვლას აპირებს). ბ-ნო რუსლენ, უნდა ისარგებლოთ შემთხვევით... მე ხომ მშვენიერი კომუშმური ცხენი მყავს!..

რუსლენი. არა, კმარა.

ჰომბურგი. ცოტა რომ შეკრიბ-შემოკრიბო, ნამდვილი პონი იქნება.

რუსლენი. (თავისთვის). საბრალო ლუიზა!

ჰომბურგი. ერთი სიტყვით კაი გასართობი რამე იქნება.

რუსლენი. (ამოიოხრავს) კარგი, მიყიდნია ეგ შენი პონი. (ჰომბურგი გადის მარცხნივ).

ბომენილი. (მარჯვენა კარში შემოდის). მხოლოდ ორი სიტყვა, ჩემი შვილი მოვიყვანე.

რუსლენი. რისთვის?

ბომენილი. ძალღს ეთამაშება ბაღში. გინდათ ნახოთ? აი ის არის, ვისზედაც გელაპარაკებოდით სკოლასთან დაკავშირებით. იმედო გვაქვს სულ მალე...

რუსლენი. რა თქმა უნდა, ყველაფერს ვიზამ, რაც კი შემიძლია.

ბომენილი. ეს პატარები ისე ძვირად გვიჯდებათ. მე კი ისინი შვიდი მყავს, ბატონო ჩემო, და ყველა ისე ჭანმრთელია, როგორც მოზვერი.

რუსლენი. (თავისთვის). ოჰ!

ბომენილი. უნდა მოგახსენოთ, რომ პანსიონის მასწავლე-

ბელი ორი ტრიმესტრის ფულს მთხოვს... და თუმცა ასეთი ნაბიჯი დამამცირებელია... უნდა გთხოვოთ... ხომ არ შეგიძლიათ მასესხოთ...

რ უ ს ლ ე ნ ი. (უჭრას გამოსწევს). რამდენი?

ბ ო მ ე ნ ი ლ ი. (გრძელ სიას ამოიღებს). აი. (გაუწვდის). აქ კიდევ რაღაც სასკოლო ნივთებია. (რუსლენი ფულს აძლევს). შინ გავიქცევი, რომ კაი ამბები ვაცნობო! გულახდლილად გეტყვი, მე მხოლოდ ამისთვის მოვედი.

რ უ ს ლ ე ნ ი. როგორ? არჩევნები?

ბ ო მ ე ნ ი ლ ი. მეგონა, ხვალ არის-მეთქი. ისე კარჩაკეტილი ვცხოვრობ ოჯახში, რომ... მაგრამ ახლავე წავალ ჩემი მოვალეობის შესასრულებლად, ამ წუთში, ამ წუთში! (გადის მარჯვნივ).

ლ ე დ რ ი უ. (მუაქარში შემოდის). შესანიშნავია! თითქოს თქვენ უკვე არჩეული ხართ!

რ უ ს ლ ე ნ ი. რას ამბობთ?

ლ ე დ რ ი უ. გრუშე თავის კანდიდატურას ხსნის. ეს ორი საათის წინათ გახდა ცნობილი. ის, მართალია, ფრთხილად მოიქცა. სიმართლე გითხრათ, კაი სარმა გამოვკარი, რა თქმა უნდა, ფარულად. ასე რომ, მადლობის ნიშნად, შეგიძლიათ მიშოვნოთ...

რ უ ს ლ ე ნ ი. (წყნარად). ორდენი?

ლ ე დ რ ი უ. (ძლიერ ხმამაღლა). რომ არ დამემსახურებინა, მაშინ სხვა საქმეა. მაგრამ, დალაზეროს ეშმაკმა მე მგონია, თქვენ ძალიან გულგრილი ბრძანდებით, ბ-ნო რუსლენ.

რ უ ს ლ ე ნ ი. კი, მაგრამ მე ჯერ კიდევ მინისტრი არა ვარ, ჩემო კარგო!

ლ ე დ რ ი უ. ეგ არაფერია! მე მხარს მიჭერენ ოცდახუთი ბიჭი ჰერტელოს მეთაურობით და მიურელის მუშები. ისინი ახლა ბაზრის მოედანზე ჩოგბურთს თამაშობენ. მე მათ ვუთხარი, მივდივარ მასთან მოსალაპარაკებლად-მეთქი. ახლა მელოდებიან, რათა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღონ. ასე რომ, გაფრთხილება, თუ სიტყვას არ მომცემ, რომ ორდენს მიშოვნო...

რ უ ს ლ ე ნ ი. ეჰ, ოთხ უცხოურს გიყიდი!

ლ ე დ რ ი უ. თუ აგრეა, გავრბივარ!.. (ჩქარა გადის).



რუსლენი პარტოდ.

რუსლენი. (სცენას გაჰყურებს). დრო ეყოფა. ხუთი წუთი დარჩა. ხუთი წუთის შემდეგ არჩევნები დამთავრდება და მაშინ... მაშასადამე, ეს სიზმარი კი არა... ცხადია. მე შემძლია დეპუტატი გავხდე. ვიარო კანცელარიებში, მერქვას რომელიმე კომისიის წევრის სახელი, ხანდახან არჩეულ ვიქნე. მომხსენებლად, ვილაპარაკო მხოლოდ ბიუჯეტზე, კანონპროექტების შესწორებასა და ცვლილებაზე, მონაწილეობა მივიღო აუარებელ საქმეში... უაღრესად მნიშვნელოვან საქმეებში. და უოველდღე დავინახო ჩემი სახელი გაზეთებში. ისეთებშიც კი. რომლებიც ჩემთვის უცხო ენებზე იბეჭდება. თამაში! ნადირობა! ქალები! აბა ამას რა შეედრება? დიად, მზად ვარ მივადწიო მიზანს, შევწირო მთელი ჩემი ქონება. ჩემი სისხლი, ყველაფერი. ჰო! უკვე შევწირე ჩემი ქალიშვილი. საბრალო გოგონა (ტირის). ახლა სინდისი მქენჯნის, რადგან ვერასოდეს ვერ გავიგებ, შეგსრულა თუ არა ბუფინიმ თავისი სიტყვა. საარჩევნო ბიულეტენზე ხომ ხელს არ აწერენ? (საათი ოთხჯერ დარეკავს). რა თქმა უნდა, ახლა ხმებს ითვლიან. ეს მალე იქნება. მანამდე რა ვქნა? ზოგიერთი ჩემი ახლო მეგობარი, თუნდაც მიუტრეცი, — იგი ხომ ესოდენ მოქმედია, — ახლა აქ უნდა იყოს, რომ მაცნობოს პირველი შედეგები.

ოპ. ადამიანებო! ჰოდა, იწვალე მათთვის! თუ არ ამომირჩიეს... რა გაეწყობა, მაშინ მით უარესი. დაე სხვები მოძებნონ. მე კი ჩემს მოვალეობას შევასრულებდი. (ფეხს დაარტყამს). მოდით რაღა, მოდიო! არამზადები. ისინი ყველანი ჩემი წინააღმდეგნი არიან! თავი მახურს, აღარ შემძლია ახლავე ამ სკამების მტკრევას დავიწყებ!

## გამოსვლა მიათო

რუსლენი, ბრმა მათხოვარი, გარმონს რომ უკრავს.

რუსლენი. აჰ, ესეც ამომრჩეველი ხომ არ არის! შეიძლება გავაგდო. ვინ მოგცა ნება?

მათხოვარი. კარი ღიაა, მე კი მითხრეს, რომ აქ ყველას ეხმარებიან, ძვირფასო რუსლენ, ჩემო კეთილისმყოფელო! თქვენზე ყველანი ლაპარაკობენ. მოიღეთ მოწყალება! ეს ბედნიერებას მოგანიჭებთ.

რუსლენი. (თავისთვის). ეს ბედნიერებას მომანიჭებს (ორ თითს ჟილეტის ჯიბეში ჩაიყოფს, ჩაფიქრდება). იქნებ განსაკუთრებულ გარემოებაში გაღებულ მოწყალებას იღუმალი ძალა ჰქონდეს. და დღეს დილით ეკლესიაში უნდა წავსულიყავ!

მისს არაბელა. კართან ხალხია. თოფები უჭირავთ. (სროლის ხმა).

რუსლენი. ჩემს პატივსაცემად ისვრიან. რა კარგია კვლავ! კვლავ! დგაფ! დგუფ! (დუმილი). გაიგონეთ, ღმერთო! (ჩქარი ნაბიჯების ხმა).

## გამოსვლა მითმომთმობი

სინივე, გრუშე, შემდეგ დანარჩენები.

რუსლენი. (გრუშესკენ გაექანება). აბა, გრუშე? თქვი რამე! ჰაი მე ვარ თუ არა?

გრუშე. (აათვალიერ-ჩაათვალიერებს, შემდეგ ხარხარი აუტყდება). აჰ, ვადასტურებ!

ყველანი. (ერთბაშად შემოდიან). გაუმარჯოს ჩვენს დებუტატს! გაუმარჯოს ჩვენს დებუტატს!





## ჩემს დას კაროლინას

(პარიზი, იანვარი, 1843 წ.)

გამარჯობა, ბებერო ვირთაგვა!

აღბათ, გამოჩანმრთელდი და ნელ-ნელა მაგრდები. თავს მოუარე, რათა ერთი თვის შემდეგ რუანს ჩამოსულს, უფრო მშვენიერი და მნიარული დამხვდე, ვიდრე ოდესმე. თუ კარგად იქნები, ოჰ, რა დროს გავატარებთ ამ ზაფხულს ტრუვილში!

იცი, არდადეგები ივნისში მეწყება? ღმერთმა ქნას, რომ ისეთი გამოდგეს, როგორიც მე მინდა.

კოლიეს ამბავს მეკითხები. უკვე დიდი ხანია მათსას არ ვყოფილვარ. იქ წასვლაში მთელი საათი უნდა დავკარგო, დაბრუნებაშიც ამდენივე, გზა კაი ორი ლიეა. წვიმასა და ტალახში ეს რამდენად სასიამოვნოა, შენც მოგეხსენება. ეკიპაჟის დაჭირავენის

ნებას სახსარი არ მაძლევს. ომნიბუსით წასვლას კი — გემოვნება. იქ მხოლოდ ქვეითად და მშრალ ამინდში დავდივარ.

გასულ ხუთშაბათს ქ-ნ პრადიესას ჰერტრუდა ვნახე; აზილს უკვე უთქვამს შენტვის, მაგრამ ჩვენი მისვლისთანავე წავიდა.

შენ ელოდები დაწვრილებით ცნობებს ვიქტორ ჰიუგოს შესახებ: აბა რა უნდა გითხრა? ეს არის სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი, საკმაოდ ულამაზო. ვულგარული გარეგნობისა. აქვს მშვენიერი კბილები, დიდებული შუბლი, არ აქვს არც წამწამები და არც წარბები ლაპარაკობს ცოტას, თითქოს ფრთხილობს და ზედმეტის თქმა არ სურსო. ძლიერ ზრდილობიანი. ოდნავ გაბლენძილი რომწონის მისი ხმის ტემბრი. სიამოვნებით ვათვალისწინებდი. ისე გაკვირვებული ვუცქეროდი. როგორც კოლოფს, რომელშიც მილიონება და მეფის ბრილიანტები ძევს, ვფიქრობდი ყოველივე იმაზე, რაც შეუქმნია ამ კაცს, ჩემს გვერდით რომ პატარა სკამზე ზოის. თვალს ვერ ვაშორებდი მის მარჯვენა ხელს, რომელსაც ამდენი მშვენიერი რამ დაუწერია. ეს კაცი ჩემი დაბადებიდანვე მიძგერებდა გულს, იგი, ალბათ, ყველაზე მეტად მიყვარდა. ესაუბრობდით წამებაზე, შურისგებაზე, ქურდებზე და სხვ. ყველაზე მეტს ვლაპარაკობდით ის დიდი კაცი და მე. აღარ მახსოვს, ჰკვიანად ვლაპარაკობდი თუ უჭკუოდ, გარნა ბევრი კი ვილაყბე. როგორც ხედავ, საკმაოდ ხშირად ვარ ხოლმე პრადიესას, ძლიერ მიყვარს ეს ოჯახი, იქ უხერხულობას არ გრძნობ და ისეთია, როგორიც შეამება.

## ლუიზა კოლმის

ოთხშაბათი, ზღამო (1846 წ., 12 აგვისტო).

დღეს მთელი დღე ისე გაატარე, რომ ჩემი წერილი არ მიგიღია. ალბათ, კვლავ ეჭვიანობდი, ჩემო საბრალოვ! მაპატიე. ეს ჩემს ცუდ ხასიათს კი არა, ჩემს მენსიერებას უნდა მიაწერო. მეგონა, რუანის ფოსტა პირველ საათამდე მიაქვთ-მეთქი, თურმე კი მხოლოდ 11 საათამდეა. მაგრამ მოიცა, თუ ჩემზე კიდევ ჯავრობ, ორშაბათამდე ყველაფერი გაივლის, რადგან ორშაბათის ამედი მაქვს! ფიდიუსი იმდენად კეთილი იქნება, რომ მომწერს. მე მგონია, მის ამბავს გავიგებ არა უგვიანეს კვირისა.

როგორ მომწონს დღესასწაულის გეგმა, შენ რომ შემომთავაზებ! გული ამიჩვილდა და ცრემლები ვღვარე. ჰო, ჰო! მიყვარხარ! ამაში დაექცევა დანაშაული იქნებოდა. რომ არ მიყვარდი. მაშინ რა ვეწოდო იმ გრძნობას, რასაც შენდამი განვიციდი? ყოველი წერილი, შენ რომ მიგზავნი, ღრმად მწვდება გულში, განსაკუთრებით დღეს დილით მიღებულს. იგი სავსეა საუცხოო მომხიბვლელობით, მხიარულია, კეთილია, მშვენიერია, როგორც შენ. დიად. გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს, რაკი არავის არ ეყვარებივართ.

პარიზს ჩამოვალ ოთხ საათზე ან ხუთის თხუთმეტ წუთზე, ასე რომ შენთან ვიქნები ჯერ კიდევ ხუთის ნახევრამდე. ვგრძნობ უკუე. როგორ ამოვდივარ კიბეზე, მესმის, როგორ წკრიალებს ზარი. „ქალბატონი შინ არის? — შემობრძანდით!“ აჰ, წინდაწინვე ეტყები ამ ოცდაოთხი საათით. მაგრამ რა სპიროა, რომ ყოველშა სიხარულმა ტანჯვა მომაყენოს? უკვე ვფიქრობ ჩვენს განშორებაზე, შენს დარღზე. შენ ჰკვიბანი იქნები, ხომ? თუ არა, — ვგრძნობ, რომ უფრო გულნატკენი ვიქნები, ვიდრე იმჯერად.

მე იმ ადამიანებს არ ვეკუთვნი, ვისაც დაუფლება სიყვარულს უკლავს, პირიქით, იგი მიმძაფრებს მას.

ყველაფერს, რაც კი გამაჩნია, ისე ვეპყრობი, როგორც არაბები, რომლებიც წელიწადში ერთ გარკვეულ დღეს პირს გრენადისაკენ იზამენ და დასტირიან მშვენიერ ქვეყანას, სადაც აღარ ცხოვრობენ. დღეს შემთხვევით გავიარე კოლეჟთან, ნიშის წინ ხალხი იყო. ჯილდოებს არიგებდნენ. გავიგონე მოსწავლეთა ყვირილი, ტაში, დოლისა და სასულე ინსტრუმენტების ხმა. შევედი და კვლავ დავინახე ყველაფერი, რაც ჩემს დროს იყო, იგივე პორტიერები იმავე ადგილას. იდგა სველი მუხის ფოთლების სუნი და ოცნებამ გამიტაცა, იმ ფოთლებით გვიმოკობდნენ ხოლმე შუბლს, გამახსენდა თრთოლვა, მაშინ რომ ამიტანდა ხოლმე და ჩემთვის ორი თვის სრულ თავისუფლებას მოასწავებდა: აქ იყვნენ ხოლმე მამა, დები, მეგობრები, ახლა გარდაცვლილნი, წასულნი თუ შეცვლილნი. მწარედ გულშეკუმშული გამოვედი იქიდან. მთელი ცერემონია გაცილებით უფერული იყო, ვიდრე ჩემს დროს; ხალხიც შედარებით ცოტა იყო, ვიდრე ამ ათი წლის წინათ; არც ისე ხმამაღლა ყვიროდნენ, არ მღეროდნენ მარსელიეზას, ჩვენ რომ გააფთრებით ვღრიალებდით ხოლმე და მერხებს ვამტკრევდით.

რჩეულ საზოგადოებას დაეკარგა ამ სანახაობის გემო. მაგონდება, რომ წინათ აქ თავს იყრიდა ბევრი მორთულ-მოკაზმული ქალი, მოდიოდნენ მსახიობები, ხასები, სახელგანთქმული ქალები. ისინი მალლა, გალერეებზე იდგნენ ხოლმე. როგორ ვამაყობდით. როცა ისინი გვიცქეროდნენ! ოდესმე აღვწერ ყოველივე ამას: აღვწერ თანამედროვე ქაბუკს, მის თექვსმეტი წლის სულს, უდიდესი სიყვარულის სუნთქვით რომ იფურჩქნება და ესწრაფვის ფუფუნებას, სახელს, ყველაფერს, რაც ცხოვრებაში ბრწყინავს, აღვწერ ქაბუკური გულის ამ მოციმციმე და ნალვლიან პოეზიას. აი სიმი, რომელსაც ჯერ არავინ შეხებია. ო, ლუიზა! ახლა გეტყვი უხეშ რამეს, მაგრამ ამ უხეშობის მიზეზია უღრმესი მეგობრობა, უნაზესი სიბრალოლი. თუ ოდესმე შეგიყვაროს საბრალო ბავშვმა, რომელსაც ლამაზი მოეჩვენები, ბავშვმა, როგორც მე ვიყავი, გაუბედავი, ნაზი, მოცახცახე, რომელიც შეშინდება და დაიწყებს შენს ძებნას, მორიდებასა და დევნას, იყავ გულკეთილი მისდამი, ხელს ნუ ჰკრავ, ნება მიეცი გიკოცნოს თუნდაც ხელები, და იგი ბედნიერი მოკვდება. დააგდე შენი ცხვირსახოცი, იგი აიღებს, საწოლში ჩაიტანს, ატირდება, გულში ჩაიკრავს მას. დღევანდელმა სანახაობამ გახსნა აკლამა, სადაც ჩემს გაქვავებულ სიყმაწვილეს ეძინა, მე კვლავ ვიყნოსე დამპყნარი სურნელება, დამიბრუნდა დავიწყებული მელოდიის მსგავსი რაღაც, ბინდბუნდში რომ გაიხსენებ ხოლმე, იმ შეყოვნებულ ჟამს, როცა ჩვენი მეხსიერება მოგონებათა სიღრმეში ჩაიძირება და წარსულში დაეხეტება, ვით მოჩვენება ნანგრევებში. არა, იცი, ქალი ამას ვერასოდეს ვერ გაიგებს. არასოდეს ამას არ იტყვის. ქალებს უყვართ, უყვართ იქნებ ჩვენზე უკეთ, ჩვენზე ძლიერ, მაგრამ არა ესოდენ შეგნებულად. და შემდეგ, საკმაოა თუ არა შეპყრობილი იყო რაიმე გრძნობით, რომ გამოთქვა იგი? შეუძლია თუ არა მთვრალს შეთხზას სუფრული სიმღერა? არ უნდა ფიქრობდე, რომ გრძნობა ყველაფერია. ხელოვნებაში იგი არაფერია, თუ ფორმა არა აქვს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ქალებმა, რომელთაც ძლიერ უყვართ, არ იციან სიყვარული რა არის, რადგან მეტად არიან მით აღვსილნი: მათ არ აქვთ გულწრფელი მოთხოვნილება სილამაზისა. მათთვის საჭიროა, რომ სილამაზე დაკავშირებული იყოს კიდევ რამესთან, მიზანთან, პრაქტიკულ ინტერესთან. ისინი წერენ, რომ დაიკმაყოფილონ გული და არა



იმისათვის, რომ ესწრაფვოდნენ ხელოვნებას, მათსავე არსში მოქცეულ საწყისს და საყრდენი ესაჭიროება არა უმეტესად, ვიდრე ვარსკვლავს. მე ძლიერ კარგად ვიცი, რომ ამ აზრებს არ იზიარებენ, გარნა სამაგიეროდ ეს ჩემი აზრებია. ოდესმე მთელი სინათლით განვაფიქრებ მათ და იმედი მაქვს დაგარწმუნო, რადგან შენ პოეტად ხარ დაბადებული.

განვაგრძობ ცოტ-ცოტა ბერძნულის სწავლას, თანაც ვკითხულობ შარდენის მოგზაურობას აღმოსავლეთის შემდგომი შესწავლისათვის; იგი ხელს შემიწყობს აგრეთვე აღმოსავლური ზღაპრის დაწერაში, რაზეც აგერ ორი წელიწადია ვფიქრობ. მაგრამ ეს ერთი ხანია ჩემი ოცნება ძლიერ შეიზღუდა. აბა როგორ იფრინოს საბრალო ფუტკარმა? ფეხებით მურაბიან ქილაში ჩაეფლო და ყელამდე იძირება!

ნახვამდის, ჩემო ძვირფასო, დაუბრუნდი შენს ჩვეულ ცხოვრებას: იარე სტუმრად, შენც მიიღე ხოლმე, უარს ნუ ეტყვი იმ პირებს, რომლებიც წარსულ კვირას იყვნენ შენთან. მე კიდევაც მინდა კვლავ ვნახო ისინი, არ ვიცი კი რატომ! როცა მიყვარს, ჩემი გრძნობა მაშინ წყალდიდობას ჰგავს, მიდამოს რომ მოედება ხოლმე.

მშვიდობით, უთვალავი კოცნა. დიად, დიად! უთვალავი, ისეთი, როგორც არიოსტომ იცოდა, და ისეთი, როგორც მე დე შენ ვიცი.

## ლუიზა კოლეს

1846 წ., 27 აგვისტო

ჩვენ, მაშასადამე, კვლავ მოწყენილი ვართ, ჩემო საბრალო ანგელოზო! რა საჭიროა გამოვივინოთ წყენა, რად გვინდა უზომო მწუხარება? ოცდაცამეტი მილით ვართ ერთმანეთს დაშორებულნი და არ შემოდისა შეგიშრო ცრემლი, შენს კეთილ თვალებს რომ სდის, შენ კი დაინახო ჩემი ღიმილი, როცა შენს წერილებს ვიღებ, დაინახო სიხარული, სახეზე რომ მეფინება, როცა შენზე ვფიქრობ ან დავცქერი შენს პორტრეტს, გრძელი მოალერსე

დალალები რომ ჩამოუშვია, სწორედ ისინი, ჩემს ლოყებს რომ ეფერებოდნენ. ჩვენ შორის ბევრი მინდორი, ვაკე და გორაკი გადაჭიმულა, რომ ერთმანეთი ვერ დაეინახოთ. მე არ მესმის ის ტანჯვა, რასაც გაყენებ. შენ გგონია, რომ ჩემს გულში კვლავ ცოცხლობს მეორე, რომ იგი იქ დარჩა და ისე ბრწყინავს, რომ შენ მხოლოდ გაკრთი მის ჩრდილში. ო, არა, არა! დამიჯერე ერთხელ და სამუდამოდ! შენ ლაპარაკობ ჩემს ცინიკურ გულახდილობაზე, მაშინ იყავ თანამიმდევარი და ირწმუნე ეს გულახდილობა! ყოველივე ეს ძველია, ძალიან ძველია, თითქმის დავიწყებულია, მე ძლივს ვიგონებ მას, მე ისიც კი მგონია, რომ ეს ვილაც სხვა კაცის გულში მოხდა. ის, ვინც ახლა ცოცხლობს, ვისაც „მე“ ჰქვია. მხოლოდ მსჯელობს სხვაზე, გარდაცვლილზე. მე ორი, სრულიად დამოუკიდებელი არსებობა მქონდა და პირველი არსებობის დასასრულის სიმბოლო და მეორის დასაწყისი გარეშე მოვლენები იყო. ეს პირწმინდა მათემატიკაა. ჩემი მოქმედი, მგზნებარე, მღელვარე ცხოვრება, აღსავსე სხვადასხვა მწუხარებით და მრავალი გრძნობით, ოცდაორი წლის ასაკში დამთავრდა. ამ დროს ერთბაშად დიდი წარმატება მქონდა და დაიწყო სხვა ცხოვრება. მაშინ მკვეთრად შუა გაეყავი მთელი სამყარო და ჩემი თავიც: ერთ მხარეზეა გარე ნაწილი, რომელიც მინდა დავინახო სხვადასხვანაირი, ფერადოვანი, ჰარმონიული, ვრცელი, აქედან ჩემთვის მისაღებია სანახაობა და ეტკებებით ამით; მეორე მხარეზეა შინაგანი ნაწილი, რომელსაც ვამჭიდროვებ, რათა უფრო თავმოყრილი გავხადო, და რომელშიც გონების ღია ფანჯრიდან ვუშვებ სულის უწმინდესი ციალის ფართო ნაკადებს. ეს ფრაზა არც თუ ისე ნათელი მოგეჩვენება, მაგრამ მის განსავითარებლად საჭირო იქნებოდა მთელი ტომი. და მაინც მე ცხოვრებაში ხელი არაფერზე არ ამიღია, როგორც შენ გგონია. სხვებზე ნაკლებ როდი მიყვარს ვარდის სურნელება და მთვარის ცქერით ტკბობა. მე არ უარვყოფ არც სიყვარულსა და არც მეგობრობას. პირიქით, სათვალქსაც კი ვიკეთებ, რომ უფრო ნათლად დავინახო ისინი. აფათურე ხელი ჩემს გულსა და სულში,—იქ შენთვის საწყენს ვერაფერს ვერ იპოვი ვერც წარსულსა და ვერც აწმყოში. ჩემი ნატვრა ის არის, რომ შეგეძლოს წაიკითხო ჩემს გულში. მაშინ ექვისა და დაღვრემილობის ცრემლები, შენ რომ ღერი. სიხარულისა და ბედნიერების ცრემლებად გადაიქცეოდნენ, დიად, მიყვარხარ, მიყვარ-

ხარ, გესმის? ნუთუ საჭიროა უფრო ხმამაღლა ვიყვირო? განა ჩემი ბრალია, რომ არ ძალმიძს ჩვეულებრივი სიყვარული, რომელსაც სჩვევია მხოლოდ ღიმილი, რომ მთელს ჩემს არსებაში, მთელს ჩემს საქციელში დონდლოობის ნასახიცი კი არ არის? მე უკვე მითქვამს შენთვის, გულზე, ისე როგორც ხელებზე, ბებერები მაქვს-მეთქი. მათი შეხება კრილობას იწვევს, მაგრამ იქნებ მით უფრო ნაზია ის, რაც მათს ქვეშ არის! — რა შემიძლია გიპასუხო, ძვირფასო მეგობარო, შენს მუდმივ საყვედურზე, თითქოს არ მსურდეს მოსვლა და შენი ნახვა? ეს იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ განგებ მტანჯო და მომაგონო (ღმერთო ჩემო, ეს უსარგებლოა, რადგან უამისოდაც ბევრ რამეს წარმოვიდგენ ხოლმე,) რომ შენ ამისგან იტანჯები და წვალობ. რომ შემეძლოს... რომ... რომ... მუდამ ეს წყეული პირობითი კილო, სასტიკი კილო, რომელსაც ზმნის ვერც ერთი დრო ვერ გაეჭყევა!

დღეს მე სულელი ვარ. იქნებ ამის მიზეზი მთვარის მშვენიერი სინათლე იყოს. ეს არის ზეივანში დავსეირნობდი, მსურდი, გეძახდი. რა კარგად ვისეირნობდით ერთად, წელზე ხელს შემოგხვევდი. ვოცნებობდი შენი პირის თეთრ კანზე, სუსტად განათებულ მწვანე ბალახზე რომ გამოირჩეოდა, შენი წყლიანი თვალების სილურჯეზე, ნათლით რომ არიან აღსავსენი, როგორც ამ ღამეული ცის ნაზი ლაქვარდი. ვიყვარდე მუდამ, ჩამთვალე. დაღვრემილად, დამთხვეულად, რადაც გინდა, ოღონდ ვიყვარდე, თავი გაანებე ჩემს ფიქრებს. რა საქმე გაქვს მათთან? ისინი ავს არავის უზრახავენ, სიკეთეს კი იქნებ ანიჭებდნენ. მათ არსებობის უფლება აქვთ, ისე როგორც ყველაფერს ამ ქვეყნად. რა საჭიროა სარეველა ბალახები, — ამბობენ კეთილი ადამიანები, — რისთვის ხარობენ? ისე, თავისთვის, დალაზვროს ღმერთმა! თქვენ კი რისთვის მრავლებით?

}

ერთხელ კიდევ გმადლობ ფორთოხლის ყვავილისათვის, შენი წერილები მთლად გაჟღენთილია მათი სუნით. როცა პარიზს ჩანოვალ, ჟარდინიერს შენი საყვარელი ყვავილებით დაგიმშვენებ, ეს საბრალო ყვავილები ხომ მაინც უეკლონი არიან! ჩემი სიყვარულის ყვავილები, ალბათ, მათ არ გვანან. მაშ, მშვიდობით, მშვიდობით.

რუანი, 1847 წ. დეკემბერი.

ვილაპარაკოთ სერიოზულად საქმეზე, შენს ძვირფას დრამაზე — მე არასოდეს არ ვყოფილვარ ესოდენ შეშფოთებული არც ერთ ჩემს ნაწარმოებზე (თუმცა საერთოდ არ ვწუხვარ მათზე, ასე რომ ეს დიდი არაფერია). მაშ ასე, თქვენს პიესაზე რომ ვფიქრობ, ამდენი არასოდეს მიფიქრია იმაზე, რაც მე შემეძლო დამეწერა. პიესის მომავალი, მისი წარმატება დაუსრულებლად მაინტერესებს, თითქოს საქმე ეხებოდეს ჩემი ქალიშვილის გათხოვებას. თუ რაშელი ვერ ითამაშებს მადლენის როლს, მაშინ უფრო გონივრული იქნება გაისამდე მოცდა. გარნა თუ გაისადაც ვერ შეძლებს ან არ ისურვებს თამაშს, მაშინ პიესა დაუყოვნებლად უნდა გადაეცეს „ფრანგულ თეატრს“ და არა რომელიმე სხვას.

„ფრანგულ თეატრში“ ნახევარი წარმატება უფრო ძვირფასია. ვიდრე სრული წარმატება „ოდეონში“. მეორეხარისხოვან თეატრს შეუძლია დაპირება, კარგად დავდგამო, რაც პირადად მე მიიძღულებდა წავსულიყავ დათმობაზე, თუმცა მე დიდი ხანია არა ვიცი რა, რა ხდება ცივილიზებულ სამყაროში, ამიტომ არც კარგი რჩევის მოცემა შემიძლია. უწინარეს ყოვლისა, ეცადეთ, ყოველი ღონისძიებით, რომ რაშელმა იტვირთოს როლი.

ჩემი უკანასკნელი წერილის შემდეგ კვლავ შემემთხვა უსიამოვნება. ილლიაში გამიჩნდა კარბუნკული, რამდენიმე დღე მაწვალა და მთელი ღამეები არ დამაძინა. ახლა თითქმის მორჩა და კვლავ დავიწყე ფარეკაობა. კეთილსინდისიერად ვვარჯიშობ ამ რთულ ხელოვნებაში, რომელიც გვასწავლის, როგორ მოვიშოროთ თავიდან მოყვასი, თუმცა მოყვასი ნაკლებ მაწუხებს და სრულიადაც ვერ ვხედავ მას.

მიუხედავად ამისა, ამას წინათ ისეთი უცნაური და საკვირველი რამ ვნახე, რომ დღემდე არ მშორდება ამ მეტად სასაცილო და ამასთანავე უბადრუკი სანახაობით გამოწვეული შთაბეჭდილება. რეფორმისტების ბანკეტს დავესწარ! რა გემოვნება! რა სამზარეულო! რა ღვინოები! და რა სიტყვები! არაფერს არ გამოუწვევია ჩემში ისეთი ზიზღი წარმატებისადმი, როგორც იმის დანახ-

ვამ, თუ რა გზით აღწევენ მას. სრულიად გულგრილი ვიყავი და გულს შირევდა იმ პატრიოტული ენთუზიაზმის დანახვა, რასაც იწვევს „მმართველობის საჭე, ჩვენს თვალწინ გათხრილი უფსკრული“, ჩვენი ალმის პატივი, ჩვენი დროშების ღირსება, ხალხთა ძმობა“ და მსგავსი უხამსობანი. დიდოსტატთა ნაწარმოებნიც კი ასეთი ტაშის ნასახს ვერ ეღირსებიან. ალფრედ დე მიუსეს ფრანკი ვერ გამოიწვევს ესოდენ აღტაცებულ შეძახილებს, რაც ყოველი კუთხიდან მოისმოდა ჩვენი ფინანსისტების სადიდებლად ოდილონ ბაროს ლაყბობისა და კრემიეს მოთქმის გამო! შეკრება გაგრძელდა ცხრა საათზე მეტ ხანს, რის განმავლობაშიც შევექცეოდი ცივალ მოხარშულ ინდაურსა და ძუძუთა გოჭს ჩემი ზეინკლის გვერდით, მხარზე ხელს რომ მიტყაპუნებდა ხოლმე, და შინ მთლად გაყინული დავბრუნდი. რაგინდ ცუდი აზრისა იყო ადამიანებზე, გული მაინც ნაღვლით აგვესება ესოდენ ზუმი სისულელის, ესოდენ წარმოუდგენელი ყუყუჩობის გამო. თითქმის ყოველ სიტყვაში ქება-დიდებას ასხამდნენ ბერანეეს. როგორ ბოროტად იყენებენ საბრალო ბერანეეს სახელს! მე იმიტომ მეჭავრება იგი, რომ მის წინაშე ბურჟუები იხრიან ქედს. არიან უდიდესი ნიჭის ადამიანები, რომელთა უბედურება ის არის, რომ უნდილებს მოსწონთ; მოხარშული ძროხის ხორცი განსაკუთრებით უსიამოვნო იმიტომ არის, რომ მემჩანურ მეურნეობაში მთავარი კერძია. ბერანეე თანამედროვე პოეზიის მოხარშული ძროხის ხორცია: ხელმისაწვდომი და გემრიელი!

აი უკვე მოდის ახალი წელი, კიდევ ერთი წელი გავიდა! მხნედ იყავ, საყვარელო მეგობარო! იმედი ვიქონიოთ, რომ ეს წელი უკეთესი იქნება!..

არის ჩვეულება, საჩუქარი უძღვნა იმას, ვინც გიყვარს. ვეძებ, რა გამოგიგზავნო ისეთი, რომ მხოლოდ ჩემგან, ნამდვილად ჩემგან იყოს ნაბოძები. ვერაფერი ვერ მიპოვია. ასე რომ, ძვირფასო ლუიზა, მიიღეთ კოცნა, მაგარი კოცნა სულითა და გულით, რომელშიც მოქცეული ვარ მთელი ჩემი არსებით და რომელშიც გახვეული ხართ მთლიანად. იგი აქვეა, წერილის ბოლოს, ინებეთ!

კრუასე, 1848 წ., მარტი.

გმადლობთ მზრუნველობისათვის, რაც უკანასკნელი ამბების დროს აღმომიჩინეთ: ამჯერად და წინადაც, გთხოვთ მაპატიოთ შეწუხება. რაც უნებურად მოგაყენეთ.

თქვენი წერილი მთელი ერთი კვირის დაგვიანებით მივიღე. დამნაშავეა ფოსტა, რომელიც, როგორც ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ძლიერ ცუდად მუშაობდა გასულ კვირაში.

მეკითხებით, რა აზრისა ვარ ყოველივე იმაზე, რაც მოხდა: ჰოდა აი! ყოველივე ეს მეტად უაზროა. ვხედები ბევრ გაკვირვებულ პირს, სასიეროა მათი დანახვა! გულწრფელად ვტკბები, როცა ესოდენ დამხობილ პატივმოყვარეობას ვხედავ. არ ვიცი, სასარგებლო იქნება თუ არა ხელოვნებისათვის მმართველობის ახალი ფორმა და აქედან გამომდინარე სოციალური მდგომარეობა. აი საკითხი რა არის! ძნელია წარმოიდგინო უფრო ბურჟუაზიული ან უფრო არარა რაიმე. ხოლო უფრო სულელური განა შეიძლება?

ძალიან მოხარული ვარ, რომ შენი დრამა ამ ამბების გამო მოიგებს. კარგი დრამა ერთ მეფედ ღირს. მე ჩამოვალ, რათა ტაში დავუკრა მას პირველ წარმოდგენაზე. იქ მნახავთ. ბეჯითად და გულითადად მივესალმები.

რა საჭიროა მუდამ ლაპარაკი დიუ კანსა და მის წყენაზე, საფუძვლიანია იგი თუ არა? უნდა გაიგოთ, რომ ეს დიდი ხანია მომბეზრდა. თქვენი ჩიუტობა, პირველ წანებში რომ მხოლოდ ულამაზო იყო, ახლა უკვე სასტიკი გახდა.

რა საჭიროა აგრეთვე ამხელა შესავალი, რომ ახალი ამბავი მაცნობოთ? შეგეძლოთ თავდაპირველადვე გეთქვათ იგი და ამდენი არ გელაპარაკნათ. არ შეგაწუხებთ ამაზე ჩემი მოსაზრების გამოთქმით და არც იმ გრძნობებს გაგიმხელთ, რაც მან გამოიწვია. მეტად ბევრი რამ იქნებოდა სათქმელი. მებრალებით, ძლიერ მებრალებით. ვიტანჯებოდი თქვენ მაგიერ, უკეთ რომ ვთქვა,

<sup>1</sup> მეფე ლუი-ფილიპეს ტახტიდან ჩამოგდება და რესპუბლიკის გამოცხადება :848 წლის თებერვალს.

ყველაფერს ვგრძნობდი. თქვენ გესმით, არა? მე ხომ ხელოვანს ველაპარაკები!

რაც უნდა მოხდეს, ჩემი იმედი გქონდეთ. მიწერ-მოწერა რომ კიდევაც შევწყვიტოთ, კიდევაც რომ ერთმანეთს აღარ შევხვდეთ, ზევნ შორის მაინც დარჩება წარუხმოცილი კავშირი, წარსული, რომლის კვალიც ბუდამ იარსებებს.

ჩემს საშინელ პიროვნებას, როგორც მეტად თავაზიანად ბრძანებთ, არ შეუძლია გამიქარწყლოს რიგიანობის გრძნობა ან, თუ გნებავთ, ადამიანობა. ოდესმე, შესაძლებელია, შეიგნებთ ამას. ინანებთ, რომ ესოდენი წაყენა და მწუხარება მომაცუნებთ.

მშვიდობით, გოცნით.

თქვენი.

დედას

სამშაბათი საღამო, 1849 წ., 4 დეკემბერი.

რა მშვენიერი დღეა დღეს. საყვარელო დედა: შენი ოთხი წერილი მივიღე. ერთად მიღებულმა დასტამ სიხარულით ამავსო. დღეს ნაშუადღევს მომხიბვლელი სეირნობა მოვაწყვეთ ხალიფების საფლავებისაკენ. ეს არის ვრცელი ვაკე ქაიროს მიდამოებში, ჯვაროსანთა ლაშქრობის აუარებელი მეჩეთებით სავსე. გვერდით უდაბნოა, ჩვენ წინ ქაირო და მისი ძეგლებია, იქით კი ნილოსის მინდვრები და თვით მდინარე, თეთრი იალქნებით მოჩითული. ყოველკანჭოზე ორი გადაჯვარედინებული იალქანია და ნავი ჰგავს მერცხალს, ორი უზარმაზარი ფრთით მიმქროლავს. ცა სრულიად ლურჯია, ირაობენ ქორები, მიიზღაზნებიან აქლემები და ნახევრად დანგრეული მინარეთების კოშკურებიდან, რომელთა ქვებისიძველეს ისე დაუღრღნია, როგორც ვირთაგვები ღრღნიან ქსოვილს, მოჩანან მწერებივით მლოლავი ადამიანები და ცხოველები: ჰაერი გამჟვირვალეა და სინათლე ისეა გაღვრილი, როგორც სითხე. საგნების ზედაპირში რომ აღწევს.

ახლა ჩემამდე მოაღწია შენმა ამბებმა და ვამთავრებ წერილს. ზეგ მოვაწყობთ მცირე ექსკურსიას ქაიროს მიდამოებში. მშვიდობით, მილიონჯერ გეამბორები.

## ლუი ბუილეს

კონსტანტინოპოლი, 1850 წ., 14 ნოემბერი.

რომ შემეძლოს მოგწერო, თუ რას ვფიქრობ მთელს ჩემს მოგზაურობაზე, ესე იგი ავიღო კალამი და კვლავ წარმოვიდგინო ყველაფერი, რაც თავში მომდის და რაც მაიძულებს წამოვიძახო: „აი ამაზე მივწერ მას“, მაშინ იქნებ მართლაც საგულისხმო წერილები მიიღო. მაგრამ გაგონილა? ყველაფერი ქრება, როგორც კი მაგიდას მიეუჯდები. რა გაეწყობა, ავიღოთ ყველაფერი, რაც ჩანგალს წამოეგება.

უწინარეს ყოვლისა, კონსტანტინოპოლზე, სადაც გუშინ დილით ჩამოველ, დღეს არაფერს არ ვიამბობთ იმის მეტს, რომ გამოცა ფურიეს აზრებმა: მომავალში იგი მსოფლიოს დედაქალაქი იქნებაო. ეს, მართლაც, გრანდიოზული რამეა კაცობრიობის თვალსაზრისით. საკუთარი არარაობის გრძნობა, რაც პარიზის პირველად ნახვისას გიპასუხებს, აქ პირდაპირ გამსჭვალავს, როცა შენ გვერდით არიან ესოდენ უცხო ადამიანები, სპარსელი თუ ინდუსი, ამერიკელი თუ ინგლისელი, ამდენი სხვადასხვა ინდივიდუალობა, რომელთა წარმოუდგენელი რაოდენობა შენს ინდივიდუალობას თრგუნავს. და შემდეგ, ეს რა ვეება ქალაქია! ქუჩებში შეიძლება გზა დაგებნეს, ვერ ხედავ ვერც თავსა და ვერც ბოლოს. შიგ ქალაქში მთელი სასაფლაოებია. რამდენ სახლსა და მეჩეთს ხედავ გალატის კოშკიდან (გვერდით და მათ შორის კი ბოსფორი ოქროს რქაა, გემებით გაქედილი) სახლებიც შეიძლება გემებს შეადარო; თითქოს უძრავი ფლოტია, მინარეთები კი მალალი გემების ანძები (ოდნავ აბურღული ფრაზაა, მაგრამ არაფერია).

ხვალ მივიღებ ლურჯ ფურცელ ქაღალდს, რომელზეც ოქროს ვარაყით იქნება დაწერილი შენი სახელი **ლუი ბუილესი** (ასე



ვამოთქვამენ თურქები); ეს იქნება შენი ოთახისათვის განკუთვნილი საჩუქარი. როცა მარტოობის დროს შეპხედავ მას, გაგახსენებს, რომ მოგზაურობაშიც კი არ მავიწყდებოდი. მოკშორდით „გაიძვერებს“ (გადამწერლებს), რომლებსაც ვედავებოდი ქალაღღზე, ორნამეტაციანზე, აღნიშნული წარწერის ფასზე და წავედით, ბაიაზეთის მეჩეთის მტრედები გვეკეება. ეს ფრინველები ასობით ცხოვრობენ მეჩეთის ეზოში. მათთვის საკენკის მიცემა კეთილმორწმუნეობის საქმედ მიაჩნიათ. როცა მიხვალ, ისინი ჩამოფრინდებიან მეჩეთის ყოველი მხრიდან, ლავგარდანებიდან, სახურავიდან, სვეტების კაპიტლებიდან. ნავსადგურში თავიანთი მოშინაურებული ფრინველები ჰყავთ. გემებსა და ნავეებს შორის დაფრენენ, ან ტალღებზე ისვენებენ ჩვამები. სახლთა სახურავებზე ყანჩების ზამთრობით ცარიელი ბუდეებია. სასაფლაოებზე მშვიდობიანად ძოვენ თხები და სახედრები, ღამით კი აქ მოდიან თურქი ქალები ჭარისკაცებთან პაემანზე.

რა მშვენიერია სასაფლაო აღმოსავლეთში! მას არ აქვს ის მეტისმეტად გამაღიზიანებელი იერი, რაც, ჩემი აზრით, ჩვენს სასაფლაოებს სჩვევიათ: არც კედელი, არც თხრილი, არც განკერძობულობა, არც რაიმე ღობე. უეცრად წააწყდები მინდორში ან შუა ქალაქში, სადაც გინდა, ისე როგორც შეიძლება შეხვდე თვით სიკვდილს, სიცოცხლის გვერდით, ყურადღების მიუქცევლად. სასაფლაოზე ისე დადიან, როგორც ბაზარში. ყველა საფლავი ერთნაირია, ერთი მეორისაგან განირჩევა მხოლოდ სიძველით. გარნა დაძველებულნი მიწაში იძირებიან და ქრებიან, როგორც მოგონება მიცვალებულზე. აქ დარგული კიპაროსები ძალიან მაღალი იზრდება. ეს პეიზაჟს მშვიდობით აღსავსე მწვანე იერს ანიჭებს. კონსტანტინოპოლის ხედებზე ქემშაბრითად შეიძლება ითქვას: აი ხედი! აჰ, რა სურათია!

რასა იქმს შენი მუზა? მეგონა, აქ დამხვდებოდა შენი წერილი და წერილში ლექსები. ან გეგმები ჩინეთზე? რას კითხულობ? ძალიან მსურს შენი ნახვა.

ჩემზე კი ვიტყვი: სრულიად არაფერი არ ვიცი, რა მემართება! ზოგჯერ თავს განადგურებულად ვგრძნობ (არასაკმაოდ ძლიერი გამოთქმა), ზოგჯერ „ლიმბური“ სტილი (გაურკვეველი მდგომარეობის შეგრძნება) მეწვევა და თავბრუდამხვევი მხურვალეებით მივლის ტანში. მერმე ამას კვლავ სულით დაცემა მოსდევს. ძლი-

ერ ცოტას ვფიქრობ, ოცნება შემთხვევითია. ვაკვირდები აქაურ შორალს. ვსწავლობ ეტიკეტს. არასოდეს წარმომედგინა მოგზაურობის ეს მხარე. ფსიქოლოგიური, ადამიანური, სასაცილო უხვად მხვდება. უამრავ სანახაობას წააწყდები: ცხოვრების აზიზილ-პიპილებულ, თვალის დამატყვევებელ სურათებს, ქუჩუიანი ნაშეფეთ გათხუპნული ნაჭრებითა და ნაქარგით რომ არის შეკერილი. არსებითად კი ყველგან იგივე ძველი საქაგლობაა, ურყევი, ურღვევი. აი საფუძველი. აჰ, როგორ გეცემა ეს თვალში!

ხანდახან, როცა ქალაქებში გაზეთს გადავშლი ხოლმე, მგონია რომ, ჩვენი გზა გამოირკვა. უკვე ვულკანზე კი არ ვცეკვავთ, არამედ ფეხსადგილის გვარიანად შემპალ ფიცარზე. ფიქრია იმაზე, რომ ეს საკითხი უნდა შევისწავლოთ, ძალიან მაინტერესებს, როცა დავბრუნდები, სოციალისტებს დავეძგერები და დრამატული ფორმით შევქმნი ძალიან უხეშ და, რა თქმა უნდა, მიუყერძობელი ფარსის მსგავს რამეს. ენის წვერით უკვე ვგრძნობ სიტყვებს და თითების წვეროებით კი—კოლორიტს. არის ბევრი სიუჟეტი, რომლებიც გეგმის თვალსაზრისით უფრო ნათელია, მაგრამ ისინი იმდენად არ იჩქარიან გამოვლინებას, როგორც ეს.

რაც შეეხება სიუჟეტებს, ახლა ისინი სამია ან, შესაძლებელია. სამი ერთად იქცეს, რა ძლიერ საწყენია: 1) „დონ-ჟუანის ღამე“, რაც როდოსის ლაზარეთში მოვიგონე; 2) მოთხრობა „ანუბისი“ ქალზე, რომელიც ღვთის სიყვარულზე ოცნებობს; ეს ხარისხით უკეთესი იქნებოდა, მაგრამ დიდი სიძნელე ახლავს; 3) ჩემი ფლამანდური რომანი მისტიკურად განწყობილ ქალიშვილზე, რომელიც უბიწო კვდება მშობლების თვალწინ პროვინციულ ქალაქში: იქვე არის კომბოსტოს ბოსტანი, გახსლული ხეხილის ბაღი და პატარა მდინარე ჩვენი რობეკის ოდენა. მაწვალებს სამივე ამ ჩანაფიქრის იდეური მსგავსება. პირველშია დაუქმყოფილებელი სიყვარული მიწიერი სიყვარულისა და მისტიკური სიყვარულის ფორმით. მეორეში იგივე ამბავია, მხოლოდ აქ გმირი ქალი ფარ-ხმალს ჰყრის და მიწიერი სიყვარული ესოდენ ამაღლებული არ არის, რამდენადაც გაცილებით გარკვეულია. მესამეში ეს ორი ფორმა გაერთიანებულია ერთ პიროვნებაში, მაგრამ გმირი ქალი კვდება რელიგიური ეგზალტაციის მდგომარეობაში, რაკი განიცადა ხორციელი ეგზალტაცია. ვაგლახ! თუკი ასე ოსტატურად უკეთებ ოპერაციას ჯერ არშობილ ბავშვებს, მაშინ იქნებ

ვერც კი გააჩინო ისინი ვერასოდეს. მაშინებს ის, რომ ზიზღით ვეპყრობი მეტაფიზიკას. მგონი საჭიროა გავთავისუფლდე მისგან ეგრძნობ, რომ თავი უნდა შევიზღუდო. დაწყნარებული ცხოვრებისათვის მინდა შევიმუშაო აზრი საკუთარ თავზე, უკანასკნელი აზრი, რაც ხელს შემიწყობს სწორად გავანაწილო ჩემი ძალები. სანამ მუშაობას შევეუდგებოდე, უნდა ვიცოდე, როგორია ჩემი ნაკვეთი და სად არის მისი საზღვრები. ჩემი ლიტერატურულ-მდგომარეობის შესახებ, როცა მას შიგნიდან ვუცქერი, იმასვე ეგრძნობ, რასაც ჩვენი ასაკის ადამიანები გრძნობენ, თუმცა ცოტათი, სოციალურ ცხოვრებაზე: „ეგრძნობ თვითგამორკვევის საჭიროებას“.

სმირნაში წვიმიანი ამინდის გამო, ვერსად წავედით და „არტურის“ ბიბლიოთეკიდან გამოვიტანე ევენ სიუ; გულს მირეეს, არ ვიცი, რა ვუწოდო. წაიკითხავ და ინანებ ფულზეც, წარმატებაზეც და საზოგადოებაზეც. კლეჟიანი ლიტერატურა: ახველებს და აფურთხებს, თავის ჩირქოვან მუწუქზე კი სურნელოვანი საღბუნი დაუდევს და ისე გამალებით ივარცხნის თავს. რომ მთელი თმა დასცვივნია. ხელოვნებას თავისი ქრისტე ესაჭიროება ამ კეთროვანის განსაკურნებლად.

ანტიკურობის წირვა გამოსულია, შუასაუკუნეთა აგრეთვე, რჩება თანამედროვეობა. მაგრამ ირყევა თვით საძირკველი. სადღა მოვძებნოთ საძირკველი საფუძვლისათვის? გარნა მხოლოდ ამ ფასად შეიძლება მოვიპოვოთ სიცოცხლის უნარი, მაშასადამე, ხანგრძლივი არსებობაც. ასეთი კითხვები ისე მაშფოთებენ, რომ ვერიდები მათზე ლაპარაკს. ხანდახან ეჭავრობ, როგორც განთავისუფლებული კატორღელი, როცა მასთან გამასწორებელ ღონისძიებებზე ლაპარაკობენ, ეჭავრობ განსაკუთრებით მაქსიმეზე, მკაცრ კაცზე, ვისაც არცთუ ისე ეხერხება გამხნეება, მე კი მეტად მესაჭიროება გამხნეება. მეორე მხრივ, ისე როდი ამილია ხელი პატივმოყვარეობაზე, რომ მხოლოდ წასაქეზებელი პრიზების იმედი მქონდეს.

ეს არის გადავიკითხე მთელი „ილიადა“. ორიოდ კვირის შემდეგ მოკლე ხნით მოვინახულე ტროას. იანვარში ვიქნებით საბერძნეთში, საწყენია, რომ ასეთი უვიცი ვარ. აჰ, ბერძნული ენა რომ მაინც ვიცოდე... დრო კი ამდენია დაკარგული!

მშვიდობამ განმიტევა მე!

ვინც მგზავრობაში შეინარჩუნებს ისეთსავე პატივისცემას საკუთარი თავისადმი, როგორც ჰქონდა, როცა თავის კაბინეტში იჯდა და ყოველდღე სარკეში იცქირებოდა, ის ნამდვილად დიდი კაცია ან ნამდვილად შუმი სულელია. არ ვიცი კი რატომ, მაგრამ ძლიერ მორჩილი ვხდები.

აბილოსს რომ ჩავუარე, ბევრი ვიფიქრე ბაირონზე. აი სად არის მისი აღმოსავლეთი, თურქული აღმოსავლეთი. მორკალული ხმლის, ალბანური ტანსაცმლისა და იმ დარკინული ფანჯრის აღმოსავლეთი, ცისფერ ტალღებს რომ გასცქერის. მე კი მირჩევნია ბედუინისა და უდაბნოს გადამწვარი აღმოსავლეთი, აფრიკის, ნიანგის, აქლემის, ყირაფის გადამწვარი აღმოსავლეთი.

ვნანობ, რომ სპარსეთში არ ვყოფილვარ (ფული! ფული!) ვოცნებობ აზიაში მოგზაურობაზე, ჩინეთში ხმელეთით მოგზაურობაზე, შეუძლებელ რამეებზე, ინდოეთზე, კალიფორნიაზე, მუდამ რომ მალეღვებს ადამიანური თვალსაზრისით. ზოგჯერ ისე შემიპყრობს ხოლმე სინაზე, როცა ვფიქრობ ჩემს კაბინეტსა და ჩვენს კვირალღეებზე კრუასეში, რომ ტირილი მინდება, აჰ! როგორ ვინანებ ჩემს მოგზაურობაზე, როცა გონებით აღვადგენ მას, ვიმეორებ მარადიულ მონოლოგს: „უგუნურო, საკმაოდ ვერ დატკბი მით!“

საჭირო იქნება კვლავ მოვკიდო ხელი აგენორს.<sup>1</sup> რა თქმა უნდა, კარგი იქნება! ამას წინათ, ცხენით დავესვირნობდი და ხმამალა გავიმეორე რამდენიმე მუხლი და გულიანად ავხარხარდი. ეს ნაწარმოები შესაფერისი სამუშაო იქნება იმისათვის, რომ გავერთო დაბრუნების შემდეგ და განვიქარვო სამშობლოსთან შეყრის მოწყენილობა. ვფიქრობ აგრეთვე „ლექსიკონზე“. კარგი მასალის მოცემა შეუძლია მედიცინას, ბუნებისმეტყველებას და სხვ. აი, მაგალითად, მეტად გონებამახვილური რამ ზოოლოგიიდან. ლანგუსტა. რა არის ლანგუსტა? ეს არის დედალი კიბო — ომარი.

რატომ დამამწუხრა ასე ძლიერ ბალზაკის გარდაცვალებამ? მუდამ სამწუხაროა იმ კაცის სიკვდილი, ვინც აღტაცებას იწვევდა. იყო იმედი შემდგომში გავცნობოდი და მისი სიყვარული დამემსახურებინა. დიად, ის იყო ძლიერი კაცი, ვინც მაგრად ჩასწვდა თავის ეპოქას. ქალები ჩინებულად შეისწავლა, მოკვდა კი ის —

<sup>1</sup> ფლობერის დაუმთავრებელი ტრაგედია.

იყო ცოლშერთული, ამასთან, მაშინ, როცა ბოლო ეღებოდა იმ საზოგადოებას, რომელსაც ასე იცნობდა. ლუი-ფილიპესთან ერთად წავიდა ისეთი რაღაც, რასაც დაბრუნება აღარ უწერია. ახლა საქირთა სხვა სიმღერა.

რატომ მომივლის ხოლმე მელანქოლიური სურვილი დავბრუნდე; ეგვიპტეში, ავყვე ნილოსს და კვლავ ვიხილო რუშიუჟ-ხანემი?.. განა სულ ერთი არ არის? იქ გავატარე ისეთი საღამო, მართლაც რომ ღირს. ვნანობ, რომ შენ იქ არ იყავ, ძველო!

მგონი, საინტერესოს ვერაფერს გეუბნები! მეძინება, ხვალ კი გელაპარაკები ცოტას მოგზაურობაზე, ეს უფრო საინტერესო იქნება შენთვის, ვიდრე ჩემი მუღმივი მე, რითაც თვითონაც საკმაოდ დავილაღე.

### მაქსიმ ღიუჟანს

კრუასე, 1852 წ., ივლისის დამდეგი.

### ჩემო ძვირფასო!

მაწუხებს შენი ამბავი, რომ გულნატკენი ყოფილხარ. სულაც არ მინდოდა მომეწერა საწყენი წერილი, პირიქით, ვცდილობდი, რომ იგი სრულიად უწყინარი ყოფილიყო. რამდენადაც კი შეიძლებოდა, სიუჟეტის ფარგლებში ვიყავი, როგორც რიტორები ამბობენ.

მხოლოდ რატომ-მუდამ იმეორებ გაცვეთილ ქეშმარიტებას და უწესებ რეჟიმს ისეთ კაცს, რომელსაც სრულიად ჯანსაღის პრეტენზია აქვს? შენი წუხილი ჩემ გამო სასაცილოდ მიმაჩნია. განა მე გგმობ იმისათვის, რომ ცხოვრობ პარიზში, ბუქდავ შენს ნაწარმოებთ და სხვ.? ხოლო, როცა გინდოდა სოფლად დასახლებულიყავ ჩემს მეზობლად, განა მოგიწონე ეს გეგმა? განა როდისმე მიჩივია შენთვის ისე გეცხოვრა, როგორც მე, და ცხოვრებაში ისეთი მარჯვესთვის, როგორიც შენა ხარ, მერჩია: „საყვარელო მეგობარო, არ უნდა ჰამო ესა თუ ის, უნდა ჩაიცვა ასე, უნდა იარო აქ ან იქ და სხვა?“ ყველას—თავისი. ყველა მცენარე

ერთნაირ მოვლას როდი მოითხოვს. თანაც, რაც უნდა ვეცადოთ, შენ პარიზში, მე კი აქ, თუ ბედნიერ ვარსკვლავზე არ ვართ დაბადებულნი და მოწოდება არ გვაქვს, სულ ერთია, არაფერი არ გამოვა, გარნა თუ ყოველივე ეს გაგვაჩნია, მაშასადამე, დარჩენისათვის ზრუნვა საჭიროც არ არის.

ნუ გენაღვლება, ყველაფერი, რაც შეგიძლია მითხრა, კარგი იქნება თუ ცუდი; აუგი თუ ქება, უკვე მითქვამს ჩემი თავისთვის. ამრიგად, ყველაფერი, რაც უნდა დაუმატო, იქნება მხოლოდ იმ მრავალი მონოლოგის განმეორება, რომელიც ზეპირად ვიცი.

თუმცა ერთი სიტყვა კიდევ. მე უარვყოფ იმ განახლებას, რასაც ლიტერატურაში შენ იუწყები. დღემდე არ შემხვედრია არც ერთი ახალი კაცი, არც ერთი ორიგინალური წიგნი, არც ერთი გაუცვთელი აზრი (ისევე, როგორც წარსულში, ყველანი კუდში მისჩანჩალებენ მეესტროებს). ყველა განიცდის გაცვეთილ ჰუმანიტარულ და ესთეტიკურ იდეებს. არ უარვყოფ თანამედროვე ახალგაზრდობის მისწრაფებას შექმნას სკოლა, მხოლოდ არ ვენდობი მას. იქნებ ვცდები, მათდა საბედნიეროდ? თუ ვცდები — ვისარგებლებ აღმოჩენით!

რაც შეეხება ჩემს სამწერლო პოსტს, ხალისით გითმობ მას, ილიაში ვიჩრი თოფს და ეტოვებ ჭიხურს. განსაკუთრებულ პატივს ვერ ვხედავ ასეთ წოდებასა და ასეთ მისიაში. მე უბრალო ბურჟუა ვარ, ვცხოვრობ განმარტოებულად სოფელში, ვლიტერატორობ და ადამიანთაგან არ მოვიტხოვ არც აღიარებას, არც მადლობასა და არც პატივისცემას. მათ მშვენივრად შეუძლიათ იოლას გავიდნენ უჩემოდ. სამაგიეროდ, მოვიტხოვ მათგან, რომ არ მომიწამლონ არსებობა. აი რატომ ვარ განმარტოებული.

რაც შეეხება იმას, რომ დავეხმარო მათ, არასოდეს არ მოვაკლებ პრავეთარ დახმარებას. მზად ვარ წყალში გადავვარდე, თუ საჭირო იქნება ერთი კარგი ლექსის ან კარგი ფრაზის გადარჩენა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მისი ავტორი. არა მგონია ვესაჭიროებოდე კაცობრიობას. ისე როგორც იგი არ მესაჭიროება.

გამოცვალე კიდევ ეს იდეაც, სახელდობრ: თუ მე მარტო ვარ, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კმაყოფილი ვარ საეკუთარი თავისა. აი, როცა კმაყოფილი ვიქნები. გამოვალ ჩემი სახლიდან, სადაც გამხნევებით არც თუ ძლიერ მანებებებდ-

ნენ. შენ რომ შეგეძლოს ჩემს ტვინში ჩახედვა, მიხვდებოდი, რომ საშინელი რამ მომწერე.

თუ სინდისმა გიკარნახა ასეთი რჩევა მოგეცა ჩემთვის, მაშინ კარგად მოქცეულხარ და მადლობელი ვარ განზრახვისათვის. მაგრამ მგონია, რომ სინდისს განავერცობ სხვებზე. და ამ კარგ ლუის<sup>1</sup>, ისე როგორც უსაყვარლეს თეოს<sup>2</sup>, რომლებსაც უზიარებ სურვილს — გამიკეთოთ პარიკი ჩემი მელოტისათვის, ფეხებზე ჰკიდიათ ჩემი ჩვეულებანი ან, ყოველ შემთხვევაში, სრულიადაც არ ფიქრობენ მათზე. მათ იციან, რომ „საბრალო ფლობერი მელოტია“, გარნა მეეჭვება, რომ ეს მათ აწუხებდეთ. ეცადე ისე მოიქცე, როგორც ისინი, იხმარე ღონისძიება ჩემი ნაადრევ მელოტობისა და გამოუსწორებელი დახვეწებულობის წინააღმდეგ. იგი ქერქავით მაგარია და ფრჩხილებს დაიმტკრევე, ფრჩხილები კი უფრო აღვილი სამუშაოსათვის გამოგადგება.

ჩვენ სხვადასხვა გზით მივდივართ, სხვადასხვა ნავით მივცურავთ. ღმერთმა იქ მიგვიყვანოს, სადაც თითოეულ ჩვენგანს სურს, მე ღია ზღვას ვეძებ და არა ნავსაყუდელს. თუ ზღვაურში დავიღუპო, შეგიძლია არ დამიტვირო.

შენი გ. ო

## ლუიზა კოლეს

კრუასე, სამშაბათი, 1852 წ., 6 ივლისი

მოცლილობის დროს გადავიკითხე შენი უკანასკნელი გრძელი წერილი, მოთხრობა მთვარიან ღამეში სეირნობაზე. პირველი უფრო მომწონს ყოველი მხრივ, როგორც ფორმით, ისე არსებითად. შენს არსებაში მოხდა რაღაც, რამაც შეგაცბუნა, ხომ? მიუხედავად იმისა, რომ დაუდევრად ეპყრობი ამ ალტყინებას, მან ერთ ხანს მაინც აგიფორიაქა სული. შეცდომა იქნებოდა შენი მხრივ, ძვირფასო ლუიზა, გეფიქრა, თითქოს გასაყვედურობდე. შეიძლება შე-

<sup>1</sup> ლუი — ლუი კორმენენი:

<sup>2</sup> თეო — თეოფილ გოტიე.

ნი მოქმედების ბატონ-პატრონი იყო, მაგრამ გრძნობებს კი ვერ ვუბრაძანებთ. მაგრამ მე მგონია, რომ მასთან აღარ უნდა ისეირნო. ვთქვათ, ამას გულუბრყვილობით შერები, მაგრამ მე მის ადგილას გავიჭავრდებოდი. მას უფლება აქვს კოკობზიკად ჩავთვალოს.

ტრივიალური ადამიანები ფიქრობენ, რომ მთვარიანში მამაკაცთან იმიტომ კი არ სეირნობენ, რომ მთვარის ცქერით დატყბნენ. სენიორ დე მიუსე კი მეტად ტრივიალური ვინმეა და მისი პატივმოყვარეობა უაღრესად მეშინაურია. მე არ გეთანხმები, რომ იგი ყველაზე მეტად ხელოვნების ნაწარმოებთ გრძნობს; ყველაზე უკეთ იგი საკუთარ ვნებას გრძნობს. მიუსე უფრო პოეტია, ვიდრე ხელოვანი, ხოლო ამჟამად მის არსებაში ჭარბობს კაცი და ამასთან უბადრუკი კაცი.

მიუსე არასოდეს არ განაშორებდა პოეზიას შეგრძნებისაგან, რაც მას ავსებს. მუსიკა, მისი აზრით, შექმნილია სერენადებისათვის, ფერწერა პორტრეტებისათვის, პოეზია კი — გულის დატყბობისათვის. ასე, ყოველი, ვინც მოიწადინებს მზეს შარვალი ჩააცვას. შარვალს დაწვევს, მზეს კი დაასველებს. აი ასე მოუვიდა მიუსეს. ნერვები, მაგნეტიზმი, აი რა არის პოეზიას, არა, მას უფრო ნათელი საფუძველი აქვს. პოეტად გახდომისათვის რომ საკმაო ყოფილიყო მგრძნობიარე ნერვები, მე ჰომეროსსა და შექსპირს ვაჯობებდი, ისინი კი მე ნაკლებ ნერვიული ადამიანები მგონია. ცნებათა ასეთი არევა მკრეხელობაა. ამას გაბედულად ვამტკიცებ, რადგან უნარი მაქვს გავიგონო, რასაც დაკეტილ ოთახში ჩურჩულით ამბობენ ჩემგან ოცდაათ ნაბიჯზე; რადგან სულ მითრთის ყოველი ძარღვი და ზოგჯერ ერთი წამის მანძილზე ჩემს ტვინს მსჭვალავს ათასობით ფიქრი, სახე და ყოველგვარი კომბინაცია, ნამდვილ ფეიერვერკად რომ აბღღვრივალდება იქ. გარნა ყოველივე ეს მხოლოდ ლამაზი თემებია საუბრისათვის, და ისინი გვაღელვებენ. პოეზია სულის უძღურება როდია, რაც ასეთ ნერვიულობას სჩვევია; მეტისმეტი მგრძნობიარება სისუსტეა. ამას ახლავე აგიხსნი.

უფრო ჭანსალი ტვინი რომ მქონოდა, ავად არ გავხდებოდი იმის გამო, რომ ვსწავლობდი სამართალს და მოწყენილი ვიყავი, ჩემი მეცადინეობისაგან სარგებლობას მივიღებდი და არა ზიანს. ტკივილი თავს მოშორდა და მთელს სხეულში გაიბნა, კრუნჩხვით შეკუმშა იგი. ეს იყო სწორედ დამახინჯება.



არიან ისეთი ბავშვები, რომლებსაც მუსიკა ავადმყოფურ შეგრძნებას აღუძრავს ხოლმე. ისინი დიდად არიან მისდამი განწყობილნი, ერთი მოსმენით იმახსოვრებენ მელოდიას, აღიგზნებიან ხოლმე პიანინოს დაკვრის დროს, გული აუძგერდებათ, ფერი ეკარგებათ, მკლევდებიან და, ბოლოს, ავად ხდებიან. მათი განაწამები ნერვები ტანჯვით იკვანძებიან მუსიკის გაგონებისას. ესენი მომავალი მოცარტები არ არიან. მათმა მოწოდებამ ადგილი გადაინაცვლა; იღუა ხორცს შეერწყო და უნაყოფო გახდა, ხორცი კი ჩამოხმა. ხოლო შედეგად— არც გენიალობა და აღარც ჯანმრთელობა: ასევეა ხელოვნებაში; ვნება ლექსებს როდი ქმნის და, რამდენადაც მეტია პიროვნული ჩვენს შემოქმედებაში, იმდენადვე უფრო სუსტი ვართ. ჩემი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ ჩემს ნაწერებში მუდამ საკუთარ თავს ვათავსებდი.

მაგალითად, წმინდა ანტონში ჩემი თავი ავსახე, ცთუნება ეხებოდა არა მკითხველს, არამედ მე. რამდენადაც ნაკლებ გრძნობ საგანს, მით უფრო მეტი უნარი გაქვს დახატო იგი ისეთი, როგორც არის ნამდვილად (როგორც არის მუდამ. თავისთავად, ყოველგვარი შემთხვევითობის აღუნიშნავად, მაგრამ უნდა შეგეძლოს იგრძნო იგი: ეს ნიჭი არის უნარი დაინახო, თვალწინ გქონდეს მოდელი, რომელსაც უცქერ. აი რატომ მეზიზღება სალაპარაკო პოეზია, სალაპარაკო ენის პოეზია. არის ისეთი საგანი, რომლისთვისაც სიტყვა არ არსებობს, საკმაოა დანახვა. გულისნადების გადაშლა, ლირიზმი, აღწერილობა, ყველაფერი უნდა გამოიხატოს სტილით, თორემ გამოვა ხელოვნებისა და თვით გრძნობის პროსტიტუცია. ეს არის ერთგვარი მორცხვობა, რაც მუდამ მიშლიდა ხელს არშიყობაში. როცა ენაზე მომადგებოდა პოეტური ფრაზა, მეშინოდა, არავინ იფიქროს-მეთქი: „აი ნამდვილი შარლატანი!“ და ეს შიში, მართლაც შარლატანი არ აღმოვჩნდე-მეთქი, ყოველთვის მაჩერებდა. ამასთან მაგონდება 1-ნი კლოკე: რაკი სურდა დაემტკიცებინა ჩემთვის, თუ რარიგ უყვარს თავისი ქმარი და როგორ წუხდა, როცა იგი ავად იყო ხუთ თუ ექვს დღეს, საფეთქელზე თმა აიწია, ორი თუ სამი ღერი ჭაღარა მიჩვენა და მითხრა: „სამი უძილო ღამე ვათიე, მთელ სამ ღამეს ვუველიდი“. ოჰ, რა თავდადება! ასეთივე ცომისაგან არიან ისინი შექმნილნი, ვინც ლაპარაკობს გამქრალ სიყვარულზე.

დედის ან მამის საფლავზე; ისინი, ვინც მედალიონებს ეამბორებდა, ქვითინებს, როცა მთვარეს უცქერის, სინაზით ბნდება ბავშვების დანახვაზე, ხოლო თეატრში ან ზღვის ნაპირზე ჩაფიქრებულ პოზას იღებს. თვალთმაქცები! თვალთმაქცები! ტაკიმასხარები! სამგზის მასხარები, რომელთაც საკუთარი გული ტრამპლინად გაუხდიათ სხვადასხვაგვარი მიღწევისათვის.

მე გავლიე მშფოთვარე დროება, სანტიმენტალობის დროება და დღემდე ვატარებ მის სამარცხვინო დამლას, ვით კატორღელი. ახლა კი ჩემი დამწვარი ხელით უფლება მაქვს ვწერო, თუ როგორი იყო ცეცხლი, რომელმაც იგი დამწვა. შენ მაშინ გამიცანი, როცა ეს დრო გასული იყო და მოწიფული ვიყავი. მაგრამ ოდესღაც მწამდა რეალობა პოეზიისა ცხოვრებაში, ვნებათა პლასტიკური სილამაზე და სხვ. თანაბრად ვიხრიდი ქედს ყოველგვარი ამოების წინაშე და, გაბრუებული, ვარჩევდი განმარტოებულს მეყვირა.

შემძლო მყვარებოდი შენთვის უფრო სასიამოვნოდ, აღვტაცებულყავ შენი გარეგნული ბრწყინვალეობით და ეს მეკმარა. შენც დიდხანს ესწრაფოდი ასეთ გრძნობას. გარნა, არა, მე თვით არსს ჩაეწვდი. მე ვტკბებოდი არა იმით, რასაც შენ მიჩვენებდი, რაც შეიძლებოდა დაენახა ყველას, რაც საზოგადოებას აოცებდა. მე უფრო შორს წავედი და საგანძური აღმოვაჩინე. კაცი, რომელიც შენი სიყვარულით იყო გატაცებული და გემორჩილებოდა, ჩემსავით როდი შეიტკობდა შენს გულსა და მთელ მის ხვეულებს. ჩემი გრძნობა შენდამი ზაფხულის კანგადატკეცილი ნაყოფი როდია, ოღნავი შერხევით რომ ჩამოვარდება და დაცემით გაიჭყლიტება. ჩემი ნაყოფი მაგრად აბია ტოტს, კანი მაგარი აქვს, როგორც ქოქოსის კაკალს, ან ეკალი ასხია, როგორც ბერბერიულ ლედვს. იგი თითებს კაწრავს, მაგრამ სამაგიეროდ რძეს შეიცავს...

რა მშვენიერი ამინდია, ლუიზა, როგორ ბრდღვიალებს მზე! მე ყველა დარაბა დახურული მაქვს და ჩრდილში გწერ. რა საუცხოო დამეებია! როგორ ქათქათებს მთვარე! თავს კარგად ვგრძნობ ფიზიკურად და მორალურად; იმედი მაქვს, რომ ჩემი, „ბოვარი“ კვლავ ნელ-ნელა წაიწვეს წინ. სიცხე არაყივით მოქმედებს ჩემზე, მახურებს და მაგზნებს.

ველოდები ბუილეს. მაგარი კოცნა, წერილს საღამოს დავლუ-  
ქავ.

შენი გ.

აგრეთვე გიგზავნი შენს სტატიას, რომელსაც ციტატები ამო-  
ვაჭერი.

ბუილეს უკვირს, რომ შენგან არ მიუღია არც წერილი და არც  
„სამშობლო“. რა მოხდა?

აი სტატია. ამ სახით წავა. ეცადე ყოველ შემთხვევაში დაი-  
ბეჭდოს, ისე როგორც სტატია პრადიეზე, თუ ჭერ არ დაბეჭდილა.

### ლუიზა კოლეს

კრუასე, 1853 წ., 12 სექტემბერი,  
ნაშუალაშევის პირველის ნახევარი.

გაჭავრებით, ნაღვლით, დაღლილობით თავი მაქვს გაბრუებუ-  
ლი; ოთხ საათს ვიჭექ და ერთი ფრაზაც ვერ მოვიფიქრე. მთელი  
დღევანდელი დღის განმავლობაში ერთი სტრიქონიც არ დამიწერია,  
ანუ, უკეთ, გადავხაზე ასიოდე სრულიად უვარგისი სტრიქონი.  
რა საზიზღარი სამუშაოა! რა მოსაწყენი! ო, ხელოვნება! ხელოვ-  
ნება! ეს რა ბოროტი ქიშკრია! და რისთვის გვიღრღნის იგი გულს?  
პირდაპირ უგუნურებაა ასე ტანჯვა! ოჰ, ეს „ბოვარი“, დიდ ხანს  
მემახსოვრება! ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ფრჩხილებში და-  
ნის წვერი შემირკვეს, მზად ვარ კბილები ვაკრაჭუნო; განა სი-  
სულელე არ არის? აი სადამდე მივყავართ საყვარელ ლიტერატუ-  
რას. ეს წყლის ნაყვია! ჩემთვის უხამსი სიტუაცია და გაცვეთილი  
დიპლოგი — საცთურის კლდეა. საშუალოზე კარგად დასწერო  
და ამასთან მისი სახეც დაიცვა, საშინლად ძნელია, მე კი თვალ-  
წინ მიდგას სულ ცოტა ოცდაათი გვერდი ასეთი მშვენიება! ძვირი  
გვიჯდება სტილი, ძვირი! ხელახლა ვწერ იმას, რაც გუშინწინ  
დავწერე. გუშინ ბუილემ უსაფუძვლოდ როდი დაიწუნა ორი-სამი  
უხეირო ადგილი. სრულიად უნდა გადაკეთდეს თითქმის ყველა  
ფრაზა.

შენ არ გაითვალისწინე დრო და სივრცე, ძვირფასო, საყვა-

რელო მუზავ! თუ ჟიზორს წავიდოდით, მთელი დღე მატარებელსა და დილიჯანსში უნდა გაგვეტარებინა. მატარებლის შექმნეგაიონიდან ანდელამდგ საჭიროა ერთი საათი და ანდელიდან ჟიზორამდგ სულ ცოტა ორი საათი, ეს შეადგენს ორი პლუს სამი საათი, სულ ხუთ საათს, ამდენივე უკან დასაბრუნებლად, ათი საათი. და ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ერთმანეთთან ორ საათს დავრჩეთ! არა, არა! ექვსი კვირის შემდეგ ნანტში მარტონი ვიქნებით გაცილებით მეტ ხანს (თანაც ძლიერ არ მიყვარს მეგობრები ესოდენ მცირე ხნით), და არ ღირს შეხვედრა მხოლოდ იმისათვის, რომ განშორების სიმწარე იგემო.

ვიცი, რად მიღირს აქეთ-იქით სიარული: ჩემი ახლანდელი ავადმყოფობა ტრუვილის შედეგია. უკვე ვლეღავ ორი კვირით აღრე გამგზავრებამდგ. საჭიროა რაღაც უნდა დამიჯღეს, მუშაობის ხალისი მოვიპოვო, მაშინ ყველაფერი მოეწყობა, სხვანაირად კი სიკვდილია!

დამცირებული ვარ, დასწყევლოს ღმერთმა, საკუთარ თვალში დამცირებული ვარ ჩემი კალმის ჰირვეულობით. საჭიროა მას ისე ეპყრობოდგ, როგორც ცუდ, ჯიუტ ცხენებს დაუჭიმავენ ხოლმე სადავეებს, თითქმის ახრჩობენ და ისინი მაშინ მოითოკებთან ხოლმე.

პარასკევს მივიღეთ ძია პარენის გარდაცვალების ამბავი. დედაჩემი უნდა წასულიყო ნოჟანს, მაგრამ კვლავ ასტკივდა გული და დღეს დაიყარა წურბლები. ეს მე ყოველთვის მაწუხებს. პარენის სიკვდილი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ მისი დაკარგვის სიმწარეს უფრო გვიან ვიგრძნობ. ვიცი ჩემი თავის ამბავი: ყოველი მოვლენა მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს ჩემს სულში, მისმა სიკვდილმა კიდევ უფრო საშინლად გამაღიზიანა, მეტი სიმშვიდე კი ურიგო არ იქნებოდგ, რადგან იგი ზოგჯერ საზღვარს გადადის, რისი ბრალიც ეს საქაგელი „ბოვარია“. მისი ბურჟუაზიული სიუჟეტი გულს მირევს.

აი კიდევ ერთი წავიდა! საბრალო პარენი, ისე ნათლად ვხედავ შესუდრულს, თითქოს მისი ცხედარი, რომელიც იხრწნება, ჩემს საწერ მაგიდაზე იღოს, ჩემ თვალწინ. არ მშორდება ფიქრი მატლებზე, მის სახეს რომ დაღრღნიან. თუმცა მას სამუდამოდ გამოვეთხოვე უკანასკნელი ნახვის დროს. როცა ნოჟანიდან შენთან მოვდიოდი, ვაგონში მარტო ვიყავი. მზიანი დღე იყო. კვლავ

ვხედავდი სოფლებს, რომლებიც საფოსტო ეტლით გაგვივლია არდადეგებზე მთელი ოჯახითურთ, სხვებთან ერთად, ვინც აღარ არის. იგივე ვენახები, იგივე თეთრი სახლები, მტკრიანი გზა. თვლები რომ აქვს ჩარიგებული.

პონტუაზში გასეირნება, რაზეც შენ მწერ, ჩემთვის ცნობილია. მახსოვს, იქ ვნახე ამქვეყნად ყველაზე მომხიბვლელი გოგონა. თავის ძიძას ეთამაშებოდა. მამაჩემმა გასინჯა იგი და უწინასწარმეტყველა, მშვენიერი ქალი იქნებაო. ნეტავ, რა მოუვიდა?.. რა სასაცილოა ყოველივე ეს!.

ქ-ნი ფოსტის დირექტორის ცოლი ლოიზას გეძახის! აი სეირი თუ გინდა! ისღა გაკლია, რომ შენი სახელი „ონით“ დაიწეროს, ურიგო არ იქნება!

სამიოდე დღის წინათ ძია მიშლეს მთელი ტომი წავიკითხე, ეს არის გამოვიდა მისი „რევოლუციის“ მეექვსე ტომი. იქ შეგხვდება დიდებული აზრები, დიადი სიტყვები, სამართლიანი გამონათქვამები, თითქმის სულ ახალი, გარნა არავითარი გეგმა, არავითარი ხელოვნება, ცოტა სინათლე, უფრო ცოტა სიმშვიდე, სიმშვიდე კი დამახასიათებელია სილამაზისა, ისე როგორც უცოდველობას და სათნოებას ახასიათებს სულის სინათლე. სიმშვიდე ღვთის განსახიერებაა.

რა საინტერესო ეპოქაა! დიად. საინტერესო ეპოქაა! როგორ ერთვის სასაცილო საშინელს! ვიმეორებ, აი რას დაეწაფებოდა ხარბად მომავალი შექსპირი. განა შეიძლება მოქალაქე როლანზე უფრო დიდებული იქნეს რამე? ვიდრე თავს მოიკლავდა, ასეთი ბარათი უპოვნეს: „პატივი ეცით სათნო ადამიანის გვამს!“.

მშვიდობით, უკვე გვიანია. ბუხარი ჩაქრა, მცირა. გეხუტები, რომ გავთბე, გოცნი ათასჯერ.

შენი გ.

## ლუიზა კოლეს

კრუსე, 1853 წ., 17 — 18 ოქტომბერი.  
ორშაბათი, ღამის 1 საათი.

დღეს დილით გამოვეთხოვე ბუილეს. ჩემთვის იგი უკვე წასულია. შაბათს დაბრუნდება. ალბათ, კიდევ ერთხელ ან ორ-

ჯერ ვნახავ. მაგრამ ეს ბოლოა, მორჩა ჩვენი კვირის შეხვედრები. მე ახლა მარტო დავრჩები, მარტო, მარტო. მაწუხებს ნალველი, შეურაცხმყოფს უძლურების შეგრძნება. „სასოფლო-სამეურნეო გამოფენა“ ძირითადად უნდა გადავკეთო, ესე იგი მთელი სასიყვარულო დიალოგი, სადაც მხოლოდ შუამდე მივედი. აზრები არ მყოფნის. ტყუილ-უბრალოდ ვიმტკრევ თავს, ვიქექები გულში, გრძნობებში, არაფერი არ გამოდის. მთელ დღეს დავეხეტებოდი. კაბინეტში, არ შემეძლო დამეჭირა არათუ თუნდაც ერთი სტრიქონი, არამედ მიმეგნო თუნდაც ერთი აზრისა ან მოძრაობისათვის. სიცარიელე, აბსოლუტური სიცარიელე!

ეს წიგნი ამჟამად უფრო ისე მაწვალებს, (უფრო ძლიერ გამოთქმას ვიხმარდი, რომ მოვიგონებდე), რომ ზოგჯერ ფიზიკურად ვიტანჯები. აი აგერ სამი კვირაა ვგრძნობ ტკივილს, რისგანაც თითქმის ვკარგავ გონებას. ხანდახან ვფიქრობ, გული ამერევა და აი აგერ, მაგიდაზე წამაღებინებს-მეთქი. მგონი, კმაყოფილებით ჩამოვიხრჩობდი ახლა თავს, სიამაყე რომ არ მიშლიდეს ხელს. ზოგჯერ დამეუფლება ცთუნება, ჯანდაბას მივაგდო ყველაფერი, უწინარეს ყოვლისა კი ბოვარი. აი წყეული იდეა, ხელი მოჰკიდო ასეთ სიუჟეტს! აჰ, ვეცნობი ხელოვნების მთელს საშინელებას!

კიდევ ორ კვირას ვაძლევ ჩემს თავს, რომ ამას მოვრჩე. თუ ამ ხნის განმავლობაში კარგი არაფერი იქნა, გაურკვეველი დროით მივაგდებ რომანს მანამდე, სანამ არ ვიგრძნობ წერის საჭიროებას. ხალისით მოგინახულებდი ახლა, მაგრამ ისე გაღიზიანებული, ისე გამაღიზიანებელი და მობუზღუნე ვარ, რომ ჩემი სტუმრობა მოსაწყენი იქნებოდა. დალახვროს ღმერთმა, რა ავი ვარ!

მიუხედავად ამისა, მივწერი ნიანგს,<sup>1</sup> მაგრამ გულახდილად უნდა გითხრა, არც ენერგია მყოფნის და არც განწყობილება.

შენ სასიამოვნო ხუთშაბათი მოგელის. შემშურს. რა ლხინი იქნება — „მსახური“ და „ამონათხარი“!

მომინება აღარ მყოფნის, როდის ვნახო ბუილე და მისგან გავიგო შესანიშნავი „მსახურის“ ამბავი. როცა ამაზე ვფიქრობ, მგონია, რომ ასეთი სიუჟეტის დაძლევა ლექსად დიდი რამეა. მე ვიცი რას ნიშნავს სტილისტურად გააკეთო ჩვეულებრივი სიუჟეტი. სცენა, რომლის წერასაც კვლავ ვიწყებ, ყინულივით ცივია. მე

<sup>1</sup> სენ-ბეგს.

პოლ დე კოკი გამოძივა. [ხელოვნურობა მუდამ უხამსობას იწვევს. ჩვეულებრივს გინდა გაექცე და მაღალფარდოვანობაში ვარდები. მეორე მხრივ კი, უბრალოება ისე ახლოა უგვეანობასთან!

ამას წინათ. „გან ისლანდიელი“ გადავიკითხე. ძლიერ სასაცილოა! გარნა იგრძნობა ზეშთაგონება და, როგორც ესკიზი („პარიზის ღვთისმშობლის“ მსგავსად), საინტერესო რამეა.

მშვიდობით! არ ვიცი, რა გითხრა, გარდა იმისა, რომ გკოცნი. ეცადე, აღმაფრთოვანოთ. ეს ძლიერ მესაქიროება. ამჟამად.

ხუთშაბათს მომიგონეთ. ფიქრით თქვენთან ვიქნები მთელ საღამოს. რა წვიმაა!

ამინდი ცუდია, ვით გუნება ჩემი!

კვლავ მშვიდობით, ათასი ნაზი ამბორი.

შენი, შენი გ.

## ლუი ბუილეს

კრუასე, 1856 წ., 1 ივნისი.

როგორც იქნა, გუშინ გავუგზავნე დიუ კანს „ბოვარის“ ხელნაწერი, რომელიც შემოკლებულია ოცდაათ ფურცლამდე, თუ არ ვიანგარიშებთ აქა-იქ ამოშლილ ბევრ სტრიქონს. მოვსპე ჰომეს სამი გრძელი ტირადა, ერთი პეიზაჟი მთლიანად, ბურჟის საუბარი ბალზე, ჰომეს სტატია და სხვ. და სხვ. ხედავ, ჩემო, რა გმირი ვარ! მოიგო ამით წიგნმა თუ არა? ერთი რამ უეჭველია, საერთოდ, ახლა მოქმედება მეტია.

თუ კვლავ ნახო დიუ კანი, გაიგე მისი აზრი, საინტერესოა, ოღონდ უარი არ მითხრან მაგ ვაჟბატონებმა!

შენი დრამა როგორ არის? მასიამოვნე და მაცნობე მისი სათაური. ჩამოხვალ თუ არა რუანს, როგორც კი დაამთავრებ? მე პარიზს წავალ არა უადრეს აგვისტოს დამდეგისა, მას შემდეგ, რაც დამიბეჭდავენ, პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ.

მეკითხები, რას აკეთებო, და აი: ვამზადებ ლეგენდას და ვასწორებ „წმინდა ანტონის“. აქედან ამოვიღე ყველაფერი, რაც უადგილოდ მეჩვენებოდა. ცოტა სამუშაო როდი იყო, რადგან

პირველი ნაწილი, რომელიც 160 ფურცელს შეიცავდა, ახლა (გადაწერილი) მხოლოდ 74 ფურცელია. იმედი მაქვს, პირველ ნაწილს ერთ კვირაში დავასრულებ. მეტი შრომა მელის მეორე ნაწილში. ბოლოს და ბოლოს ვიპოვნე კავშირი, შესაძლებელია, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც კავშირი, შესაძლო ნასკვი.

„წმინდა ანტონის“ უნდა მივუმატო ორი-სამი მონოლოგი, რომლებიც ცთუნებას გამოიწვევენ. მესამე ნაწილში მთლიანად უნდა ვადაკეთდეს შუა ადგილი. საერთოდ, საჭირო იქნება ხელახლად დაიწეროს ოცი, ოცდაათი ფურცელი. ვმლი მეტისმეტად ლირიკულ სულიერ მოძრაობას, ვსპობ ბევრ ფრაზას, მკითხველს რომ ძთავარ აზრს აშორებს. ერთი სიტყვით, იმედი მაქვს წიგნი ადვილსაკითხავი და არცთუ მოსაწყენი გავხადო.

მასზე ძლიერ სერიოზულად ვილაპარაკებთ არდადეგების დროს, რადგან იგი ლოდივით აწევს სინდისს და ოდნავ მოვისვენებ, როცა მისგან გავთავისუფლდები.

კვითხულობ წიგნებს შუა საუკუნეთა ოჯახურ ცხოვრებასა და მწვერებით ნადირობაზე. ეპოულობ დიდებულ და ჩემთვის უცნობ დაწერილებით ცნობებს. მგონი, საინტერესო სურათი შევქმნა. რას იტყობი „ზღარბის ნამცხვარსა და ციყვის პაშტეტზე?“ ერთი თვის შემდეგ მოვრჩები კითხვას, ვზადაგზა კი „წმინდა ანტონიზე“ ვმუშაობ. ყოჩალი რომ ვიყო, პარიზს დავბრუნდებოდი და მოვიტანდი დამთავრებულ „წმინდა ანტონის“ და დაწერილ „წმინდა ეიულიენს“. მაშინ შევძლებდი 1857 წელს წარმომედგინა თანამედროვეობაც, შუა საუკუნეებიც და ანტიკური ხანაც. გადავიკითხე „პეკოპენი“ და სულაც არ მაშინებს მსგავსება.

გუშინ ვიყავი რუანის ბიბლიოთეკაში, შემდეგ ვეწვიე ლეონის და ოთახი ისეთი აფორიაქებული დამხვდა, თითქოს კახაკები ყოფილიყვნენ. ქ-ნი ლეონი ეხმარებოდა ვილაც მეზობელ ქალს ბარგის გადატანაში და სრულიად „შინაურულად“ წარმოდგა ჩემ წინაშე. შუა საუბარში შეცრად მკითხა: „ოლგა?“, „რომელი ოლგა?“ „თქვენ იცით?..“ „არა“. შესიტყვება, დასტური, ტყუილი ჩემი მხრივ, რასაც თავიდან ავიშორებდი, თუ მცოდნოდა, რომ თვით შენ უამბე მთელი ისტორია. მე მტკიცედ ვიმეორებდი ჩემსას და ვამტკიცებდი, იმას ჩემთვის არაფერი უთქვამს-მეთქი, მან კი ამაზე მითხრა: „აჰ, ნუ ეტყვიტ მას, იგი ხომ მულამ მი-



საყვედურებს, ყველაფერს ეუბნებიო“. ესეც შენ ანეკდოტი, ისარ-  
გებლე!

დიურეის შესახებ გირჩევ მოაწყო „ოდონში“, რომ მიიღოს  
მენტენონის როლი, რასაც გაცილებით უკეთ შეასრულებს, ვიდ-  
რე ის მსუქანი ბატი X.... რა საჭიროა ეს როლი ტრაგიკულ აქტრი-  
სას მიენდოს. მხედველობაში მყავს ტრაგიკული მონაცემების მქო-  
ნე და მაღალფარდოვანი ქალი. სხვები დააქუცმაცებენ შენს  
უბედურ ლექსებს. ნუ გეშინია, კარგი რამე კი იქნება ისინი მა-  
თი წარმოთქმით! მენტენონისათვის საჭიროა კორნელის სკოლის  
აქტრისა.

## ლორენ-პიშას

ქრუასე. 1856 წ. 2 ოქტომბერი, ხუთშაბათ საღამო.  
ძვირფასო მეგობარო!

ეს არის მივიღე „ბოუარი“ და მოვალედ მიმაჩნია თავი, უწი-  
ნარეს ყოვლისა, მაღლობა მოვახსენოთ (მე თუ ტლანქი ვარ, ეს  
-მას როდი ნიშნავს, უმადურიც ვიყო). თქვენ გამიწიეთ სამსახუ-  
რი და წიგნი მიიღეთ იანეთი, როგორიც იყო, და ამას არ დაევიწყ-  
ებ.

გამოტყდით, რომ მეტად სასაცილოდ მივაჩნდით და მივაჩნი-  
ვართ (იქნებ უფრო სასაცილოდ. ვიდრე ოდესმე). მოხარული  
ვიქნებოდი როდისმე მელიარებინა, რომ მართალი ხართ; გპირ-  
დებით, რომ იმ დღეს დიდ ბოდიშს მოვიხდი. მაგრამ გაიგეთ,  
ძვირფასო მეგობარო, რომ უწინარეს ყოვლისა ვცდილობდი მო-  
მეხდინა ლიტერატურული ცდა: ოღონდ ეს მოძღვრება არ გახდეს  
მეტად მკაცრი!

ნუთუ ფიქრობთ, რომ მე გულს არ მირევს, ისე როგორც  
თქვენ, ეს საზიზღარი სინამდვილე, რომლის დახატვაც ესოდენ  
გაშფოთებთ. უკეთ რომ მიცნობდეთ, გაიგებდით, რომ მძულს  
უფერული ცხოვრება. პირადად მუდამ ვცდილობდი ახლოს არ  
მივკარებოდი მას. მაგრამ ამჟერად, მხოლოდ ერთხელ, მოვინ-  
დომე ღრმად ჩაეწვდომოდი მას ესთეტიკური თვალსაზრისით.

ამიტომ ჩემს სამუშაოს მოვეპყარ გმირულად, მინდა ვთქვა, რუ-  
დუნებით, ყველაფერი მიმელო, ყველაფერი მეთქვა, ყველაფერი  
დამეხატა, პატივმოყვარეობით რომ ვთქვა.

მე ცუდად განვმარტავ, თუმცა ესეც საკმაოა, რომ გაიგოთ-  
აზრი ჩემი ბრძოლისა თქვენი კრიტიკის წინააღმდეგ, რაგინდ გო-  
ნივრულიც იყოს იგი. თქვენ გინდოდათ მთლად გადაგეკეთებინათ  
ჩემი წიგნი.

თქვენი შესწორებანი ეწინააღმდეგებოდნენ შინაგან პოეტიკას.  
ხელოვნება არ მოითხოვს შელავათს ან თავაზიანობას. მას ესა-  
ჭიროება მხოლოდ რწმენა, რწმენა და თავისუფლება.

ახლა კი გულითადად გართმევთ ხელს.

ბ.

## ლუი ბუილეს

კრუსე, 1856 წ., 5 ოქტომბერი

. ჩ ე მ ო . მ ე გ ო ბ ა რ ო !

დაუყოვნებლივ მირჩიე. დილით მივიღე ფრედერიკ ბოდრის  
წერილი. იგი უადრესად მორიდებით მთხოვს „ბოვარიში“ რუანის  
გაზეთი შეეცვალო „რუანის პროგრესით“ ან რომელიმე მსგავსი სა-  
ხელწოდებით. ეს ბიჭი მოლაყბეა, ყველაფერი უთქვამს სენარი-  
სა და გაზეთში მომუშავე ყველა ბატონისათვის.

ჩემი პირველი ფიქრი ის იყო, რომ იგი ჯანდაბას გამეგზავნა;  
მეორე მხრივ კი, გუშინ იმავე გაზეთმა მეტად თავაზიანი რეკლამა  
დაბეჭდა „მადამ ბოვარიზე“. მაგრამ რა ლამაზია „რუანის გაზე-  
თი“ „ბოვარიში“! თუმცა, პარიზისათვის ეს არც ისე ლამაზია  
და „პროგრესისტმა“ შეიძლება მეტი შთაბეჭდილება მოახდინოს?  
არ ვიცი, რა ვქნა, ვერ გადამიჭრია.<sup>1</sup> მე მგონია, რომ დავუთმო,  
სიმხნაღე იქნება-მეთქი. არადა, ეს დაარღვევს ჩემი საბრალო  
ფრაზების რიტმს. საქმე მეტად სერიოზულია!

<sup>1</sup> შემდეგ ფლობერმა „რუანის ჩირაღდანი“ ირჩია. (მთარგმნელი).

როცა ჩემი ნაწარმოები დაბეჭდილი ვნახე, მთლად გამოვტყინდი. იგი სრულიად ჩვეულებრივი მეჩვენა. მე იქ აშკარად მხოლოდ უღიმღამობას ვხედავ. ეს დიდი ნაკლია და საჭიროა წინასწარი წარმატება, რომ ჩაეაჩუმო სინდისის ხმა, ყურში რომ ჩამძახის: „ჩაფლავდი“!

მხოლოდ ერთი რამ მანუგეშებს: ფიქრი შენს წარმატებაზე და შემდეგ იმედი (თუმცა იგი, ეს იმედი, ბევრი მქონდა!), რომ „წმიდა ანტონის“ გეგმა უკვე მაქვს. მე მგონია, ის უფრო საფუძვლიანია, ვიდრე „ბოვარი“.

არა, დასწყევლოს ღმერთმა! იმისთვის კი არ ვამბობ, რომ შენგან კომპლიმენტი გავიგონო, უკმაყოფილო ვარ „ბოვართ“, იგი ასე მეჩვენება: მცირე რამეა და „დაწერილია იმისათვის, რომ მყუდრო კაბინეტში იფიქრო მასზე“. შორიდან არაფერი არ აქვს წარმტაცი და ბრწყინვალე. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ „გვარიან თემას მივაგენ“. ეს წიგნი გვიჩვენებს გაცილებით მეტ მოთმინებას, ვიდრე გენიალობას, გაცილებით მეტ შრომას, ვიდრე ნიქს. იმაზე თუ აღარ ვილაპარაკებთ, რომ სტილი არცთუ აგრე მახვილია: რა თქმა უნდა, ბევრი ფრაზა უნდა განახლდეს; ზოგიერთი გვერდი უნაკლო მეჩვენება, მაგრამ, საერთოდ, ეს საქმეს ვერ შევლის.

იფიქრე „რუანის გაზეთის“ ამბავზე. წარმოიდგინე თავი ჩემს ადგილზე. ამაზე დიუ კანს ნურაფერს ნუ ეტყვი, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას დავადგებოდეთ; ის, ალბათ, დათმობას უფრო სწორად მიიჩნევს. დადექ აბსოლუტურისა და ხელოვნების თვალსაზრისზე.

შენ, ალბათ, სიბრალულით ბევრს იცინებ ჩემზე, მე კი სრულიად გამოვშტერდი.

## ლორენ-პიზას

1856 წლის 9 დეკემბერი.

ძ ვ ი რ ფ ა ს ო მ ე გ ო ბ ა რ ო !

უწინარეს ყოვლისა, გმადლობთ იმისათვის, რომ განაცხადეთ, ამ საქმეში არ ვურევივარო. მაშასადამე, მე ველაპარაკები არა

პოეტ ლორენ პიშას, არამედ „რევიუს“, განყენებულ პიროვნებას, ვისი წარმომადგენელიც თქვენ ხართ. ჰოდა, აი რა მინდა ვუპასუხო „რევიუს“:

1. მას სამი თვის განმავლობაში ხელთ ჰქონდა „მადამ ბოვარის“ ხელნაწერი და სანამ თუნდაც პირველ სტრიქონს დაბეჭდავდა, უნდა სცოდნოდა რა ექნა ხსენებული ნაწარმოებისათვის, ან უნდა მიეღო, ან უნდა უარი ეთქვა. იგი მიიღეს. მით უარესი ჟურნალისათვის!

2. რამდენადაც საქმე დამთავრებული და გადაწყვეტილი იყო, დავთანხმდი ამომელო, ჩემი აზრით, მეტად მწშივნილოვანი აბზაცი, რადგან „რევიუ“ ამტყიცებდა, თითქოს მის დატოვებას ცუდი შედეგი მოჰყვებოდა ჟურნალისათვის. მე მსხვერპლი გავიღე, მაგრამ არ დაგიმალავთ (ახლა მე მივმართავ მეგობარ პიშას), იმ დღეს დიდად ვნანობდი, რომ ფიქრად მომივიდა მისი დაჭედვა. მთლად უნდა გამომეთქვა, რასაც ვფიქრობდი, ან გაეჩუმებულიყავ.

3. მე მიმაჩნია, რომ უკვე ბევრი რამ დაგიტმეთ, „რევიუ“ კი ფიქრობს, რომ უფრო მეტი უნდა დამეთმო. ჰოდა, აი არაფერს არ დაგიტმობთ. არც ერთი შესწორება, არავითარი შემოკლება, არც ერთი მძიმის გამოტოვება, არაფერი! ხოლო თუ „რევიუს“ ჰგონია, რომ სახელს ვუტეხ, თუ ჟურნალს ეშინია, არის მეტად ადვილი გამოსავალი: შეაჩეროს „ბოვარის“ ბეჭედვა, მორჩა და გათავდა! ჩემთვის სულ ერთია.

ახლა, როცა „რევიუს“ მოველაპარაკე, ერთი შენიშვნის უფლებას მივცემ ჩემს თავს, მეგობარო:

მეეტლის აბზაცი რომ გამოტოვებთ, ამით არ მოგისპიათ ის, რაც თქვენ გაცბუნებთ, და მეექვსე ნომერში რომ ამომშალოთ ის, რასაც მთხოვთ, ამით მაინც ვერაფერს ვერ შეცვლით.

თქვენ ჩაჰკირკიტებთ წვრილმანებს, საჭირო კი არის მთელს დაუკვირდეთ, უხეშობის ელემენტი ზედაპირზე კი არა, საფუძველშია. არ შეიძლება ზანგის გათეთრება და არ შეიძლება წიგნის შინაგანი აზრის შეცვლა. შეიძლება მხოლოდ მისი გაღარიბება.

თავისთავად იგულისხმება, თუ ჟურნალს წავეჩხუბე, მის რედაქტორებთან მეგობრობას არ შევწყვეტ.

მე ვიცი ლიტერატურაში ადმინისტრაციის მოვალეობის შესრულება.

მთლად თქვენი.

## მადამუაჟელ ლერუაიე და უანტპის

პარიზი, 1857 წ., 18 მარტი.

### ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ო !

ვიჩქარი გადაგიხადოთ მადლობა; მივიღე ყველა თქვენი ბარათი. გმადლობთ წერილისათვის, წიგნებისა და განსაკუთრებით პორტრეტისათვის! ამ ნაზმა ყურადღებამ ძალიან მასიამოვნა. თქვენს სამ წიგნს ვიკითხავ ნელა, ყურადღებით, რისი ღირსიც ისინი არიან, ამაში წინდაწინ ვარ დარწმუნებული.

მაგრამ ამჟამად ძლიერ მოუტლელი ვარ, რადგან სოფლად დაბრუნების წინ ხელი მოვიკიდე არქეოლოგიაში მუშაობას. ეს არის მოსამზადებელი სამუშაო შემდეგი შრომისათვის და მოიცავს ძველი ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებ ცნობილ ხანას. ვაპირებ დივეწერო რომანი, სადაც მოქმედება წარმოებს სამასი წლის წინათ ქრისტეს შობამდე. ვინაიდან განვიციდი საქიროებას მოვშორდე თანამედროვე მსოფლიოს. რომელსაც ასე ხშირად დასტრიალებდა თავს ჩემი კალამი; თანაც ერთნაირად მომბეზრდა როგორც მისი აღწერა, ისე მისი ცქერა.

ისეთ სიმპათიურ მკითხველთან, როგორც თქვენ ბრძანდებით, ქალბატონო, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გულახდილი ვიყო. მაშ ასე, გიპასუხებთ თქვენს კითხვებზე: „მადამ ბოვარიში“ ერთი სიტყვაც არ არის მართალი. ეს არი პ ი რ წ მ ი ნ დ ა მ ო გ ო ნ ი ლ ი ა მ ბ ა ვ ი და შიგ არ შემიტანია არც ჩემი გრძნობანი და არც საკუთარი განცდანი. პირიქით, ილუზიას (თუკი ასეთი არსებობს) ქმნის სწორედ ნაწარმოების არაპიროვნული ხასიათი. ჩემი ერთ-ერთი პრინციპია არ შევიტანო ნაწარმოებში საკუთარი „მე“. ხელოვანი თავის ქმნილებაში ისე უნდა იყოს, როგორც ღმერთი ბუნებაში, უნდა იყოს უხი-

ლავი და ყოვლადძლიერი, მას ყველგან უნდა გრძნობდე, მაგრამ ვერ ხედავდე.

ამასთან, ხელოვნება უნდა იდგეს პირად მეგობრობასა და ავადმყოფურ წვრილმანობაზე მაღლა! \*დროა, უღმობელი მეთოდის დახმარებით მიენიჭოს მას ტექნიკურ მეცნიერებათა სიზუსტე. და მაინც ჩემთვის მთავარ სიძნელეს წარმოადგენს სტილი, ფორმა, ის განსამარტებლად ძნელი სილამაზე, რაც თვით კონცეფციის შედეგია და ჭეშმარიტების დიდმშვენიერებას შეიცავს, როგორც პლატონი ამბობდა.

თქვენსავით დიდხანს მიცხოვრია, ქალბატონო. მეც რამდენიმე წელი გავატარე სოფლად სულ მარტომ; ერთადერთი ხმაური, რაც ზამთარში ჩემს ყურს ესმოდა, იყო ქარის ქშულილი ხის ტოტებში და ჯახუნი ყინულისა, სენას რომ მიჰქონდა ჩემი ფანჯრების ახლოს. თუ ცხოვრების რაიმეგვარე ცოდნა გამაჩნია, იმას უნდა ვუმადლოდე, რომ ნაკლებ მიცხოვრია ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, რადგან ნაკლებ მიგემნია, მაგრამ საფუძვლიანად განმიცდია; ვყოფილვარ სხვადასხვა საზოგადოებაში და მინახავს ბევრი ქვეყანა. მიმგზავრია ქვეითად და აქლემებით. ვიცნობ პარიზელ მეზირეყეებსა და დამასკელ ებრაელებს, იტალიელ მაჰანკლებსა და ზანგ ჯამბაზებს. მივლია წმიდა ადგილებში და ამავე დროს მიხეტიალია პარნასის თოვლში — ეს შეიძლება მიჩნეულ იქნეს სიმბოლოდ.

ნუ დრტინავთ. ბევრი მიხეტიალია ამქვეყნად და საფუძვლიანად ვიცნობ პარიზს, რომელზეც ოცნებობთ. არაფერი არა სჯობს კარგი წიგნის, „ჰამლეტისა“ თუ „ფაუსტის“ კითხვას ბუხართან, როცა კარგ გუნებაზე ხარ. ჩემი ოცნებაა პატარა სასახლე ვიყიდო ვენეციაში, დიდ არხზე.

აი, ქალბატონო, რამდენადმე დავაკმაყოფილე თქვენი ცნობისმოყვარეობა. ჩემზე რომ სრული წარმოდგენა გექნეთ, ჩემს ბიოგრაფიას დაუმატეთ შემდეგი პორტრეტი: მე ოცდაათი წლისა ვარ, ჩემი სიმაღლე უდრის ას სამოცდაცამეტ სანტიმეტრს, მხარბეჭი ისეთი მაქვს, როგორც მეკავეს, და ნერვული გაღიზიანება, როგორც მდაბიო ქალს. უცოლო და მარტოხელა ვარ.

ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ გადავიხადოთ მადლობა პორტრეტის გამოგზავნისათვის. მას ჩარჩოში ჩავსვამ და ჩემთვის ძვირფას პიროვნებათა პორტრეტებს შორის დავკიდებ. თავს ვიკავებ

ქათინაურისაგან. რომელიც მზად არის მოსწყდეს ჩემი კალმის წვერს, და გთხოვთ ერწმუნოთ თქვენი კოლეგის ერთგულებას.

## შარლ ბოდლერს

1857 წ. 14 აგვისტო, პარასკევი.

ეს არის შევიტყვე, რომ გდევნიან თქვენი წიგნისათვის. როგორც ამბობენ, ეგ ამბავი უკვე ცოტა მოძველდა. მე კი არაფერი არ ვიცი, რადგან ისე ვცხოვრობ აქ, თითქოს ასი ათასი ლიეთი ვიყო დაშორებული პარიზს.

რატომ? ვის ხელყოფდით? რელიგიას? ზნე-ჩვეულებას? წარუდექით თუ არა სასამართლოს? როდის იქნება და სხვ.

ახალი ამბავია: ლექსთა წიგნის დევნა! დღემდე სასამართლო ორგანოები სრულიად არ ახლებდნენ ხელს პოეზიას.

ღრმად ვარ აღშფოთებული. მაცნობეთ საქმე დაწერილებით, თუ ძლიერ არ დაგაბრკოლებთ. გულითადად გართმევთ ხელს.

თქვენი გ.

## ქალბატონ როჟე დე ჟენეზს

1859 — 1860 წ.

ღიად! კვლავ განშორება! „კვლავ ზღვათა წილში“, როგორც ჩაილდ ჰაროლდი იტყოდან! მართლაც, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ცხოვრება, რომელიც აღსავსეა მაღალი გრძნობებით, უხვი ბინაზით განირჩეოდეს. მე ისე ვცხოვრობ, როგორც ქოფაკი ან როგორც წმიდანნი! რას იზამ!.. მე თქვენ ვერ გიცნობთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რას არ გავიდებდი, რომ თქვენთან მეცხოვრა ორ დღეს, ერთად, სრულიად განმარტოებით! ბევრ რამეს გეტყოდით, აგრეთვე თქვენც მეტყოდით. მე მგონია, ჩვენ ორი აჩრდილი ვართ, ერთი რომ მეორეს მისდევს დასაწევად, მაშინ როცა

შეგვეძლო შევრწყმოდით ერთმანეთს და ერთი მთლიანი შეგვედგინა.

მონაწილე ვარ თქვენი მწუხარებისა მეგობარი ქალის გარდაცვალების გამო. სამწუხაროა იმათი დაკარგვა, ვინც გიყვარს. ცოტა როდი დამიმარხავს ახლობელი ადამიანი! ხშირად მითევია ღამე მომაკვდავის სარეცელთან. კაცი, ვინც ამქვეყნად ყველაზე უფრო მიყვარდა, თითქმის ჩემს მკლავებზე გარდაიცვალა. თუნდაც ერთხელ თუ გიამბორნიათ გარდაცვალებულისათვის შუბლზე, მაშასადამე, მთელ სიცოცხლეში ტუჩზე დაგრჩენიათ კვალი, როგორც არყოფნის მწარე, განუქარვებელი გემო. როცა ვარსკვლავებს შესცქერი, გულში უნდა გაივლო: „იქნებ მეც წავიდე“. მაგრამ მაშფოთებს წესი, რომლითაც ყველა რელიგია ღმერთზე ლაპარაკობს, რა თავდაჯერებით, ქარაფშუტულად, ფამილარულად მიმართავენ მას! განსაკუთრებით მაჯავრებენ ხუცები, რომელთაც ენაზე აკერიათ მისი სახელი. სიტყვებს: „ღვთის მოწყალება“, „ღვთის რისხვა“, „ღვთის შეურაცხყოფა“. ისე წარმოთქვამენ, თითქოს მათთვის ჩვეული ცხვირის დაცემინებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი კაცად და, კიდევ უარესი, ბურჟუად მიგაჩნდეს. ამასთან ზოგიერთი მას ათასგვარი ატრიბუტით ხატავს, როგორც ველურები ფრთებით რთავენ თავიანთ კერპებს. ერთნი უსასრულობას ხატავენ ცისფრად, მეორენი — შავად. ყოველივე ეს კანიბალიზმია. ჩვენ კვლავ ბალახს ვძოვთ და ოთხზე დავიარებით, მიუხედავად იმისა, რომ ჰაერბურთობი არსებობს. კაცობრიობის წარმოდგენით, ღმერთი ჰგავს აღმოსავლეთელ ხელმწიფეს, გარს რომ ამაღლა ახვევია. სოციალურმა იდეამ რამდენიმე საუკუნით გაუსწრო რელიგიურ იდეას, ხუმარები კი თავს ისე გვიჩვენებენ, თითქოს ალტაცებით დნებოდნენ მის წინაშე.

## ეფმონ და უიულ დე გონაჰურაბს.

კრუსე, 1860 წ., მაისი.

უნდა გითხრათ, დიდი კმაყოფილება მაგრძნობინა თქვენი ორი ტომის კითხვამ. მე მიმაჩნია, რომ ისინი მომხიბვლელია, აღ-



სავსეა ახალი დეტალებით, დაწერილია ჩინებული, მეტად ნერ-  
ვული და ამავე დროს მეტად ამადლებული სტილით. მე მგონია,  
რომ ეს არის ისტორია, ამასთან ორიგინალურად ჩამოყალიბებუ-  
ლი ისტორია.

ხორციელი გარსის ქვეშ მუდამ იგრძნობა სული. დეტალების  
სიუხვე სულაც არ ანშობს ნაწარმოების ფსიქოლოგიურ მხარეს.  
მორალი გამომდინარეობს ფაქტებიდან სრულიად უდეკლამაციოდ  
და უწიალსვლოდ! წიგნი ცოცხლობს, რაც იშვიათი ღირსებაა.

ლუი XV, ბაშელიეს, განსაკუთრებით კი რიშელიეს პორტრე-  
ტები, ჩემი აზრით, სრულიად დამთავრებული სახეებია.

თქვენ მაყვარებთ ქ-ნ დე მალის, იგი მადლევენს!. „ის იყო  
ერთ-ერთი იმ ლამაზთაგან... მსგავსი ღვთაებრივი ბახუსის ქუ-  
რუმი ქალისა!“ დალახვროს ეშმაკმა, ისე წერთ, როგორც ნამ-  
ღვილი ანგელოზები.

არც ერთ ნაწარმოებს ისე არ გავუტაცნივარ, როგორც „ქალ-  
ბატონი დე შატორუს“ დასასრულმა გამიტაცა. მე მგონია  
თქვენი მსჯელობა პომპადურზე სწორუპოვარია. რა შეიძლება  
კიდევ ითქვას თქვენს შემდეგ?

საბრალო დიუბარი, როგორ გიყვარვართ, ა? გამოვტყდები,  
მეც. რა ბედნიერი ხართ, რომ ამას ახერხებთ, ნაცვლად იმისა,  
რომ ჩემსავით, თავი იმტერიოთ-არყოფნაზე!

რა კარგია თქვენი მხრივ, რომ გამომიგზავნეთ ეს წიგნი, რომ  
ასეთი ნიჭიერი ხართ და ოდნავ გიყვარვართ.

მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს ორივეს.

თქვენი გ. ფლობერი, —

ფრანკლინისა და მარატის მეგობარი, პირველხარისხო-  
ვანი მეთამბოხე და ანარქისტი, ოცი წლის განმავლობაში  
რომ ისწრაფვის დაამხოს დესპოტიზმი ორივე ნახევარ-  
სფეროში.

მრნესტ ფეილოს

კრუასე, 1861 წლის ოქტომბერი.

ზგგ დავიწყებ უკანასკნელისწინა თავის უკანასკნელ ეპიზოდს:  
ბავშვების მოხრაკვას. ამას დასჭირდება კიდევ სამი კვირა, რის

შემდეგაც მოუთმენლად დაველოდები თქვენი კეთილშობილების მობრძანებას.

ვერ წარმოიდგენ ჩემ დაღლილობას, შეშფოთებასა და წყენას! დასვენება კი, როგორც მირჩევ, შეუძლებელია. ველარ შექცობ კვლავ დავიწყო მუშაობა. ამასთან, როგორ დავისვენო და რა ვაკეთო დასვენების დროს?

იმისდა მიხედვით, რაც წინ მივიწვევ, ექვი, მთლიანად ნაწარმოების შესახებ, მიძლიერდება, ვამჩნევ ნაკლოვანებებს, გამოუსწორებელ ნაკლოვანებებს, რომლებსაც არ გავასწორებ, რადგან უკეთესია მექვი, ვიდრე ნაიარევი.

დავიფიციე, პარიზში არ გამოვჩნდები-მეთქი, სანამ არ დავამთავრებ, რადგან დედაქალაქში ყოფნა ჩემთვის აუტანელია იმის გამო, რომ ჩამომეკიდებიან ხოლმე „სალამბოს“ შესახებ. მეორე მხრივ, სულ ცოტა სამი თვე დასჭირდება მის წაკითხვას, გადაწერას, პირების შედარებასა და დასაბუქდად გადაცემას. ამიტომ, იმის გამო, რომ ზაფხული ყველაზე საზიზღარი დროა პუბლიკაციისათვის, საჭირო იქნება, თუ იანვარში ვერ დავამთავრე, მომავალი შემოდგომისათვის გადავდო. ასეთია ჩემი გაძლიერებული ბეჭითობის მოტივები, ო დიდო ადამიანო! მორალის აზრით მშვენიერი ვარ. მაგრამ მგონია, რომ ინტელექტუალური თვალსაზრისით სულელი ვხდები. მთელი წლის განმავლობაში ბუილე მხოლოდ ერთხელ ვნახე, შენი ნახვა კი კვირიდან კვირამდე უნდა გადავდო. ძველი მითი ამაზონელების შესახებ, მკერდს რომ იდაღავდნენ, რათა ისრის სროლა ესწავლათ, ზოგი კაცისათვის სავსებით რეალურია! რა მსხვერპლი ჯდება ყოველი უაღრესად უმნიშვნელო ფრაზა!

შენ თითქოს დულხარ: ორი პიესა ერთბაშად, ყოჩაღ!

მე ახლა ვკითხულობ ფიზიოლოგიას, სამედიცინო შენიშვნებს იმ ადამიანთა გამო, ვინც შიმშილით კვდება, და ვცდილობ ვიპოვნო კავშირი პროზერბინაზე თქმულებასა და ტანიტზე თქმულებას შორის. აი რას ვაკეთებ ორ უკანასკნელ დღეს, გარდა ამისა, მეცამეტე თავის ფინალისათვის ვამზადებ ბევრ საშინელებას, რაც უფრო საოცარი იქნება მეთოთხმეტე თავში. დავამთავრე ლინგისტონის უსასრულო წიგნი და ბევრი რამ წავიკითხე რაბლესი. დაე ჩამომეკიდონ, თუ რაიმე სათქმელი მქონდეს!

ჩვენთან, აგერ, სამი კვირაა სტუმრად არიან ნათესავები, რომ-

ლებთანაც ერთ საათსაც არ დაერჩენილვარ, მთელი ზაფხულის განმავლობაში კი თვალთ არავინ დამინახავს. ყველაზე დიდი გართობა ჩემთვის ის იყო, რომ მდინარეში ტანი დავიბანე. მაშ ასე, ორი კვირის შემდეგ ელოდე ჩემს მოსაწვევ წერილს.

სენტ-ბევისა რა ისმის? შენ არასოდეს არ მწერ მის ამბავს. მწვიდობით, საყვარელო მეგობარო!

## ფრანერს, „რევიუ კონტამპორანის“ რედაქტორს

პარიზი, 1863 წ., 21 იანვარი

ბ ა ტ ო ნ ო ჩ ე მ ო !

ეს არის წაიკითხე თქვენი სტატია „სალამბოზე“, რაც 1862 წ. 31 დეკემბრის „რევიუ კონტამპორენში“ დაიბეჭდა. მიუხედავად იმისა, რომ არ მჩვევია გუბასუხო კრიტიკას, არავითარი გზით არ შემიძლია დავეთანხმო თქვენსას. იგი მეტად წესიერია და აღსაყუსეა ჩემდამი თავაზიანი სიტყვებით, მაგრამ რადგან საუკეოდ მიაჩნია ჩემი ნაშრომის გულწრფელობა, ნება მიბოძეთ, გამოვთავაზო რაო თქვენი დამამტკიცებელი საბუთები.

უწინარეს ყოვლისა, თავს ნებას მივცემ გკითხოთ, ბატონო ჩემო, რატომ ეგრე დაყინებით მაკავშირებთ კამპანის კოლექციასთან და ამტკიცებთ, რომ ის იყო ჩემი შთაგონების მუდმივი წყარო? „სალამბო“ მე დავამთავრე მარტში, ექვსი თვით ადრე მუზეუმის გახსნამდე. აი უკვე ერთი შეცდომა. მოიძებნება უფრო სერიოზულიც.

მე, ბატონო ჩემო. არავითარი პრეტენზია არ მაქვს არქეოლოგიისადმი. ჩემი წიგნი დავწერე როგორც რომანი. უწინასიტყვაობოდ, უშენიშვნებოდ და მაკვირვებს, ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომებით ცნობილი კაცი, როგორც თქვენ ბრძანდებით, ამდენ ღროს რატომ ჰკარგავთ ესოდენ მსუბუქი ლიტერატურისათვის! მე კი, ბატონო ჩემო, გავკადნიერდები და გეტყვით, რომ თქვენ სავსებით ცდებით თავიდან ბოლომდე მთელ თვრამეტ გვერდზე,

მთელი თქვენი ნაშრომის ყოველ განყოფილებაში, ყოველ სტრიქონში.

თქვენ მიკვირებთ, რომ „არ დავეკითხე არც ფალბს, არც დიურო დე ლა მალს, რომლებსგანაც შემძლო მესარგებლნა“. დიდი ბოდიში! მე ისინი, შესაძლებელია, თქვენზე უფრო ზშირად წამეკითხოს და წამეკითხოს თვით კართაგენის ნანგრევებზეც კი. ძლიერ შესაძლებელია, რომ თქვენ არაფერი არ იცოდეთ „საკმაოდ დამაჯერებლად არც ფორმასა და არც უბნებზე“, მაგრამ სხვები, უკეთ ინფორმირებულნი, თქვენს სკეპტიციზმს არ იზიარებენ.

თუ უცნობია, სად იყო გარეუბანი აკლა, ადგილი, რომელსაც ფუშანუსს ეძახდნენ, მთავარი ალაყაფის ადგილმდებარეობა, რომლის სახელწოდებაც შემონახულა, სამაგიეროდ საკმაოდ კარგად ცნობილია ქალაქის ადგილმდებარეობა, ვალავნის არქიტექტონიკა, ტენი, მოლი და კოფონი. ცნობილია, რომ სახლები კუბრით იყო შეღებილი, ქუჩები კი მოკენჭილი იყო; არის უარმოდგენა ანკროზე, რომელიც აღწერილი მაქვს მეთხუთმეტე თავში; ცნობილია მალკა, ბიზა; მეგარა, მაპალი, კატაკომბები. ეშმუნის ტაძარი, აკროპოლში რომ მდებარეობს, და ტანიტის ტაძარიც, ცოტა მარჯვნივ, ზღვას რომ ზურგი შეაქციოთ. ყოველივე ეს ნათქვამია (თავი რომ გავანებოთ აპიანეს, პლინისა და პროკოპის) იმავე დიურო რო დელა მალის წიგნში, რომლის უცოდინარობასაც მიკვირებთ. სამწუხაროდ, ბატონო ჩემო, თქვენ „არ შეხებინხართ მოსაწყენ წვრილმანებს, რომ გეჩვენებინათ“, თითქოს მე არ მქონდეს არავითარი წარმოდგენა ძველი კართაგენის ადგილმდებარეობაზე, „უფრო ნაკლები, ვიდრე დიურო დე ლა მალს“, დასძენთ თქვენ. რა უნდა ვიფიქროთ ამაზე? ვის უნდა ვერწმუნოთ, თუკი თქვენ დღემდე არ გინებებიათ გეჩვენებინათ კართაგენის ტოპოგრაფიის თქვენი სისტემა.

მე, მართლაც, არ მაქვს არავითარი ტექსტი, რათა დაგიმტყციოთ, რომ არსებობდა მეტყავეების, მღებრების, სურნელოვან ნივთიერებათა გამყიდველების ქუჩები. მაგრამ მაინც, დამეთანხმეთ, რომ ეს დასაჯერებელი ჰიპოთეზაა! გარნა მე არ გამომიგონია კინიძო და სინასინი, „სიტყვები, რომელთა სტრუქტურა, თქვენი თქმით, უცხოა სემიტური ენების სულისკვეთებისათვის“. არც თუ იმდენად უცხოა, რაკი ყველა ეს პუნქტური სახელ-

წოდება, თქვენ რომ დაამახინჯეთ, გეზენიუსს აქვს და მისგან შივილე (*Scripturae linguae phoeniciae*) ანდა ფალმასაგან, რომლითაც, გარწმუნებთ, ვისარგებლეთ.

ისეთი მეცნიერი ორიენტალისტი, როგორც თქვენ ბრძანდებით, ბატონო ჩემო, ოდნავ შეღავათიანად უნდა მოეპყროთ ნუმიდური სახელს ნარაევასს, რომელსაც მე ვწერ, როგორც ნარაევასს *Nar-el haouah*-იდან, რაც სუნთქვის ცეცხლს ნიშნავს. თქვენ უნდა მიმხვდარიყავით, რომ ორი „მ“ სალამბოს (*Salammbô*) სახელწოდებაში განზრახ ვიხმარე, რათა წარმოთქმულიყო სალამ და არა სალან და თავაზიანად დაგეშვა, რომ სახელწოდებაში „ეგატური“ (*Egates* ნაცვლად *Aegates*) გაიპარა სტამბური შეცდომა, რაც ამასთანავე გასწორდა ჩემი წიგნის მეორე გამოცემაში, ეს კი ორი კვირით უსწრებს თქვენს რჩევას.

იგივე უნდა ითქვას სცისიტებზე ნაცვლად სისტებისა, სიტყვა კაბირზე, რომელიც დაბეჭდილია ასოთი „K“ (ჰოი საშინელებავ!) ისეთ სერიოზულ ნაშრომებშიც კი, როგორცაა მორის „ანტიკური საბერძნეთის რელიგიები“. რაც შეეხება შალიშიმას, თუ მე არ დავწერე რომ-ე-შ-შალიშიმ, როგორც ჯეროვანი იყო, იმიტომ რომ, შემემოკლებინა მეტად არამოსაწონი სახელი, რადგან ამასთანავე არ მეგონა, თუ ფილოლოგები გამარჩევდნენ. მაგრამ რაკი თქვენი ყურადღების ღირსი გახადეთ ეს კლიაუზურა სიტყვები, ბარემ შევეხები თქვენგან ნახსენებ ორ სხვასაც: 1) (*Compendieusement*), რომელსაც თქვენ სრულიად საწინააღმდეგო აზრით ხმარობთ, რათა თქვათ „უხვად“ და 2) (*Cathachinoiserie*)—ჩინებული რამ, თუმცა იგი თქვენ კი არ გეკუთვნით, არამედ ამოღებული გაქვთ გასული თვის დამდეგს ერთი პატარა ქურნალიდან. ასე რომ, ბატონო ჩემო, თუ თქვენ ზოგჯერ ვერ იცნობთ ჩემს წყაროებს, პირიქით, მე კარგად ვიცნობ თქვენსას. გარნა შესაძლებელია უკეთესი იქნებოდა, უგულვებელგვეყო „კრიტიკისათვის ოდნავშესამჩნევი ეს წერილმანები“, როგორც თვითონ მშვენივრად ბრძანებთ.

და მაინც, ერთს კიდევ დავასახელებ! რატომ გაუსვით ხაზი „დას“ ჩემს შემდეგ ფრაზაში (რომელიც ოდნავ შემოკლებულია:) „მიყიდეთ კაბადოკიელები და აზიელები?“ ხომ იმიტომ, რომ თავი გამოიჩინოთ და დააჭიროთ დოკლაპიები, ტლობერმა არ

იცის, რომ კაპადოკია მცირე აზიაშია? არა, ბატონო ჩემო, ვიცი და კიდევაც ვყოფილვარ იქ!

თქვენ ისე უყურადღებოდ წაგიკითხავთ ჩემი წიგნი, რომ თითქმის ყოველთვის არასწორად მოგყავთ იქიდან ადგილები. მე არსად არ მითქვამს, რომ მღვდლები განსაკუთრებულ კასტას შეადგენდნენ, რომ ლიბიელი ჭარისკაცები „გამსჭვალული იყვნენ სურვილით რკინა ეყლაპებინათ მათთვის“. მე ვწერდი, რომ ბარბაროსები ემუქრებოდნენ კართაგენელებს, რკინას გაყლაპებთო. მე არ დამიწერია, რომ „ლეგიონის ჭარისკაცები შუბლზე ატარებდნენ ვერცხლის რქებს, რომ მარტორქებს დამსგავსებოდნენ“, მე ვწერდი რომ „მათს ცხენებს ჰქონდათ“ და სხვ., მე არ დამიწერია, რომ გლეხებმა, ერთხელ სეირისათვის ორასი ლომი ჭვარს აცვეს. ასეთივე შენიშვნა უნდა გავაკეთო უბედურ სისიტა შესახებაც, რადგან, თქვენი აზრით, ალბათ, არ ვიცი, რომ ეს სიტყვა ნიშნავს კერძო კორპორაციებს. მე ვიცოდი ეს რა კორპორაციები იყო, აგრეთვე ამ სიტყვის ეთიმოლოგიაც, რადგან ფრანგულად ვთარგმნე და პირველად ვინმარე ჩემს წიგნში: „სისიტები არიან ვაჭრები, რომლებიც გაერთიანებული არიან საზოგადოებად და იკრიბებიან საერთო სუფრაზე“. თქვენ აგრეთვე არასწორად მოიყვანეთ ერთი ადგილი პლავტიდან, იმიტომ რომ იგი „პუნიელში“ არ აღნიშნავს, თითქოს „კართაგენელებმა იცოდნენ ყველა ენა“. ეს იქნებოდა მთელი ერის გასაოცარი პრივილეგია. პლავტს პროლოგში ნათქვამი აქვს მხოლოდ: „Is omnes linguas scit“, რაც ასე უნდა ითარგმნოს: „მან იცის ყველა ენა“; ლაპარაკია ერთ კართაგენელზე და არა ყველაზე.

სწორი არ არის თქმა, რომ ჰანონი ჭვარცმული არ ყოფილა დაქირავებულ ჯართან ომის დროს, რადგან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იგი კიდევ დიდხანს სარდლობდა ჯარს მას შემდეგ. პოლიბი ხომ გვეუბნება, ბატონო ჩემო, რომ აჯანყებულებმა იგი დაიჭირეს და ჭვარზე გააკრეს (მართალია, სარდინიაში. მაგრამ იმავე ეპოქაში), ასე, რომ, „ეს მოქმედი პირი კი არ უნდა უჩიოდეს ფლობერს“, არამედ პოლიბი ფრენერს.

რაც შეეხება ბავშვების მსხვერპლად შეწირვას, ეს იმდენად არ არის „შეუძლებელი“, ჰამილკარის დროს და უფრო გვიანაც, იულიოს კეისრისა და ტიბერიუსის ხანაშიც, თუ დაუუჭერებთ ციცერონს („Pro gsalbo“) და სტრაბონს (წიგნი III). თქვენ წერთ.

„მოლოქის ქანდაკება არ ჰგავს „სალამბოში“ აღწერილ ჯოჯოხეთის მანქანას“. ამ ფიგურას, რომელიც შედგება ერთმანეთზე დადგმული შვიდი განყოფილებისაგან, და განკუთვნილია მსხვერპლისათვის, დამოკიდებულება აქვს გალების საწრმუნობასთან, ფლობერს არავითარი საფუძველი არ გააჩნია თავისი გაბედული გადაადგილებისათვის“.

ღიალ, მართალია, არავითარი საფუძველი არ მაქვს! მაგრამ მე მაქვს ტექსტი, სახელდობრ, დიოდორის აღწერა, რომელსაც თქვენ იხსენიებთ; სწორედ იმით ვსარგებლობ, როგორც ამაში დარწმუნდებით, თუ კეთილინებებით და გადაიკითხავთ დიოდორის მეორე წიგნს: მის მეოთხე თავს შეგიძლიათ მიუმატოთ ქალღურა პერიფრაზი პოლ ფაყის წიგნიდან, რომელსაც თქვენ არ იხსენიებთ, ის კი მოყვანილი აქვს ზელდენს თავის წიგნში „Dediis syriis“, გვ. 166 — 170, აგრეთვე ევსევის.

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ისტორიული წყაროები არ იხსენიებენ სასწაულმოქმედ ლაბადას, რაკი თვითონ ბრძანებით, რომ მას „აჩვენებდნენ ვენუსის ტაძარში, მაგრამ გაცილებით უფრო გვიან და მხოლოდ რომის იმპერატორთა ეპოქაში“? მაგრამ აი ატენეუსს XII, 58, მეტად დაწვრილებით აქვს აღწერილი ეს ლაბადა, „თუმცა ისტორია მას არ იხსენიებს“. იგი უყიდეს დიონის უფროსს 120 ტალანტად, რომს გაგზავნა სციპიონ ემელიანემ, კართაგენს დაუბრუნა კაიუს გრაკხმა, რომში კვლავ გაჩნდა პელიოგაბალის დროს, შემდეგ კი კართაგენში გაიყიდა. ყოველივე ეს მოხსენიებული აქვს იმავე დიურო დე ლა მალს, რომელიც ძლიერ სასარგებლო იყო ჩემთვის.

სამე სტრიქონით ქვემოთ თქვენ ამტკიცებთ, იმავე გულახდილობით, რომ „სალამბოში“ მოხსენიებული ღმერთების უმრავლესობა პირწმინდად გამოგონილია და დასძენთ: „ვის გაუგონია აბტუკოსი“? ვინ არის კირენაიკელი დავეზაკი? „შაული“? კი მაგრამ, ეს ხომ ჩემი მონის სახელია! „მატისმანი“? ეს ღმერთად ჰყავს მოხსენიებული კორიპას (იხ. „წარწერათა აკადემიის ნარკვევები“, ტ. VIII). „ვინ არ იცის, რომ იყო არა ღვთაება, არამედ ადამიანი?“ ამას მე ნათლად ვამბობ, ბატონო ჩემო, ჩემი რომანის ერთგვერდზე, როცა სალამბო თავის მონებს მოუწოდებს: „ჩემთან მოდი, კრუმ, ენვა, მისიპსა; შაულ!“ ო.

თქვენ ბრალს მდებთ, რომ ორ სხვადასხვა ღმერთად ვიხმარე

ასტაროტი და ასტარტა, მაგრამ რომანის დასაწყისში, როცა სალამბო ტანიტს მიმართავს, იგი ყველას სახელს ერთბაშად ღაღადებს: „ანაიტის, ასტარტა, დარკეტო, ასტაროტ, ტირატა“. მე კიდევაც ვთქვი ცოტა ქვემოთ, რომ იგი იმეორებდა ყველა ამ სახელს და მათ სხვადასხვა აზრი არ ჰქონდათ მისთვის. და თქვენ სალამბოსავით იქცევით? მე იძულებული ვარ ეს დავიჯერო, იმიტომ რომ თქვენ ტანიტი გადააქციეთ ომის ღმერთად და არა სიყვარულის, ქალთა საწყისის, ნაყოფიერების ღმერთად, ტერტულიანის. საწინააღმდეგოდ, ასევე მოექვეცით ტირატას, რომლის ნაკლებზრდილობიანი, მაგრამ ნათელი ახსნა შეგიძლიათ ნახოთ მოვერსის წიგნში „ფინიკიის სიძველენი“, წიგნი 1, გვ. 574.

თქვენ გოცებთ აგრეთვე მთვარისადმი მიძღვნილი მაიმუნები და მზისადმი მიძღვნილი ცხენები. „ასეთი დაწვრილებითი ცნობები (ამაში დარწმუნებული ხართ) არ მოეპოვება არც ერთ ძველ ავტორსა და არც ერთ ავტენტურ ძეგლს“. მე კი ნებას მივცემ თავს მაიმუნების შესახებ მოგაგონოთ, ბატონო ჩემო, რომ კინოცეფალები ეგვიპტეში მიძღვნილი იყო მთვარისადმი, რაც ნათლად ჩანს ტაძრების კედლებზე, ეგვიპტის კულტი ლიბიასა და ოაზისში გავრცელდა. რაც შეეხება ცხენებს, მე არ ვამბობ, თითქოს ისინი ეძღვნებოდნენ ესკულაპს, არამედ ეუმუნს, რომელსაც ადარებდნენ ესკულაპს, იოლაის, აპოლონს, მზეს. და მართლაც, მზისადმი მიძღვნილი ცხენები გვხვდება პავანანისთან (წიგნი 1, თავი I) და ბიბლიაში მეფეთა, წიგნი II, თავი XXXII). მაგრამ იქნებ თქვენ დაიწყოთ უარყოფა, რომ ეგვიპტური ტაძრები ავტენტური ძეგლებია, ხოლო ბიბლია და პავანანი ძველი წიგნები არ არის?

ბიბლიის გამო მე ვკისრულობ დიდ სითამამეს, ბატონო ჩემო, გიჩვენოთ კაგენის თარგმანის II წიგნი, გვ. 186, სადაც შეგიძლიათ წაიკითხოთ შემდეგი: „მათ ყელზე ოქროს ძეწკვით ეკიდათ ძვირფასი ქვისაგან გამოკვეთილი პატარა ფიგურა, რასაც ჰემმარიტებას ეძახდნენ. კამათი იწყებოდა მაშინ, როცა თავმჯდომარე წინ დაიდგამდა ჰემმარიტების გამოხატულებას“. ეს ამოწერილია დიოდორედან; აი კიდევ სხვა ტექსტი — ელიანიდან. „ყველაზე ხნიერნი მათ შორის იყვნენ უფროსები და მსაჯულები. მათ ყელზე ეკიდათ საფირონის თილისმა, ამ თილისმას ჰემმარიტებას“.



რიტება ეწოდებოდა“. ამრიგად, ბატონო ჩემო, „ეს კეშმარი-  
ტება ავტორის კარგი მონაგონია“.

მაგრამ თქვენ ყველაფერი გაკვირვებთ: სიტყვა „მოლობატრი“, რომელიც იწერება (მოგწონთ თუ არა) „მალობატრი“ ან „მა-  
ლაბატრი“, ეს არის ოქროს ფხვნილი. მას ახლაც პოულობენ,  
როგორც წინათ, კართაგენის ნაპირზე; გაკვირვებთ ისიც, რომ  
სპილოებს ყურები შეღებილი აქვთ ცისფრად, ისიც, რომ ადამიან-  
ები ითხუპნებიან სინგურით და ჭამენ მატლებსა და მაიმუნებს,  
ლიდიელებიც, ქალის კაბას რომ იცვამენ, მანდრაგორებიც, რომ-  
ლებსაც ჰიპოკრატე ახსენებს, ოქროს ძეწკვებიც კოჭებზე, რომ-  
ლებიც ნახსენებია „ქებათა ქებაში“ (კაგენი, ტ. XVI, გვ. 37).  
წვერები ტომსიკებში, ჯვრებზე გაკრული ლომები და სხვ.—  
ყველაფერი!

არა-მეთქი, ბატონო ჩემო, მე „ეს დეტალები არ მისესხნია  
სენეგამბიელი ზანგებისაგან“. სპილოების შესახებ მიმართეთ არ-  
მანდის ნაშრომს, გვ. 256, და ავტორიტეტებს, რომლებსაც  
იგი ასახელებს, როგორიც არიან ფლორი, დიოდორე, ამიენ  
შარკელინი და სენეგამბიელი სხვა ზანგები.

რაც შეეხება მომთაბარეებს, რომლებიც ჭამენ მაიმუნებს,  
აკნატუნებენ რწყილებს და ითხუპნებიან სინგურით, რადგან „შე-  
იძლება გკითხოთ, რა წყაროდან შეიძინა ავტორმა ესოდენ ძვირ-  
ფასი ცნობები“ და „რადგან, — თქვენი აღიარებით, — ძლიერ გა-  
გიჟირდებოდათ ამაზე პასუხის გაცემა“, ამიტომ მორჩილად  
მოგცემთ ზოგიერთ ცნობას, რომლებიც კვლევას გაგიადვილე-  
ბენ.

„მაქსიები... სხეულზე ისვამენ სინგურს. გიზანტები ითხუპნე-  
ბიან სინგურით და ჭამენ მაიმუნებს, მათი ცოლები (ადრმაჰიდე-  
ზის ცოლები), როცა მათ რწყილები აწუხებენ, იჭერენ მათ და  
აკნატუნებენ“ და სხვ. ყოველივე ამას თქვენ ნახავთ ჰეროდო-  
ტეს V წიგნის CXCIV, CXCI და CLXVIII თავებში. მე პასუხის  
გაცემა როდი მეძნელება.

იმავე ჰეროდოტესაგან შევიტყვე, ქსერქსის არმიის აღწერი-  
ლობაში, რომ ლიდიელებს ქალის ტანსაცმელი ჰქონდათ.

გარდა ამისა, ათენეს ეტრუსკების შესახებ და მათს მსგავსე-  
ზაზე ლიდიელებთან, ნათქვამი აქვს, რომ მათ ქალის ტანსაცმე-  
ლი ემოსათ. ბოლოს, ლიდიურ ბახუსს მუდამ ქალის ტანსამო-

სი აცვია. კმარა თუ არა ლიდელებისა და მათი ტანსაცმლის შესახებ?

წვერები ტომსიკებში, გლოვის ნიშნად, აქვს კაგენს (ეზეკია, თავი XXIV, 17) აგრეთვე ჩანს ეგვიპტური გოლიათების ნიკაპებზე, სხვათა შორის აბუ-სიმბალში. კარბუნკული ფოცხვერის შარდისაგან, მოხსენიებული აქვს თეოფრასტეს, „ძვირფასი ქვების“ ტრაქტატში და პლინიუსს, წიგნი VIII, თავი VII. რაც შეეხება ჯვარცმულ ღომებს (რომელთა რიცხვი თქვენ ორასამდე აგყავთ, რათა სასაცილო თვისებით დამასაჩუქროთ, რაც მე არ გამაჩნია), გთხოვთ პლინიუსის იმავე წიგნში წაიკითხოთ თავი XVIII, საიდანაც გაიგებთ, რომ სციპიონ ემილიანე და პოლიბიუსი კართაგენის მიდამოებში სეირნობისას ამ სახით დასჯილ ღომებს ხედავდნენ. „Quia ceteri metu poenae similis absterrentur eadeni noxia“. განა „დასურათებული მსოფლიოდან“ განუსჯელად ამოღებული ეს ციტატები არ გამოიყენა ჩემს წინააღმდეგ კომპეტენტურმა კრიტიკამ? რა კომპეტენტურ კრიტიკაზე ლაპარაკობთ? თქვენსაზე ხომ არა?

თქვენ ძლიერ გართობთ ბროწეულის ხეები, რომლებსაც სილფიუმით რწყავენ, გარნა ეს დეტალი მე როდი მეკუთვნის, ბატონო ჩემო. ის ნათქვამი აქვს პლინიუსს, წიგნი XXVII, თავი XVII. ძლიერ მეწყინა, როცა დასცინეთ „ელებორს, რომელიც შარანტონში უნდა გავახაროთ“. მაგრამ თქვენი საკუთარი სიტყვებია: ყველაზე გონიერი ადამიანები ვერაფერს გახდებოდნენ, თუ ცოდნა საკმაო არ იქნებოდა“.

ძლიერ ცდებით, როცა ამტკიცებთ, რომ „ჰამილკარის საგანძურის ძვირფას ქვებს შორის, ბევრი, ლეგენდებისა და ქრისტიანული ცრურწმენის გაგრძელებაა“. არა, ბატონო ჩემო, ყველა მათ იხსენიებენ პლინიუსი და თეოფრასტე. ზურმუხტის სტელებს ტაძრის შესავალში, რაც თქვენს დაცინვას იწვევს, იმიტომ რომ მზიარული კაცი ბრძანდებით, ახსენებს ფილოსტრატე („აპოლონიუსის ცხოვრება“) და თეოფრასტე („ტრაქტატი ძვირფასი ქვების შესახებ“). ჰეერენს (ტომი III). მოჰყავს შემდეგი ფრაზა: „ყველაზე დიდი ბაქტრიული ზურმუხტი არის ტიროსში, პერკულესის ტაძარში. ეს არის საკმაოდ დიდი სვეტი“. მეორე ციტატი თეოფრასტედან (ჰილის თარგმანი): „იუპიტერის ტაძარში იყო ობელისკი, რომელიც ოთხი ზურმუხტისაგან შედგებოდა“.

მიუხედავად „თქვენ მიერ შექმნილი ცოდნისა“, ერთმანეთისა-  
გან ვერ გაგირჩევიათ ჩინური მუქმწვანე ნეფრიტი და იაშმა —  
კვარცის ნაირსახეობა, რომელიც ევროპასა და სიცილიაში იპო-  
ვება. შემთხვევით რომ გადაგეშალათ „საფრანგეთის აკადემიის:  
ლექსიკონი“ სიტყვა იაშმაზე, შეიტყობდით, რომ ეს ქვა იყო  
შავი, წითელი და თეთრი. მამასადამე, საქირო იყო, ბატონო  
ჩემო, თქვენი შეუფერხებელი აღფრთოვანება შეგენელებინათ და  
ხუმრობით არ გესაყვედურებინათ ჩემი მასწავლებლისა და მეგობ-  
რის თეოფილ გოტიესათვის, რომ მან ქალს (თავის რომანში) გა-  
შობაბა მწვანე ფეხები, მაშინ როცა ნამდვილად მწვანე კი არა,  
თეთრი ჰქონდა. ასე რომ, მან კი არა, თქვენ ჩაიდინეთ სასაცი-  
ლო შეცდომა.

თქვენ რომ ნაკლები ზიზლით ეპყრობოდეთ მოგზაურობას, შე-  
გეძლოთ ტურინის მუზეუმში გენახათ მუმის ნამდვილი ხელი,  
ბ. პასალკმა რომ ეგვიპტიდან მოიტანა, იმ პოზით, რომელიც აღ-  
წერილი აქვს თ. გოტიეს, და რომელიც, თქვენი აზრით,  
უეჭველად ეგვიპტური არ არის. თუმცა ინეინერი არ ბრძანდებით,  
მაგრამ შეიტყობდით, როგორ იქცევიან საყები, რომ წყალი შინ  
შიიტანონ, და დარწმუნდებოდით, რომ მე ბოროტად არ გამოძი-  
ჯენებია შავი ტანსაცმელი, როცა ვახსენე იმ ქვეყნების აღწერის  
დროს, სადაც იგი უხედაა და სადაც მაღალი კლასების ქალები  
ქუჩაში ისე არ გავლენ, თუ შავი ლაბადა არ წამოისხეს. მაგრამ,  
რაკი თქვენ წერილობით საბუთებს ამჯობინებთ, გირჩევთ, რამდე-  
ნადაც ქალის ტანსაცმელს შეეხება, მიმართოთ შემდეგ ავტორებს:  
ისაიას, III, 3, მიშნუს („შაბათის შესახებ“), სამუელს, XIII,  
18, წმ. კლემენტი ალექსანდრიელს (Phaed, II, 13) და აბე მი-  
ნიოს დისერტაციას წარწერათა აკადემიის „ჩანაწერებში“ (ტომი  
X, II). ორნამენტიკის სიუხვის გამო, რაც ასე გაკვირვებთ, სრუ-  
ლიად მართალი ვიყავი, როცა მას ვაკუთვნებდი ისეთ ხალხებს,  
რომელთაც თავიანთი სახლების იატაკი ძვირფასი ქვებით მოუოქავთ  
(იხ. კაგენი, იეზუკია, XXVII, 14). მაგრამ თქვენ ბედი არ გწყა-  
ლობთ, როცა საქმე ძვირფას ქვებს ეხება!

ვამთავრებ, ბატონო ჩემო, და მადლობას მოგახსენებთ იმ სა-  
სიამოვნო გამოთქმებისათვის, რომელთაც თქვენ ხმარობთ, ამჟა-  
მად ეს იშვიათი რამეა. თქვენს უზუსტობათა შორის მე შევეხე  
მხოლოდ ყველაზე უხეშებს, რომლებიც სპეციალურ საკითხებს

ეხებიან. რაც შეეხება გაურკვეველ კრიტიკას, პირადი ხასიათის მსჯელობას და ჩემი წიგნის ლიტერატურულ გარჩევას, ამას გაკვრიტაც კი არ შევხებივარ. მე მუდამ ვიმყოფებოდი თქვენთვის ესოდენ ახლობელ მეცნიერული ცოდნის ნიადაგზე, და ვიმეორებ, რომ ამაში ეგოდენ ძლიერი არ ვარ. მე არც ებრაული, არც არაბული, არც გერმანული, არც ბერძნული და არც ლათინური არ ვიცი; ვერც ფრანგულის ცოდნას დავიკევი. ხშირად ვსარგებლობდი თარგმანებით, ზოგჯერ ორიგინალებსაც ვიყენებდი. რჩევისათვის არ მიმიმართავს, როცა არ ვიცი, იმ ადამიანებისათვის, ვინც საფრანგეთში ჯველაზე კომპეტენტურად მიაჩნიათ, და თუ უკეთესი ხელმძღვანელი არ მყოლია, მხოლოდ იმიტომ, მაპატიეთ, რომ არ მქონია პატივი და უპირატესობა თქვენი ნაცნობი ვყოფილიყავ.

უკეთესი გამოვიდოდა თუ არა ჩემი წიგნი, თქვენი რჩევით რომ შესარგებლნა? მეეპყება. ყოველ შემთხვევაში, დამაკლდებოდა მხოლოდ ის კეთილგანწყობილება, რასაც ზოგან თქვენს სტატიაში იჩინებ ჩემდამი და გადაგარჩენდით სინდისის ქენჯნისაგან, რითაც თქვენი სტატია მთავრდება: გარნა დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემო, თუმცა თითქოს საშინელებას გგვრით თქვენივე ძლიერება და სერიოზულად ფიქრობთ, რომ „განადგურეთ“ ჩემი წიგნი, მაგრამ ნუ გეშინიათ, დამშვიდდით! თქვენ მკაცრი კი არა... ფუქსავატი იყავით!

მაქვს პატივი და სხვ.

## ტ უ რ ბ ე ნ ე ვ ს

კრუასე, რუანის ახლოს 1863 წ., 16 მარტი.

ძვირფასო ბატონო ტურგენევი,

რა მადლიერი ვარ თქვენი საჩუქრისათვის! ეს არის წავიკითხე თქვენი ორი წიგნი და არ შემიძლია არ გამოვთქვა ჩემი აღტაცება. დიდი ხანია თქვენ ჩემთვის მასწავლებელი ბრძანდებით, მაგრამ, რაც უფრო მეტს ვსწავლობ თქვენს ნაწერებს, მით უფრო მათეებს

თქვენი ნიჭი. ალტაცებაში მოვეყავარ თქვენი წერის მგზნებარებას და იმავე დროს თავშეკავებას, პატარა ადამიანებისადმი თქვენს სიმპათიას, პეიზაჟს, აზრით რომ აავსებს. ხედავ და ოცნებობ,

სწორედ ისევე, როგორც „დონ კიხოტის“ კითხვა იწვევს სურვილს ცხენით მივდიოდე მტკრით გადათეთრებულ გზაზე და კლდის ჩრდილში ვკამდე ზეთისხილსა და უმ ხახვს, მინდა, როცა ვკითხულობ თქვენს „რუსეთის ცხოვრების სურათებს“, ურმით ვლახლახობდე დათოვლილ გზებზე და მგლის ყმუილს ვისმენდე. თქვენს ნაწარმოებთაგან ფშვინავს ტკბილი და ნაზი არომატი, მომხიბვლელი ნაღველი, სულის სიღრმეს რომ აღწევს. როგორ ჰფლობთ ხელოვნებას! რა შეხამებულია გულაჩუყება, ირონია, დავირვება და საღებავები! და თანაც რა შეთანხმებულია ყოველივე ეს! რა ოსტატურად იწვევთ ყველა ამ შთაბეჭდილებას! რა მტკიცე ხელია!

თვითმყოფადი ხართ და ამავე დროს ჩვეულებრივის ფარგლებს არ სცილდებით. რამდენი რამ ვნახე თქვენს ნაწერებში, რაც მე მიგრძენია, განმიცდია! სხვათა შორის „სამ შეხვედრაში“, „იაკობ პასინკოვში“, „ზედმეტი კაცის დღიურში“ და სხვ. — ყველგან. მაგრამ, რაც ნაკლებ დაფასებულია თქვენი, ეს არის თქვენი სული, ე. ი. მუდმივი მღელვარება. რაღაცნაირი ღრმა და ფარული მგრძნობელობა. ძლიერ ბედნიერი ვიყავ გაგცნობოდით ამ ორი კვირის წინათ და მაგრად ჩამომერთმია ხელი; ახლაც კვლავ გართმევთ ხელს და უფრო მაგრად, ვიდრე ოდესმე. გთხოვთ ირწმუნოთ, ძვირფასო მოძმევ, რომ მთლად თქვენი ვარ.

გ უ ს ტ ა ვ ფ ლ ო ბ ე რ ი .

## თეოფილ გობინს

კრუსე, 1863 წ., აპრილის დამდეგს.

როგორა ხარ, ძვირფასო ძველო მაესტრო? როგორაა „ფრაკასის საქმე“? ფიქრობთ თუ არა „სალამბოზე“? ახალი ხომ არათე-

! საქმე ეხება ოპერას ამ რომანის მიხედვით.

რია ამ ახალგაზრდა ქალის შესახებ? „ფიგარო — პროგრამამ“ კვლავ დაიწყო იმაზე ლაპარაკი, ვერდი კი პარიზშია.

როგორც კი რომანი დაამთავრო, ჩამოდი ჩემთან ერთი კვირით, (ან მეტით) ჩემს ქოხში, როგორც დამპირდი, და წესრიგში მოვიყვანოთ სცენარი. გელოდები მაისში. ორი დღით ადრე გამაფრთხილე.

ერთსა და იმავე დროს ორ წიგნზე ვფიქრობ, მაგრამ საქმით კი ძლიერ ცოტა რამეს ვაკეთებ. სიტყვები ყელში მეჩრება და ნალეული მახრჩობს, თუ შეიძლება ასე თქმა.

ასე მგონია, ძლიერ დიდი ხანია, რაც შენი მშვენიერი სახის „ფორთხეთი“ არ მინახავს!

წარმომიდგენია, რა ზორბად ცილაყებთ აქ, მყუდრო კაბინეტში (შორს ქალებისა და მათი კურკურისაგან!). ამიტომ გამოეშურე აქეთ, როგორც კი განთავისუფლდე. |

გკოცნი ორივე ლოყაზე.

ნაზი სალამი შთამომავლობას.

მე ხუცების სიძულვილის მსხვერპლი ვარ, რადგან მათ დამწყევლეს ორ ეკლესიაში: წმ. კლოტილდასა და სამების საყდრებში. მაბრალიან იმას, რომ მოვიგონე რალაც უხამსი ჩაცმულობა და მსურს კერპთაყვანისმცემლობას დავუბრუნდე.

## მადამუაზელ ამელი ბოსკის

პრუანა, 1864 წ., 9 აგვისტო

მე თქვენი წერილის მიუღებლადაც ვიცი, რომ კეთილი გული და დიდი ჰკუა გაქვთ. ამიტომ იყო, რომ მკეახედ და უხეშად მოგწერეთ. თქვენს ჰკუაში რომ დავეჭვებულებიყავ, ასე გულახდილად არ მოგწერდით, ხოლო, რაკი მიუხედავად ყველაფრისა, ჩემგან კოცნაზე უარს არ ამბობთ, გიგზავნით მთელ ოთხ კოცნას, თითოს ყოველ ლოყაზე და ორსაც ოდნავ უფრო მაგარს, უფრო ქვემოთ.

აი რა უნდა მეთქვა თქვენთვის: პირადად მე ზემოხსენებული ბერანეე მევენედ მიმჩნია. იგი საფრანგეთს ასწავლის ისეთ არაკებს, თითქოს პოეზია სხვა არა არის რა, თუ არა გარითმული

აღტაცება იმით, რაც ძვირფასია მისი გულისათვის. მე მძულს იგი თვით დემოკრატიისა და ხალხისადმი სიყვარულის სახელით. ეს აოის დაქირავებული — მედუქნე, ბურჟუა, თუ შეიძლება ასე თქმა. მე მეზიზღება მისი მხიარულება. ვოლტერის შემდეგ დროა ბოლო მოეღოს ორატორიან ხასიათის რელიგიურ ხუმრობას. შემდეგ კიდევ ერთი მოსაზრება: რატომ არ უნდა მოვიდრიკოთ თავი დიდი პიროვნების წინაშე, ნამდვილად დიდი პოეტების წინაშე? გარნა, იქნებ საფრანგეთს არ შეუძლია მოინელოს უფრო მაგარი ღვინო? ბერანჟე და ჰორაციუს ვერნე დიდხანს იქნებიან მისი საყვარელი პოეტი და მხატვარი.

თქვენს სტატიაში ყველაზე მეტად იმან აღმაშფოთა, რომ იგი ბოსიუესა და შატობრიანს შეადარეთ, თუმცა ჩემს თვალში ღმერთები არც ესენი არიან. მე ვამტკიცებ, რომ, რაც უნდა თქვან, პირველი ცუდად წერდა. თუმცა, დროა შევთანხმდეთ სტილზე. სულ ერთია! არ შემიძლია ეს პატრიციები იმ მედუქნეს შევადარო.

მე რეაქციისათვის როდი მომიცდია, რომ საკუთარი აზრი შემემუშავებინა. ოცდაოთხი წლის წინათ, 1840 წელს, კინალამ გარეთ გამაგდეს, როცა თავს დავესხი მას ერთ-ერთი მისი მეგობრის სახლში. ეს მოხდა კორსიკელი პრეფექტისას, მთელი გენერალური საბჭოს დასწრებით. იმასაც კი გეტყვით, რომ ახლა საკმაოდ ხშირად ვიცავ ხოლმე ზემოხსენებულ ბერანჟეს. იმიტომ რომ საზოგადოება გაცილებით უფრო მდაბალია თავის იდეალზე.

თუმცა სენტ-ბევის ერთ-ერთ უკანასკნელ წიგნში არის მშვენიერი ფურცელი, სადაც ბერანჟე, საუცხოოდ აჩის აწერილი და სწორედ ისე, როგორც მე მიმაჩნია. იქ მეც კარგად ვარ გამოყვანილი, ისე მართლად, რომ ბევრი ვიცინე.

მზად ვარ დაგეთანხმოთ, რომ იგი თანამედროვე განთქმულ პოეტებზე უფრო ღირსეულია. სუსტი ქებაა, მაგრამ მეტი არ შემიძლია.

რით აიხსნება ასეთი შეღავათიანობა მოქროვილი უხეირობისადმი? რით აიხსნება, რომ ხშირად მოჰყავთ ბერანჟეს სტრიქონები, მაშინ, როცა სენტ-ამანის არც ერთი ლექსი, რაბლეს არც ერთი გვერდი არავინ არ იცის? რატომ ითვლება ჩვენში ტიერი დიდ ისტორიკოსად და სხვ? რა ამოებბაა ყოველივე ეს, ლიტერატურა და დიდება!

კავალერ მარინის საფრანგეთში მეტი პატივი ჰქონდა, ვიდრე ყველა მწერალს ერთად. ვინ კითხულობს ახლა ბაირონს? თუნდაც ინგლისში! ვეთანხმები კუზენს და ყოველივე აქედან გამოყავს დასკვნა, რომ „მშვენიერება საფრანგეთში შექმნილია ორმოცი კაციისათვის საუკუნეში“. ავდივარ ჩემს სპილოს ძვლის კოშკში და ვხურავ სარკმელს... თორემ შეიძლება გავიტეხო გოგრა ან ჰქუაზე შევცდე. ხოლო როცა კვლავ დასწერთ კრიტიკულ წერილს, კაცთმოყვარეობის გულისათვის, ეცადეთ მკითხველის დონემდე კი არ ჩამოქვეითდეთ, არამედ თქვენამდე აამაღლოთ იგი. ნუ დაივიწყებთ თქვენს ქურუმულ წოდებას, როგორც ბ-ნი პრიუდომი იტყოდა, და წინანდებურადვე გიყვარდეთ, რადგან თქვენი ვარ.

## ჟორჟ სანდს

კრუასე, 1866 წ., 5 — 6 დეკემბერი.

ო, რა მშვენიერია მარენგო — მერცხლის წერილი! ხუმრობის გარეშე, მე მგონია, რომ ეს შედეგურია! ყოველ სიტყვაში იგრძნობა ავტორის გენიალობა. ბევრი ვიხარხარე. დიდი მადლობა, ძვირფასო მესტრო, უსაზღვროდ მშვენიერი ხართ.

თქვენ არასოდეს არ მეუბნებით რას აკეთებთ. რა მდგომარეობაშია ღრამა? სრულიადაც არ მაკვირვებს, რომ არ გესმით ჩემი ლიტერატურული წვალება! თვითონაც არაფერი მესმის. ნამდვილად კი ვეწვალეები, და სასტიკადაც. არ ვიცი, როგორ შევუდგე საქმეს. დაუსწრებელი მოსინჯვის შემდეგ ძლივს ვალწევ ჩემი აზრების მებასედ ნაწილს. თქვენი მეგობარი ისეთი კაცი როდია, რომელიც ერთი შეტევით იწყებს, არა! აგერ მთელი ორი დღეა ერთ აბზაცზე ვჯახირობ და არაფერი არ გამოდის. ზოგჯერ ტირილი მინდა! ალბათ, სიბრალულს გგვრით! თვითონაც მებრალეობა ჩემი თავი.

ის, რასაც უკანასკნელ წერილში მწერთ ჩვენი დავის საგანზე (თქვენი ჰაბუკის გამო), ისე ეთანხმება ჩემს პირად შეხედულებას, რომ არა თუ ვახორციელებ მას პრაქტიკაში, არამედ კიდევაც ვჭადაგებ. ჰკითხეთ თეოს. გარნა უნდა შევთანხმდეთ. ხელო-



ვანები (თუ მღვდლები არიან) არაფერს არ კარგავენ თავიანთი უბიწობით, პირიქით! მაგრამ ბურჯუას ეს რად უნდა? ვინმე ხომ უნდა მოსდევდეს ადამიანის ბუნების მოთხოვნილებას. ბედნიერია ის, ვინც მისი ერთგულია!

მე მგონია (თქვენს საწინააღმდეგოდ), არ ღირს იღუეალური ხელოვანის ხასიათის შეცვლა. ეს საშინელება იქნებოდა. ხელოვნება იმისთვის როდია შექმნილი, რომ განსაკუთრებული მოვლენები გამოხატოს; ამასთან მე დაუძლეველი ზიზღი მერევ. როცა ქალაქში გადადის ის, რასაც გულში ვატარებ. მე ისიც კი მგონია, რომ რომანისტს არა აქვს უფლება გამოთქვას თავისი აზრი, რაზედაც უნდა იყოს. განა უფალ ღმერთს უთქვამს როდისმე თავისი აზრი? აი რატომ მახრჩობს ბევრი ისეთი რამ, რაც უნდა გადმომენტხია, მე კი ცვლაპავ. კაცმა რომ თქვას. რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი? ყოველი პირველი შემხვდური ბ-ნ ფლობერზე უფრო საინტერესოა, იმიტომ რომ მას უფრო მეტი სჩვევია ზოგადი და ამის გამო უფრო ტიპურია.

მიუხედავად ამისა, არის ხოლმე ისეთი დღეები. როცა ვერ ვგრძნობ, რომ უკიდურეს იდიოტიზმამდე მივედი. ქალაქში წითელი თევზები მყავს და ისინი მართობენ, — სადილზე ჩემი მეინახენი არიან. განა სისულელე არ არის ასეთი რამეები გაინტერესებდეს? მშვილობით, გვიანია, თავი მისკდება. გკოცნით.

## ჟორჟ სანდს

ს. იუანე, 1867 წ., 23 იანვრის ღამე.

ვასრულებ თქვენს რჩევას, ძვირფასო მანესტრო. და მივლევ ტანვარჯიშს.

განა კაი ბიჭი არა ვარ?

კვირას, ღამის 11 საათზე. მთვარე ისე აქათათებდა თოვლსა და მდინარეს, რომ სიარულის საღერდელი ამეშალა და ორსაათნახევარს დავსვირნობდი, თანაც თავი რუსეთში ან ნორვეგიაში მეგონა, ყინულის დნობის დროს, როცა სენაზე ყინული ტკაცუნობდა და ეზოებშიც გაყინული გუბები ჩაიმსხვრა, ჭეშმარიტად მშვე-

ნიერი სურათი იყო, მაშინ მომაგონდით და დამენანა, რომ ჩემთან არ იყავით.

არ მიყვარს მარტოდ ქაშა. უსათუოდ ვინმეს უნდა მივალე ბინო მონაწილეობა იმ სასიამოვნო საქმეში, რასაც ვაკეთებ, მაგრამ ეს „ვინმე“ იშვიათად არის ხოლმე. მეც ვეკითხები ხოლმე თავს, რად მიყვარხართ. იმად ხომ არა, რომ დიდი ადამიანი ხართ, ან იმად, რომ მომხიბვლელი არსება ხართ? არ ვიცი. ერთი რამ კი მართალია: განსაკუთრებული გრძნობა მაქვს თქვენდამი, და ვერ გამირკვევია იგი.

მართლაც, როგორ გგონიათ (თქვენ' ხომ დიდი ფსიქოლოგი ხართ) შეიძლება თუ არა თანაბრად გიყვარდეს ორი ადამიანი? შეიძლება თუ არა ორჯერ განიცადო ერთი და იგივე გრძნობა? მე მგონია, რომ არა, რადგან ჩვენი ინდივიდუალობა არსებობის ყოველ წუთს იცვლება.

თქვენ მშვენიერ რამეებს წერთ „უანგარო სიყვარულზე“. ეს მართალია, მაგრამ მართალია პირუკუც! ღმერთს მუდამ საკუთარი სახის მსგავსად ვხატავთ ხოლმე. ჩვენს ყოველგვარ მეგობრობასა და გაღმერთებას საფუძვლად უდევს საკუთარი თავი ან ჩვენი მსგავსი რამ. მე რა, რომ კარგები ვართ!

ჩემი „მე“ ამ წამს საშინლად მომბეზრდა. როგორ ამძიმებს ხანდახან ჩემს მხრებს ეს ობროდი! იგი მეტად ნელა წერს და სულაც არ ტყუის, მუშაობას რომ უჩივის. რა უბედურებაა! რა დაწყევლილმა ფიქრმა მომიარა, ასეთი სიუჟეტი ამერჩია! რატომ არ მასწავლით, როგორ ვწერო უფრო ჩქარა? თქვენ კი ბედს უჩივით! თქვენ!

მივიღე სენტ-ბევის წერილი და დავმშვიდდი მისი ჯანმრთელობის გამო, თუმცა წერილი ძლიერ სევდიანია. მგონი სასოწარკვეთილია, რომ არ შეუძლია მოინახულოს კვიპროსის კორომები! რაც უნდა იყოს, იგი სწორ გზაზეა, ყოველ შემთხვევაში მისი თვალსაზრისით, რაც საბოლოო ანგარიშით ერთი და იგივეა. იქნებ მის ასაკში მას დავემსგავსო. თუმცა, მგონი არა, სხვანაირი იყო ჩემი ახალგაზრდობა, სხვანაირი იქნება მოხუცებულობაც.

ეს მაგონებს, რომ ოდესღაც ვოცნებობდი. დამეწერა წიგნი წმ. პეტრისზე. შანფლერიმ ცუდად დაამუშავა ეს სიუჟეტი. იქ მე კომიკურს ვერაფერს ვხედავ. მე, პირიქით, საშინელი და უბადრუკი გამომივიდოდა. მე მგონია, რომ გული არ ბერდება; არის

ისეთი ხალხი, ვისაც იგი სიბერეში უფრო მეტის შემცველიც უბ-  
დება. პირადად მე ოცი წლის წინათ უფრო მშრალი და უკმეხი ვი-  
ყავ. ახლა უფრო ქალური და ნაზი გავხდი, და ეს მაშფოთებს.  
ვეგრძნობ, რომ დონდლო ვხდები, ჩემი გულაჩუყება ადვილია:  
ძველად მაცბუნებს და მალეღვებს, ვსუსტდები, როგორც ქა-  
რისაგან დარხეული ლერწამი.

თქვენი ერთი ნათქვამის გახსენებამ მაიძულა გადამეკითხა „პერ-  
ტელი ლამაზი ქალიშვილი“<sup>1</sup>, კარგად დაწერილია, რაც გინდა  
თქვი. იმ კაცს უთუოდ არ აკლდა წარმოსახვის უნარი.

მაშ, მშვიდობით. ფიქრობდეთ ჩემზე. ყოველ კეთილს გი-  
სურებთ.

## მ ი შ ლ ე ს

კრუასე, 1867 წ., 12 ნოემბერი

ძვირფასო. მესტრო!

არ ვიცი, რა სიტყვებით გამოვხატო ჩემი აღტაცება.

უკანასკნელი ქვა, რომელმაც თქვენი გიგანტური ძეგლი და-  
იგვირგვინა, ოქროს ზოლი მგონია. დაბრმავებული ვარ.

პირველად წარმომიდგა ნათლად მეთვრამეტე საუკუნის დასას-  
რული. თქვენამდე არაფერი არ გამეგებოდა არც შუაზელის. არც  
მარი-ანტუანეტის, არც მანიაკის ამბისა და არც სხვ. გმადლობთ,  
რომ თავისი ადგილი მიუჩინეთ კალონს, რადგან ლუი ბლანის აღ-  
ტაცებული აზრი მის შესახებ დაუმსახურებელი მეჩვენებოდა.  
თქვენ სამართლიანი ბრძანდებით და ამიტომაც უყვარხართ.

თქვენმა მსჯელობამ რუსოზე, შემიძლია ვთქვა, მომზიბლა. რად-  
გან იგი აზუსტებს ჩემს საკუთარ აზრს მასზე. თუმცა მე ამ კაცის  
შვილიშვილთა მრევლში ვიმყოფები, მიუხედავად ამისა, იგი არ  
მომწონს. მე მგონია, რომ მისი გავლენა დამღუპველი იყო. იგი  
მოშურნე და ტირანული დემოკრატიის მამამთავარია; თავისი ნაღ-  
ვლიანი მელანქოლიით მან ფრანგებს დაუჩრდილა უფლებების იდეა.

მე არ გამოვყოფ ყველადფერს, რამაც თქვენს წიგნში აღმაფრ-

<sup>1</sup> ვალტერ სკოტის რომანი.

თოვანა. შეხედულებანი, სიტყვები, ზუსტი შენიშვნები, იდე-  
ები — ყველაფერი საუცხოოა.

მე ისღა დამრჩენია, რომ ხშირად გადავიკითხო ხოლმე ეს ტო-  
მი, ერთი დაკვრით რომ გადავყლაპე. მერმე კი მას დაეაყენებ მი-  
სი უფროსი მოძმეების გვერდით ჩემი ბიბლიოთეკის იმ განყოფი-  
ლებაში, სადაც არიან ტაციტი, პლუტარქი და შექსპირი, რომ-  
ლებსაც მუდამ კითხულობ, რომლებითაც საზრდოობ. ეს სრულია-  
დაც არ არის გადაჭარბებული სიტყვები: თქვენ ნამდვილად ეკუთვ-  
ნით იმ ფრანგ ავტორთა რიცხვს, რომლებიც ყველაზე მეტად  
მიკითხავენ და კიდევაც ვკითხულობ.

მინდა მალე გნახოთ და ერთხელ კიდევ გადაგიხადოთ მადლობა.  
ძვირფასო მაესტრო. არ დამვიწყენია, რომ თავაზიანობა გამოიჩი-  
ნეთ და სექტემბერში მომინახულეთ. პარიზში იანვრის დამლევზე  
ადრე ვერ ჩამოვალ.

გთხოვთ გადასცეთ სალამი ქ-ნ მიშლეს.

ნება მიბოძეთ მაგრად ჩამოგართვათ ხელი.

თქვენი ერთგული პატივისმცემელი.

## უორუ სახლს

კრუსე, 1867 წ., 18 დეკემბრის დამე.

ძვირფასო მაესტრო, უფალი ღმერთის ძვირფასო მეგობარო,  
„ვისაუბროთ დოზენვალზე, ცულრინოთ ბ-ნ ტიერს!“ არის კიდევ  
თუ არა იმაზე უფრო მოზეიმე რეგენი, უფრო საძაგელი ძველი  
ფიტული, უფრო შუბლვიწრო ბურჯუა! არა, ვერ წარმოიდგენ,  
როგორ მირევს გულს ეს ძველი დიპლომატიური გოგრა, თავის  
სისულელეს რომ ბურჯუაზიულ ნაკელზე ამრგვალებს! შეიძლება  
თუ არა მეტი სულელური და გულუბრყვილო კადნიერებით ილა-  
პარაკო ფილოსოფიაზე, რელიგიაზე ხალხებზე, თავისუფლებაზე,  
ყოველივე ამასა და დანარჩენზე! იგი გარდუვალი მეჩვენება, რო-  
გორც არარაობა! იგი მახშობს.

მაგრამ ყველაზე უკეთ მაინც მამაცი ეროვნული გვარდია გა-  
მოიყურება. ტიერმა იგი მოატყუა 1848 წელს, ეს კი ახლა კვლავ

აპირებს ტაში დაუკრას. რა ზუსაზღვრო სიგიჟეა! ეს იმას ამტკიცებს, რომ საქმე ტემპერამენტია. მეძავეებს, ისე როგორც საფრანგეთს, მუდამ ძველი ტაქიმასხარები მოსწონთ.

თუმცა, ვეცდები ჩემი რომანის მესამე ნაწილში (როცა მივალ რეაქციამდე, ივნისის დღეებს რომ მოჰყვა), მარჯვედ ჩავურთავ პანეგირიკს მის წიგნზე „საკუთრების შესახებ“ და იმედი მაქვს, ჩემი კმაყოფილი დარჩეს.

რანაირად შეიძლება ზოგჯერ საკუთარი აზრი გამოთქვა ამქვეყნიურ მოვლენებზე ისე, რომ შემდეგში თავი არ გაიცუტურაგო? ძნელი ამოცანაა. მე მგონია, ყველაზე უმჯობესია უბრალოდ აღწერო ის, რაც გაჯავრებს. გამოაშკარაება იგივე შურისძიებაა.

ჰოდა, აი! მასზე როდი ვჯავრობ, არც უცხოებზე, არამედ ჩემი იანებზე! უფრო მეტს რომ ვზრუნავდეთ მაღალი კლასების განათლებისათვის და სასოფლო-სამეურნეო ყრილობებს უფრო გვიანი დროისათვის გადავდებდეთ, ერთი სიტყვით, თავს რომ უფრო მეტ მნიშვნელობას ვანიჭებდეთ, ვიდრე მუცელს, ალბათ, ამ მდგომარეობამდე არ მივიდოდით.

ამ კვირაში წავიკითხე ბიუშეს წინასიტყვაობა მისი „პარლამენტარიზმის ისტორიის“ შესახებ. აი, სხვათა შორის, საიდან წარმოდგა ბევრი სისულელე, რაც დღემდე თავს გვახვევია.

და შემდეგ, არ ვარგა ამის თქმა, რომ მე არ ვფიქრობდე „ჩემს ძველ ტრუბადურზე“. აბა რაზე ვიფიქრო? იქნებ ჩემს წიგნაკზე? მაგრამ ეს ხომ უფრო ძნელი და თანაც უსიამო რამეა!

კანში სანამ დარჩებით? განა კანის შემდეგ პარიზს არ დაბრუნდებით? მე იქ იანვრის ბოლოს ვიქნები.

ჩემი წიგნი რომ 1869 წლის გაზაფხულზე დავამთავრო. ამიტომ თავს ერთი კვირის დასვენების უფლებაც კი არ უნდა მივცე! აი რატომ არ მივიდივარ ნოჟანს. სულ იმავე ამაზონელების ამბავია: ისარი რომ უკეთ ესროლათ, ძუძუები დაიჭრეს! განა ეს საბოლოო ანგარიშით უკეთესი საშუალებაა?

მშვიდობით, ძვირფასო მაესტრო, მომწერეთ, კარგო? ნაზად გკოცნით.

(1868)

...მ ი ტ ა ც ე ბ ე ნ, არ მასვენებენ ჩემივე წარმოსახული პერსონაჟები, უფრო სწორად, მე ვისხამ მათს სისხლსა და ხორცს. როცა ემა ბოვარის მოწამლვას ავწერდი, პ ი რ შ ი დ ა რ ი შ ხ ა ნ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ი გ ე მ ო მ ქ ო ნ დ ა, ვითომ ისე ვიყავი მოწამლული, ზედიზედ ორჯერ ამეშალა კუჭი, და მთელი სადილი წამოვანთხეი...

მხატვრის შინაგან ხედვას ნუ შეადარებთ ნამდვილ ჰალუცინაციას. ჩემთვის კარგად ცნობილია ორივე მდგომარეობა, მათ შორის მთელი უფსკრულია. ჰალუცინაციას მუდამ მიერევა ხოლმე შიში; გეკარგება საკუთარი პიროვნების შეგრძნობა, გგონია, ესაა ვკვდებიო. პოეტური ხედვა, პირიქით, სიხარულს ჰბადებს, თითქოს შენს არსებაში რაღაც იზრდებოდეს. მართალია, აქაც ეკარგება სინამდვილის შეგრძნება, ზოგჯერ ხედვა თანდათანობით ძლიერდება, ნაჭერ-ნაჭერ, როგორც დეკორაციის ნაწილები, გარნა აგრეთვე ხშირად იგი უეცარია, წამიერია, როგორც ჰალუცინაცია ჰიპნოზურ ძალაში.

რაღაც გაიღვებს თვალწინ და უეცრად უნდა ეცე.

## ქორუ სანდს

კრუსე, 1868 წ., 17 ოქტომბერი.

სინდისის ქენჯნა მაწვალებს, ძვირფასო მაესტრო, რომ ამდენ ხანს წერილზე არ გიპასუხეთ. იწერებოდით, „უსიამოვნებას“ მაყენებნო. გგონიათ, ეს არ ვიცოდი? კიდევაც გამოგიტყდებით (ჩვენ შორის დარჩეს), რომ ჩემი გემოვნება მშვენიერია, ამ შემთხვევაში უფრო იყო შეურაცხყოფილი, ვიდრე ჩემი გრძნობა თქვენდამი. მივხვდი, რომ ზოგმა თქვენმა ახლო მეგობარმა ძლიერ ცოტა სიფიცხე გამოიჩინა. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა უჭკუონი არიან მწერლები“. ეს არის ნაპოლეონ

პირველის მიმოწერის ნაწყვეტი. კარგი ნაწყვეტია ხომ? განა არ გგონია, რომ ნაპოლეონს მეტად აძაგებენ?

მასების უსაზღვრო გამოთავყვანების გამო თავაზიანი ვხდები ინდივიდუუმებისადმი, რაგინდ საზიზღარაც იყვნენ ისინი. გადაეცლავე ბიუშესა და რუს პირველი ექვსი ტომი. ყველაზე ნათელი, რაც იქიდან გამოვიტანე, არის უდიდესი ზიზღი ფრანგებისადმი: დალახეროს ღმერთმა! რა უტვინოები მოსახლეობდნენ მუდამ ჩვენს სამშობლოში! არც ერთი ლიბერალური იდეა არ ყოფილა პოპულარული, არც ერთი სამართლიანი საქმე უსკანდალოდ არ მომხდარა, არც ერთი დიდი ადამიანი არ გადარჩენილა უცემი და დაუჭრელი. „ადამიანის სულის ისტორიის ადამიანის სისულელის ისტორიაა“, როგორც ვოლტერმა თქვა.

და მე სულ უფრო და უფრო მჯერა შემდეგი ქვეშარიტება: ჩვენ იმდენად განვიმსკვალეთ მოწყალეების დოქტრინით, რომ დაეკარგეთ სამართლიანობის გრძნობა. ის, რამაც 48 წლის რევოლუციის შემადრწუნა, ბუნებრივად იწყება დიდ რევოლუციის შემდეგ, რაც უნდა თქვან. შორს არ წასულა საშუალო საუკუნეებიდან. მე მარათის ნაწერებში აღმოვაჩინე მთელი გვერდები პრუდონის თხზულებიდან და მზად ვარ დავდო ნიძლავი, რომ ასეთი რამ ლიგის მქადაგებელთაც მოეპოვებათ.

რა ღონისძიება შემოგვთავაზეს ყველაზე მოწინავე ადამიანებმა ვარენის შემდეგ? დიქტატურა, თანაც სამხედრო დიქტატურა: ეკლესიებს ხურავენ და აძვე დროს ტაძრებს აშენებენ და სხვ.

გარწმუნებთ, რევოლუციის გამო ვსულელდები. ეს უფსკრულია და იგი მიზიდავს.

ამასობაში რამოდენიმე ხარის ძალით ვმუშაობ ჩემს რომანზე. იმედი მაქვს, ახალი წლისათვის დამრჩეს არა უმეტეს ასი ფურცლისა, სხვანაირად რომ ვთქვა, კაი ნახევარი წლის სამუშაო. პარიზს წავალ რაც შეიძლება მოგვიანებით. ზამთარს სრულ მარტობაში გავატარებ, რაც ცხოვრების მდინარების დაჩქარების საუკეთესო საშუალებაა.

კრუსე, 1869 წ., 2 თებერვალი.

ჩემო ძვირფასო მეგობარო,

მე კვლავ კრუსეში ვარ, ესე იგი გუშინ ჩამოვედი, პარიზში ერთი კვირის ყოფნის შემდეგ, სადაც ვეძებდი უაღრესად სულელურ ინფორმაციას, როგორსაც კი კაცი წარმოიდგენს: დაკრძალვა, სასაფლაო და დამკრძალავი ბიურო — ერთი მხრივ, ქონებაზე დადებული ყაღაღა და სამართალწარმოება. — მეორე მხრივ, და სხვ. და სხვ. მოკლედ, დავიქანცე და შეშფოთებული ვარ.

ჩემი დაუსრულებელი რომანი ზიზღსა და მოწყენილობას მგვრის, საქმე კი მასთან სულ მცირე ოთხ თვეს მაინც მექნება კიდევ.

მოუთმენლად ველოდები თქვენს ლიტერატურულ კრიტიკას. რადგან ეს იქნება იმ კაცის კრიტიკა, ვინც თვით მწერალია. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი რამეა. ჩემი მეგობრების, ტენისა და სენტ-ბევისა ის არ მომწონს, რომ ისინი საკმაოდ არ უწყვეენ ანგარიშს ხელოვნებას, ნაწარმოების არსს, კომპოზიციას, სტილს ერთი სიტყვით, იმას, რაც-სილამაზეს ქმნის. ლაჰარპის დროს გრამატიკას აფასებდნენ, ახლა კი ისტორიკოსები გახდნენ, აი მთელი განსხვავება. თქვენ ესოდენ ორიგინალური და ძლიერი უნარი გაქვთ გრძნობისა, რომ თქვენი კრიტიკა თქვენი თხზულებების სიმალლეზე იქნება. ამაში მე დარწმუნებული ვარ...

↑ მე აგრეთვე ხშირად ვფიქრობ იმ დროზე, რაც ჩემს ქონში გაატარეთ. თქვენ ყველა მოხიბლეთ. დედაჩემი და ძმისწული ხშირად გიგონებენ და გკითხულობენ.

რაც შემეხება მე, თქვენ იცით, რა სიმპათიით გეპყრობით პირველი დღიდანვე. რატომ ერთ ქვეყანაში არ ვცხოვრობთ? სააღდგომოდ პარიზში ვიქნები. ამაზე ადრე ნურც თქვენ ჩამოხვალთ იქ. მაგრად გეხვევით.

გ უ ს ტ ა ვ ფ ლ ო ბ ე რ ი



კრუასე, 1867 წ., იელისის დამდეგი.

რა მშვენიერი, მომხიბლავი წერილია, სათაყვანებლო მაესტრო! პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, უნიკუმი ხართ ამ ქვეყნად! საბოლოოდ მივდივარ ამ დასკვნამდე. ამჟამად მსოფლიოს მოსდებია სიგიყისა და სისულელის ქარიშხალი. ძვირად ნახავ ისეთ ადამიანს, ვინც სწორად და მტკიცედ იდგეს ფეხზე.

აი, რისი თქმა მინდოდა, როცა გწერდით, პოლიტიკის დრო წავიდა-მეთქი. მეთვრამეტე საუკუნეში მთავარი საქმე დიპლომატიაცო. „კაბინეტების საიდუმლოება“ ნამდვილად არსებობდა. კიდევ შეიძლებოდა ხელმძღვანელობა ხალხებისა, მათი გაყოფა და შეერთება. ასეთმა წესრიგმა, ჩემი აზრით, თავისი უკანასკნელისოდ უკვე თქვა 1815 წელს. მას შემდეგ გრძელდება დაეა იმაზე თუ რა გარეგანი ფორმა შეეფერება იმ ფანტასტურ და საზიზღარ ქმნილებას, რასაც სახელმწიფო ეწოდება.

გამოცდილების მიხედვით, მგონია, რომ მმართველობის არცერთი ფორმა კარგს არაფერს შეიცავს: ორლეანიზმი, რესპუბლიკა, იმპერია, არაფერს არ ეუბნება არც გულსა და არც სულს, რადგან ყოველ ამ ცნებაში სრულიად საწინააღმდეგო იდეები შედიან. ყველა დროსა ისეა სისხლითა და სიბინძურით შებიწწული, რომ დროს სულაც უარეყოთ იგი. ძირს სიტყვები! კმარა სიმბოლოები და კერპები! ამ მეფობის დიადი მორალი ის იქნება, რომ დაამტკიცოს: საყოველთაო საარჩევნო უფლება ისევე სისულელეა, როგორც ღვთაებრივი, თუმცა ოდნავ ნაკლებ საზიზღარია.

ამრიგად საკითხი გადაადგილებულია. მთავარი იმაზე ოცნება კი არ არის, მმართველობის რომელი ფორმა ჯობს (რამდენადაც ერთი — მეორის ღირსია), არამედ მეცნიერების უპირატესობა. აი ყველაზე სასწრაფო საქმე. დანარჩენი თავისთავად მოვა. წმინდა გონების ადამიანებმა მეტი სამსახური გაუწიეს კაცობრიობას, ვიდრე ყველა ვერსან დე პოლმა ერთად! პოლიტიკა მანამდე იქნება ნამდვილი უაზრობა. ვიდრე მეცნიერებაზე სავსებით დამოკიდებული არ გახდება. რომელიმე ქვეყნის მთავრობა უნდა იქნეს აკადემიის ერთ-ერთი სექცია, ამასთან ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სექციაც.

ვიდრე ურთიერთდახმარების სალაროების დაარსების, გინდ  
წოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს შეუდგებოდეთ, საფ-  
რანგეთის ყველა სოფელში გაგზავნეთ რობერ გუდენები სასწაუ-  
ლის მოსახდენად! ისიდორის ყველაზე დიდი დანაშაული ის არის,  
რომ იგი ჩვენს მშვენიერ სამშობლოს უმეცრებაში ამყოფებს.  
Dixi!

აღტაცებული ვარ მორისის მეცადინეობით და მისი ჯანსაღი  
ცხოვრებით, მაგრამ არ შემძლია მივბაძო მას. ბუნება არა თუ  
არ მამაგრებს. არამედ მფიტავს. როცა ბალახზე წამოვწვები  
ხოლმე, ასე მგონია, უკვე მიწაში ვარ და ჩემს მუცელში თით-  
ქოს სალათას ფესვები გაუდგამს. თქვენი ტრუბადური უეჭველად  
არაჩანმრთელი კაცია. სოფელი მხოლოდ მოგზაურობის დროს  
მიყვარს, რადგან მაშინ, ჩემი „მეს“ დამოუკიდებლობის მეოხე-  
პით საკუთარი არარაობის შეგნებას ვკარგავ.

## ტ უ რ ბ ე ნ ე მ ს

კრუასე, სამშაბათი საღამო

ძვირფასო თანამომხვე!

ძლიერ თავაზიანი წერილი მომწერეთ, მაგრამ მეტად მოკრძა-  
ლებული ბრძანდებით. წავიკითხე თქვენი ახალი წიგნი და იქ კვლავ  
გიცანით, როგორც მეტად თვითმყოფი და მკათიო.

ყველაზე უფრო მიტაცებს თქვენი ტალანტის სინატიფე. —  
უმადლესი რამ, რაც კი არსებობს. თქვენ გიპოვნიათ საშუალება  
წეროთ მართლად, მაგრამ არა უგვანოდ, მგრძნობიარედ, მაგრამ  
არა დათაფლულად, კომიზმით, ვარნა არა მდაბლად. თეატრა-  
ლობას არ ესწრაფვით, მაგრამ ტრაგიკულ ეფექტს მხოლოდ დამ-  
თავრებული კომპოზიციით აღწევთ. თითქოს გულუბრყვილო  
ზართ, მაგრამ თანაც რა ძლიერი „ლომი მელის ქურქში“, როგორც  
მონტენი ამბობს.

მშვენიერია ელენეს ამბავი; მომწონს ეს პიროვნება, ისე რო-  
გორც შუბინი და დანარჩენები. როცა თქვენს ნაწარმოებს ვკით-  
ხულობ, მგონია: „ეს მეც განმიცდია“. ტყუილად როდი მგონია.

რომ ჩემსავით ვერაინ ვერ იგარძნობს 51-ე გვერდს. რამდენი ფსიქოლოგიაა! ბევრი სტრიქონი დამჭირდებოდა, რათა ყველაფერი შეთქვა, რასაც ვფიქრობ.

თქვენი „პირველი სიყვარული“ კი მით უფრო გასაგებია ჩემთვის, რომ იქ, სწორედ რომ ვთქვათ, მოთხრობილია ერთი ჩემი ახლო მეგობრის ამბავი. ყველა ძველი რომანტიკოსი (მე კი მათ რიცხვს ვეკუთვნი, ტყუილა როდი მძინებია სატევიარზე თავდადებულს) თქვენი მაღლიერი უნდა იყოს ამ პატარა მოთხრობის გამო, რომელიც ესოდენ ბევრს მეტყველებს მათს ჭაბუკობაზე! რა ცხოვრებისეული გოგონაა ეს ზინოჩკა! ერთ-ერთი თქვენი ღირსებაა ქალთა სახეების მოგონება. ისინი იდეალურები და ცხოვრების შესაფერისნი არიან, მიმზიდველნი არიან თავიანთი შარავანდის გამო. მაგრამ ამ ნაწარმოებში და მთელ ტომშიც კი, ყველას სჯობს შემდეგი ორი სტრიქონი: „მე არავითარ ავ გრძნობას არ განვიცდიდი მამისადმი. პირიქით, იგი, ასე ვთქვათ, უფრო გაიზარდა ჩემს თვალში!“. ჩემი აზრით გვაშინებს თავისი სიღრმით. შეამჩნევს კი ვინმე ამას? არ ვიცი, გარნა ჩემთვის ეს ყველაზე ამაღლებული რამაა, ამქვეყნად.

ღიად, ძვირფასო თანამომძმევ, ამით არ შემოიფარგლება ჩვენი ურთიერთობა და ორმხრივი სიმპათია მეგობრობად გადაიქცევა. გერჯერობით კი მავრად გართმევთ ხელს.

თქვენი ფლობერი

შორშ სანდს

1869 წ., 3 დეკემბერი.

ჩემო ძვირფასო, კეთილო მაესტრო!

თქვენი ძველი ტრუმბადური გაზეთებმა ძალიან გაათახეს. წაიკითხეთ წარსული ორშაბათის „კონსტიტუციონალისტი“, დღევანდელი „გოლუა“, იქ ყველაფერი მოკლედ და ნათლად. მე კრეტინსა და მამაძალს მეძახიან, ბარბე დ'ორევილის სტატია („კონსტიტუციონალისტი“) შეიძლება ამ უნარის ნიმუში გახდეს, ხოლო მეტად გულკეთილი სარსეს წერილი, თუმცა ნაკლებ მკვახეა,

მაგრამ პირველს არაფრით არ ჩამორჩება. ეს ვაუბატონები მო-  
რალსა და იდეალს მოუწოდებენ! მაგინებენ აგრეთვე სეზენა და  
დიურანტი „ფიგაროსა“ და „პარიში“. ზორბად მიმიფურთხებია  
მათთვის. და მაინც მაკვირვებს ასეთი სიძულვილი და გაბოროტება.

„ტრიბუნი“, „ლე პეი“ და „ოპინიონ ნასიონალი“, პირიქით,  
საშინლად მაქებენ... რაც შეეხება მეგობრებს, რომლებმაც ჩემი  
ხელმოწერილი თითო ცალი მიიღეს, რაზედაც გნებავთ, ყველა-  
ფერზე ლაპარაკობენ, მაგრამ წიგნზე კი არა, რადგან ეშინიათ, სა-  
ხელი არ გავიტეხოთო. გულადები იშვიათად არიან. მიუხედავად  
ამისა, წიგნი კარგად სალდება და ლევი კმაყოფილია. !

ვიცი, რომ რუანელი ბურჟუები მიჯავრდებიან ძია როკისა და  
ტიუილრის ჰორის გამო. მათ მიაჩნიათ, რომ საჭიროა აიკრძა-  
ლოს ასეთი წიგნაკები (სწორედ ასეა ნათქვამი), რომ მე წითლებს  
ვემხრობი, რომ შემოძლია გავალვივო რევოლუციური ენებანი და  
სხვ. მოკლედ, დღემდე ძლიერ ცოტა დაფნის გვირგვინი მივიღე,  
უეკლო ვარდი კი არც ერთი.

ყველა გაზეთს ჩემი სიმდაბლის დასამტკიცებლად მოჰყავს თურ-  
ქი ქალის ეპიზოდი და, თავის თავად იგულისხმება, ამახინჯებენ  
მას, სარსე კი მარკიზ დე სადს მადარებს, თუმცა იქვე აღიარებს.  
რომ იგი არ წაუჟიფხავს...

ყოველივე ამას სრულიადაც არ გამოვყავარ წონასწორობიდან.  
მხოლოდ საკუთარ თავს ვეკითხები, რა საჭიროა ჩემს ნაწერებს  
რომ ვბეჭდავ-მეთქი?

## ედმონდ დე ბონაპურს

კრუასე, 1870 წ., 26 ივნისი.

როგორ მეცოდები, ჩემო საბრალო მეგობარო! თქვენმა დღე-  
ვანდელმა წერილმა ძლიერ დამაღონა! თქვენი პირადი აღიარების  
გარდა (რაც, მერწმუნეთ, ჩვენ შორის დარჩება), იგი ჩემთვის  
ახალი ამბავი არ ყოფილა, უკეთ, ყველაფერს ვხვდებოდი. რასაც

<sup>1</sup> ეიულ გონკური გარდაიცვალა 1870 წ. 20 ივნისს.

იწერებით, რადგან თქვენზე ვფიქრობ ყოველ დღე და რამდენ-  
ჯერმე დღეში. დაკარგული მეგობრების მოგონება გარდუვალად  
იწვევს თქვენზე ფიქრს. კარგი ბალანსია ამ უკანასკნელ წელს!  
ფეილო, თქვენი ძმა, ბუილე, სენტ-ბევი და დიუპლანი. ეს მო-  
ვონებანი იგივე საფლავებია, რომელთა შორისაც დავეხეტები.

ვერ ვბედავ ჩივილს თქვენ წინაშე, იმიტომ რომ თქვენი მწუ-  
ხარება აღემატება ყველაფერს, რისი გრძნობა და წარმოდგენაც  
კი შეიძლება.

გინდათ, რომ ჩემზე მოგწეროთ, ძვირფასო ედმონ? აი,  
ვართული ვარ მუშაობით, რაც მეტად მართობს: ვწერ ბუილეს  
ლექსთა ტომის წინასიტყვაობას. შევეჩე მხოლოდ გაკვირით ბიოგ-  
რაფიულ ნაწილს, რაც კი შესაძლებელი იყო, უფრო ვრცელი  
იქნება ნაწარმოებთა მიმოხილვა, ხოლო უფრო მეტს ვიტყვი მის  
(ანუ ჩვენს) ლიტერატურულ დოქტრინებზე.

გადავიკითხე ყველაფერი, რაც კი დაუწერია. გადავფურცლე  
ჩვენი ძველი წერილები. გავიხსენე მთელი რიგი მოვონებანი, ზო-  
გი მათგანი ოცდაჩვიდმეტი წლის ხანდაზმულობისა! სასიხარულო  
ნაკლებია, როგორც ხედავთ! აჰ, კრუასეში, არ მშორდება მისი  
აჩრდილი, მას ვხედავ ბალის ყოველ ბუჩქში, დივანზე, ჩემს კა-  
ბინეტში, ჩემს ტანსაცმელშიც კი, ხალათში, რომელსაც იცვამ-  
და ხოლმე.

იმედი მაქვს, ნაკლებს ვიფიქრებ მასზე, როცა დამთავრდება  
ეს უსიამოვნო სამუშაო, ესე იგი ექვსი კვირის შემდეგ, როცა  
შევეცდები კვლავ მოვიკიდო ხელი „წმიდა ანტონის“. მაგრამ გუ-  
ლი არ მიმდის მასზე. მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ყოველთვის,  
როცა წერთ, ვინმეს გულისხმობთ. ხოლო, რაკი ეს „ვინმე“ აღარ  
არსებობს, მამაცობა აღარ მყოფნის.

აი ასე ვცხოვრობ დედასთან ერთად განმარტოებით, ვინც დღი-  
თი დღე ხუცდება, სუსტდება, ჩივის! ოდნავ სერიოზულად ლა-  
პარაკი მასთან შეუძლებელია, და ამიტომაც ვერავისთან მისაუბ-  
რია.

იმედი მაქვს აგვისტოში ჩამოვიდე პარიზს და გნახოთ. მაგრამ  
სად იქნებით? ხანდახან შემატყობინეთ თქვენი ამბავი, ჩემო საბ-  
რალო ედმონ! არავის ისე არ ებრალებით, როგორც მე.

გეამბობრებით ძლიერ მაგრად.

კრუასე, 1870 წ., 10 სექტემბერი.

ძვირფასო მაესტრო!

მაშ ასე, ჩვენ უფსკრულში ვართ! სამარცხვინო ზავი შესაძლებელია არ მივიღოთ. პრუსიელებს სურთ დაანგრეონ პარიზი. ეს მათი ოცნებაა.

არა მგონია, რომ პარიზის გარემოცვა აგრე უხლო იყოს. მაგრამ პარიზი რომ დააშინონ და დათმობა აიძულონ, არტილერიით დააშინებენ და, გარდა ამისა, ახლომახლო პროვინციებს გაანადგურებენ. ჩვენ ველოდებით ამ ვაუბატონების ვიზიტს რუანში, ხოლო, რაკი ასეულის მეთაური ვარ (კვირიდან), ჩემს ხალხს ვწვრთნო და რუანს დაედევარ, სადაც სამხედრო ხელოვნების გაკვეთილებს ვიღებ.

ძლიერ სამწუხაროა, რომ აზრები გაიყო: ზოგს სურს ბრძოლა არა სასიცოცხლო, არამედ სამკვდრო, სხვებს კი ზავი, რადაც უნდა დაჯდეს.

წყენა ველარ ამიტანია. რას დაემსგავსა ჩემი სახლი! თოთხმეტი კაცია და ყველა კენესის და მალიზიანებს. ვკრულავ ქალებს, სულ მათი ბრალია, რომ ვიღუპებით.

მგონია, რომ პარიზს ვარშავის ბედი ეწევა, თქვენ კი მაწუხებთ თქვენი ენთუზიაზმით რესპუბლიკის წინაშე<sup>1</sup>. როგორ შეიძლება იწამო რაღაც მოჩვენება მას შემდეგ, რაც უწმინდესი პოზიტივიზმი იმარჯვებს? რაც უნდა მოხდეს, ადამიანები, ხელისუფლებას რომ სათავეში უდგანან, მსხვერპლნი გახდებიან და რესპუბლიკასაც იგივე ბედი ეწევა. უნდა იცოდეთ, რომ მე ვიცავ ამ ბედშავ რესპუბლიკას, გარნა იგი არა მწამს.

აი ყოველივე ის, რისი თქმაც თქვენთვის მინდოდა, შემეძლო კიდევ გამეზიარებინა რამე, მაგრამ თავში სხვა ფიქრები მერევა, მწუხარება ჩანჩქერივით, მდინარესავით, ზღვასავით დამატყდა თავს. აღარ შემეძლია ამის ატანა. ზოგჯერ მეშინია, არ გავგიჟდებო. როცა დედაჩემს ვუცქერი, მთელი ენერგია მეკარგება.

<sup>1</sup> 1870 წლის 4 სექტემბერს საფრანგეთში გამოცხადდა რესპუბლიკა.

აი სად მიგვიყვანა იმ გარემოებამ, რომ არ გვსურდა თვალში შეგვეხედნა ჭეშმარიტებისათვის! აი რა გვიყო სიყალბემ და სიცრუემ! ჩვენ გავხდებით პოლონეთი, შემდეგ კი ესპანეთი. მერმე პრუსიის რიგიც მოვა და მას რუსეთი გადაუღაპავს.

მე კი თავი გათავებულ კაცად მიმაჩნია. გონება აღარასოდეს არ გამიმრთელდება. რა უნდა დაწერო, უკეთუ თავს პატივს არ სცემ! ერთი რამ მინდა მხოლოდ: ჩავძალღდე და მოვისვენო.

## ჟორჟ სანდს

კრუასე, 1871 წ. 11 ივნისი, კვირა საღამო

ძვირფასო მანესტრო!

არასოდეს არ მქონია ისეთი ძლიერი სურვილი, ისეთი მოთხოვნილება მენახეთ, როგორც ამჟამად. ეს არის პარიზიდან დავბრუნდი და არავინ არის, რომ ველაპარაკო. ვიხრჩობი დათრგუნული ვარ, უკეთ, აღსავე ვარ ზიზლით.

ხრწნილების სუნი ნაკლებ ზიზლს იწვევს, ვიდრე ეგოიზმის მიაზმები, ყველას რომ პირიდან სდის. ნანგრევების დანახვა აღარაფერია იმ უზარმაზარ მხეცთან შედარებით, როგორც პარიზი გახდა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მგონი, ყველა გასათოკავია

მოსახლეობის ერთი ნაწილი მზად არის დაახრჩოს მეორე, ეს კი ამასვე უსურვებს პირველს. ეს შეიძლება აშკარად წაიკითხო გამველელთა თვალში.

პრუსიელები კი აღარ არსებობენ! მათ მიუტევენ ბევრ რამეს, მათით ალტაცებული არიან. „კეთილგონიერ ადამიანებს“ სურთ მოქალაქეობის უფლება მოიპოვონ გერმანიაში. გარწმუნებთ, ადამიანთა მოდგმას შეუძლია სასოწარკვეთილებაში ჩაგაგდოს.

ხუთშაბათს ცერსალს წავალ. მემარჯვენეები შიშს იწვევენ თავიანთი სიმკაცრით. ორღენელთა დინასტიისათვის ხმის მიცემა შელავათია მემარჯვენეებისათვის, რათა არ გააღიზიანონ ისინი დადრო მოიგონ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. საერთო სიგიჟიდან ვრიცხავ რენანს, რომელიც, პირიქით, დიდ ფილოსოფოსად

შენვენა, და საყვარელ სულიეს: მან დამაეალა გადმოგცეთ მრავალი ნაზი სიტყვა.

პევერი ახალი საშინელი ამბავი შევიტყვე, მაგრამ მინდა გადავარჩინოთ მათგან.

მოკლე ხნით პარიზში ყოფნამ მეტისმეტად ამაღლევა და ძნელი იქნება კვლავ შეეუდგე მუშაობას. როგორ მრგწონთ ჩემი მეგობარი შორი, რომელმაც მთელი კომუნის განმავლობაში არქივის შენობაზე სამფეროვანი დროშა არ ჩამოხსნა? მე მგონია, ბევერი არ მოიძებნება ისეთი, ვისაც შეეძლოს ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა.

როცა ისტორია გაერკვევა პარიზის ხანძარში, იგი უეპველად ნახავს იქ ბევერ სხვადასხვა ელემენტს, რომელთა შორის, ალბათ. აღმოჩნდება: 1) პრუსია. 2) ბედანგეს მომხრეები. არავითარი წერილობითი მამხილებელი საბუთი იმპერიის წინააღმდეგ აღარ არსებობს და ჰაუსმანს თამამად შეუძლია გამოცხადდეს პარიზში არჩევნებზე.

წაგიკითხავთ თუ არა ისიდორის რომანის გეგმა, შარშან სექტემბერში რომ იპოვნეს ტიულირის დოკუმენტთა შორის? რა სცენარია!

## ემილ ჯოლას

პარიზი, 1871 წ., 1 დეკემბერი

ეს არის წაგიკითხე თქვენი სასტიკი და მშვენიერი წიგნი.<sup>1</sup> ახლაც არ მშორდება მისგან მიღებული შთაბეჭდილება. ძლიერია! მეტად ძლიერია!

არ მომწონს მხოლოდ წინასიტყვაობა. ჩემი აზრით, იგი აფუკებს თქვენს ნაწარმოებს, რომელიც ესოდენ მიუკერძოებელი და ამაღლებულია. იქ ააშკარავებთ თქვენს საიდუმლოებას, ეს მეტად გულუბრყვილოა, და გამოთქვამთ თქვენს აზრს, სჩადიხართ

<sup>1</sup> „რუგონების კარიერა“.



ისეთ რამეს, რისი უფლებას ჩემი (პირადად ჩემი) პოეტიკის თვალ-საზრისით, რომანისტს არ აქვს.

აი მთელი ჩემი შესიტყვება.

გარნა თქვენ შესანიშნავი ნიჭი გაქვთ, და ყოჩალი ხართ: ვისა-უბროთ თქვენს წიგნზე.

გულითადად გართმევთ ხელს, მთლად თქვენი.

მურილიოს ქუჩა, 4.

## ერნესტ ფეიდოს

1872 წ., თებერვალი.

იმპერიის საზიზღარო მომხრე!

შენთან არ მოვდივარ, ჯერ ერთი, საძაგელი გრიპის გამო, მეო-კი იმიტომ, რომ ვერ ამიტანია შენი პოლიტიკური მრწამსი.

როგორც კი მოვრჩები, მოვალ, რომ მოგვლა!

ძრწოდე!!! გაუმარჯოს მარატს!

მისი აჩრდილი

## ტ უ რ ბ ე ნ ე ვ ს

კრუასე, კვირა საღამო 1867 წ.

როგორ ვეცი გუშინ დილით თქვენს წერილს, როცა თქვენი ხელწერა დავინახე, ჩემო ძვირფასო, ძველო მეგობარო! უკვე ძლიერ მომეწყინა უთქვენოდ! ასე რომ, გადავკოცნოთ ერთმანეთი და ვისაუბროთ.

ვწუხვარ, რომ შეწუხებული ხართ ფულისა და ჯანმრთელობის გამო. იმედი ვიქონიოთ, რომ თქვენ ცდებით და ნიკრისის ქარი თავს დაგანებებთ.

საბრალო სანდის გარდაცვალებამ უზომოდ დამამწუხრა. მის დაკრძალვაზე ხბოსავით ვბლაოდი და ორჯერ ავტირდი: პირველად,

როცა ვეამბორე მის შვილიშვილს აერორას (ვისი თვალებიც იმ დღეს ისე მაგონებდნენ ბებიაშისის თვალებს, თითქოს იგი გაცოცხლებულიყოს), მეორე კი — როცა ჩემს ახლოს გაატარეს მისი კუბო.

გული გასკდომაზე მქონდა და მინდოდა მომეკლა აღრიან მარქსი. ერთი მისი დანახვა სადილს მიმწარებდა იმ საღამოს შატორუში. ო. „ფიგაროს“ ტირანია! რა საზოგადოებრივი ჭირია! სიბრაზე მახრჩობს ამ ვაჟბატონების გახსენებაზე.

ჩემი თანამგზავრები, რენანი და პრინცი ნაპოლეონი მომხიბვლელნი იყვნენ, უკანასკნელმა კი უნაკლო ტაქტი და ზრდილობა გამოიჩინა: იმ თავითვე ჩვენზე უკეთ, ნათლად გაიგო ყველაფერი. მართალი ხართ. რომ დასტირით ჩვენს მეგობარს: მას ძლიერ უყვარდით და მუდამ ასე გეძახდათ: „საყვარელი ტურგენევი“. აჰ, რა ნიჭიერი იყო. იგი მუდამ იქნება მეტად დიდი ფიგურა.

სოფლელი, უბრალო ხალხი ერთყა გარს მის საფლავს და გულ-ამოსკვნილი ქვითინებდა. სოფლის პატარა სასაფლაოზე კოჭამდე ვეფლობოდით ტალახში, მოდიოდა თბილი წვიმა. მისი დაკრძალვა გვაგონებდა რომელიღაც მისი წიგნის ერთ-ერთ თავს.

ორი დღის შემდეგ დაებრუნდი შინ, კრუასეში. სადაც თავს საოცრად კარგად ვგრძნობ! სრულიად ანლებურად ვტკბები მშვიდობით, ხეებით და სიწყნარობით! კვლავ დავიწყე ცივი წყლის ხმარება (სასტიკი პილროთერაპია!) და ვმუშაობ, როგორც გაცოფებული.

„გულმართალის ისტორია“, ალბათ, აგვისტოს ბოლოს დამთავრდება, რის შემდეგ „პეროდიას“ შეაუდგები. მაგრამ, ოჰ, რა ძნელია, საშინლად ძნელია! რაც უფრო წინ მივიწევი, მით უფრო ვამჩნევ ამას. მე მგონია, ფრანგული პროზა ისეთ სილამაზეს მიაღწევს, როგორის წარმოდგენაც მეტად ძნელია. თქვენც ხომ იცით, რომ ჩვენს მეგობრებს ნაკლებ აინტერესებთ სილამაზე. ცხოვრებაში კი ეს მთავარი რამეა.

თქვენ კი რას შვრებით? მუშაობთ? როგორ მიიწევი წინ „წმიდა ეიულიენი?“ ერთი წარმოდგენელი სისულელე უნდა გითხრათ: ძალიან მინდა იგი რუსულად დაბეჭდილი ვნახო! თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ თქვენი თარგმანი „დაატკბობს ჩემი გულის სიამაყეს“ — ერთადერთ ჩემს მსგავსებას იგამემნონთან.

თქვენ წაკითხული არ გქონდათ რენანის ახალი წიგნი. როცა პარიზიდან წახვედით. მე მომხიბვლელად მიმაჩნია იგი, სწორედ

რომ მომხიბვლელად. მეთანხმებით თუ არა? თუმცა, მე სრულიად არაფერი ვიცი, რა ხდება ქვეყანაზე, რადგან ორი უკანასკნელი კვირის განმავლობაში არც ერთი გაზეთი არ წამიკითხავს. ფრომანტენმა გამომიგზავნა თავისი წიგნი „ძველ ოსტატებზე“. იმის გამო, რომ ძლიერ ნაკლებ ვიცი ჰოლანდიურ ფერწერას, ეს წიგნი ისე არ მაინტერესებს, როგორც თქვენ. ნიკიერად, მაგრამ მეტად გრძლად არის დაწერილი! მგონია, რომ ზემოხსენებულ ფრომანტენზე დიდი გავლენა აქვს ტენს. აჰ, კინალამ დამავიწყდა! პოეტმა მალარმემ („ფავნის“ ავტორმა) მისაჩუქრა წიგნი, — ეს არის „ვატევი“, აღმოსავლური ზღაპარი, ერთ ინგლისელს რომ დაუწერია ფრანგულ ენაზე გასული საუკუნის ბოლოს. სასაცილოა!

ოცნება (და სურვილი) მეძალეა, როცა გავიფიქრებ. რომ ეს ქალღი მთავა თქვენთან, თქვენს სახლში, რომელსაც მე ვერასოდეს ვერ ვნახავ! და მწყინს, რომ არა მაქვს ნათელი წარმოდგენა თქვენს გარემოზე.

თუ თქვენში ცხელა, სიცივე არც აქ არის. ვცხოვრობ ფანჯრებ-ჩამოფარებულ ოთახში სრულიად მარტო. სადილის დროს იმით ვერთობი, რომ ვუცქერი ჩემს ერთგულ ემილს და ლევრეტს.

ჩემი ძმისწული, რომელსაც თქვენს მოკითხვას გადავცემ, თვის დამლევს ქმრიანად მიემგზავრება ბონის აბანოზე, მე კი სექტემბერამდე აქედან არ დავიძვრები. მერმე კი წავალ დოდეს პრემიერაზე. მაგრამ მაშინ თქვენ დიდი ხნის დაბრუნებული იქნებით.

ალბათ, გესიამოვნებათ გაიგოთ, რომ ჩემი ძმისწულის საქმეები კარგად მიდის.

ოღნავ იწმინდება ჰორიზონტი.

დიად, ძვირფასო მოხუცო, რაც უნდა მოხდეს, ვეცადით წყლის ზედაპირზე დავრჩეთ. იმკურნალეთ, იმუშავეთ და დაბრუნდით მალე.

გეამბოროებით მაგრად და ნაზად.

თქვენი გ.  
მომწეროთ ხომ?

კრუასე, 1876., 23 ივლისი.

თქვენმა წერილმა გამახარა, უმაწვილო კაცო!  
მაგრამ გირჩევდით, ლიტერატურის ინტერესებისათვის, და-  
გეცხროთ თქვენი ალტყინება.

იყავით ფრთხილად! ყველაფერი დამოკიდებულია დასახულ  
მიზანზე. კაცს, ვინც თავი ხელოვნებას შესწირა, უფლება არ აქვს  
ისე იცხოვროს, როგორც სხვები ცხოვრობენ.

ის, რასაც თქვენ სენიორ კატულზე მელაპარაკებით, სულაც  
არ მაკვირვებს. იგივე მენდესი ამ სამი დღის წინათ მწერდა, რომ  
მისთვის უსასყიდლოდ მიმეცა ფრაგმენტები „გულის კლიტედან“  
და ფულად — გამოუცემელი მოთხრობები, რომლებიც ეს არის  
დავამთავრე. მე ვუპასუხე, ყოველივე ეს შეუძლებელია-მეთქი,  
და მართალიც არის. გუშინ კვლავ მივწერე გვარიანად უკმეხი წე-  
რილი, რადგან აღშფოთებული და გაბრაზებული ვარ მისი სტა-  
ტიის გამო რენანზე. ესოდენ უხეშად ესხმიან თავს ამ კაცს და  
გზადაგზა ბერტელოსაც დასცინიან. თუმცა, თქვენ, ალბათ, წა-  
კითხული გაქვთ ის სტატია. რა აზრისა ხართ მასზე? მოკლედ, მე  
მივწერე კატულს, ჭერ ერთი, ამომშალოს თანამშრომელთა სიიდან  
და, მეორეც, აღარ გამომიგზავნოს თავისი გაზეთი. აღარ მსურს  
რაიმე საერთო ვიქონიო ამ ფუქსავატ ვაჟბატონებთან. „თბილი  
კომპანია“, ჩემო მეგობარო, და გირჩევთ ჩემსავით მოიქცეთ  
და მიატოვოთ ისინი. კატული, ალბათ, მიპასუხებს, მაგრამ ჩემი  
გადაწყვეტილება მტკიცეა. არ შემძლია ვაპატიო მდამალე დე-  
მოკრატიული სიძულელი.

კრიტიკოსთა კინკლაობა ოფენბახის გამო კომიზმის ზღვარს აღ-  
წევს. აუტანელია ის ხუმრობა, რაც ფიორანტინომ გამოიგონა  
1850 წელს და რაც დღემდე გრძელდება. დაუმატეთ ამას ლიტრე,  
ვაჟბატონი, რომელიც ამტკიცებს, ჩვენ მაიმუნებისაგან წარმოვ-  
დგებითო. რა სისულელეა!

რაც შემიხება მე, ვმუშაობ გააფთრებით, არავის არ ვხვდები,  
გაზეთებს არ ვკითხულობ და გიჟივით ვღრიალებ მიწყნარებულ

კაბინეტში. თითქმის მთელ დღე და ღამეს ვატარებ საწერ მაგი-  
დასთან და რეგულარულად ვტკბები განთიადის ცქერით. სადილის  
წინ, საღამოს შვიდ საათზე, ვცელქობ სენის ბურჟუაზიულ ტალ-  
ღებში. ვეწევი თამბაქოს, რის გამო პირში რაღაც დაზიანებაც კი  
მოხდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხარხარით ჯანსაღი ვარ. ჰო,  
მართლა, ჯანმრთელობაზე — თქვენ სრულიად არ გემჩნევათ, რომ  
ივად იყოთ. მით უკეთესი! ამაზე ნულარ იფიქრებთ.

შენიშვნები მოთხრობებისათვის: „ჭაროდია“ და „ღებენდა  
მწირთა შემფარებელ წმიდა ეთულიენზე“

- ა ბ ე ს ა ლ ო მ ი — ებრაელთა მეფის დავით წინასწარმეტყველის მესამე ვაჟიშვილი. მამას აუჯანყდა, ჰებრონი დაიკავა, მაგრამ ბოლოს სასტიკად დამარცხდა.
- ა გ რ ი პ ა — შვილიშვილი დიდი ჰეროდესი, ჰეროდე-აგრიპად წოდებული, არისტობულესა და ვერონიკეს ძე და მკვიდრი ძმა ჰეროდისი. რომში ცხოვრობდა, მომავალ იმპერატორთან, კალიგულასთან, იყო დაახლოებული; სიკვდილი უსურვა ტიბერიუსს, რისთვისაც რომის იმპერატორმა დაატყვევა იგი 37 წელს. კალიგულამ გაათავისუფლა და ფილიპეს ტეტრარქია უბოძა. მოთხრობაში სწორედ ამ დატყვევებაზეა საუბარი, ოღონდ ფლობერს თარიღი რამდენიმე წლით წინ გადმოაქვს.
- ა ვ გ უ ს ტ უ ს ი — (ლათ. წმიდა, ამაღლებული) რომის იმპერატორთა საპატიო ტიტული. პირველად სენატმა ოქტავიანეს უბოძა ეს წოდება.
- ა ზ ი მ ა — მტრედი, რომელსაც, იუდეველთა გადმოცემით, გარიზიმის მთაზე ღვთიურ პატივს უზღავენენ სამარიტელნი.
- ა ლ ა ნ ბ ი — ძველად აზოვის ზღვის დასავლეთით მოსახლე ტომი.
- ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — ჰეროდე დიდის ვაჟი, რომელსაც ჰეროდეს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა დასწამა ანტიპატრემ და ამის გამო სიკვდილით დასაჯა მამამ.
- ა მ ა ლ ე კ ე ბ ი — არაბეთში, იღუმენის მახლობლად, მობინადრე ტომი.

საულისა და დაეთის ხანაში ამაღეკები იუდეველთ ებრძოდნენ. დაეთ-  
მა განადგურა ისინი.

ა მ ო ნ ი — ლოტის ძე, ძმა მოაბ მეფისა, ამონიტელთა (იგივე ამონელთა)  
წინაპარი.

ა მ თ ო რ ა — ორუერიანი და ვიწროყელიანი კევრცხისებური ფორმის თი-  
ხის კურკელი. მეტწილად ხმარობდნენ ლენისა და ზეთისათვის.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე — იუდეველთა უკანასკნელი მეფე მაკაბელთა ღინასტიიდან.  
მისი მეფობის დროს პეროდემ რომის დახმარებით დაიპყრო ჰურიასტა-  
ნი და აიღო იერუსალიმი. ანტონიუსის ბრძანებით ანტიგონე სიკვდი-  
ლით დასაჯეს 37 წელს ჩვენს ერამდე.

ა ნ ტ ი პ ა ტ რ ე — პეროდემ დიდის შვილი პირველი ცოლისაგან. მისი ნატ-  
ყუარი შესმენით პეროდემ სიკვდილით დასაჯა თავისი ვაჟები — ალექ-  
სანდრე და არისტობულე. ბოლოს ანტიპატრემ თავად მოაწყო შეთ-  
ქმულება მამის წინააღმდეგ. პეროდემ სიკვდილით დასაჯა იგი 4 წელს  
(ჩვ. წელთაღრიცხვით).

ა ნ ტ ო ნ ი უ ს ი ს კ ო შ კ ი — ძალიან დიდი კოშკი. რომელიც პეროდემ  
იერუსალიმში აღმართა მარკუს ანტონიუსის — რომის ტრიუმფირის —  
პატივისაცემად.

ა რ ის ტ ო ბ უ ლ ე — პეროდემ დიდის ვაჟიშვილი. არისტობულესა და მის  
ძმას ალექსანდრეს მამის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა  
დასწამა ანტიპატრემ. ამის გამო ორივე ვაჟი სიკვდილით დასაჯა მამამ.

ა ს კ ა ლ ო ნ ი — (ებრ. აშკალონი) ერთ-ერთი ფილისტიმელთა ხუთ ქალაქ-  
თაგან პალესტინაში, ხმელთაშუა ზღვის პირას. ფლობერთან ნახსუ-  
ნებია ასკალონის ტაძარი. რომელიც დერკეტოს კულტის ეკრა იფუ-

ა ტ რ ი დ ე ბ ი — ბერძნული მითოლოგიით, ატრეოსის შთამომავლები. ატ-  
რიდებში იგულისხმება ატრეოსის შვილები — აგამემნონი, მენელაო-  
სი და მათი მოღვაძე.

ა ტ რ ი უ მ ი — რომაული სახლის ძირითადი ნაწილი. გადახურული ან ღია  
შიდაეზო, რომელსაც ირგვლივ ოთახები ეკვროდა.

ა ფ ა კ ა — უძველესი ქალაქი ჰელიოპოლისსა და ბიბლოსს შორის, სახელ-  
განთქმული იყო ვენერას დიდებული ტაძრით.

ა ქ ა ბ ი — იუდეველთა მეფე (917 — 895 წწ. ჩვენს ერამდე). ბაალ-ასტა-  
როთის კულტის შემომღებელი. თავისი მეუღლის იეზაბელის შთაგო-  
ნებით აქაბ მეფე დევნიდა ელია წინასწარმეტყველს, რომელმაც ბაალის  
კერპები დათრგუნა.

ბ' ა ტ ა ნ ე — პალესტინაში, მდ. იორდანეს აღმოსავლეთით მდებარე მხა-  
რე, რომელსაც პეროდემ დიდის შემდეგ მისი შვილი პეროდემ-ფილიპე  
განაგებდა.

ბ ა ხ უ ს ი — ბერძნული დიონისე, ზეუსისა და სემელას ძე. თრაკიაში ნიმ-  
ფების აღზრდილი. მეღვინეობის მფარველი.

ბ ე რ ბ ე რ ი ა — ასე ეწოდებოდა ჩრდილო-დასავლეთი აფრიკის სანაპირო  
ქვეყნებს. ბერბერები, ჩრდილო აფრიკის აბორიგენები, ქამიტური

- წარმოშობის ტომია. ნუმიდიაში, ნილოსის მარჯვენა ნაპირზე, მდებარეობს ქალაქი ბერბერი.
- ბიბლოსი** — ფინიკიის უძველესი ქალაქი, პომპეუსის დრომდე საკუთარი მეფეები ჰყავდა, აღონისის ბრწყინვალე ტაძრით იყო ცნობილი.
- ბიგლი** — მეძვბარი ძაღლის ჯიშია. ბიგლი ელაში ძაღლია.
- ბრეტანი** — საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დიდი ნახევარკუნძული. IV — V საუკუნეებში ანგლო-საქსების მიერ ბრიტანეთიდან გამოძევებული ბრიტები აქეთ ეშურებოდნენ და მათ მისცეს მხარეს ეს სახელწოდება. ერთხანს ინგლისის ქასალური საჰერცოგო იყო, შემდეგ საფრთხეების პროვინციად იქცა.
- გაიუსი** — კალიგულა, რომის იმპერატორი 37 — 41 წლებში.
- გალაადი** — ტყით დაფარული მთიანი მხარე მდ. იორდანეს აღმოსავლეთით. გალაადი პალესტინის უმშვენიერესი ადგილი იყო, ბიბლიაში საგანგებოდაა ნახსენები მისი სილამაზე. ამ მთავორიანი მხარის ერთ ნაწილს დღესაც შემორჩა სახელად ჯელაადი.
- გალეზი** — დუნაის ნაპირებზე, მცირე აზიასა და იტალიაში მობინადრე უძველესი ტომი.
- გალილეა** — პალესტინის ჩრდილოეთი ნაწილი.
- გარამელეები** — შიდა აფრიკაში მოსახლე მიწათმოქმედი ტომი, ტურეგების წინაპრები; ფაქანის, სუდანისა და ბორნუს მიდამოებში სახლობდნენ. მათი მთავარი ქალაქი იყო გარამა (დღევანდელი ჯერმა).
- გარიზიმი** — მთა სამარიაში, სამარიტელთა წმიდა ადგილი. ამ წმიდა მთაზე აღმართული გარიზიმის ტაძარი იუდეველთა მეფემ ჰირკანმა დაამხო 129 წელს ჩვენს ერამდე.
- გაწარი** — მწყრების დასაქვრი გრძელი მახე.
- გოგი და მაგოგი** — იეზეკია წინასწარმეტყველის მიხედვით — ჩრდილოეთის ავი ძალები; მაგოგთა ტომის მთავარი გოგი ჩრდილოეთიდან შემოესევა და მოსაობს ისრაელს. აპოკალიპსის თანახმად — ამქვეყნიური სამეფო, რომელიც უკანასკნელ დღეს დაიღუპება.
- გრიფონი** — ძაღლის ჯიშია. გრიფონი გრძელბალიანი და ულვაშებიანი. დავით მეფე ებრაელთა მეფე (1055 — 1015 წწ. ჩვენს ერამდე), წინასწარმეტყველი, მამა სოლომონ ბრძენისა. საფუძველი ჩაუყარა იერუსალიმს, წარმატებით ებრძოდა ფილისტიმელებს, ისრაელის საზღვრები დიდად გააფართოვა; იგია ფსალმუნთა ავტორი.
- ედომი** — ასე უწოდებდნენ ესაევს, იაკობის ძმას. ედომის მოდგმა (ედომიტები) ესაევის შთამომავლებია. მათგან მიიღო სახელწოდება იღუშემამ — პალესტინის სამხრეთით მთავორიანმა მხარემ, სადაც დაემკვიდრა იაკობის ნაშიერთაგან განდევნილი ესაევის მოდგმა.
- ეგტიქე** — გაიუსის მონაყოფილი, რომელმაც გაიუსისა და აგრიპას საუბარს მოჰკრა ყური და ტიბერიუსთან შეასმინა ისინი.
- ელია** — ებრაელთა წინასწარმეტყველი, აქამ მეფისაგან დედოფალ იეზაბელის შთაგონებით დევნილი. მან დაამხო ბაალის კერპები, ისრაელს სასჯელად უწინასწარმეტყველა სამწლიანი გვალება. ბიბლიურ წინას-



წარმეტყველთა მიხედვით მესიის შობამდე ელია უნდა მოეღწეოდა კაცობრიობას. საიდუმლო ღვთისმეტყველებს თანახმად, ელია წინასწარმეტყველის სულის გარდასხეულებად ითვლებოდა იოანე ნათლისმცემელი. ფლობერის ფრაზებს — „ელიას მოსვლა წინ უნდა უსწრებდეს მაცხოვარს“, „ელია უკვე მოსულია“ და იოანე ნათლისმცემელზე მითითებას — ეს ცნობები უდევს საფუძვლად.

ენგა'დი — პალესტინის უძველესი ქალაქი მკედარი ზღვის პირას.

ენდორი — პალესტინის პატარა ქალაქი ნაზარეთის სამხრეთით, თაბორის მთასთან.

ესეველი — ესეველთა რელიგიური ძმობის წევრი. ესეველთა გაერთიანება ჩვენს ერამდე II საუკუნეში ჩაისახა პალესტინაში. ისინი პოლიტიკაში არ ერეოდნენ, ყოველი წევრის კერძო საკუთრება მთელ ძმობა ეუფლებოდა; სულიერი სიწმინდისა და სრულყოფისათვის იღვწოდნენ. მკედარი ზღვის (ყუშრანის) ხელნაწერთა აღმოჩენამ ნათლად გახადა, რომ ესეველები ღრმად იყვნენ ჩახედული ეზოტერულ სიბრძნეში. ისინი გოლგოთას მისტერიამდე ბევრად აღრე წინასწარმეტყველებდნენ ლოგოსის განსხეულებას და შინაგანად ამზადდნენ საფუძველს ქრისტიანულ იდეათა ასათვისებლად. დღეს მეცნიერთათვის სადაო აღარაა იოანე ნათლისმცემლის ურთიერთობა ესეველებთან. ესეველთა ძმობა ოთხი ათასამდე წევრს მოიცავდა.

ეფრაიმიტელი — ეფრაიმის მოღვაძე. ეფრაიმიტელი იოსების მეორე შვილის — ეფრაიმის ნაშვირები არიან. ძველ ქართულ ტექსტებში ზოგჯერ მათ ეფრემიანნიც ეწოდებოდათ. ეფრაიმიტელთ ეკავათ მღ. იორდანეს აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია.

ვარუსი — პუბლიუს ატიუს ვარუსი, რომელი საზოგადო მოღვაწე, რომაეულის მომხრე; სამოქალაქო ომის დროს აფრიკაში გაიქცა, მოკლეს იბერიაში, მუნდის ბრძოლაში, 45 წელს ჩვენს ერამდე.

ვარშამაგი — ტიარა.

ვენეელი — გვარისა და სახელის პირველი ასოების გამომხატველი ხელრთვა.

ვიტელია — ქალღმერთი. ვიტელიას შესახებ არსებული ერთადერთი ცნობის თანახმად, ვიტელიუსთა გვარის დასაბამი მისგან მოდის. ვიტელიუსთა წარმოშობის გამო აზრთა სხვაობაა, ზოგნი არ თვლიან დიდგვაროვნებად. კეინტუს ევლოგიუსის მიხედვით, ისინი იტალიის აბორიგენთა მეფის — ფავნუსისა და ქალღმერთ ვიტელიას ნაშვირები არიან. მათ ერთი შტო რომში დასახლდა, პატრიციებად ითვლებოდნენ. შიშ პატრიკსაცემად იანიკულიდან ზღვისკენ მიმავალ გზას ვიტელიუსთა გზა ეწოდებოდა. ფლობერს გათვალისწინებული აქვს ვიტელიუსთა წარმოშობის სწორედ ეს ვერსია.

ვიტელიუსი. 1. ავლუს ვიტელიუსი — დაიბადა 15 წელს, კუნძულ კაპრიზე, აქვე იზრდებოდა. ამიტომ უწოდებს მას ფლობერი „ჩამყაყებულ კაპრიში ამოსულ ყუავილს“. 68 წელს რომის იმპერატორი გახდა; მისი ხელისუფლება ხანმოკლე იყო, მხოლოდ რვა თვეს ვასტა-

ნა: 69 წელს ვესპასიანეს მიშხრებმა მოკლეს. საქვეყნოდ ცნობილი იყო მისი გაუმადლობა რაზედაც ფლობერიც ამხვილებს ყურადღებას.

2. ლუციუს ვიტელიუსი — მამა ავლუს ვიტელიუსისა, რომის პროკონსული. ტიბერიუსის კარზე დიდ პატივს მიაღწია მლიქვნელობის გზით. წარმატებით იბრძოდა პართელებთან. 49 წელს გარდაიცვალა.

ზო ს ი მ ე — პეროდე დიდის ერთ-ერთი მეუღლის — მარიანეს მცველი. ეპის ნიადაგზე სიკედლით დასაჯა პეროდემ.

თ რ ა კ ი ა — ბერძნული სახელმწიფო შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. თრაკიელები პელაზგური წარმოშობის ტომი იყო.

თ უ რ ი — ხარხა სანადირო ფრინველთათვის, „ქორის საჭლომი“ (საბა).

თ უ დ ე ნ ი — თეთრი მიმინო.

ი ა ნ ი კ ე უ ლ ი! — მთავარიანი მხარე რომის მახლობლად, მდ. ტიბრის მარჯვენა ნაპირზე.

ი დ უ მ ე ე ლ ე ბ ი — ანუ ელომიტები, ელომის შთამომავალი ტომი. სახლობდნენ იდუმებაში — პალესტინის სამხრეთით მდებარე მთავორიან მხარეში, დღევანდელი არაბეთის ჩრდილო ნაწილში. მოსე წინასწარმეტყველის დროიდან განუწყვეტელი მტრობა ჰქონდათ იუდეველებთან. 120 წელს ჩვენს ერამდე პირკან მეფემ დაიმორჩილა იდუმეა.

ი ე ზ ა ბ ე ლ ი — იუდეველთა დედოფალი, აქაბ მეფის მეუღლე. ურჯულოებით იყო ცნობილი. აქაბ მეფეს მან შემოაღებინა ბაალის კულტი; დევნიდა ელია წინასწარმეტყველს. ფლობერი პარალელს ხედავს ჰეროდისა მიერ იოანე ნათლისმცემლის დევნასა და იეზაბელის მიერ ელია წინასწარმეტყველის დევნას შორის.

ი ე მ ე ნ ი — არაბეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი.

ი ე რ ი ქ ო ნ ი! — პალესტინის უძველესი ქალაქი იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით.

ი ო რ დ ა რ ე — პალესტინის მთავარი მდინარე, მკედარ ზღვას ერთვის; წმიდა მდინარედ ითვლებოდა, რადგან იორდანეში ნათელილო ქრისტემ.

ი ო ს ე ბ ი — ბიძა პეროდე დიდისა. რომის იმპერატორთან გამგზავრების წინ პეროდემ მას დააყოლა, თუ არ დაებრუნდებოდა, მარიანე მოკლიო. დაბრუნებულმა პეროდემ შეიტყო, რომ მისი მეუღლე — მარიანე იოსებმა მოხიბლა და მოაკვლევინა იოსები. (33 წელს ჩვენს ერამდე).

ი უ დ ა — ერთ-ერთი იუდეველთა მამამთავრის. იაკობის თორმეტ ძეთაგანი. კ ა ნ ა — ქალაქი გალილეაში, ნაზარეთის მახლობლად.

კ ა პ რ ი — კუნძული ხმელთაშუა ზღვაში.

კ ა რ მ ე ლ ი — ზღვისპირა მთები პალესტინაში. ლიბანის ქედის ნაწილი.

კ ა ფ ა რ ნ ა უ მ ი — ქალაქი გალილეაში, გენისარეთის (იგივე ტიბერიადის) ტბის პირას.

კ ი ბ ე ლ ა — რომაული მითოლოგიის თანახმად, იუპიტერის დედა. სატურნის მეუღლე. კიბელას კულტი განსაკუთრებით გავრცელდა ფრიგიკაში, სადაც იგი მთვარისა და ნაყოფიერების ქალმერთად ითვლებოდა. მისი კულტი ველურ ორგაიებს უკავშირდებოდა.

კ ი კ ა რ ი — ძველად ეგვიპტესა და აზიის ზოგ ქვეყანაში გავრცელებული

მონეტა, დაახლოებით ტალანტის შესატყვისი. კიკარი თავდაპირველად-  
წონის ერთეული იყო.

კ ლ ე ო პ ა ტ რ ა — ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი (69 — 30 წწ. ჩვენს  
ერამდე) პტოლომეთა დინასტიიდან. კეისრისა და ანტონიუსის დახ-  
მარებით ცდილობდა სამფლობელოთა გაზრდას და ძალაუფლების შე-  
ნარჩუნებას. ოქტავიანესთან ბრძოლაში ანტონიუსი და კლეოპატრა  
დამარცხდნენ და თვითმკვლელობით დაწსრულეს ცხოვრება. ეგვიპტე  
რომს მიუერთდა.

კ ლ ი ტ ე ლ ნ ი — ფინიკური ტომი, რომელიც ვიტელიუსმა აიძულა რომის  
იმპერატორათვის ხარკი ეხადა.

კ ო ლ ი ბ რ ი — უმცირესი ზომის ჩიტი. მისი უამრავი სახეობა არსებობს  
კოლიბრის კვერცხი ხორბლის მარცვალს არ აღემატება. ბუმბულის  
შეფერილობით გამოირჩევა; გავრცელებულია ცენტრალურ და სამხრეთ  
ამერიკაში.

კ ო მ ა გ ე ნ ა — სირიის ჩრდილოეთი ნაწილი. პირველი საუკუნიდან რომს  
ექვემდებარებოდა, განთქმული იყო ზეთითა და ხლით.

კ ო რ დ ო ვ ა — ქალაქი ანდალუზიაში. გეადალკვივირის პირას. ესპანეთში  
არაბთა ბატონობისას სახალიფოს მთავარი ქალაქი იყო და მეცნიერებისა-  
და კულტურის ცენტრად იქცა.

კ რ ა ს უ ს ი — კრასუსი მარკუს ლიცინიუსი (114—53 წწ. ჩვენს ერამ-  
დე) — საზოგადო მოღვაწე რომში. პრეტორიელი იყო. 71 წელს მან  
ჩაახშო სპარტაკის აჯანყება; შემდეგ კონსულისა და ცენზორის თა-  
ნამდებობები ეკავა. სამოქალაქო ომის დროს სულას მიეკედლა. 60  
წელს პომპეუსთან და კეისართან პირველი ტრიუმვირატი შექმნა. პარ-  
თელლებთან იბრძოდა, მოლაპარაკების დროს მოკლა პართელთა მხე-  
დართმთავარმა.

ლ ა ტ ი კ ლ ა ვ ი — ძოწისფერი არშია. რომელიც მოყოლებული ჰქონდა  
ხელისუფლების პირთა ტოგებს.

ლი ბ ა ნ ი — მთაგრეხილი პალესტინის ჩრდილო საზღვართან. ფლობერი  
ახსენებს ლიბანის მთიელთ. ლიბანის მთები დასახლებული იყო დრე-  
ზებით და მარონიტელებით.

ლო ტ ი — აბრაამის ძმისწული. სოდომისა და გომორის დანგრევის შემდეგ  
ლოტს თავისი ორი ქალიშვილისაგან ეყოლა ვაჟები: მოაბი და ამო-  
ნი — მოაბიტელთა და ამონიტელთა წინაპრები.

მ ა კ ა ბ ე ლ ნ ი — ებრაელთა სამეფო დინასტია. სირიის ბატონობის წინა-  
აღმდეგ აჯანყებულ ებრაელებს სათავეში უდგნენ მატათიას შთამომავ-  
ლები. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი იუდამ — მატათიას მესამე ვაჟ-  
მა. რომელსაც მეტსახელად მაკაბი (ჩაქუჩი) შეერქვა. იუდასაგან მა-  
კაბელნი ეწოდა მთელ გვარეულობას. მაკაბელებმა პალესტინა გა-  
ათავისუფლეს. ჩვენს ერამდე 37 წელს ანტიოხე, უკანასკნელი  
მაკაბელი, მოაკვლევინა ჰეროდემ. რომის დახმარებით ტახტს დაე-  
პატრონა და სასტიკად გაუსწორდა მაკაბელთა მთელ მოდგმას.

მ ა ტ ა თ ძ ა — იუდეველი რკულისმეცნიერი, ჰეროდეს ბრძანებით იგი

იერუსალიმის ორმოცდამეორე მკვიდრთან ერთად ცოცხლად დაწვეს, რადგან ისინი იერუსალიმის ტაძრის ბქიდან რომაული არწივების (რომის ბატონობის სიმბოლო) ჩამოსხნას შეეცადნენ.

- მ ა ქ ე რ უ ზ ი — ციხე-დარბაზი პალესტინისა და არაბეთის საზღვარზე. პეროლემ აღმართა არაბთა შემოტევისგან თავდაცვის მიზნით.
- მ ე ე ნ ა ტ ი — მეცენატი გაიუს ცილინიუსი (64 წ. ჩვენს ერამდე — 8 წ. ჩვენი ერთ) — მდიდარი რომაელი, საზოგადო მოღვაწე, ლიტერატურისა და ხელოვნების მფარველი. მისი სახელი საზოგადო სახელად იქცა. მეცენატის საყვარელი კერძი, კანჯრის ყურბა, რომელსაც ფლობერი ახსენებს, პლინიუსისა და პეტრონიუსის თანახმად, რომში დღეიანად ითვლებოდა. ისევე, როგორც ძალის ხორცი.
- მ ი თ რ ა — ძნის ღმერთი, სინათლის, სიკეთისა და სიწმინდის ღვთაება. მითრახნის ძირებს ზართუშტრას მოძღვრებასთან მიეყვარათ. მითრას კულტი ძალიან იყო გავრცელებული მცირე აზიაში. ჩვენს ერამდე პირველ საუკუნეში მითრახნში რომის იმპერიის ოფიციალურ რელიგიად იქცა.
- მ ნ ე ს ტ ე რ ი — ტრაგიკული როლების შემსრულებელი ცნობილი მსახიობი ძველ რომში.
- მ ო ა ბ ი — ლატის ძე, მობიტელთა წინაპარი. მობიტელები მკვდარი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით სახლობდნენ, იუდეველთ მტრობდნენ.
- მ ო ლ ო ქ ი — ზეფე. მეუფე, მთავარი ღმერთი. მოლოქი მზის ღმერთად ითვლებოდა. მოლოქის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული ძველი აღმოსავლეთის ხალხებში, რომლებიც აღიარებდნენ მის ორ ასპექტს — შემოქმედებითს და დამანგრეველ ძალას. მოლოქს ხარის სახით გამოხატავდნენ. მას მსხვერპლად სწირავდნენ ადამიანს, განსაკუთრებით კი ბავშვებს.
- ნ ა ზ ა რ ე თ ი — გალილეაში ქალაქი, სადაც ცხოვრობდნენ იესოს მშობლები. ფლობერთან ნახსენებ „ნაზარეველში“ იგულისხმება იესო ნაზარეველი, ნათლისღების შემდეგ — იესო ქრისტე.
- ნ ა ქ ს ო ს ი — ეგეოსის ზღვაში კიკლადთა არქიპელაგის ყველაზე დიდი კუნძული.
- ნ ე ე მ ი ა — ბაბილონის წარტყვენის შემდეგ იუდეველთა სამეფოს აღმდგენი ეზდრასთან ერთად. იერუსალიმის ნანგრევებზე მან კვლავ აღმართა გალავანი, ღვთისმსახურება აღადგინა. ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი, ნეემიას წიგნი, შეიცავს ებრაელთა ისტორიას იერუსალიმის წარტყვენის მომდევნო პერიოდში.
- ნ ო რ მ ა ნ დ ი ა — საფრანგეთის ჩრდილო ნაწილი. ფლობერის მიერ აღწერილ რომის ეპოქაში კელტური ტომები სახლობდნენ აქ. შემდგომი ფრანკებმა დაიპყრეს ეს მხარე, IX საუკუნეში ნორმანებმა იწყეს თარეში, XII — XIII საუკუნეებში ინგლისს ემორჩილებოდა.
- ნ უ ბ ი ა — სახელმწიფო ჩრდილო აღმოსავლეთ აფრიკაში, ნილოსის ორივე მხარეს, ეგვიპტესა და აბისინიას შორის.
- ო ბ ო ლ ი — ვერცხლის ან სპილენძის ფული ძველ საბერძნეთსა და აღმოსავლ-

ლეთის ქვეყნებში. ობოლი უმცირესი მონეტა იყო, დროთა განმავლობაში ღირებულებას იცვლიდა, მაგრამ ყველაზე წერილ ფულად მიიჩნებოდა. ძველად საფრანგეთშიც იყო გავრცელებული ობოლი, როგორც უმცირესი მონეტა. ფლობერთან ნაგულისხმევია აღმოსავლურა ობოლი, რომელიც დაახლოებით დრაქმის მეექვსედს უდრიდა.

ოქსიტანია — პროვინცია სამხრეთ საფრანგეთში, ლანგედოკის ძველი სახელწოდებაა.

პალმირი — სირიის უდაბნოს ოაზისში მდებარე უძველესი ქალაქი, თანახმად ბიბლიისა. და ფლავიუსის ცნობისა — სოლომონ ბრძენის დაფუძნებული. პალმირი რამდენიმეჯერ დაემხო და იღვრა. VIII საუკუნეში არაბებმა მოუღეს ბოლო.

პაპუსი — იუდეველთა მეფის ანტიგონეს სარდალი. ანტიგონეს დამხობის შემდეგ პეროდემ თავი მოჰკვეთა პაპუსს.

პართია — ძველად კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარე სახელმწიფო. პართიის ძლიერების ხანაში მისი საზღვრები ევფრატამდე და ინდამდე აღწევდა. პართელები თურანული მოღვმის ხალხი იყო. ფლობერის მიერ აღწერილ ეპოქაში პართიისა და რომის ინტერესები შეეჯახა ერთმანეთს.

პილატე პონტოელი — რომის პროკურატორი პალესტინაში (26 — 36 წწ.) მის დროს ჯვარს აცვეს მაცხოვარი. ფლობერთან ნახსენები ინციდენტი გულისხმობს დიდ მღვლეუარებას, რომელიც პილატეს პროკურატორობისას ატყდა ისრაელში. ჯერ ეს იყო რელიგიური მოძრაობა, დავით მეფის ოქროს ლარნაყების (კულტის საგნები) ძიებით გამოწვეული; შემდეგში იგი გადაიხარდა პოლიტიკურ მღვლეუარებაში, რომელთა ბატონობით უკმაყოფილონი მიუერთდნენ ამ მოძრაობას. პილატემ სასტიკად ჩაახშო ეს მღვლეუარება. 36 წელს იგი გაიწვიეს ირუსალიმიდან.

პოლიკეტე — ბერძენი მოქანდაკე და არქიტექტორი (V საუკუნე ჩვენს ერამდე), ფიდიასის თანამედროვე და მეტოქე.

პროკონსული — რომის მოხელე, იმპერიაში შემავალი რომელიმე პროვინციის განმგებელი. პროკონსული კონსულის უფლებებით სარგებლობდა თავის ხელქვეით ქვეყანაში. იგი აბსოლუტური ხელისუფალი იყო, მას ემორჩილებოდა ჯარი და სამართალი.

პტოლემეაიდა — რამდენიმე ანტიკური ქალაქის სახელწოდებაა. ყველაზე ცნობილი იყო სირიის პტოლემეაიდა.

საბუხარი — სანადირო ფრინველის გამწვრთნელის (ან მონადირის) ხელთამანი.

სადუქევილი — რელიგიურ-პოლიტიკური პარტია პალესტინაში, ჯერ კიდევ მაკაბელთა დროიდან არსებული. სადუქეველები მეტწილად ქურუმთა წრიდან და მალაი წოდებიდან მომდინარეობდნენ; ხელი-სუფალთა ინტერესების დამცველები, ხოლო რომის ეპოქაში რომის ინტერესების მომხრეები იყვნენ. უარყოფდნენ სულის უკვდავებასა და მკვდრებით აღდგომას, იუდეველთა ადათ-ჩვეულებებს დასცინოდნენ.

- ს ა ლ ო მ ე — პეროდიასა და მისი პირველი მეუღლის პეროდეს (პეროდეს დიდის ვაჟი, პეროდე-ანტიპას ძმა) შვილი. სახარების მიხედვით, მან მოსთხოვა ტეტარაქს იოანე ნათლისმცემლის თავი. დედამისის ბიძას პეროდე-ფილიპეს მოსთხოვდა. საინტერესო ფაქტია, რომ წმ. იერონიმეს ცნობით, სალომემაც თავისკვეთით დაასრულა სიცოცხლე. იგი გაყინულ ტბაზე გადადიოდა, ყინული ჩაუტყდა, წყალში ჩაეარდა, თავი ყინულის ჩანატეხში ჩარჩა და ბასრმა ყინულმა გადაუსერა კისერი.
- ს ა მ ა ლ ი — სამარო იარალი, ისრის სატყორცნი, არბალეტი.
- ს ა მ ა რ ი ა — პალესტინის შუა ნაწილი, მისი მთავარი ქალაქები იყო სიქემა და სამარია, ჩვენს ერამდე IX საუკუნეში აშენებული. სამარიტელეები ებრაელთა და სირიელ კოლონიზატორთა ნარევი ტომია. იუდეველთა რელიგია მათში თანდათან დაჩრდილა წარმართობამ. სამარიტელებსა და ებრაელებს შორის შულმა ჩინა თავი. ბაბილონის წარტყვევნიდან დაბრუნებული ებრაელები სამარიტელებს უწმიდურ ტომად თვლიდნენ, მათთან ურთიერთობა ცოდვად მიიჩნდათ. ამ ორ ერს შორის შულმა დიდხანს ვასტანა.
- ს ა რ დ ი ნ ი ა — ეუნძული ხმელთაშუა ზღვაში. კორსიკის სამხრეთით. სარდინიელები სხვადასხვა ტომთა ნარევი ხალხია, უფრო ესპანელებს უახლოვდებიან.
- ს ა რ ე ფ თ — ფინიკიის ძველი ქალაქი ხმელთაშუა ზღვის პირას, ტვიროსსა და სიდომს შორის. სარეფთელ ქერივს მკვლრებით აღედგინა ელია წინასწარმეტყველმა ერთადერთი ვაჟი.
- ს ა რ კ ი ნ ო ზ ი — შუა საუკუნეებში ქრისტიანები ასე უწოდებდნენ არაბებს. სიტყვის მნიშვნელობა გაფართოვდა და საარკინოზად მიიჩნეოდნენ არაბებს გარდა საერთოდ მამადაიანებს, შემდეგ კი ყველა ურჯულოს, არაქრისტიანს.
- ს ა ფ ე ტ ი — მთაზე გაშენებული ქალაქი სირიაში.
- ს ე ი მ ე ო ნ გ ი ტ ო ე ლ ი — პირველი საუკუნის 30-იან წლებში სამარიაში მოღვაწე წინასწარმეტყველი, რომელიც რელიგიური მოძრაობის სათავეში იდგა.
- ს ი უ რ ე ნ ა — ტიტული, რომელსაც ატარებდა სამხედრო უმაღლესი ხელისუფალი პართიაში.
- ს ი ქ ე მ ა — სამარიის ძველი ქალაქი, დღევანდელი ნაბულუსი.
- ს კ ე ი თ ე ბ ი — ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილო-დასავლეთ აზიაში მომთაბარე უძველესი ტომი.
- ს ო ნ ლ უ ლ ი — სანადირო ფრინველი შევარდნის ჭიშისა.
- ს ო რ ე ქ ი — პალესტინის პატარა მდინარე. ხმელთაშუა ზღვას ერთვის. ამავე სახელს ატარებს მისი ხეობაც.
- ტ ა ხ ტ ა — უნავირის კეზის ქიმი, ამაღლებული ნაწილი, რომელზედაც რაიმეს ჩამოკიდება შეიძლება.
- ტ ე ტ რ ა რ ქ ი — თავდაპირველად აღნიშნავდა კოლეგური ხელი უფლებების ოთხ წევრთაგან ერთს; გარდა ამისა — ბერძნულ ჯარში ოთხი რიგის უფროსს. შემდეგში რომის იმპერიის ცალკეულ სამფლობელოთა

მმართველს ეწოდებოდა ტეტრარქი. ამ მნიშვნელობითაა ის ნახმარი ფლობერთან.

ტიბერიადა — ქალაქი პალესტინაში, ტიბერიადის (გენისარეთის) ტბის პირას. იმპერატორ ტიბერიუსის პატივსაცემად ჰეროდე-ანტიპამ ეს სახელი უწოდა ქალაქს, რომელიც მისი რეზიდენცია იყო.

ტიბერიუსი — რომის იმპერატორი (13—37 წწ.). უკანონო შვილი ოქტავიანესი, იგი მამამ სიცილიაშივე დაინიშნა თანამმართველად. ოქტავიანეს სიკვდილის შემდეგ სენატმა მას მისცა ხელისუფლება.

ტოგა — რომის მოქალაქეთა ნაციონალური ზედა სამოსი. ჩვეულებრივ, ტოგა თეთრი იყო. დიდი მოხელეები და კაბუეები მეწამულარშიან ტოგას იცამდნენ. ეს იყო 4 მ. სიგრძისა და 2,5 მ. სიგანის ქსოვილი. მისი ერთი ბოლო მარცხენა მხარზე ჰქონდათ გადმოშვებული, შუა ნაწილი ზურგს და ფეხებს ფარავდა; მეორე ბოლო მარჯვენა ილიის ქვეშ იყო ამოღებული და მარცხენა მხარზე უკან გადაგდებული. მკერდთან ნაყეცი ჭიბის მაკერობას სწევდა.

ტრიკლინიუმი — რომაული სასადილო დარბაზი, რომელსაც სამი ამალღება ჰქონდა მაგიდების ირგვლივ წამოსაწოლად. ტრიკლინიუმი დარბაზს გარდა ეწოდებოდა თვით ამ წამოსაწოლ ამალღებებსაც.

ფარისეველნი — ებრაელთა რელიგიურ-პოლიტიკური პარტია, შეიქმნა ჩვენს ერამდე II საუკუნეში. ფარისეველები გამოირჩეოდნენ საოცარი ფანატიზმით; მოსეს რჩული ზერეღედ ესმოდათ, თუმცა მის მკაცრ დამკველებად ითვლებოდნენ. მათთვის ზთაგარი იყო გარეგნული მხარე რწმენისა, შინაგან არსს ვერ სწვდებოდნენ. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მოსესა და სხვა წინასწარმეტყველთა მცნების თითქოს ერთგული ფარისეველები მტრულად მოეკიდნენ ღვთიურ სიტყვას, რომელზედაც წინასწარმეტყველებდნენ და რომლის განსხეულებას ელოდნენ ბრძენნი.

ფილიპე — იგივე პორეღე-ფილიპე, ძე ჰეროდე დიდისა, ძმა ჰეროდე-ანტიპასი. ჰეროდეს შემდეგ ტეტრარქებად დაყოფილ იუდეველთა სამეფოს მისი შვილები განაგებდნენ: ფილიპე ბატანეს მმართველი იყო.

ფილონი — აღექსანდრიელი ფილოსოფოსი, მოღვაწეობდა პირველ საუკუნეში; წარმოშობით დიდგვაროვანი ებრაელი ოჯახიდან იყო, წერდა ბერძნულად. მის შრომებში პლატონის მოძღვრებას ერწყმის სტოველთა იდეები და ებრაული ღვთისმეტყველება.

ფსიქე — ბერძნული მითოლოგიის თანახმად, სიყვარულის ღმერთის, ეროსის მიჯნური ქალწული. ფსიქე ადამიანის სულის სიმბოლო იყო და მას ჰეპლისფრთიანი ასულის სახით გამოხატავდნენ. ეროსისა და ფსიქეს მითის უპირავე სახესხვაობა არსებობს.

ქალცედონი — ევარცის სახეობაა, მინერალთა მთელი ჯგუფის სახელწოდებაა. ქალცედონის ჯგუფს ეკუთვნიან ძვირფასი ქვები: აქატი, ანქეითი, სარდიონი და სხვ.

ქლამინდი — „სამეფო წამოსასხმელია... უსახელო“ (საბა).

პ ბ რ ო ნ ი — უძველესი ქალაქი სამხრეთ პალესტინაში, იერუსალიმის მახლობლად.

პ ე რ ო დ ე — გასარჩევია რამდენიმე ჰეროდე. დიდი ჰეროდე იუდეველთა მეფე იყო ახალი ერის 4 წლამდე. მან გააძევა მაკაბელთა დინასტიის უკანაენელი მეფე და რომის დახმარებით ხელთ ჩაიგდო ძალა-უფლება; სასტიკი იყო და შეუბრალებელი, მოაკვლევინა თავისი ერთ-ერთი მეუღლე და შვილები. ანტონიუსის სიკვდილის შემდეგ ოქტავიანეს გული მოიგო. ჩვენს ერამდე 19 წელს იერუსალიმის ტაძარი განაახლა, რაზედაც საუბარია ფლობერის მოთხრობაში. ჰეროდემ როცა შეიტყო ბეთლემში ყრმის შობა, მთელ სამეფოში ყრმათა დევნულება ატეხა. ფლობერთან ნახსენებ „უველა ჰეროდეში“ იგულისხმება ჰეროდე დიდს გარდა მისი შვილები და შვილიშვილები, რომლებსაც აგრეთვე ჰეროდე ერქვათ (ჰეროდე-ანტიპა), ჰეროდე-ფილიპე, ჰეროდე-აგრიპა და სხვ).

პ ე რ ო დ ე - ა ნ ტ ი პ ა — ჰეროდე დიდის ძე. მამისაგან მემკვიდრეობით მიიღო გალილეისა და პირიის ტეტრარქობა. მის დროს ტეტრარქი ფაქტიურად რომის ხელისუფლების ნაცვალი იყო. ჰეროდე-ანტიპა რომის იმპერატორმა კალიგულამ გააძევა.

პ ე რ ო დ ი ა — ჰეროდე დიდის შვილიშვილი, არისტობულესა და ვერონიკეს ასული. ცოლად ესუა ბიძას, ჰეროდეს ვაჟს, სახელად აგრეთვე ჰეროდეს, რომელიც მემკვიდრეობას აარიდა მამამ. მიატოვა მეუღლე და მისთხოვდა თავის მეორე ბიძას — ჰეროდე-ანტიპას. ანტიპასთან ერთად ისიც გააძევა კალიგულამ.

პ ი ე რ ა პ ო ლ ი ს ი — (ქურუმთა ქალაქი) ქალაქი სირიაში ანტიოქიის გზაზე. ფლობერი ახსენებს „ჰიერაპოლისის ტაძარს“. ეს იყო დერკეტოს უმდიდრესი ტაძარი, რომელიც გაძარცვა კრასუსმა — რომის მხედართმთავარმა.

პ ი რ კ ა ნ მ ე ფ ე — ფლობერი გულისხმობს ჰირკან პირველს, იუდეველთა მეფეს, სვიმეონ მაკაბელის ძეს. მოღვაწეობდა ჩვენს ერამდე II საუკუნეში მან დაანგრა გარიზიმის მთაზე სამართელთა ტაძარი, რაზეც საუბარია „ჰეროდიაში“.

პ ო რ ო ლ ი — „ლახვარი ორპირი და ბუნგრძელი“ (საბა).



## ს ა რ ჩ ე ვ ი

ჰეროდია, თარგმანი მანანა გიგინეიშვილისა . . . . .	7
ლეგენდა მწირთა შემფარებელ წმიდა ეუულიენზე, თარგმანი მისიციე . . . . .	40
ბულმართალი, თარგმანი არისტო ქუმბაძისა . . . . .	68
<u>კანდიდატი (პიესა) თარგმანი მისიციე . . . . .</u>	<u>105</u>
ფეოლევი, თარგმანი მისიციე . . . . .	189
შენიშვნები — მანანა გიგინეიშვილისა . . . . .	266

**ГУСТАВ ФЛОБЕР**  
**РАССКАЗЫ, ПЬЕСА, ПИСЬМА**

том V

(на грузинском языке)

Издательство «Мерапи»  
Руставели, 42. Тбилиси,

1975

რედაქტორი ნ. აგიაშვილი  
მხატვარი ნ. იანქოშვილი  
მხატვრული რედაქტორი ა. თოდრიია  
ტექნიკური რედაქტორი თ. ნათიშვილი  
კორექტორი ლ. არაბიძე

გადაეცა წარმოებას 6/III 74 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად 16/IV-75 წ.  
ქალაქის ზომა 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. საბუქედი ქალაქი № 3, ნაბუქედი თაბახი 16,04.  
საარტიცხეო-საგამომცემლო თაბახი 12,24. ტირაჟი 20 000 შუკვ. № 2730.

ფასი 58 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის 42.  
თბილისი, 1975 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,  
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო  
კომიტეტის სტამბა № 5

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.

Типография № 5 Государственного комитета  
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,  
полиграфии и книжной торговли.  
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе. 11.